

სახელმძღვანელო მითითებები  
უფლებადამცველთა  
უფლებების დაცვის შესახებ

Protection from threats & attacks  
by State & non-State actors

DEFENDERS AT  
SPECIFIC RISK

ENABLING LEGAL ENVIRONMENT

გამოქვეყნებულია ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის  
ორგანიზაციის (OSCE) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის  
უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ  
მიოდოვას ქ. 10  
00-251 ვარშავა, პოლონეთი  
[www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr)

© OSCE/ODIHR 2014

უფლებები დაცულია. წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული  
ინფორმაციის გამოყენება და გამრავლება შესაძლებელია საგანმანათლებლო  
და სხვა არაკომერციული მიზნებისთვის იმ შემთხვევაში, თუ მითითებული  
იქნება OSCE/ODIHR როგორც პირველი წყარო.

ISBN 978-83-66089-96-9

დიზაინერი: ნონა რაუტერი

ფოტო მასალა: აგნიეშკა რემბოვსკა

დაბეჭდილი პოლონეთში გამომცემლობა Poligrafus Jacek Adamiak-ის მიერ

სახელმძღვანელო მითითებები  
უფლებადამცველთა უფლებების  
დაცვის შესახებ

# შინაარსი

აბრევიატურები	7
წინასიტყვაობა	9
შესავალი	11

## ნაწილი ა: სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველების უფლებების დაცვის შესახებ . . . . . 15

I. უფლებადამცველთა უფლებების დაცვის მხარდამჭერი ზოგადი პრინციპები . . . . .	17
II. უფლებადამცველთა ფიზიკური ხელშეუხებლობა, თავისუფლება, უსაფრთხოება და ღირსება . . . . .	18
ა. მუქარისგან, თავდასხმისგან და სხვა სახის შევიწროვებისგან დაცვა. . . . .	18
ბ. სასამართლოში შევიწროვებისგან, კრიმინალიზაციისგან, თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრებისგან დაცვა. . . . .	20
გ. სტიგმატიზაციასთან და მარგინალიზაციასთან დაპირისპირება. . . . .	24
III. ადამიანის უფლებების დაცვის ხელშემწყობი უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო . . . . .	25
დ. ზრისა და გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება . . . . .	25
ე. მშვიდობიანი შეკრების უფლება . . . . .	29
ვ. გაერთიანების თავისუფლება და უფლება დააფუძნო. გაწევრიანდე და ეფექტური მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობაში . . . . .	32
მზ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება . . . . .	35
თ. გადაადგილების თავისუფლება და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობა საზღვრებს შიგნით და გარეთ. . . . .	35
ი. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება . . . . .	38
კ. საერთაშორისო ორგანიზაციებთან წვდომის და კომუნიკაციის უფლება . . . . .	39
IV. სახელმძღვანელო მითითებების შესრულების ჩარჩოები . . . . .	40

## ნაწილი ბ: განმარტებითი ბარათი . . . . . 45

I. უფლებადამცველთა უფლებების დაცვის მხარდამჭერი ზოგადი პრინციპები . . . . .	54
II. უფლებადამცველთა ფიზიკური ხელშეუხებლობა, თავისუფლება, უსაფრთხოება და ღირსება . . . . .	69



ა.	მუქარისგან, თავდასხმისა და სხვა სახის შევიწროებისგან დაცვა. . . . .	69
ბ.	სასამართლოში შევიწროებისგან, კრიმინალიზაციისგან, თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრებისგან დაცვა. . .	83
გ.	სტიგმატიზაციასთან და მარგინალიზაციასთან დაპირისპირება. . . . .	93
III.	ადამიანის უფლებების დაცვის ხელშემწყობი უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო . . . . .	100
დ.	აზრისა და გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის თავისუფლება . . . . .	100
ე.	მშვიდობიანი შეკრების უფლება . . . . .	113
ვ.	გაერთიანების თავისუფლება და უფლება დააფუძნო, გაწევრიანდე და ეფექტური მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში . . . . .	125
ზ.	საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება . .	141
თ.	გადაადგილების თავისუფლება და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობა საზღვრებს შიგნით და გარეთ. . . . .	146
ი.	პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. . . . .	155
კ.	საერთაშორისო ორგანიზაციებთან წვდომის და კომუნიკაციის უფლება . . . . .	167
IV.	სახელმძღვანელოს მითითებების შესრულების ჩარჩოები . . . . .	174

**დანართი: შერჩეული მასალები და რესურსები . . . . . 187**

1.	უფლებადამცველთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და სტანდარტები . . . . .	187
2.	ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ზოგადი სტანდარტები უფლებადამცველთა უფლებების დაცვის კონტექსტში . . . . .	189
3.	უფლებადამცველთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო და რეგიონალური მექანიზმები . . . . .	190

# აბრევიატურები

ACHR	ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია
CEDAW	კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
CAT	წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენცია
CRC	ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია
CRPD	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია
ECHR	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
EU	ევროკავშირი
FCNM	ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ
IAHCR	ადამიანის უფლებათა შიდა ამერიკული კომისია
ICCPR	საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ
ICERD	საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
ICESCR	ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი
LGBTI	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
NHRI	ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტი
ODIHR	დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი
OPCAT	წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი
OSCE	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)
PAGE	ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა
UDHR	ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
UNGA	გაეროს გენერალური ასამბლეა

# წინასიტყვაობა

ოცი წლის წინ წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურებმა მიიღეს 1994 წლის ბუდაპეშტის დოკუმენტი სახელწოდებით „ჭეშმარიტი პარტნიორობისთვის ახალ ეპოქაში,“ რომლითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, კანონის უზენაესობა და დემოკრატიული ინსტიტუტები მშვიდობისა და უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს. მათ დოკუმენტში ასევე ხაზი გაუსვეს უფლებადამცველთა უფლებების დაცვას.

აღნიშნულის საჭიროება ასევე მტკიცედ არის დასაბუთებული 1975 წლის ჰელსინკის დასკვნით აქტში, 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტში და ეუთოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში შემუშავებულ სხვა დოკუმენტებში, რომლებშიც აღიარებულია უფლებადამცველების და სამოქალაქო საზოგადოების როლი ეუთოში ჩვენი საერთო ამოცანების შესრულებაში. არ შეიძლება არსებობდეს ფუნდამენტური თავისუფლებების ან ადამიანის უფლებების რაიმე გარანტია მსოფლიოში, სადაც უფლებადამცველები განიცდიან დევნას საქმიანობის განხორციელებისას.

2010 წლის ეუთოს ასტანის სამიტზე წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ აღიარეს, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამოქალაქო საზოგადოება და თავისუფალი მედია იმისთვის რომ დაეხმარონ მათ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, დემოკრატისა და კანონის უზენაესობის დაცვაში (ასტანის 2010 დეკლარაცია).

მიუხედავად მოცემული გარანტიებისა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთხელ მიიპყრეს ეუთოს ყურადღება, მათ შორის ODIHR– ისა, იმ საჭიროებოტო საკითხების ირგვლივ, რომლებიც უქმნის ამ ორგანიზაციათა საქმიანობას დაბრკოლებებს ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში, ასევე იმ სერიოზულ რისკებზე, რომლებსაც ისინი დროდადრო აწყდებიან. ეუთოს 2012 წლის დუბლინის მინისტრიალზე არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებამ გაავრცელა ერთობლივი განცხადება, რომელშიც მათ გამოთქვეს თავიანთი შეზღოთება რეგიონში უფლებადამცველთა უსაფრთხოების თაობაზე და მოუწოდეს ეუთოს უფლებადამცველთა უფლებების დაცვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებისკენ.<sup>1</sup> აღნიშნული მოწოდების საპასუხოდ, და ეუთოს მანდატის ფარგლებში, ODIHR– ისათავეში ჩაუდგა წინამდებარე სახელმძღვანელოს შემუშავებას.

ბუდაპეშტის დოკუმენტის მიღებიდან ორი ათწლეულის თავზე მრავალი მიღწევაა. თუმცა ამავდროულად ნათლად ჩანს, რომ უფლებადამცველები კვლავ დგანან გარკვეული გამოწვევების წინაშე, და მათ მიღმა ასევე გაჩნდა ახალი, სერიოზული გამოწვევები. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველთა უფლებების დაცვის

<sup>1</sup> „დუბლინის დეკლარაცია – უფლებადამცველთა უსაფრთხოება: დროა ეუთომ იმოქმედოს“, მიღებული დუბლინის პარალელური არამთავრობო საზოგადოების კონფერენციის მონაწილეთა მიერ, 2012 წლის 5 დეკემბერი, [http://www.civicsolidarity.org/sites/default/files/dublin\\_declaration\\_on\\_human\\_rights\\_defenders\\_final.pdf](http://www.civicsolidarity.org/sites/default/files/dublin_declaration_on_human_rights_defenders_final.pdf).

შესახებ საფუძვლად დაედება განახლებულ და ჯანსაღ თანამშრომლობას მთავრობებსა და უფლებადამცველებს შორის, რათა მათ შეძლონ ასეთ გამოწვევებთან ეფექტურად გამკლავება. ასევე ვიმედოვნებთ, რომ ისინი გააერთიანებენ თავიანთ ძალისხმევას, საერთო მიზნების მისაღწევად, უთოს რეგიონში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით.

*ელჩი იანეშ ლენარჩიჩი  
დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის  
უფლებების ოფისის დირექტორი*

# შესავალი

*„განსაკუთრებით სასიხარულო იყო ჩემთვის კომიტეტის სიტყვები, რომლებშიც ხაზგასმული იყო ადამიანის უფლებების დაცვის როლი ჭეშმარიტი და გრძელვადიანი საერთაშორისო თანამშრომლობის ჩამოყალიბების პროცესში ..... მე ღრმად მჯერა, რომ შეუძლებელია მიაღწიო საერთაშორისო ნდობას, ურთიერთგაგებას, განიარაღებას და საერთაშორისო უსაფრთხოებას ღია საზოგადოების გარეშე, რომელსაც აქვს ინფორმაციის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, გამოქვეყნების უფლება, მოგზაურობის უფლება და უფლება თავად აირჩიო საცხოვრებელი ადგილი.“*

(ანდრეი სახაროვი, 1975)<sup>2</sup>

1975 წლის ჰელსინკის დასკვნით აქტში, წევრმა სახელმწიფოებმა, რომელსაც მაშინ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენცია (CSCE) ეწოდებოდა, აღიარეს თითოეული ადამიანის უფლება, იცოდეს საკუთარი უფლებები და გამოიყენოს ისინი, ასევე, მოგვიანებით, აღიარეს პირის უფლება, მოითხოვოს და მიიღოს დახმარება და დაეხმაროს სხვებს ადამიანის უფლებების დაცვაში<sup>3</sup>. პიროვნებების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანოების მიერ საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მხარდაჭერისა და დაცვის უფლება-მოვალეობის გაეროს დეკლარაციის შედგენის კონტექსტში მათ ასევე ხაზი გაუსვეს უფლებადამცველების უფლებათა დაცვის აუცილებლობას (1994 წლის ბუდაპეშტის დოკუმენტი). მაშასადამე, ადამიანის უფლებათა დაცვის უფლება, რომელიც აღიარებულია გაეროს დეკლარაციით, მკაფიოდ ხაზგასმულია ეუთოს ვალდებულებებში.

წინამდებარე სახელმძღვანელო დაფუძნებულია ეუთოს ვალდებულებებზე და ადამიანის უფლებათა იმ საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებზე, რომელთა დაცვის ვალდებულება აიღეს წევრ სახელმწიფოებმა. სახელმძღვანელო მითითებებში გათვალისწინებულია ყველა ის საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანია უფლებადამცველების უფლებათა დაცვის კუთხით, მათ შორის გაეროს ზემოხსენებული დეკლარაცია. სახელმძღვანელო არ აწესებს ახალ სტანდარტებს და მიზნად არ ისახავს „სპეციალური“ უფლებების შექმნას უფლებადამცველთათვის, არამედ ორიენტირებულია იმ ადამიანთა უფლებების დაცვაზე, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას დგანან რისკის წინაშე. როგორც ასეთი, სახელმძღვანელო მიზნად ისახავს თითოეული პირის უფლების დაცვის ხელშეწყობას.

2 ნობელის ლექცია, 11 დეკემბერი, 1975

3 CSCE-ს ადამიანის უფლებათა კონფერენციის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, 1990;

## მიზნები და მეთოდოლოგია

წინამდებარე სახელმძღვანელო არის შედგენილი უფლებადამცველებთან OSCE/ODIHR-ის გრძელვადიანი თანამშრომლობისა. დოკუმენტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემო, რომელშიც მათ უწევთ არსებობა და მუშაობა.<sup>4</sup> ODIHR-ის მანდატის შესაბამისად, მოცემული სახელმძღვანელო მითითებები მიზნად ისახავს უფლებადამცველების უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერას. ODIHR-ს აქვს მანდატი, დახმარება გაუწიოს ეუთოს წევს სახელმწიფოებს რათა მათ „უზრუნველყონ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა, კანონის უზენაესობის დაცვა, დემოკრატიული პრინციპების მხარდაჭერა და... დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება, გაძლიერება და დაცვა, ასევე საზოგადოებაში ტოლერანტობის ხელშეწყობა“ (პელსინკის დოკუმენტი, 1992).

სახელმძღვანელო დაფუძნებულია უფლებადამცველების, საერთაშორისო ექსპერტების, სხვა შიდასამთავრობო პარტნიორი ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტებისა და ეუთოს წევრს სახელმწიფოთა წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით გამართულ კონსულტაციებზე. პირველი მონაწილეობის შეხვედრის შემდგომ, რომელიც 2013 წლის ივნისში გაიმართა, ODIHR-მა ეუთოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელ უფლებადამცველებთან ერთად გამართა ქვერეგიონალური შეხვედრების სერია, რომელიც ორი თვის მანძილზე გრძელდებოდა. შეხვედრები მიზნად ისახავდა საკანძო საკითხების გამოყოფას, სხვადასხვა რეგიონის თუ ქვეყნის კონტექსტში.<sup>5</sup> გარდა ამისა, ODIHR-მა გამოაცხადა მზადყოფნა, და ფართოდ გაავრცელა აღნიშნული განცხადება, აღნიშნულ თემაზე მიეღო წერილობითი მოსაზრებები სხვადასხვა ჯგუფებისგან. 12 უფლებადამცველისგან და საერთაშორისო ექსპერტისგან შემდგარი საკონსულტაციო ჯგუფი დახმარებას უწევდა ODIHR-ს სახელმძღვანელოს გადახედვაში და პირველადი სამუშაო ვერსიების შედგენაში. 2014 წლის

4 აღნიშნული თემის ირგვლივ მისი არაერთი გამოცემის პარალელურად, ODIHR-მა გამოაქვეყნა ორი კონკრეტული ანგარიში უფლებადამცველებთან დაკავშირებულ თემაზე: „უფლებადამცველები ეუთოს რეგიონში: ჩვენი ერთობლივი სინდიკატი“ 10 დეკემბერი, 2007 <<http://www.osce.org/odihr/29714>> და „უფლებადამცველები ეუთოს რეგიონში: გამოწვევები და პრაქტიკა“; 15 დეკემბერი, 2008 <<http://www.osce.org/odihr/35652>>.

5 ქვერეგიონალური საკონსულტაციო შეხვედრები მოიცავდა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში დასაქმებულ დაანლოებით 110 უფლებადამცველს სხვადასხვა ქვეყნიდან. 2 შეხვედრა გაიმართა 2013 წლის სექტემბერში, რომელთაგან პირველში მონაწილეობას იღებდნენ უფლებადამცველები შემდეგი სახელმწიფოებიდან: ანდორა, ავსტრია, ბელარუსი, ბელარუსი, მვედეთი, კანადა, ნორვეგია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, ფინეთი, გერმანია, საბერძნეთი, წმინდა საყდარი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, მონაკო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სან მარინო, სლოვენია, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები. მეორე შეხვედრაზე შეიკრიბნენ უფლებადამცველები შემდეგი სახელმწიფოებიდან: ბელარუსია, მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა. 2013 წლის ოქტომბერში გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა, რომელთაგან პირველზე შეიკრიბნენ უფლებადამცველები ალბანეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბოსნია და ჰერცეგოვინიდან, საქართველოდან, მაკედონიიდან, მონტენეგროდან, სერბიიდან და თურქეთიდან. კოსოვოს წარმომადგენლები ასევე იღებდნენ მონაწილეობას აღნიშნულ შეხვედრაში. მეორე საკონსულტაციო შეხვედრა შედგებოდა ყაზახეთის, ყირგიზეთის, მონღოლეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის და უზბეკეთის უფლებადამცველებისგან.



მაისში ODIHR-მა წევრ სახელმწიფოებთან ჩაატარა საკონსულტაციო შეხვედრა, სახელმძღვანელოს მონახაზზე მათი იდეებისა და მოსაზრებების მოსასმენად.

### **სამადლობლო შენიშვნა**

ODIHR მადლობას უცხადებს ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო კონსულტაციების პროცესში, მათი დაუფასებელი წვლილისთვის. მათ შორის, მადლობა ეკუთვნით უფლებადამცველებს, ექსპერტებს და პარტნიორებს სხვა ინსტიტუტებიდან, რომლებიც მუშაობენ ადამიანთა უფლებადამცველების უფლებების დაცვის სფეროში, მათ შორის, ადმინისტრაციულ პოზიციებზე მომუშავე თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელთან. ასევე მადლობას ვუცხადებთ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს, უფლებადამცველთა უფლებების დაცვის საკითხებზე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელს, ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურს (EEAS), უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე ადამიანის უფლებების შიდა ამერიკული კომისიის სპეციალურ მომხსენებლებს, ასევე მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლობის ყველა თანამშრომელს. ODIHR განსაკუთრებულ მადლობას უხდის საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფის წევრებს მათი მაღალპროფესიონალური რჩევებისა და იმ წვლილისთვის, რომელიც შეიტანეს წინამდებარე სახელმძღვანელოს შემუშავებაში. გარდა ამისა, ODIHR მადლობას უხდის წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ კონსულტაციების პროცესში და თავიანთი წვლილი შეიტანეს სახელმძღვანელოს შექმნაში.

# ნაწილი ა:

## სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველების უფლებების დაცვის შესახებ

1. **ადამიანის უფლებათა დაცვის უფლება საყოველთაოდ აღიარებული უფლებაა:** იგი გამომდინარეობს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისგან, რომლებიც განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებულია, და რომელთა, თითოეული ადამიანის მიმართ, პატივისცემის, დაცვის და შესრულების ვალდებულება იკისრა თითოეულმა ეუთოს წევრ სახელმწიფომ მათ ტერიტორიაზე და მათი იურისდიქციის ქვეშ.
2. **ვინ არიან ადამიანის უფლებადამცველები?** ადამიანის უფლებადამცველები მოქმედებენ „ცალ-ცალკე ან სხვებთან ერთად, რათა ხელი შეუწყონ ადამიანს უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას და რეალიზაციას“<sup>6</sup> ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე. ისინი აღიარებენ ადამიანის უფლებების უნივერსალურობას ყველასთვის, ყოველგვარი განსხვავების გარეშე, და ისინი მშვიდობიანი გზებით იცავენ ადამიანის უფლებებს.
3. **ადამიანის უფლებადამცველები თამაშობენ უმნიშვნელოვანეს როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში:** ადამიანების, ჯგუფების, ორგანიზაციების და ინსტიტუტების აქტიური ჩართულობა უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად. სამოქალაქო საზოგადოება – მათ შორის – ეხმარება სახელმწიფოებს ადამიანის უფლებათა, ძირითად თავისუფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სრულად პატივისცემაში. შესაბამისად, ადამიანის უფლებადამცველები დემოკრატიულ საზოგადოებებში ასრულებენ მნიშვნელოვან და ლეგიტიმურ ფუნქციებს. სახელმწიფო ინსტიტუტებმა პატივი უნდა სცენ იმ ფაქტს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებებში შესაძლოა გამოჩატულ იქნეს განსხვავებული მოსაზრებები, მშვიდობიანი ფორმით, და მათ საჯაროდ უნდა აღიარონ ადამიანის უფლებადამცველთა მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური როლი.
4. **უფლებადამცველთა უფლებების დაცვის საჭიროება:** ადამიანის უფლებადამცველები დგანან სპეციფიკური რისკების წინაშე და თავიანთი საქმიანობის პროცესში ხშირად ხდებიან სერიოზული ძალადობის მსხვერპლნი. შესაბამისად, ისინი საჭიროებენ

6 გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაცია, მუხლი 1, <<https://www.ohchr.org/Documents/Issues/Defenders/Declaration/declaration.pdf>>.

სპეციფიკურ და გაძლიერებულ დაცვას ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. ადამიანის უფლებადამცველთა განსაზღვრული ჯგუფი – მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე მათი სამუშაოს კონტექსტიდან ან გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ასევე იმის გამო, რომ მუშაობენ კონკრეტულ სპეციფიკურ საკითხებზე ან მიეკუთვნებიან განსაზღვრულ ჯგუფს ან დაკავშირებული არიან მასთან – დგას განსაკუთრებული რისკების წინაშე.

5. **სახელმწიფო ვალდებულებათა არსი:** ადამიანის უფლებადამცველთა უფლებების დაცვის უპირველესი ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოებს. სახელმწიფოებს აქვთ როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ხასიათის ვალდებულებები ადამიანის უფლებადამცველთა უფლებებთან დაკავშირებით. საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ვალდებულებების პარალელურად – რომელთა შესაბამისად მათ პატივი უნდა სცენ და დაიცვან ადამიანის უფლებები – სახელმწიფოებს გააჩნიათ შემდეგი სახის ვალდებულებები:

(ა) თავი შეიკავონ ნებისმიერი სახის ისეთი ქმედებისგან, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებადამცველთა უფლებებს მათი საქმიანობის გამო;

(ბ) დაიცვან ადამიანის უფლებადამცველები მესამე მხარეთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევებისგან სამუშაოს შესრულების პროცესში და ამავდროულად გამოიჩინონ განსაკუთრებული მზრუნველობა; და

(გ) გადადგან აქტიური ნაბიჯები, რომლითაც ხელს შეუწყობენ ადამიანის უფლებადამცველთა უფლებების სრულყოფილად გამოყენებას, მათ შორის მათ უფლებას დაიცვან ადამიანის უფლებები.

6. **ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობის ხელშემწყობი უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო:** უფლებადამცველთა ღირსების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, თავისუფლების და უსაფრთხოების ეფექტური დაცვა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის უფლების გამოყენების წინაპირობას. მეტიც, უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო მოითხოვს ბევრი სხვა ძირითადი უფლების გამოყენებას, რომელიც აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისთვის, მათ შორის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების უფლება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, გადაადგილების თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თავისუფალი წვდომის და კომუნიკაციის უფლება, მათ შორის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საერთაშორისო და რეგიონალურ მექანიზმებთან.

## I. უფლებადამცველთა უფლებების დაცვის მხარდამჭერი ზოგადი პრინციპები

7. **ადამიანის უფლებადამცველთა უფლებების დაცვის საერთაშორისო განზომილების აღიარება:** ადამიანის უფლებების განზომილებების სფეროში გადადგმული ნაბიჯები წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების პირდაპირი და ლეგიტიმური შეშფოთების საგანს. სანამ ადამიანის უფლებადამცველთა უფლებების დაცვის ვალდებულება აწევთ უშუალოდ სახელმწიფოებს, ადამიანის უფლებადამცველთა უფლებების დარღვევების ფაქტები მხოლოდ მათი შიდა განხილვის საგანს არ წარმოადგენს. სახელმწიფოებმა, მაშასადამე, უნდა აღიარონ ადამიანის უფლებადამცველთა უფლებების დაცვის საჭიროება როგორც მათ ტერიტორიებზე, ასევე სხვა სახელმწიფოებში. შესაბამისად, მათ უნდა შეიმუშაონ შესაბამისი ინსტრუმენტები და მექანიზმები, რომლებიც დაეხმარებიან როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე საზღვრებს გარეთ ადამიანის უფლებადამცველთა უფლებების დაცვაში.
8. **არასახელმწიფო წარმომადგენლების პასუხისმგებლობა:** სანამ სახელმწიფოებს გააჩნიათ ვალდებულება დაიცვან ადამიანის უფლებადამცველები მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებებისგან არასახელმწიფო აქტორების მხრიდან, ამ უკანასკნელთ შეუძლიათ ითამაშონ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებადამცველთა უფლებების განხორციელებაში. არასახელმწიფო წარმომადგენლებმა პატივი უნდა სცენ და აღიარონ ადამიანის უფლებადამცველთა უფლებები და თავიანთი ქმედებების განხორციელებისას იხელმძღვანელონ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით. არასახელმწიფო წარმომადგენლებმა პასუხი უნდა აგონ წევრი სახელმწიფოების წინაშე იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ შეძლებენ არსებული შიდა კანონმდებლობის და სტანდარტების შესაბამისად აღნიშნულის განხორციელებას.
9. **თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა:** დაუშვებელია უფლებადამცველთა დისკრიმინაცია მათი საქმიანობის გამო. ადამიანის უფლებების დაცვის უფლება გარანტირებული უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, და უფლებადამცველების უფლებების დაცვის მექანიზმები უნდა ირეკლავდეს იმ უფლებადამცველთა კონკრეტულ მოთხოვნებს, რომლებიც აწყდებიან დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმას. საჭიროა ყველა იმ აქტივობაში, რომელიც უფლებადამცველების უფლებების დაცვას ეხება, გამოყენებული იყოს გენდერული განსხვავებების კუთხით მგრძობიარე მიდგომები.
10. **სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ჩარჩოები:** ადგილობრივი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ჩარჩოები ხელს უნდა უწყობდნენ ისეთი უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შექმნას და განვითარებას, რომელშიც უფლებადამცველები დაცულები იქნებიან და ექნებათ მხარდაჭერა თავიანთი კანონიერი აქტივობების განხორციელებაში. შიდა კანონმდებლობა, რეგულაციები და პრაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს უერთს ვალდებულებებს და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში

არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. ეს დოკუმენტები უნდა იყოს საკმარისად ზუსტი, რომ უზრუნველყოს სამართლებრივი სიმტკიცე და არ იძლეოდეს მათი თვითნებურად გამოყენების საშუალებას. ინსტიტუციური ჩარჩოები უნდა იყოს სამართლიანობის ძირითადი პრინციპის და სათანადო სამართლებრივი პროცესის გარანტია.

11. **ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი უფლებების კანონიერება, შეზღუდვების აუცილებლობა და პროპორციულობა:** ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტები იძლევიან მხოლოდ გარკვეული უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობას და მხოლოდ მაშინ, როცა ამ შეზღუდვებს ფორმალური საფუძველი აქვს სამართალში და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში რომელიმე განსაზღვრული საფუძვლის ინტერესებისთვის. გარდა ამისა, ისინი პროპორციული და შეთავსებადი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა სხვა ძირითად პრინციპებთან, მათ შორის დისკრიმინაციის აკრძალვასთან. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმები ხაზს უსვამენ ნებადართული შეზღუდვების მჭიდრო ინტერპრეტაციის აუცილებლობას. ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებების დაცვის უფლება გავლენას ახდენს ყველა სხვა ძირითადი უფლების რეალიზაციაზე, კიდევ უფრო ამჭიდროვებს ნებადართულ შეზღუდვებს. ის ზღვარი, რომელიც უნდა დაიცვა აუცილებლობის პრინციპის და ნებისმიერი ამგვარი შეზღუდვის პროპორციულობის მისაღწევად, შეიძლება ითქვას რომ საკმაოდ მაღალია.

## II. უფლებადამცველთა ფიზიკური ხელშეუხებლობა, თავისუფლება, უსაფრთხოება და ღირსება

### ა. მუქარისგან, თავდასხმისგან და სხვა სახის შევიწროვებისგან დაცვა

12. სახელმწიფო ინსტიტუტებმა და საჯარო მოსამსახურებმა თავიდან უნდა აიცილონ უფლებადამცველების და მათი ოჯახების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი სახის დაშინება, მუქარა, ქონების დაზიანება ან განადგურება, ფიზიკური თავდასხმა, წამება ან სხვა არაადამიანური მოპყრობა, მათი სიკვდილი, იძულებითი გაუჩინარება ან სხვა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა. წევრ სახელმწიფოებს აქვთ ასევე უფლებადამცველთა დაცვის ვალდებულება ასეთი ქმედებებისგან არასახელმწიფო აქტორების მხრიდან და ვალდებული არიან მიიღონ სათანადო ზომები ძალადობის თავიდან აცილების მიზნით. სახელმწიფო უწყებებმა საჯაროდ უნდა დაგმოან ამგვარი ქმედებები და მათ მიმართ გამოიყენონ ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპი.

### დაუსჯელობა და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები

13. დარღვევის ყოველი შემთხვევა მაქსიმალური გამჭვირვალობით დროულად, საფუძვლიანად და დამოუკიდებლად უნდა იქნას გამოძიებული. პოლიციისა და სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისთვის დამოუკიდებელი



და ეფექტური მაკონტროლებელი მექანიზმის არსებობა და უფლებადამცველებისთვის ამგვარი მექანიზმის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს ამ კუთხით. ადამიანები, რომლებსაც პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის წინააღმდეგ საჩივარი შეაქვთ, არ უნდა ხდებოდნენ თავდასხმის ობიექტები.

14. ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ უნდა შეუშალონ ხელი საჯარო მოსამსახურეების ან არასახელმწიფო აქტორების მხრიდან უფლებადამცველების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დროულ, ზუსტ, დამოუკიდებელ და გამჭვირვალე გამოძიებას. გამოძიება უნდა იყოს ეფექტური, იძლეოდეს დამნაშავის იდენტიფიცირების საშუალებას და, საჭიროების შემთხვევაში, სრულდებოდეს მისი დასჯით. ნებისმიერი სანქცია და დასჯადობა უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის სიმძიმეს. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ ჩაანაცვლებს ადმინისტრაციული სასჯელი, ისევე როგორც ვერ იქნება საკმარისი „თანამდებობის ბოროტად გამოყენების“ საქმის გამოძიება საკმარისი მაშინ, როცა სახეზეა სიცოცხლის წინააღმდეგ დანაშაული, წამება ან სხვა არაადამიანური მოპყრობა, ან ადამიანის უფლებათა სხვა მძიმე დარღვევა.
15. სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ისეთი საკანონმდებლო ნორმების მიღება, რომლის მიხედვითაც უფლებადამცველების წინააღმდეგ მათი საქმიანობის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულები მიჩნეულ იქნება დამამძიმებელ გარემოებად.
16. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ სიძულვილის მოტივით ჩადენილი სისხლისსამართლებრივი დანაშაულების მარეგულირებელი კანონმდებლობა ვრცელდებოდეს ასევე უფლებადამცველების წინააღმდეგ „ასოცირების გამო“ ჩადენილ დანაშაულებზე. უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული იმავე წესით უნდა ისჯებოდეს შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით როცა დანაშაული ჩადენილია იმ კონკრეტული სოციალური ჯგუფის მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულების მოტივით, რომელსაც პირდაპირ არ მიეკუთვნება, მაგრამ რომელთანაც ასოცირებულია უფლებადამცველი.
17. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კანონის უზენაესობის სრული პატივისცემა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა. აუცილებლობის შემთხვევაში, მათ უნდა გაატარონ შესაბამისი რეფორმები, რათა არ არსებობდეს უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებების დაუსჯელობა, ამასთანავე ხელმისაწვდომი იყოს გასაჩივრების ქმედითი სამართლებრივი საშუალებები და მსხვერპლებმა და მათი ოჯახის წევრებმა მიიღონ ადეკვატური კომპენსაცია.
18. უნდა არსებობდეს სამართლებრივი დანმარება და სხვა სახის მხარდაჭერა იმისთვის, რომ უფლებადამცველებმა მიიღონ მართლმსაჯულებაზე ეფექტური წვდომა.



## დაცვის პოლიტიკა, პროგრამები და მექანიზმები

19. სახელმწიფოებმა, სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების და შესაბამისი საერთაშორისო სააგენტოებისგან მიღებული ტექნიკური რჩევების საფუძველზე, უნდა შეიმუშაონ თავდაცვის სათანადო პოლიტიკა, პროგრამები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკის წინაშე მყოფ უფლებადამცველთა უსაფრთხოებას. ეს უნდა მოიცავდეს ფიზიკური თავდაცვის უზრუნველყოფას, დროებით გადადგილებას და ასევე საჭიროებისამებრ დაცვის და ხელშეწყობის სხვა საშუალებებს.
20. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაცვის ნებისმიერ ასეთ პროგრამას, პოლიტიკასა თუ მექანიზმს შეეძლოს გენდერული დაცვა და მხარდაჭერა, რომელიც ქალ უფლებადამცველთა მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. დაცვის პროგრამები, პოლიტიკა და მექანიზმები ასევე უნდა ასახავდეს და პასუხობდეს უფლებადამცველთა სხვა, უფრო მგრძობიარე კატეგორიის წარმომადგენელთა დაცვის სპეციფიკურ მოთხოვნებს, თავად ამგვარი დარღვევების მსხვერპლი ადამიანების და ჯგუფების მოთხოვნების გათვალისწინებით. უფლებადამცველები ასევე ჩართულები უნდა იყვნენ დაცვის სისტემების განვითარებაში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უფლებადამცველთა ოჯახის წევრების ინტერესები, და ასევე ჩართულები უნდა იყვნენ იმ კონკრეტული დაცვის საშუალებების განსაზღვრაში, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეამცირებენ ამგვარ რისკებს.
21. სახელმწიფოებმა თავიანთი ბიუჯეტებიდან უნდა გამოყოფნ საკმარისი თანხები რისკის წინაშე მყოფი უფლებადამცველების და მათი ოჯახის წევრების ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვის, საგანგებო დახმარების და სხვა სახის მხარდაჭერის მიზნით. მათ ასევე აქტიური მხარდაჭერა უნდა გამოუცხადონ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სთავაზობენ ამ პირებს ასეთი სახის მომსახურებას. საჭიროების შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებმა ამ მიზნებისთვის უნდა მოიძიონ თანხები საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.
22. დახმარების ამგვარ საშუალებებს თან უნდა სდევდეს შესაბამისი სწავლება და ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამები, რომელთა სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ შესაბამისი პროფესიული ჯგუფები. პარალელურად ასევე უნდა ხორციელდებოდეს უფრო ღრმა საგანმანათლებლო პროგრამები ადამიანის უფლებების შესახებ, რათა ჩამოყალიბდეს დამოკიდებულება და ქცევები და საზოგადოებაში ამაღლდეს უფლებადამცველების პროფაილი და, შესაბამისად გაიზარდოს მათი დაცვა.

## ბ. სასამართლოში შევიწროვებისგან, კრიმინალიზაციისგან, თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრებისგან დაცვა

23. უფლებადამცველები არ უნდა ექვემდებარებოდნენ შევიწროვებას სასამართლოში, არაგარანტირებული იურიდიული და ადმინისტრაციული სამართალწარმოების გამო ან ადმინისტრაციული ან სასამართლო ძალაუფლების არასათანადო გამოყენების გამო. ასევე

არ უნდა ექვემდებარებოდნენ ისინი კრიმინალიზაციას, თვითნებურ დაკავებას და პატიმრობას ან სხვა სანქციებს მათი პროფესიონალური საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით და საქმიანობის გამო. უფლებადამცველებს უნდა გააჩნდეთ თავისუფალი წვდომა სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებებზე რათა გაასაჩივრონ დაკავების ლეგიტიმურობა ან მათზე დაკისრებული ნებისმიერი სხვა სანქცია.

**კრიმინალიზაცია და კანონმდებლობის თვითნებურად ბოროტად გამოყენება**

- 24. სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ ადგილობრივ საკანონმდებლო სტრუქტურას, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან და მათ საქმიანობასთან, რათა ისინი თანხვედრაში მოიყვანონ შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან. სახელმწიფოებმა ფართე მასშტაბიანი და ეფექტური კონსულტაციები უნდა აწარმოონ თავად უფლებადამცველებთან და ამ პროცესში ასევე გამოიყენონ დანმარება საერთაშორისო დონეზე. თითოეული სამართლებრივი დებულება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იწვევს იმ ქმედებების კრიმინალიზაციას, რომლებიც დაცულია საერთაშორისო სტანდარტებით, უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს.
- 25. გაურკვეველი და ბუნდოვანი დეფინიციის მქონე სამართლებრივი დებულებები, რომლებიც იძლევიან ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას და გამოიყენებიან ან შესაძლოა გამოიყენებულ იქნენ უფლებადამცველების დასასჯელად მათი საქმიანობის გამო, უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს. სამართლიანი განხილვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იქნას სრული სათანადო სამართლებრივი დაცვის საშუალებები.
- 26. კანონები, ადმინისტრაციული პროცედურები და რეგულაციები არ უნდა იქნან გამოყენებული უფლებადამცველების დევნის, დაშინებისა და დასჯისთვის. ადმინისტრაციული ან წვრილმანი დანაშაულის სანქციები ყოველთვის პროპორციული უნდა იყოს ჩადენილ დანაშაულთან და ყოველთვის უნდა ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას კომპეტენტურ და დამოუკიდებელ სასამართლოში.
- 27. სახელმწიფოებმა, როცა საჭიროა, უნდა გადადგან ნაბიჯები იმისკენ, რომ გააძლიერონ სასამართლოსა და საგამოძიებო ორგანოების დამოუკიდებლობა და სამართალდამცავი ორგანოების სათანადო მუშაობა, რათა უზრუნველყონ, რომ უფლებადამცველები არ გახდნენ პოლიტიკურად მოტივირებული გამოძიების და ბრალდების ობიექტები ან მათ მიმართ არ მოხდეს კანონის და რეგულაციების სხვაგვარი ბოროტი გამოყენება.
- 28. გაუმჯობესებისკენ მიმართული ეფექტური მექანიზმები უნდა იქნას გამოქნებული სასამართლოს და საგამოძიებო ორგანოების მხრიდან უფლებადამცველებთან დაკავშირებულ საქმეებზე შესაძლო დარღვევების გამოსაძიებლად. გარდა ამისა, ნებისმიერ სტრუქტურულ შეცდომა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ძალაუფლების ბოროტად

გამოყენება ან კორუფცია სასამართლო ან საგამოძიებო ორგანოების შიგნით, მკაცრად უნდა იყოს მიღებული.

29. საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლები, სამხედრო მოსამსახურეები, საჯარო მოსამსახურეები და საჯარო სამსახურში დასაქმებული სხვა პირები, რომლებიც ღიად საუბრობენ უფლებადამცველების წინააღმდეგ დანაშაულებზე ან ჩართულები არიან სხვა ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობის სხვა სახის აქტივობებში, დაცულები უნდა იყვნენ ზეწოლისა და შევიწროვებისგან, დისციპლინარული ან სხვა პროცესებისგან. უფრო კონკრეტულად, არ უნდა წესდებოდეს ისეთი არაპროპორციული შეზღუდვები შეიარაღებული ძალების წევრებზე, რომლებიც წაართმევს მათ უფლებას დაიცვან უფლებადამცველები. დაზვერვის სამსახურის წევრთა და თავდაცვის სხვა უწყებების წარმომადგენელთა უფლებების შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს აუცილებლობის და პროპორციულობის მკაცრ მოთხოვნას.
30. სახელმწიფოებმა ასევე უნდა დაიცვან, საკანონმდებლო დონეზეც და პრაქტიკაშიც, უფლებადამცველები, რომლებიც ერთვებიან სამართალწარმოებაში მათ მიერ შეტანილი საქმეებიდან გამომდინარე. მეტიც, მათი ფიზიკური და პირადი ხელშეუხებლობა სრულად უნდა იყოს დაცული როგორც სასამართლო დარბაზში, ისე მის მიღმა. ადვოკატები, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეებზე, არ უნდა აწყდებოდნენ ზეწოლას ან მუქარას, მაგალითად ფიზიკურად გასწორებით დამუქრებას იმის გამო, რომ იცავენ ადამიანის უფლებებს ან სხვა უფლებადამცველთა უფლებებს.

### **თვითნებური დაკავება და მოპყრობა დაკავებისას**

31. სახელმწიფოებმა არ უნდა დაუშვან უფლებადამცველთა თავისუფლების თვითნებური შეზღუდვა მათი ჩართულობის გამო ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი ფორმა დაფუძნებული უნდა იყოს და უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ პროცედურებს, იმ პირობით, რომ დაკავებულს ექნება მისი დაკავების გასაჩივრების საშუალება კომპეტენტურ სასამართლოში და იმ პირობით, რომ ეს პროცედურები შესაბამისობაში იქნებიან საერთაშორისო სტანდარტებთან.
32. უფლებადამცველები, რომელთა დაკავებაც მოხდა თვითნებურად, სასწრაფო წესით უნდა იქნენ გათავისუფლებული. ამ მხრივ, სახელმწიფოები სრულად უნდა ასრულებდნენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმებიდან მიღებულ გადაწყვეტილებებს და რეკომენდაციებს.
33. არ უნდა ხდებოდეს უფლებადამცველების დროებითი ან ადმინისტრაციული წესით დაკავება მათზე ზეწოლით ან დაშინებით, ან მათი საქმიანობის ხელშეშლის მიზნით.
34. თავისუფლება შეზღუდვით უფლებადამცველებს ყოველთვის უნდა ექვეოდნენ საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემით და

დაცვით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. უფლებადამცველები არ უნდა გამოარჩიონ შერჩევითი მოპყრობის მიზნით, რათა დასაჯონ ისინი ან დააკარგვიონ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მუშაობის ხალისი. ისინი დიდხანს არ უნდა ამყოფონ გარეშე პირებთან კომუნიკაციის გარეშე. მათ უნდა ჰქონდეთ წვდომა საკუთარი ნებით შერჩეულ ადვოკატთან, და უნდა შეეძლოთ ოჯახის წევრებთან შეხვედრა. დაკავებულ უფლებადამცველებს უნდა კვებავდნენ სათანადოდ, თვალყურს ადევნებდნენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას. მათ არ უნდა უწევდეთ მკაცრ პირობებში ყოფნა საპყრობილეში და ბოლომდე უნდა იყვნენ დაცულები ნებისმიერი სახის წამებისგან ან მსგავსი სასტიკი და დამამცირებელი მოპყრობისგან. ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებული არიან გამოიჩინონ სათანადო ძალისხმევა მათ დასაცავად სხვა დაკავებულების ან თანამესაკნეების მხრიდან და პასუხი აგებინონ მოძალადეებს, მათ შორის ძალადობის სავარაუდო ინიციატორებს. წამების ან სხვა სახის სასტიკი მოპყრობის ნებისმიერი ბრალდება დროულად, დამოუკიდებლად და ეფექტურად უნდა იყოს გამოძიებული და გადაცემული სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

35. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ ის სპეციფიკური პრობლემები, რომლებსაც შესაძლოა აწუხებოდნენ დაკავებული ქალები და განსაკუთრებული რისკის წინაშე მყოფი უფლებადამცველები. მათ უნდა დაიცვან ისინი გენდერული თვალსაზრისით სპეციფიკური დანაშაულებისგან, მათ შორის პოლიციისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის გენდერულ თემაზე ტრენინგების ჩატარების გზით, და ასევე უზრუნველყონ მათთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურების შეთავაზება.

### **ობიექტური სასამართლო განხილვა**

36. როცა მათ უყენებენ ბრალს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გამო, უფლებადამცველებს აქვთ სასამართლო განხილვის უფლება კომპეტენტურ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში. ეს მოიცავს მათ უფლებას, ქონდეთ წვდომა სასამართლო წარმომადგენლობაზე მათ მიერვე არჩეული ადვოკატის მეშვეობით, არ იმყოფებოდნენ ზეწოლის ქვეშ აღიარებითი ჩვენების გამოძალვის მიზნით, და არ ექვემდებარებოდნენ წამებას ან სხვა არაადამიანურ მოპყრობას მტკიცებულებების, მათ შორის მოწმეთა ჩვენებების, მოპოვების მიზნით. ასევე არ უნდა იქნეს გამოყენებული მათ წინააღმდეგ უფლებადამცველების მიერ საგამოძიებო ან სხვა სტრუქტურების წარმომადგენელთა არასათანადო ქცევის თაობაზე გაკეთებული განცხადებები. მათი ადვოკატები ასევე სათანადოდ უნდა იყვნენ დაცულები ზეწოლისგან საჯარო მოსამსახურეების ან არასახელმწიფო აქტორების მხრიდან. უფლებადამცველების კლიენტებზე ან სხვა პირებზე ნებისმიერი ფორმის ზეწოლა, მისცენ სასამართლოში მათ წინააღმდეგ ჩვენება, ასევე აკრძალული უნდა იყოს. ბრალდებულ უფლებადამცველსა და მის ადვოკატს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობა ბოლომდე გარანტირებული უნდა იყოს,

ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართლებრივი დანმარების სქემა უფლებადამცველთათვის, რათა მათთვის, ვისაც თავად არ აქვს ადვოკატის ხარჯების გადახდის შესაძლებლობა, გარანტირებული იყოს მათი სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა სასამართლოში, ისევე როგორც მათი თანასწორუფლებიანობა.

## **გ. სტიგმატიზაციასთან და მარგინალიზაციასთან დაპირისპირება**

37. სახელმწიფო დაწესებულებებმა და თანამდებობის პირებმა თავი უნდა შეიკავონ ადამიანთა მადისკრედიტირებელი კამპანიებისგან, ნეგატიურ კონტექსტში ხსენებისგან ან უფლებადამცველთა ან მათი სამუშაოს სტიგმატიზაციისგან. ეს გულისხმობს უფლებადამცველთა უარყოფითი ფორმით დახასიათებას, უფლებადამცველთა ან მათი და სამუშაოს დისკრედიტაციას ან უფლებადამცველთა შეურაცხყოფას ნებისმიერი სხვა ფორმით.
38. სახელმწიფოებმა უნდა გადადგან აქცტიური ნაბიჯები იმისკენ, რომ გაანეიტრალონ უფლებადამცველთა სტიგმატიზაციისკენ მიმართული მადისკრედიტირებელი კამპანიები, მათ შორის მესამე მხარეთა მხრიდან. მათ საჯაროდ უნდა აღიარონ და ისაუბრონ უფლებადამცველთა დაცვის საჭიროებაზე და მათი საქმის მნიშვნელობაზე, გააკეთონ კონკრეტული უფლებადამცველების აღიარება და ამით საზოგადოებაში გააძლიერონ ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობის ლეგიტიმურობა და სტატუსი.
39. აზრისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპის პატივისცემის პარალელურად, სახელმწიფოები უნდა შეეზღუდონ სიძულვილს და შეუწყნარებლობის სხვა სახის ისეთ გამოვლინებებს უფლებადამცველების მიმართ, რომლებიც ასტიმულირებენ დისკრიმინაციის, მტრობას ან ძალადობას, რაც ონლაინ რეჟიმში. მთავრობებმა და სახელმწიფო ინსტიტუტებმა ყველა დონეზე – ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ – საჯაროდ უნდა დაგმონ ნებისმიერი ტიპის მანიფესტაცია ან უფლებადამცველებზე განხორციელებული ნებისმიერი ფაქტობრივი თავდასხმა, ნებისმიერ დროს როცა ასეთ ფაქტს ექნება ადგილი. ისეთი სახის ქცევა, რომელიც შინაარსობრივად უახლოვდება ეროვნების, რასის ან რელიგიური ნიშნით სიძულვილს, როგორც ეს საერთაშორისო სტანდარტებით არის გაწერილი, უნდა აიკრძალოს შიდა კანონმდებლობის დონეზე და მათ მიმართ დაწესდეს შესაბამისი სანქციები. კანონი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.
40. უფლებადამცველთა მარგინალიზაციის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო ინსტიტუტები აქტიურად და კონსტრუქციულად უნდა ჩაერთონ საქმიანობაში უფლებადამცველებთან ერთად, მათი მონაწილეობის გასაღრმავებლად, მათ შორის საჯარო დებატებში. სახელმწიფო ინსტიტუტებმა უნდა აღიარონ მათი წვლილის მნიშვნელობა, მაშინაც კი, როდესაც ისინი კრიტიკულები არიან



ხელისუფლების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების (NHRI) როლის გაძლიერებას, რომლებიც შექმნილია და ოპერირებენ პარიზის პრინციპების<sup>7</sup> დაცვით და უნდა დაინერგოს შესაბამისი მექანიზმები, რომლებიც ეფექტურად დაეხმარება მთავრობებს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებაში. უფლებადამცველებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის უნდა იყოს მუდმივი დიალოგი, შესაბამისი საკონსულტაციო მექანიზმების გამოყენებით. ეს მექანიზმები ასევე უნდა თამაშობდნენ საბაზისო როლს ერთობლივი ქმედებების, კამპანიების და ადამიანის უფლებათა დაცვის სასწავლო პროგრამების შემუშავებისთვის, რომლებიც გაზრდის ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაო საკითხების ცნობადობას და გაამხნევეს გასაჩივრების მექანიზმების და სხვა საშუალებების გამოყენებისკენ, რომლებიც საგრძნობლად გააუმჯობესებს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების განხილვის პრაქტიკას.

### III. ადამიანის უფლებების დაცვის ხელშემწყობი უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო

41. სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და ხელი უნდა შეუწყონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საქმიანობას. მათ უნდა დაინერგონ უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო შექმნილი ეფექტური ზომები, რომლებიც უფლებადამცველებს მისცემს საშუალებას და უფლებას, თავისუფლად აწარმოონ საკუთარი საქმიანობა, შეზღუდვების გარეშე, რაც მათ შორის მოიცავს საქმიანობის შესრულებას ინდივიდუალურად და ჯგუფურად, საშინაოდ და საზღვრებს მიღმა. სხვა უფლებების და თავისუფლებების სრულად გამოყენება მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვის უფლების გამოყენებისთვის.

#### დ. აზრისა და გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება

42. სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ აზრის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობას და უნდა გააუქმონ ან შეცვალონ ის დებულებები, რომლებიც არ შეესაბამება შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს. ეს მოიცავს იმ დებულებებს, რომლებიც აწესებენ ზედმეტ შეზღუდვებს ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მოტივს ან მორალზე, რაც ნებადართულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. კანონმდებლობა და რეგულაციები, რომლებიც აწესებენ სპეციფიკურ შეზღუდვებს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების კუთხით კონკრეტული ჯგუფების ან პროფესიების მხრიდან, როგორცაა, მაგალითად შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ან საჯარო მოსამსახურეები, ასევე უნდა გადაიხედოს,

7 იხილეთ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტების სტატუსის განმსაზღვრელი პრინციპები, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის 1993 წლის 29 დეკემბრის რეზოლუციით 48/134 (UN. Doc. A/RES/48/134)



რათა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო სტანდარტებთან სრული შესაბამისობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს დებულებები სრულად უნდა შეესაბამებოდეს აუცილებლობის და პროპორციულობის მკაცრ მოთხოვნებს.

43. სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ ბუნდოვანი შინაარსის ჩანაწერები ტერორიზმის წინააღმდეგ ან ეროვნული უშიშროების საკითხებში არსებულ სხვა კანონმდებლობაში, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას უფლებადამცველების შესაშინებლად, გასაჩუმებლად ან დასაკავებლად; სახელმწიფოებმა ასევე უნდა გააუქმონ ისეთი კანონმდებლობა, რომელიც, მაგალითად, ეფექტურად კრძალავს მხარდაჭერას დისკრიმინაციის და არატოლერანტობის წინააღმდეგ საქმეებზე, ახდენს მთავრობის და საჯარო მოსამსახურეების კრიტიკის ან მათ მიმართ უპატივცემლობის გამოხატვის კრიმინალიზაციას; ასევე უნდა გაუქმდეს სხვა ისეთი დებულებები, რომლებიც არ შეესაბამება საერთაშორის სამართლით განსაზღვრულ აუცილებლობის და პროპორციულობის მკაცრ მოთხოვნებს. სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ განსხვავებული აზრების მშვიდობიანად გამოხატვის შესაძლებლობა.
44. ანალოგიურად უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს ცილისწამების შესახებ სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა. ცილისწამების და სხვა მსგავსი შინაარსის დანაშაულები – მათ შორის ჩადენილი ონლაინ – ექსკლუზიურად სამოქალაქო კანონმდებლობით უნდა იქნეს განხილული. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მათ შორის დაკავება, უნდა გამოირიცხოს ისეთი დანაშაულების შემთხვევებში, რომლებიც ეხება ადამიანის რეპუტაციის შელახვას, მაგალითად ცილისწამებას. სამოქალაქო კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს გამოხატვის თავისუფლების შემთხვევებს (დანაშაულებს) არ უნდა ისჯებოდეს დისპროპორციული ფულად ჯარიმებით ან იწვევდეს სხვა ისეთ პასუხისმგებლობას, რომელიც გამოიწვევს თვით-ცენზურას, საფრთხეს შეუქმნის პიროვნების ან მედია საშუალების ფუნქციონირებას ან გამოიწვევს მის გაკოტრებას.

### **საზოგადოებრივი ინტერესის ინფორმაციაზე წვდომა და ინფორმატორები**

45. სახელმწიფოებმა არ უნდა დააწესონ ზედმეტი შეზღუდვები ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რაც პრაქტიკაში ხელს უშლის უფლებადამცველებს საქმის შესრულებაში და ბენეფიციარებისთვის მომსახურების განხორციელებაში.
46. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა დაამტკიცონ და გამოიყენონ კანონმდებლობა ინფორმაციის თავისუფლებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ოფიციალურ დოკუმენტაციაზე ეფექტურ და თანაბარ წვდომას, მათ შორის უფლებადამცველების მხრიდან. სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიიღონ აქტიური ზომები, რათა უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმირება ამგვარი კანონმდებლობის არსებობის

თაობაზე, უფლებაზე, ჰქონდეს წვდომა ოფიციალურ დოკუმენტაციაზე და სპეციალურ პროცედურებზე, გამოითხოვოს ამგვარი დოკუმენტაცია.

47. სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი კანონმდებლობა, რეგულაციები და პრაქტიკა უნდა გადაიხედოს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს იმგვარად, რომ გამოირიცხოს საზოგადოებრივი ინტერესის ინფორმაციისადმი წვდომის შეუსაბამო შეზღუდვა, მათ შორის ინფორმაციისადმი ადამიანის უფლებების დარღვევების და დანაშაულების შესახებ, წარსულში და აწმყოში.
48. სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ ინფორმატორების მნიშვნელობა, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოებრივი ინტერესებისთვის, რათა გამოაშკარავონ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები და ისაუბრონ კორუფციაზე როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ისეთი კანონმდებლობა და შეიმუშაონ ისეთი პრაქტიკა, რომელიც ინფორმატორებს მისცემს დაცვის შესაძლებლობას და შესთავაზებს სიჩუმის სანაცვლოდ უსაფრთხო ალტერნატივას. ინფორმატორების წინააღმდეგ საპროცესო მოქმედებებისას საზოგადოებრივ ინტერესს იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც გაუღერდა, უნდა მიენიჭოს შესაბამისი მნიშვნელობა. კერძოდ, ინფორმატორები სათანადოდ უნდა იყვნენ დაცულები სასამართლო დევნიდან და სასჯელისგან სახელმწიფო საიდუმლოების გაცემის გამო მაშინ, როცა ამჟღავნებენ ინფორმაციას სახელმწიფო აგენტების ან არასახელმწიფო აქტორების პასუხისმგებლობის საკითხზე მათ მიერ ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების გამო, რაც არ უნდა იყოს დაცული სახელმწიფო საიდუმლოების სახით.
49. აზრისა და გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ონლაინ რეჟიმსაც. ზოგადად, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ინტერნეტსა და ციფრულ საინფორმაციო ტექნოლოგიებზე თანაბარ წვდომას. ინტერნეტ კომუნიკაციის სახელმწიფო რეგულაციები სრულად უნდა შეესაბამებოდეს იმ მკაცრ მოთხოვნებს, რომლებსაც აწესებენ საერთაშორისო სტანდარტები აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კუთხით. ამგვარ სტანდარტებთან შეუსაბამო ცენზურის დაწესება ონლაინ შინაარსზე, ისევე როგორც ვებ გვერდების, უცხო ქვეყნის ამბების და ინფორმაციის ან სხვა მომსახურების ბლოკირება ან ფილტრაცია მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი შეიცავენ მთავრობის მკრიტიკებელ ინფორმაციას ან მიმოიხილავენ ისეთ საკითხებს, რომელიც იწვევენ კამათს საზოგადოებაში.
50. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ინტერნეტ სერვისის მიწოდებლებმა და მათი იურისდიქციის ქვეშ არსებულმა მაგრამ საერთაშორისო დონეზე ოპერირებადმა სხვა კერძო კომპანიებმა ხელი არ შეუწყონ ამგვარ აკრძალვებს საკუთარ ტერიტორიაზე ან სხვა სახელმწიფოებში. ბლოგერები და სოციალური მედიის მომხმარებლები დაცულები უნდა იყვნენ უარყოფითი შედეგებისგან მათ მიერ გამოქვეყნებული მასალის ან კომენტარების გამო, რომლებიც კრიტიკულია მთავრობის მიმართ.

## მედიის თავისუფლება

51. მედია გარემომ – მათ შორის ბეჭდურმა მედიამ, რადიომ, ტელევიზიამ და ინტერნეტმა – ხელი უნდა შეუწყოს უფლებადამცველების მონაწილეობას საჯარო დებატებში, რათა დაეხმაროს ახალი იდეების განვითარებას რომელიც მიმართული იქნება ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებისაკენ და ადამიანის უფლებების ახალი გამოწვევების მიღწევისკენ. ამისათვის სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ძლიერი და პლურალისტური მედიის შესაქმნელად და მედიასთან უფლებადამცველების წვდომის გასაუმჯობესებლად.
52. სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ თავიანთ კანონმდებლობას მედიის შესახებ, პოლიტიკასა და პრაქტიკას და უნდა უზრუნველყონ, რომ ეს კანონები ხელს უწყობდნენ დამოუკიდებელი, პლურალისტური და ადამიანის უფლებებისადმი მეგობრული დამოკიდებულების მქონე მედია გარემოს ჩამოყალიბებას, რომლის პირობებშიც უფრო მეტად მოხდება ადამიანის უფლებებისადმი ცნობიერების ამაღლება და პატივისცემა. მედიის დამოუკიდებლობის გამაძლიერებელი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ჟურნალისტებისა და მედიის თანამშრომელთა დამოუკიდებელ გადამზადებას, მათ შორის, ადამიანის უფლებების სწავლებას, როგორც მათი პროფესიული სწავლების ნაწილს.
53. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება თავი შეიკავონ პირდაპირი ან არაპირდაპირი ცენზურისგან. მათ ასევე არ უნდა გამოიყენონ ფორმალური ან არაფორმალური კონტროლი მედია სისტემაზე იმ მიზნით, რომ აკრძალონ ან დასაჯონ მთავრობის კრიტიკა, რომელიც ავლენს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს, არასწორ მართვას და კორუფციას, ან იხილავს ისეთ საკითხებს, რომლებიც კამათს იწვევს საზოგადოებაში და რომელთაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ხელისუფლების ტრადიციული ფასეულობები ან შეხედულებები. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არც საჯარო ინსტიტუტებმა და თანამდებობის პირებმა, და არც კერძო მედია კორპორაციებმა და შესაბამისმა ბიზნეს ინტერესებმა არ შეუშალონ ხელი აწრისა და გამოხატვის თავისუფლების განხორციელებას, მათ შორის ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გაცემის უფლებას.
54. ჟურნალისტები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებებს, არიან ადამიანის უფლებადამცველები, მიუხედავად მათი აკრედიტაციის სტატუსისა და მედიასაშუალოებისა, რომლის მეშვეობითაც ისინი მუშაობენ (ბეჭდვითი, რადიო, სატელევიზიო თუ ინტერნეტის). ჟურნალისტები, რომლებიც ავლენენ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს, კორუფციას ან არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, ან საუბრობენ ინფორმატორების საქმიანობაზე, არ უნდა აწყდებოდნენ სისხლისსამართლებრივ დევნას, თვითნებურ სამართლებრივ ქმედებებს ან სხვა სახის შედეგებს აღნიშნულის განხორციელების გამო. ხელისუფლება უნდა აცნობიერებდეს დამოუკიდებელი და საგამოძიებო ჟურნალისტების მნიშვნელობას დანაშაულის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენის საქმეში

და ხელი უნდა შეუწყოს მას ანგარიშვალდებულების სტანდარტის ამალღების მიზნებისთვის. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ჟურნალისტები არ ექვემდებარებოდნენ თვითნებურ სისხლისსამართლებრივი დევნას და ჰქონდეთ წვდომა იურიდიულ და სხვა სახის დახმარებაზე, რათა მათ შეძლონ თავიანთი საქმიანობის განხორციელება ჩარევისა და შესაძლო დასჯის შიშის გარეშე. უფრო კონკრეტულად, მათ უნდა გადაადგან ნაბიჯები ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და უზრუნველყონ ჟურნალისტი უფლებადამცველების ეფექტურად დაცვა თავდასხმებისა და სხვა სახის დანაშაულისგან როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორების მხრიდან. ადამიანის უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული, მათ შორის იმ ჟურნალისტების წინააღმდეგ, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებს, უნდა იქნას გამოძიებული სწრაფად, ეფექტურად და დამოუკიდებლად, გამჭვირვალე ფორმით, და შესაბამისი პასუხისმგებელი პირები უნდა დაისაჯონ.

**ე. მშვიდობიანი შეკრების უფლება**

- 55. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და შესაბამისი პრაქტიკა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს. შეკრების თავისუფლების უფლების შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამომდინარეობენ კანონიდან და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული რომელიმე კონკრეტული საფუძვლიდან გამომდინარე. ამასთან, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული. პირებმა, რომლებიც მონაწილეობენ შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებაში ან განხილვაში, ასევე მათ, ვინც მონაწილეობენ ამგვარი კანონების მიღებაში (მათ შორის, ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო სისტემის წარმომადგენლები), უნდა გამოიყენონ ეუთოს/ODIHR და ვენეციის კომისიის **სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ**.
- 56. უფლებადამცველებს არ უნდა შეეზღუდოთ შეკრების თავისუფლების უფლება იმაზე მეტად, ვიდრე ეს ნებადართულია შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით. შინაარსზე დაფუძნებული შეზღუდვები, რომლებიც დაწესებულია მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი აქლერებენ ხელისუფლების მაკრიტიკებელ განცხადებებს ან საზოგადოებაში საკამათოდ არის აღქმული, არ შეესაბამება აღნიშნულ სტანდარტებს. შეკრების სრულად აკრძალვა დაიშვება მხოლოდ გამორჩეულად გამონაკლის შემთხვევაში, რომლებიც ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტით არის დადგენილი.
- 57. უფლებადამცველებს, რომლებიც ორგანიზებას უწევენ შეკრებებს უნდა მოეთხოვებოდეთ შეკრების თაობაზე წინასწარი

შეტყობინების გაკეთება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია ხელისუფლებისთვის შეკრების ორგანიზებასთან დაკავშირებული პროცედურების გადავიღების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების და ეროვნული უშიშროების დაცვის, ასევე სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით. როცა დაწესებულია ლეგიტიმური შეზღუდვა მშვიდობიანი შეკრების დროსთან, ადგილთან და ფორმასთან დაკავშირებით, შეკრების ორგანიზატორ უფლებადამცველებს უნდა შესთავაზონ შეკრების ისეთი გონივრული ალტერნატივა, რომელიც უზრუნველყოფს შეკრების სამიზნე აუდიტორიისთვის სათანადო „ხილვადობას და სმენადობას.“ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო და ეფექტური პროცედურების არსებობა არასათანადო შეზღუდვების თაობაზე საჩივრების განხილვის მიზნით. ხელისუფლებამ ასევე თავი უნდა შეიკავოს შეკრებებში მონაწილეობის ხელშეშლისგან და შეკრების ორგანიზატორებისთვის ისეთი არაგონივრული მოთხოვნების დაწესებისგან, რომლებიც მათ გადააფიქრებინებს შეკრებების ჩატარების სურვილს.

58. უნდა მოხდეს სპონტანური შეკრებების ხელშეწყობა, შეკრების ჩატარების სასარგებლოდ პრეზუმფციასთან ერთად, მაშინაც კი, როდესაც შეკრება ხდება წინასწარ გაკეთებული შეტყობინების გარეშე. უფლებადამცველები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ წინასწარ შეტყობინებულ შეკრებებში, არ უნდა ექვემდებარებოდნენ დაპატიმრებას, დაკავებას ან დაჯარიმებას მხოლოდ მათი მონაწილეობის გამო ამგვარ შეკრებაში. შეკრებასთან დაკავშირებით დაწესებული ფორმალური სამართლებრივი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო დაწესებული ჯარიმები ან სხვა სახის სანქციები უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმის პროპორციული, ხოლო კანონმდებლობა, რომლებიც იძლევა არაპროპორციული ჯარიმების დაწესების შესაძლებლობას, უნდა გაუქმდეს. არც ერთ გარემოებაში არ შეიძლება დადგეს მშვიდობიანი შეკრების ორგანიზატორების პასუხისმგებლობა ცალკეულ მონაწილეთა მხრიდან რაიმე უკანონო ქმედების გამო, თუ ორგანიზატორები იღებენ ზომებს ამგვარი ქმედებების თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, ყველა იმ პირს, რომელიც ბრალდებულია ადმინისტრაციული ან სხვა დანაშაულების გამო, შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, ჰქონდეს დაცვის სრული პროცედურებით სარგებლობის საშუალება.
59. პოლიციური შეკრებების დროს სამართალდამცველმა მკაცრად უნდა შეიკავონ თავი ძალის გამოყენებისგან იმ უფლებადამცველების წინააღმდეგ, რომლებიც იყენებენ მშვიდობიანი შეკრების უფლებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპეციფიკურ საჭიროებებს – მაგალითად, რისკის შეფასებას, პოლიციის სტრუქტურების შემადგენლობას ან მათ წინასწარ მომზადებას და ინსტრუქტაჟს – როდესაც იმართება უფლებადამცველთა გარკვეული ჯგუფების შეკრება, რომლებიც განსაკუთრებული რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან. როდესაც შეკრებები გადაიზრდება ძალადობრივში, პოლიცია ვალდებულია გამოიყენოს ძალა მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობისას და მხოლოდ იმ ზომით, რაც აუცილებელია



კონკრეტული სიტუაციის შეფასებიდან გამომდინარე, პოლიციამ თავი უნდა შეიკავოს არაპროპორციული და განურჩეველი ძალების გამოყენებისაგან, რომლებიც ვერ განასხვავებენ მოძალადე და მშვიდობიან დემონსტრანტებს, ასევე ჟურნალისტებს, რომლებიც აშუქებენ მოვლენას, დამკვირვებლებსა თუ სხვა პირებს. სამართალდამცავების მხრიდან ნებისმიერი სახის არასწორი ქმედება და ძალების გადაჭარბების ფაქტი დროულად, ეფექტურად და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით უნდა იქნას გამოძიებული და შესაბამისი ნაბიჯები უნდა გადაიდგას პასუხისმგებელი პირების პასუხისგებაში მიცემის მიზნით. სამართალდამცავი პირები უნდა გადიოდნენ რეგულარულ სწავლებას და უნდა იყვნენ საკმარისად მომზადებული იმისთვის, რომ პოლიციური შეკრებების დროს სრულყოფილად დაიცვან ადამიანის უფლებების პრინციპები. სახელმწიფოებმა ასევე უნდა ჩართონ უფლებადამცველები ამგვარი სწავლებების მომზადებასა და განხორციელებაში.

60. გარდა ამისა, სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, უზრუნველყონ უფლებადამცველების დაცვა მესამე მხარის ნებისმიერი ისეთი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიანი შეკრების უფლების განხორციელებაში მათ ხელშეშლას. ეს გულისხმობს ორგანიზატორთა და მონაწილეთა ფიზიკურ დაცვას შეკრების წინ, დროსა და შემდეგ, როცა ეს პირები აწყდებიან ძალადობრივი თავდასხმის საშიშროებას. ეს განსაკუთრებით ეხება შეკრებებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც აღიქმება თითქოსდა საფრთხეს უქმნის ეროვნულ ფასეულობებს ან ახდენს ექსტრემისტული პოლიტიკური შეხედულებების დემონსტრირებას, მაგალითად, რასიზმის, ქსენოფობიის, შეუწყნარებლობის ან დისკრიმინაციის წინააღმდეგ.
61. ხელისუფლება შეკრებების ორგანიზატორებთან ერთად ეფექტურად უნდა ჩაერთოს იმ საკითხების იდენტიფიცირებაში, რომელიც საჭიროებს დაცვას და შესაბამისი დამხმარე ზომების დადგენას. მათ ორგანიზატორებთან უნდა აწარმოონ მჭიდრო კონსულტაციები როგორც ღონისძიების დაწყებამდე, ისე ღონისძიების განმავლობაში და შემდეგ, ღონისძიებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით, ისევე როგორც თავად პოლიციის ოპერაციების ჩატარების შესახებ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ უფლებადამცველებმა შეძლონ თავისუფლად გამოიყენონ თავიანთი შეკრების უფლება, ნებისმიერი ზედმეტი ჩარევის გარეშე და უსაფრთხო გარემოში.
62. ხელისუფლებამ ასევე უნდა შეუწყოს ხელი და მხარდაჭერა გამოუცხადოს ადამიანის უფლებადამცველთა ინიციატივებს შეკრებების შესახებ დამოუკიდებელი მონიტორინგისა და ანგარიშების შესახებ, ვინაიდან ამგვარ ზომებს შეუძლია ხელი შეუწყოს მეტ ანგარიშვალდებულებას და გააუმჯობესოს მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვის ხარისხი. უფლებადამცველები და მათი ორგანიზაციები მნიშვნელოვანი „დამკვირვებლის“ როლს ასრულებენ



ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში და, შესაბამისად, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა თავისუფლად აწარმოონ საზოგადოებრივ შეკრებებზე დაკვირვება. ანალოგიურად, მედიის მხრიდან მოვლენების დამოუკიდებელ გაშუქებას შეუძლია გაზარდოს ზოგადი ანგარიშვალდებულება როგორც შეკრების ორგანიზატორების, ისე სამართალდამცავი ორგანოებისთვის. მაშასადამე, დამოუკიდებელი მედია საშუალებებისთვის შეკრებებზე თავისუფალი წვდომისა და გაშუქების შესაძლებლობა არ უნდა იზღუდებოდეს და ფერხდებოდეს, არამედ პირიქით, ხელისუფლება უნდა ეხმარებოდეს და ხელს უწყობდეს მათ ამ საქმიანობაში.

**3. გაერთიანების თავისუფლება და უფლება დააფუძნო. გაწევრიანდე და ეფექტური მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობაში**

- 63. ნებისმიერ პირს უნდა ჰქონდეს თავისუფლება გამოიყენოს უფლება, დააფუძნოს, გაწევრიანდეს და მონაწილეობა მიიღოს ადამიანის უფლებების დამცავ ჯგუფებში ან ასოციაციებში, ყოველგვარი სახის დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის დაცული უფლებების ბუნებიდან გამომდინარე. გაერთიანების თავისუფლების უფლების ნებისმიერ შეზღუდვას უნდა ჰქონდეს მკაფიო სამართლებრივი საფუძველი და სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მკაცრ მოთხოვნებს. ნებისმიერი დაწესებული შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული რომელიმე სპეციფიკური საფუძვლის ინტერესებისთვის. ნებისმიერი ამგვარი შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული.
- 64. სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ მთლიან კანონმდებლობას, რომელიც კავშირშია გაერთიანების თავისუფლებასთან, უფლებასთან დააფუძნო, გაწევრიანდე და ეფექტური მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციებში, რათა უზრუნველყონ მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნული ცვლილებების განხილვისას სახელმწიფოებმა კონსულტაციები უნდა აწარმოონ სამოქალაქო საზოგადოებასთან, ასევე რეკომენდირებულია ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პროცესში მოიძიონ საერთაშორისო დახმარება.

**კანონები, ადმინისტრაციული პროცედურები და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები**

- 65. უფლებადამცველებს უნდა შეეძლოთ შექმნან ჯგუფები ან ასოციაციები ისე, რომ ამ ჯგუფების და ასოციაციების საქმიანობისთვის აუცილებელი არ იყოს მათი ფორმალური დაფუძნება ან იურიდიული პირად რეგისტრაცია. გაერთიანების თავისუფლების უფლების გამოყენება დამოკიდებული არ არის რეგისტრაციაზე და არ უნდა დგებოდეს უფლებადამცველების პასუხისმგებლობის საკითხი ამგვარი ჯგუფების ან ასოციაციების დაურეგისტრირებლობის გამო. დაურეგისტრირებელი

ორგანიზაციის სახელით განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დანაშაული, მათ შორის დაფინანსების საკითხი, დაუყოვნებლივ უნდა იქნას ამოღებული კანონმდებლობიდან.

66. ფორმალური რეგისტრაცია და იურიდიული პირის სტატუსის შექმნასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება უნდა იყოს უფლებადამცველების მხოლოდ არჩევანი, რომელიც მათ დაეხმარება საქმიანობის განხორციელებაში სხვებთან თანამშრომლობით, მაგალითად, რაიმე სარგებლის ან სხვა სახის დახმარების მისაღებად, რომელიც მხოლოდ იურიდიული პირებისთვის არის ხელმისაწვდომი. ზოგადად, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბაზა შექმნილი უნდა იყოს უფლებადამცველთა დასახმარებლად ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნაში და არა უფლებადამცველთა საქმიანობის სტიგმატიზაციისთვის.
67. კანონები და ადმინისტრაციული პროცედურები, რომლებიც არეგულირებს არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმალური რეგისტრაციის ან იურიდიული პირის სტატუსის მოპოვების პროცედურებს – თუკი ისინი ამგვარად მოისურვებენ – უნდა იყოს რაც შეიძლება მარტივი და მკაფიო, და არადისკრიმინაციული. ისინი არ უნდა უწყებდნენ ორგანიზაციებს ისეთ არასათანადო და ზედმეტ მოთხოვნებს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მათ მუშაობას ან გამოიწვიონ რესურსების ზედმეტი ხარჯვა. ადმინისტრაციული და ფინანსური ანგარიშების ნებისმიერი მოთხოვნა უნდა იყოს გონივრული და კანონით გათვალისწინებული. არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისების და ფინანსური დოკუმენტაციის ნებისმიერ შემოწმებას უნდა ჰქონდეს მკაფიო სამართლებრივი საფუძველი, უნდა იყოს სამართლიანი და გამჭვირვალე. აუდიტი მკაცრად უნდა რეგულირდებოდეს კანონმდებლობით. ამგვარი კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს ამომწურავ სიას ნებადართული შემოწმების საფუძვლებისა და იმ დოკუმენტებისა, რომელთა წარდგენა სავალდებულო იქნება შემოწმების დროს. გარდა ამისა, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს წინასწარი გაფრთხილების მკაფიო და გონივრულ ვადას და შემოწმების მაქსიმალურ ხანგრძლივობას.
68. გონივრული მოთხოვნების შესრულების შემოწმებისას, ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებლობას და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. ისინი არ უნდა ერეოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების შიდა საქმიანობაში, მართვაში, დაგეგმვასა და მოღვაწეობაში. მათ პატივი უნდა სცენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის კონფიდენციალურობას და თავი შეიკავონ ნებისმიერი სახის ჩარევისგან. არასამთავრობო ორგანიზაციების შემოწმება და აუდიტი არ უნდა იყოს ძალადობრივი და არ უნდა იწვევდეს მათი მუშაობის პარალიზებას.
69. როცა არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებული გონივრული მოთხოვნები არ არის

დაცული, ზედამხედველობის ან მარეგისტრირებელი ორგანოები ყოველთვის ადეკვატურ გაფრთხილებას უნდა აძლევდნენ არასამთავრობოებს, რათა ამ უკანასკნელებმა მოახდინონ დარღვევების გამოსწორება. ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების წევრები არ უნდა ისჯებოდნენ არაგონივრული ადმინისტრაციული ან სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო. ლეგიტიმური ადმინისტრაციული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის დადგენილი სანქციები უნდა იყოს პროპორციული.

### დაფინანსებაზე და რესურსებზე წვდომა

70. სახელმწიფოებმა უნდა ხელი შეუწყონ და დაეხმარონ არასამთავრობო ორგანიზაციებს მათ მცდელობაში, მოიძიონ და მოიპოვონ დაფინანსება ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობის განსახორციელებლად მათი დამოუკიდებლობის შეუფერხების გარეშე. სახელმწიფოებმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა გამოიყონ ფინანსური სახსრები დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის მხარდასაჭერად. მათ ასევე უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა წაახალისონ კერძო პირების ან ბიზნეს კორპორაციების მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვისადმი მიმართული საქმიანობის დაფინანსება, მათ შორის, შემოწირულობებზე საგადასახადო შეღავათის დაწესებით. ადამიანის უფლებების დაცვისა და განვითარების თავიანთ პოლიტიკაში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება ხელმისაწვდომი იყოს დისკრიმინაციისა და ორგანიზაციის საქმიანობის, მისი გეოგრაფიული დაფარვის ან ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივობების ადგილმდებარეობის მიუხედავად.
71. სახელმწიფოები, საჭიროების შემთხვევაში, ასევე უნდა დაეხმარონ და ხელი შეუწყონ არასამთავრობო ორგანიზაციებს ადამიანის უფლებების დაცვის დამოუკიდებელი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების მოპოვებაში. მათ თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი თვითნებური ან უკანონო ქმედებისაგან, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებს ართმევს ამ რესურსებს, მათ შორის აღჭურვილობის ან სხვა ქონების კონფისკაციით, დაზიანებით ან განადგურებით. სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა საჯარო მოსამსახურედ და/ან თანამდებობის პირმა თავი შეიკავოს კერძო პირებზე ზეწოლისგან, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მატერიალური რესურსების მოძიების მცდელობების ხელშეშლის მიზნით.
72. გარდა ამისა, ყველა საჯარო მოსამსახურე და ოფიციალური პირი სრულად უნდა სცემდეს პატივს არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებლობას და თავს იკავებდნენ მთავრობის დაფინანსების ან სხვა ფინანსური ან არამატერიალური რესურსის გამოყენებით არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაზე ან უფრო ფართო მოძრაობაზე გავლენის მოპოვებისგან. სახელმწიფო დაფინანსების სქემები უნდა იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და თანაბრად ხელმისაწვდომი ადამიანის უფლებების ყველა დამცველისთვის და მათი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

73. სახელმწიფოებმა არ უნდა დააწესონ არასასაზღვრო შიშის უფლებები არასამთავრობო ორგანიზაციებზე, მათ მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო თანხების მოძიებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით. შიდა კანონმდებლობა არ უნდა ახდენდეს ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობის კრიმინალიზაციას ან დელეგიტიმაციას დაფინანსების წყაროს წარმოშობის მიხედვით. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობენ თავიანთ ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულნი არიან ისინი თუ არა, შესაძლებლობა ჰქონდეთ ქვეყნის საზღვრებს გარეთ მოიძიონ და მიიღონ დაფინანსება ზედმეტი შიშის უფლებებისა და მოთხოვნების გარეშე. სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ფულით გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღმოფხვრის მოტივით არასამთავრობო ორგანიზაციებზე დისკრიმინაციული შიშის უფლებების დაწესებისგან. მთავრობის ნებართვა არ უნდა იყოს საჭირო, ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ, ფინანსური რესურსების მოძიებისთვის, მიღებისა თუ გამოყენებისთვის.

## **ზ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება**

74. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სათანადო მექანიზმები და პროცედურები, უფლებადამცველთა და მათ ორგანიზაციათა მონაწილეობისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ეს არ უნდა შემოიფარგლებოდეს ერთჯერადი ან კონკეტული კონსულტაციებით, არამედ უნდა ითვალისწინებდეს რეგულარულ, მიმდინარე და ღია დიალოგს, რომელიც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების საჯარო პროცესში ეფექტურ მონაწილეობას, მათ შორის პოლიტიკისა და კანონის შემუშავების პროცესში და ასევე კანონმდებლობის მიღებამდე.

75. მონაწილეობის მექანიზმები და პროცედურები უნდა იყოს ინკლუზიური, უნდა ასახავდეს უფლებადამცველთა მრავალფეროვნებას და უნდა ითვალისწინებდეს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ან მარგინალიზებული ჯგუფების მდგომარეობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი მონაწილეობა თანაბარი პირობებებით.

## **თ. გადაადგილების თავისუფლება და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობა საზღვრებს შიგნით და გარეთ**

76. სახელმწიფოებმა უნდა გააცნობიერონ ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობის მნიშვნელობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და სრულფასოვნად უნდა შეასრულონ დაკისრებული ვალდებულებები და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით, მათ შორის, როდესაც უფლებადამცველები ტოვებენ ან შედიან ქვეყანაში, და როდესაც ისინი გადაადგილდებიან საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ან ცდილობენ ამის გაკეთებას ადამიანის უფლებების დაცვის დროს.

77. ყველას აქვს უფლება დატოვოს ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორია, მათ შორის საკუთარი ქვეყნის. ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განისაზღვრავდეს კანონით, ლეგიტიმური მიზნის აუცილებლობის და პროპორციულობის შესაბამისად რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებით. გარდა ამისა, თვითნებურად არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების უფლება.
78. უფლებადამცველებზე მოგზაურობასთან დაკავშირებით დაწესებული აკრძალვები, რომლებიც ხელს უშლის მათ ქვეყნიდან გასვლაში და დაწესებულია მხოლოდ და მხოლოდ მათი უფლებადამცველი საქმიანობისთვის ხელშეშლის მიზნით, წინააღმდეგობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. სხვა ზომები, რომლებსაც პრაქტიკაში იგივე შედეგი აქვთ, ანალოგიურად შეუსაბამოა. უფლებადამცველებს, რომლებსაც უარი ეთქვათ თავიანთი ქვეყნის დატოვების უფლებაზე, რადგან მათი სახელი დატანილია იმ პირთა სიაზე, რომლებსაც ეკრძალებათ ქვეყნის დატოვება, უნდა ჰქონდეთ უფლება იცოდნენ ამგვარი სიის არსებობის შესახებ და გაასაჩივრონ იგი, ასევე უფლება აქვთ ამოაშლევინონ საკუთარი სახელი ამ სიიდან თუ არ არსებობს ასეთ სიებში მათი ყოფნის სამართლებრივი საფუძველი.
79. ყველას, ვინც სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად იმყოფება, აქვს ამ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება. უფლებადამცველებს არ უნდა ეზღუდებოდეთ აღნიშნული უფლება იმაზე მეტად, ვიდრე ეს ნებადართულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებით. სახელმწიფოებმა ეფექტურად უნდა უზრუნველყონ უფლებადამცველთა გადაადგილების თავისუფლება საკუთარ ტერიტორიაზე, მათ შორის განცალკევებულ რეგიონებში, როგორც ეს საჭირო იქნება უფლებადამცველების მხრიდან საკუთარი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის. აღნიშნული უფლება, სადაც შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს ავტონომიურ რეგიონებსა და სადავო ტერიტორიებზე დაშვებას, ადამიანის უფლებების მონიტორინგისა და ანგარიშების მიზნით, ისევე როგორც სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. სახელმწიფოებმა, უფლებადამცველთა მხრიდან ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგისა და ანგარიშების უზრუნველყოფის მიზნით, ხელი უნდა შეუწყონ მათ ისეთ ადგილებზე დაშვებასა და წვდომას, სადაც, მაგალითად, იმართება შეკრებები ან საპროტესტო აქციები, ან სადაც ადამიანებს ეზღუდებათ თავისუფლება.
80. ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების უფლების მნიშვნელობის აღიარებით, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის და ხელშეწყობის კონტექსტში, სახელმწიფოებმა ასევე ხელი უნდა შეუწყონ სხვა სახელმწიფოთა არასამთავრობო ორგანიზაციების ვიზიტებს შეხვედრებში მონაწილეობის, ადვოკატირებისა თუ ადამიანის უფლებების დაცვის სხვა ფორმების განხორციელების მიზნით.
81. სავიზო რეჟიმებმა და პროცედურებმა არ უნდა შეუქმნან უფლებადამცველებს არასასურველი დაბრკოლებები სხვა სახელმწიფოში



გამგზავრებისას, ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობის განხორციელების მიზნით, და ეს პროცედურები მაქსიმალურად უნდა გამარტივდეს. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პრაქტიკული ზომები იმის აღმოსაფხვრელად, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საქმიანობის გამო წარსულში ნასამართლეობა ან ბრალდებულად ყოფნა ან დაკავება, არ იწვევდეს უფლებადამცველებისთვის ვიზის გაცემაზე უარის თქმის ან ვიზის გაცემის პროცესის გაწელვის საფუძველს. გარდა ამისა, სავიზო განაცხადები უნდა იქნას განხილული დროულად და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ნებისმიერი ისეთი ნიშნით, როგორცაა რასობრივი ნიშნით დისკრიმინაცია, დისკრიმინაცია კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული წარმომავლობის ან სოციალური სტატუსის, საკუთრების, დაბადების ადგილის, ასაკის ან სხვა რაიმე ნიშნით.

82. უფლებადამცველებს, რომლებსაც ეთქვათ რომელიმე ქვეყანაში შეშვებაზე უარი იმის გამო, რომ ისინი ირიცხებიან „ეროვნულ სიაში“ რომელიც უკრძალავს მათ ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთას, უფლება აქვთ ამგვარი აკრძალვების თაობაზე ინფორმირებულნი იყვნენ წინასწარ და ჰქონდეთ ამ შეზღუდვის თუ აკრძალვის გასაჩივრების შესაძლებლობა შესაბამის ორგანოებსა და სასამართლოში.
83. სახელმწიფოებმა, მათ შორის თავიანთი დიპლომატიური მისიების მეშვეობით, ხელი უნდა შეუწყონ უფლებადამცველებს, რომელთა სიცოცხლეა და კეთილდღეობას ემუქრება საფრთხე, უსაფრთხო ადგილებში ამ პირთა დროებით გადაადგილებას, საჭიროებისამებრ, ხოლო როცა ამის აუცილებლობაა, მათთვის ვიზების გაცემას სასწრაფო წესით. საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, სახელმწიფოებმა ასევე უნდა შესთავაზონ უფლებადამცველებს გრძელვადიანი საერთაშორისო დაცვა იმ შემთხვევებში, როდესაც ამ პირებს უწევთ თავიანთი ქვეყნის დატოვება მათი დევნის შიშით, გამოწვეული ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობით. სახელმწიფოებმა სრულად უნდა შეასრულონ საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული მათი ვალდებულებები, არ დააბრუნონ უფლებადამცველები ისეთ ქვეყნებში, სადაც მათ ემუქრებათ სიცოცხლის უფლების ხელყოფის რეალური საფრთხე, წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა და ასევე ადამიანის უფლებების სხვა მნიშვნელოვანი დარღვევები.
84. უფლებადამცველები, რომლებიც მოგზაურობენ სხვა ქვეყანაში, არ უნდა გადიოდნენ საზღვარზე სპეციალურ შემოწმებას, რომელიც დისპროპორციულია ან არღვევს მათ უფლებებს. ანალოგიურად, ისინი არ უნდა ექვემდებარებოდნენ საზღვარზე ჩხრეკას, მათ შორის, სხეულის ჩხრეკას, რომელიც დისპროპორციულია, არღვევს მათ ღირსებას ან სხვა. მეტიც, საზღვრების გადაკვეთისას, უფლებადამცველებს არ უნდა ჩამოართვან ტექნიკა, მათ შორის ტექნიკური მოწყობილობები, პირადი მონაცემები ან საინფორმაციო მასალები, როგორცაა პუბლიკაციები,



ბროშურები ან სხვა მასალა, რომელიც მათ ესაჭიროებათ ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობის განსახორციელებლად.

## ი. პირადი ცნობების ხელშეუხებლობის უფლება

85. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, თავი შეიკავონ უფლებადამცველების პირად ცნობებაში, ოჯახურ ცნობებაში, საწლისა თუ კორესპონდენციაში, მათ შორის, მათ ელექტრონულ კომუნიკაციებთან, ყოველგვარი უკანონო ან თვითნებური ჩარევისაგან და ასევე აქვთ ვალდებულება, დაიცვან ისინი სხვა პირების მხრიდან ანალოგიური ჩარევისგან, საკანონმდებლო დონეზე და სხვა საშუალებებით. პირად ცნობებაში ჩარევა, ოჯახის, სახლის ან კორესპონდენციის ნებისმიერი სახის შეხება, ნებადართული უნდა იყოს კანონით და აუცილებელი უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, და ამასთანავე უნდა იყოს ამ მისაღწევი მიზნის პროპორციული.
86. სახელმწიფოებმა ასევე უნდა გადადგან ნაბიჯები, რათა უზრუნველყოფონ და მკაფიოდ ჩამოაყალიბონ მოლოდინი, რომ მათი იურისდიქციის ქვეშ არსებულმა კერძო კომპანიებმა, რომლებიც საქმიანობენ საერთაშორისო დონეზე, ხელი არ შეუწყონ სხვა ქვეყნებში ამგვარ არასაჭირო ჩარევას, მათთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის, სათვალთვალო ტექნიკისა და სერვისების უზრუნველყოფის გზით, რომლებიც გამოიყენება უფლებადამცველების წინააღმდეგ მათი საქმიანობის პროცესში. სახელმწიფოებმა ასევე ხელი უნდა შეუწყონ უფლებადამცველების ძალისხმევას გამოიყენონ თავიანთი ცოდნა და შესაძლებლობები საკუთარი ელექტრონული კომუნიკაციების უსაფრთხოების დონის გაძლიერების მიზნით.
87. უფლებადამცველების პირად ცნობებაში არამართლოზომიერი ან თვითნებური ჩარევის გზით მოპოვებული ინფორმაცია ან მონაცემები დაუშვებელი უნდა იყოს მათ წინააღმდეგ წარმოებულ ნებისმიერი სამართალწარმოებაში. ხელისუფლებას აქვს ვალდებულება უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი ფორმით მიღებული ინფორმაცია ან მონაცემები – თუნდაც მოპოვებული კანონიერი გზებით – არ გაუზიაროს ნებისმიერ სხვა პირს, რომელსაც კანონით არ აქვს უფლება მიიღოს, დაამუშავოს ან გამოიყენოს იგი. კერძოდ, უნდა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტური ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი ინფორმაცია ან მონაცემები ხელმისაწვდომი არ გახდეს და არ იქნას გამოყენებული მასმედიის ან სხვა პირების მიერ უფლებადამცველთა დისკრედიტაციის მიზნით. კანონიერი გზებით მოპოვების შემთხვევაში, ასეთი მონაცემები და ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მკაცრი აუცილებლობის პერიოდით, ხოლო შემდგომ უნდა იქნას განადგურებული.
88. სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ უფლებადამცველებს აქვთ პირად ცნობებაში ჩარევისგან დაცვის განსაკუთრებული საჭიროება, მათი საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე. სახელმწიფოებმა ასევე უნდა

ადიარონ, რომ უფლებადამცველთა წყაროების კონფიდენციალურობა და მათი კლიენტების ვინაობა მკაცრად დაცული უნდა იყოს გასაჯაროებისგან, რათა უფლებადამცველებმა ეფექტურად განაგრძონ თავიანთი საქმიანობის განხორციელება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლიენტების და წყაროების კონფიდენციალურობის დაცვა იმ უფლებადამცველებისთვის, რომლებიც მუშაობენ ფიზიკურ და სხვა ძალადობის მაღალი რისკის წინაშე მყოფ პირებთან. ეს აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ პირებმა თავი იგრძნონ საკმარისად დაცულად ინფორმაციის გაცემის ან დახმარების თხოვნის მიღების პროცესში.

89. სახელმწიფოებმა ასევე უნდა ადიარონ დაცვის განსაკუთრებული საჭიროება უფლებადამცველთა გარკვეული ჯგუფისთვის, მათ შორის, ქალ უფლებადამცველთა შემთხვევაში, მათ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით.

### **კ. საერთაშორისო ორგანიზაციებთან წვდომის და კომუნიკაციის უფლება**

90. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ უფლებადამცველების უფლება, ჰქონდეთ დაუბრკოლებელი წვდომა და კომუნიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის საერთაშორისო და რეგიონალურ წარმომადგენლობებთან, რომელთაც აქვთ კომპეტენცია მიიღონ და განიხილონ ინფორმაცია ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით. სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან უფლებადამცველები, მათი ოჯახები და თანამოაზრეები ნებისმიერი ფორმის რეპრესიისგან, საერთაშორისო ინსტიტუტებთან წარსულში ან მოცემულ პერიოდში თანამშრომლობის ან თანამშრომლობის სურვილის გამო. რეპრესიების ამგვარი ბრალდებები – იქნება ეს თანამდებობის პირების თუ სხვა აქტორების მხრიდან, დაუყოვნებლივ, საფუძვლიანად და დამოუკიდებლად უნდა იქნან გამოძიებული და ასეთი სახის ქმედებებთან დაკავშირებით არ უნდა არსებობდეს დაუსჯელობა. დაზარალებულებს და მათ ოჯახებს უნდა ჰქონდეთ წვდომა დაცვის ეფექტურ საშუალებებზე და ამასთანავე უნდა მიიღონ ადეკვატური კომპენსაცია.

91. სახელმწიფოებმა ასევე უნდა შეიკავონ თავი ნებისმიერი ისეთი ქმედებისგან, მათ შორის საკანონმდებლო ზომების მიღებისგან, რომლებმაც შესაძლოა საფრთხის წინაშე დააყენოს უფლებადამცველების უფლება განახორციელონ ინფორმაციის მიწოდება, წარადგინონ საქმეები განსახილველად ან მონაწილეობა მიიღონ შეხვედრებში საერთაშორისო ორგანოებთან, მათ შორის, როგორცაა: ეუთოს ინსტიტუტები; გაერო და მისი წარმომადგენლობები და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები; ევროპის საბჭოს ინსტიტუტები და ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული კომისია (IACHR); საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები; და ადამიანის უფლებების დაცვის სხვა მექანიზმები, საერთაშორისო თუ რეგიონულ დონეზე. სახელმწიფოებმა თავი უნდა

შეიკავონ ისეთი ქმედებებისაგან, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალონ უფლებადამცველებს საზღვარგარეთ გამგზავრებაში, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებში. უფრო მეტიც, სახელმწიფოებმა ხელი არ უნდა შეუშალონ უფლებადამცველებს საერთაშორისო დელეგაციებთან შეხვედრაში, როდესაც ისინი სტუმრობენ ქვეყანას.

92. სახელმწიფოებმა უნდა გადადგან აქტიური ნაბიჯები იმისკენ, რომ ხელი შეუწყონ უფლებადამცველებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციას, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით. მაგალითად, მათ აქტიურად უნდა გაავრცელონ ინფორმაცია, ადგილობრივ ენაზე, ადამიანის უფლებების საერთაშორისო მექანიზმების, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ინსტრუმენტების, რეკომენდაციების, გადაწყვეტილებებისა და საკანონმდებლო ბაზის თაობაზე. მათ აქტიური კონსულტაციები უნდა აწარმოონ უფლებადამცველებთან პერიოდული მოხსენებების შედგენისას ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ორგანიზაციებსა და სხვა მექანიზმებთან, მათ შორის რეკომენდაციების შესრულებისას. მათ უნდა მიიღონ ვიზიტებით გაერო და მისი წარმომადგენლები, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის სხვა მექანიზმები, მათ შორის გაეროს სპეციალური მომხსენებლები, ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა კეთილსინდისიერად უნდა შეუწყონ ხელი მსგავსი ვიზიტების ჩატარებას, ისევე როგორც რეგიონალური ინსტიტუტებისა, მათ შორის ევროპის საბჭოს და ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული კომისიის, და ამ ორგანიზაციების ვიზიტის ფარგლებში უზრუნველყონ უფლებადამცველები შესაბამისი სივრცით კერძო შეხვედრების ჩასატარებლად და ინფორმაციის საიდუმლოდ ურთიერთგაზიარებისთვის. გარდა ამისა, სახელმწიფოები უნდა მიესალმებოდნენ ODHR-სა და ეუთოს სხვა ინსტიტუტებს ვიზიტებისა და მონიტორინგის სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად.

## IV. სახელმძღვანელო მითითებების შესრულების ჩარჩოები

### შესრულება ეროვნულ დონეზე

93. უფლებადამცველთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, წევრ სახელმწიფოებს მოეწოდებათ გადახედონ – სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან კონსულტაციების საფუძველზე – იმ საკანონმდებლო აქტებსა და პრაქტიკას, რომლებიც ვრცელდება უფლებადამცველებზე. მათ უნდა გააუქმონ ან შეცვალონ ნებისმიერი კანონი ან რეგულაცია, რომელიც ხელს უშლის უფლებადამცველების მუშაობას და განავითარონ საკუთარი პრაქტიკა შესაბამისად.

94. წევრ სახელმწიფოებმა უნდა გააძლიერონ ადამიანის უფლებათა დაცვის დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტების როლი და

მანდატი, პარიზის პრინციპების შესაბამისად, და უნდა განიხილონ მათთვის კერძო საჩივრების მიღების უფლებამოსილების მინიჭების შესაძლებლობა, თუ ეს ჯერ კიდევ არ გაკეთებულა. სადაც ეს ჯერ არ მომხდარა, სახელმწიფოებმა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს უნდა მიაწიონ მანდატი და რესურსი, რათა მათ სისტემატიურად და მიუკერძოებლად განახორციელონ მონიტორინგი და აწარმოონ რეგულარული ანგარიშგება უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ და ხელი შეუწყონ უფლებადამცველებს მათი საქმიანობის გამო მათ მიმართ დამდგარი დარღვევებისთვის კომპენსაციის მიღებაში. სახელმწიფოებმა არანაირი გზით არ უნდა შეზღუდონ უფლებადამცველთა უფლებები, ჰქონდეთ წვდომა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებთან, კომუნიკაცია მათთან ან სხვაგვარი კავშირი. სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების წევრების და თანამშრომელთა დაცვის აუცილებლობა, ისევე როგორც ყველა სხვა უფლებადამცველის, არასათანადო ზეწოლისა და ძალადობისგან.

95. საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ უწყებათშორისი საკოორდინაციო ორგანოების შექმნა, უფლებადამცველთა მონაწილეობით, აღნიშნული ორგანოების მიერ უფლებადამცველთა უფლებების დაცვის გაძლიერებისა და მათთვის უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შექმნისკენ მიმართული სტრატეგიების შემუშავების და განხორციელების მიზნით. საჭიროა თუ არა უწყებათაშორისი საკოორდინაციო ორგანოს შექმნის საჭიროება, ყველაზე უკეთესად გამოვლინდება უფლებადამცველებთან კონსულტაციების შედეგად. ამ ორგანოებს ასევე უნდა ევალებოდეთ შეიმუშაონ და განახორციელონ შესაბამისი პროგრამები, პოლიტიკა და მექანიზმები რისკის წინაშე მყოფი უფლებადამცველების ფიზიკური ხელშეუხებლობისა და უსაფრთხოების გაზრდის მიზნით.
96. წევრ სახელმწიფოებს ეძლევათ რეკომენდაცია, თარგმნონ წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებები ადგილობრივ ენებზე და, სხვა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად, ფართოდ გაავრცელონ სამართალდამცავ ორგანოებში, სასამართლო სისტემაში და სამხედრო დანაყოფებში, ამასთანვე პოლიტიკურ ლიდერებს, მასწავლებლების და განათლების ექსპერტების, ჯანდაცვის მუშაკების, ჟურნალისტებისა და სხვა პროფესიულ ჯგუფებს,, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა წარმომადგენლებს შორის. სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ არასახელმწიფო წარმომადგენლები (მათ შორის, კერძო ბიზნესი, პოლიტიკური და სოციალური ჯგუფები), რომ თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელონ წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებებით. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ODIHR-თან წინამდებარე სახელმძღვანელოს შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და შესაბამისი სასწავლო კურსების ჩასატარებლად შესაბამისი საჯარო მოსამსახურეების, პროფესიული ჯგუფებისა და სხვა მონაწილეებისთვის, რათა უზრუნველყოთ შესაბამისი მითითებების შესრულება და პრაქტიკაში ეფექტური გატარება.

**უფლებადამცველთა უფლებების დაცვა ეუთოს წევრ სახელმწიფოებში და მესამე სახელმწიფოებში**

97. წევრ სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ისეთი მექანიზმების და ეროვნული სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს უფლებადამცველებს და მათ საქმიანობას ეუთოს სხვა წევრ სახელმწიფოებში, ისევე როგორც ეუთოს გარეთ სხვა ქვეყნებში. ასეთი ეროვნული სახელმძღვანელო მითითებები უნდა მოიცავდეს სწრაფი რეაგირების მექანიზმებს რისკის წინაშე მყოფი უფლებადამცველებისთვის, ეუთოს წევრ სახელმწიფოებსა და მესამე ქვეყნებში.
98. თავიანთი დიპლომატიური მისიების მეშვეობით, წევრ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები შესაბამის სახელმწიფოში უფლებადამცველების მხარდასაჭერად, განსაკუთრებით მათი, ვინც რისკის წინაშეა ან ემუქრება თავდასხმად, შევიწროვება, დევნა და თვითნებური დაკავება. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, მაგალითად, უფლებადამცველებთან შეხვედრაში, დაკავებული პირების მონახულებაში, მათ სასამართლო პროცესზე დასწრებასა, და საჭიროების შემთხვევაში, მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლების მისამართით საჯარო განცხადებებისა და ინტერვენციის წერილების გავრცელებაში.
99. წევრ სახელმწიფოებმა ასევე უნდა წამოჭრან უფლებადამცველების მიმართ არსებული საფრთხეების, თავდასხმების, თვითნებური დაკავებისა და ადამიანის უფლებათა სხვა სერიოზული დარღვევების საკითხები შესაბამის დაინტერესებულ სახელმწიფოსთან უფრო რეალური საშუალებებით, მაგალითად, მაღალი დონის სამთავრობო შეხვედრებზე, საერთაშორისო ფორუმებზე ან, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სახელმწიფოს აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლის შეხვედრაზე მოწვევით.
100. საჭიროების შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებმა, შესაბამის სახელმწიფოში თავიანთი დიპლომატიური მისიების მონაწილეობით ან სხვაგვარად – ხელი უნდა შეუწყონ საგანგებო ვიზების გაცემის პროცესს და უფლებადამცველთა გადაადგილებას, რათა დაეხმაროს მათ დაუყოვნებლივ დატოვონ ქვეყანა, სადაც მათ ემუქრებათ საფრთხე. დაცვის ეფექტური ზომების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის რისკები, რომლებიც ემუქრება უფლებადამცველთა ოჯახის წევრებს და, საჭიროების შემთხვევაში, მათზე ანალოგიურად უნდა გავრცელდეს აღნიშნული ზომები. სხვა ქვეყანაში გადაადგილების შემთხვევაში, შესაბამისი უფლებადამცველის ოჯახის წევრებმაც უნდა ისარგებლონ ანალოგიური ეფექტური დაცვის საშუალებებით.



**საერთაშორისო თანამშრომლობა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები**

101. წევრ სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ეუთოს და სხვა საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში, რათა მოხდეს უფლებადამცველთა უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტებისა და მექანიზმების განვითარება და გაძლიერება, მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო ინსტიტუტებისა და მექანიზმების უზრუნველყოფით, საკმარისი რესურსების შეთავაზებითა და სხვა სახის პოლიტიკური დახმარებით. ამ პროცესში მათ უნდა უზრუნველყონ თანმიმდევრულობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ადამიანის უფლებების მექანიზმებთან ურთიერთობის სხვადასხვა დონეზე.
102. წევრ სახელმწიფოები კეთილსინდისიერად უნდა ჩაერთონ შედარებით განხილვებში საერთაშორისო დონეზე, რათა გამოავლინონ ხარვეზის მქონე საკითხები, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ნაკლოვანებები, და შეიმუშაონ შესაძლო გაუმჯობესების გზები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ უფლებადამცველთა უფლებების დაცვის გასაძლიერებლად. ამ პროცესში ისინი უნდა დაეყრდნონ სხვა სახელმწიფოების კარგ პრაქტიკას.
103. წევრ სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ეუთოს ინსტიტუტებთან და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებთან, მათ შორის გაეროსთან და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედ მის წარმომადგენლობებთან და მექანიზმებთან, ისევე როგორც ევროსაბჭოსა და ამერიკული ორგანიზაციების ინსტიტუტებთან. მათ უნდა განახორციელონ ეს აღნიშნული ინსტიტუტებისა და მექანიზმების მხრიდან მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაციის დროულად და კეთილსინდისიერად მიწოდებით და მათ კომუნიკაციაზე შეუფერხებელი პასუხის გაცემით. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეუთოს ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების ყველა რეკომენდაციის სათანადო შესრულების მონიტორინგი და სრულყოფილად უნდა დაემორჩილონ საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს.
104. იმისათვის, რომ ODIHR-ს მიეცეს მისი მანდატის შესაბამისად ინფორმაციის მიწოდების საშუალება შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის ეუთოს მუდმივი საბჭოსთვის, აგრეთვე დამხმარე მასალების მიწოდების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად ყოველწლიური მიმოხილვისთვის – წევრ სახელმწიფოებს მოეწოდებათ მიაწოდონ ODIHR-ს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ნაბიჯები გადადგა სახელმწიფომ ეუთო/ODIHR სახელმძღვანელო მითითებების უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ შესასრულებლად. ეუთოს ინსტიტუტებთან მათი თანამშრომლობის ვალდებულების შესაბამისად, მათ შორის შესრულების კონტროლის კუთხით, წევრ სახელმწიფოებმა დახმარებით უნდა მიმართონ ODIHR-ს, საჭიროებისამებრ, იმისთვის, რომ უზრუნველყონ ადამიანის

უფლებათა განზომილების ვალდებულებების სრული დაცვა, რომელიც მნიშვნელოვანია უფლებადამცველების უფლებების დაცვის თვალსაზრისით. სახელმწიფოები უნდა მიესალმებოდნენ და ხელს უწყობდნენ ODIHR-ის საქმიანობას და საკუთარ ტერიტორიაზე დაწმარების სხვა ფორმებს და ასევე აქტიურად უნდა უწყობდნენ ხელს ODIHR-ს მისი მანდატის გამოყენებაში.

## ეთო

105. ეთოს აღმასრულებელმა სტრუქტურებმა, ინსტიტუტებმა და საკვლე წარმომადგენლობებმა ხელი უნდა შეუწყონ ეთო/ODIHR სახელმძღვანელო პრინციპებით გათვალისწინებული უფლებებისა და პრინციპების სრულად რეალიზაციას, თავიანთი მანდატის ფარგლებში.

# ნაწილი ბ: განმარტებითი ბარათი

**”წევრი სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავის-უფლებების უნივერსალურ მნიშვნელობას (...).“**

**„ისინი ადასტურებენ თითოეული ინდივიდის უფლებას, ჰქონდეს ინფორმაცია და იმოქმედოს საკუთარი უფლებების და ვალდებულებების შესაბამისად.“**

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დასკვნითი აქტი (ჰელსინკი 1975) (ევროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები: 1. (ა) დეკლარაცია წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მართვის პრინციპების შესახებ – პრინციპი VII).

**”(11) წევრი სახელმწიფოები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ სადაც, სავარაუდოდ, ზდება ადამიანის უფლებების და ძირითადი თავის-უფლებების დარღვევის ფაქტები, სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები მოიცავს (...) ინდივიდის უფლებას, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავის-უფლებების დაცვისთვის მოიძიოს და მიიღოს დახმარება სხვებისგან, და დაენმაროს სხვებს ადამიანის უფლებების და ძირითადი თავის-უფლებების დაცვაში.“**

CSCE-ს ადამიანის უფლებათა კონფერენციის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, (კოპენჰაგენი 1990)

**„(11). წევრი სახელმწიფოები ხაზს უსვამენ (...) უფლებადამცველთა უფლებების დაცვის აუცილებლობას და მიიღწვიან გაერთიანებულ ენების ორგანიზაციის ფარგლებში დეკლარაციის მიღებისა და დასრულებისკენ «პირთა, ჯგუფების და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ, ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და ძირითადი თავის-უფლებები.“**

ბუდაპეშტის დოკუმენტი: ჭეშმარიტი პარტნიორობისთვის ახალ ეპოქაში (სახელმწიფოთა ან მთავრობების მეთაურთა სამიტი) (ბუდაპეშტი, 1994) (გადაწყვეტილებები: VIII. ადამიანის უფლებათა განზომილება).

## ადამიანის უფლებათა დაცვის უფლება საყოველთაოდ აღიარებული უფლებაა

1. ადამიანის უფლებების დაცვის უფლება, როგორც ეს გაეროს უფლებადამცველთა დეკლარაციაშია მითითებული,<sup>8</sup> მტკიცედ ემყარება და გამომდინარეობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისგან, რომლებიც გათვალისწინებულია ეუთოს ვალდებულებებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით და სხვა ინსტრუმენტებით.
2. 1975 წელს ჰელსინკის დასკვნით აქტში, წევრ სახელმწიფოებმა აიღეს ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის და სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის ვალდებულება. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, შეასრულონ ამ სფეროში საერთაშორისო დეკლარაციებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული თავიანთი ვალდებულებები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებით, რომელიც მოიცავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს (ICCPR) და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს (ICESCR).<sup>9</sup>
3. წინამდებარე სახელმძღვანელო არ განსაზღვრავს ახალ სტანდარტებს კონკრეტული ჯგუფისთვის, არამედ კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით და ეუთოს ვალდებულებებით გათვალისწინებულ ადამიანის უფლებებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვის უფლების განხორციელებისთვის. სახელმძღვანელო მიზნად ისახავს მითითებების მიცემას იმ ზომების თაობაზე, რომლებიც წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ მათი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, უფლებადამცველების უფლებების დაცვის და განხორციელების კუთხით და იმის უზრუნველსაყოფად, რომ უფლებადამცველებმა შეძლონ ადამიანის უფლებების თავისუფლად დაცვა.

8 ადამიანების, ჯგუფების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ დეკლარაცია, ხელი შეუწყო და დაიცვან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და ძირითადი თავისუფლებები” (შემდგომში „გაეროს დეკლარაცია უფლებადამცველთა შესახებ“), რომელიც 1998 წლის 9 დეკემბერს ერთხმად იქნა მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით A/RES/ 53/144.

9 ინიციატივა კონფერენცია ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ, ჰელსინკი 1975, „კითხვები ევროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, 1.(ა) დეკლარაცია წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მართვის პრინციპების შესახებ“, პრინციპი VII. ეუთოს ყველა წევრ სახელმწიფოს, გარდა წმიდა საყდრისა, რატიფიცირებული აქვს ICCPR და თითქმის ყველას, გარდა ანდორისა, წმინდა საყდრისა და აშშ-სა აგრეთვე რატიფიცირებული აქვს ICESCR. გარდა ამისა, ყველა წევრი სახელმწიფო არის ICERD-ის CAT-ის მხარე. სახელმწიფოთა უმრავლესობამ ასევე მოახდინა რატიფიცირება ადამიანის უფლებების სხვა საერთაშორისო ძირითადი ხელშეკრულებების, მათ შორის CEDAW, CRC და CRPD. გარდა ამისა, 47 წევრ სახელმწიფოზე, რომლებიც პარალელურად არიან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ასევე ვრცელდება ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ECHR). წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ხელს აწერენ ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციას (ACHR), ვალდებული არიან თავი შეიკავონ იმ მოქმედებებისგან, რომლებიც ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მიზნებს და ამოცანებს.

### ვინ არის უფლებადამცველი?

4. უფლებადამცველთა შესახებ გაეროს დეკლარაციის პირველი მუხლი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ყველას აქვს უფლება, ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად, ხელი შეუწყოს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვას და რეალიზაციას.“ მეტიც, როგორც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, ასევე ადამიანის უფლებათა საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურეს უფლებადამცველთა მნიშვნელოვანი როლი ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე.<sup>10</sup>
5. უფლებადამცველთა შესახებ გაეროს დეკლარაციის მიხედვით, ტერმინი „უფლებადამცველი“ გულისხმობს ყველას, ვინც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად მოქმედებს ადამიანის უფლებების ხელშეწყობად და დასაცავად, მიუხედავად მათი პროფესიისა ან სხვა სტატუსისა.
6. მთავარი მახასიათებელი ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს უფლებადამცველებს, არის არა ის, თუ ვინ არიან ისინი, არამედ ის, თუ რას აკეთებენ ეს პირები და რა საქმეს ემსახურებიან. ზოგიერთი უფლებადამცველი მუშაობს ადამიანის ყველა უფლებების დასაცავად; სხვები მუშაობენ ადამიანის კონკრეტული უფლებების დაცვის საკითხებზე ან ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის უფლებების დასაცავად, მაგალითად, ქალთა უფლებების, კონკრეტულ ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობას მიკუთვნებულ პირთა უფლებების დასაცავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების, სამხედრო და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა უფლებების დასაცავად, ისევე როგორც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ პრობლემებზე სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში. ზოგიერთი უფლებადამცველი თავიანთ საქმიანობისას აქცენტს აკეთებს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმატიული ჩარჩოს შემუშავებასა და დაცვაზე; სხვები სთავაზობენ მომსახურებას დაზარალებულებს ან ეხმარებიან ადამიანებს თავიანთი უფლებების დასაცავად მოთხოვნების წაყენებაში. ზოგიერთი უფლებადამცველი უფრო მეტად ჩართულია საადვოკატო სამუშაოში და საზოგადოებრივი კამპანიების წარმოებაში; სხვები დანაშაულთა გამააშკარავების, მონიტორინგის, ანგარიშგების პროცესში. ბევრი უფლებადამცველი მუშაობს საზღვრებს გარეთ, ზოგიერთი მათგანი იმ მოტივით, რომ მთელს მსოფლიოში გააძლიერონ ადამიანის უფლებების დაცვა, მაშინ როცა ზოგიერთი უფლებადამცველი კონკრეტულ ქვეყანაში ან რეგიონში საქმიანობას უთმობს ყურადღებას.<sup>11</sup>

10 იხილეთ UNGA რეზოლუცია „ადამიანების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ, ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.“ გაეროს დოკუმენტი. A/RES/68/181, მიღებული 2013 წლის 18 დეკემბერს, წინასიტყვაობა, პუნქტი. 6; და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია, „უფლებადამცველების დაცვა“, გაეროს დოკუმენტი. A/HRC/RES/22/6, მიღებული 2013 წლის 21 მარტს, წინასიტყვაობა, პუნქტი. 8.

11 საქმიანობის სფეროებისა და ტერმინის „უფლებადამცველი“ უფრო დეტალური აღწერისთვის იხილეთ „უფლებადამცველები: ადამიანის უფლებების დაცვის უფლებების დაცვა“, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), ფაქტების ფურცელი No. 29, 2004 წლის აპრილი, <<http://www.ohchr.org/Documents/Publications/FactSheet29en.pdf>>.



7. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებების გამოყენებას, არის ადამიანის უფლებადამცველი – მიუხედავად პროფესიისა, ასაკისა თუ სხვა სტატუსისა, ან იმის მიუხედავად, ახორციელებს ეს ადამიანი თავის საქმიანობას დამოუკიდებლად თუ სხვებთან ერთად, როგორც არაფორმალური ჯგუფის ან არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი, ასევე იმის მიუხედავად, ეს ადამიანი უფლებების დაცვას ახორციელებს ნებაყოფლობით თუ ეს მისი პროფესიული საქმიანობაა. ადამიანის უფლებების დამცველები შეიძლება იყვნენ იურისტები, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების (NHRI) თანამშრომლები, ჟურნალისტები, სამედიცინო მომსახურეები, საჯარო მოსამსახურეები და სტუდენტები, და სხვა.
8. არსებობს ერთადერთი მოთხოვნა, რომ უფლებადამცველმა თავისი საქმიანობა განახორციელოს მშვიდობიანი გზებით და იგი აღიარებდეს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით (UDHR) განსაზღვრულ ადამიანის უფლებათა საყოველთაობას „ყოველგვარი განსხვავების გარეშე, იქნება ეს რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნება ან სოციალური წარმომავლობა, ქონება, დაბადების ადგილი თუ სხვა ნებისმიერი სტატუსი.“<sup>12</sup>
9. წევრ სახელმწიფოებმა დაადასტურეს თითოეული ადამიანის უფლება, ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და იმოქმედოს მათ შესაბამისად. წევრ სახელმწიფოებმა ასევე დაადასტურეს ის პოზიტიური როლი, რომელიც შეუძლიათ შესარულონ ორგანიზაციებმა და ადამიანებმა მშვიდობის, სამართლიანობისა და კეთილდღეობის პატივისცემის მისაღწევად, რომელიც აუცილებელია წევრ სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებისა და თანამშრომლობის მისაღწევად.<sup>13</sup> მათ ასევე აიღეს ვალდებულება აღიარონ არასამთავრობო ორგანიზაციებად „ისინი, ვინც ასეთად აცხადებენ თავს.“<sup>14</sup>
10. უფლებადამცველთა უფლებების დაცვის ეროვნული პოლიტიკის ან სტრატეგიების შემუშავებისას წევრ სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ ტერმინი „უფლებადამცველის“ ფართო განმარტება გაეროს დეკლარაციაზე დაყრდნობით.

**უფლებადამცველები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში**

11. წევრ სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პატივისცემა ეუთოს უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს და ასევე თავიანთ თავზე აიღეს

12 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR), მუხლი 2, <<http://www.un.org/en/document/udhr/index.shtml> >.

13 ჰელსინკი 1975.

14 CSCE-ს ადამიანის უფლებათა განზომილების კონფერენციის მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტი, მოსკოვი 1991, პუნქტი. 43.

ვალდებულება, დაუპირისპირდნენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების წინააღმდეგ დარღვევების საფრთხეებს.<sup>15</sup>

12. ის უმნიშვნელოვანესი საქმე, რომელსაც ადამიანის უფლებების პოპულარიზაციითა და დაცვით დაკავებული პირები ახორციელებენ, არაერთ საერთაშორისო ფორუმზე იქნა აღიარებული. 1998 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ერთხმად მიღებით, გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა ფორმალურად აღიარეს „ადამიანების, ჯგუფებისა და ასოციაციების ფასდაუდებელი შრომა ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დარღვევის ფაქტების ეფექტური აღმოფხვრისთვის.“<sup>16</sup> 2013 წლის მარტს მიღებული რეზოლუციით, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდა სახელმწიფოებს საჯაროდ ელიარებიანთ უფლებადამცველების მნიშვნელოვანი და კანონიერი როლი და განსხვავებული შეხედულებების მშვიდობიანად გამოხატვის შესაძლებლობა.<sup>17</sup> გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა საბჭომ ხაზი გაუსვა რომ „უფლებადამცველთა, მათ შორის ქალ უფლებადამცველთა საქმიანობის პატივისცემა და მხარდაჭერა აუცილებელია ადამიანის უფლებების ზოგადი გამოყენებისთვის.“<sup>18</sup> მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე არაერთხელ აღიარეს, რომ პირებს, ჯგუფებს და ორგანიზაციებს აკისრიათ მნიშვნელოვანი როლი ადამიანის უფლებების პოპულარიზაციისა და დაცვის გაღრმავებაში.<sup>19</sup>
13. აღნიშნულის მიუხედავად, როგორც ეს არაერთხელ იქნა აღნიშნული უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშებში, ადამიანის უფლებების დაცვა კვლავ რჩება საწინააღმდეგო საქმიანობად.<sup>20</sup>

### უფლებადამცველების დაცვის აუცილებლობა

14. 2013 წლის დეკემბერში მიღებულ რეზოლუციაში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ (UNGA) კიდევ ერთხელ აღნიშნა თავისი ღრმა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ ბევრ ქვეყანაში ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პოპულარიზაციასა და დაცვას, ხშირად აწყდებიან მიუქარისა და შევიწროების ფაქტებს და არიან ასევე დაუცველები.<sup>21</sup> უნდა

15 სტამბოლის დოკუმენტი, „ევროპული უსაფრთხოების ქარტია“, სტამბოლი 1999 წ., პარაგრაფი 19.

16 გაეროს დეკლარაცია უფლებადამცველთა შესახებ, გვ. 2.

17 გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია A/HRC/RES/22/6, 2013 წლის 21 მარტი, პუნქტები 5 და 11 (i).

18 Ibid., წინასიტყვაობა, გვ. 2. ასევე იხილეთ პრეამბულა, პარაგრაფები. 8 და 9, რომლებიც ხაზს უსვამენ უფლებადამცველთა მნიშვნელოვან როლს გაეროს გენერალურ ასამბლეის რეზოლუციაში 66/164, გაეროს დოკუმენტი. A/RES/66/164, მიღებული 2011 წლის 11 დეკემბერს, გვ. 2.

19 იხილეთ, მაგალითად, 1991 მოსკოვის პრეამბულა და ასტანას დეკლარაცია, ასტანა 2010, პარაგრაფი. 6.

20 იხილეთ, მაგალითად, უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში, გაეროს დოკუმენტი. A/HRC/25/55, 2013 წლის 23 დეკემბერი, პარაგრაფები 57 და 128.

21 იხილეთ UNGA რეზოლუციის პრეამბულა ქალ უფლებადამცველთა შესახებ, გაეროს დოკუმენტი. A/RES/68/181, მიღებული 2013 წლის 18 დეკემბერს. აგრეთვე იხილეთ UNGA რეზოლუცია 66/164, წინასიტყვაობა, პუნქტი. 3.

ადინიშნოს, რომ წვრმა სახელმწიფოებმა უფლებადამცველების დაცვის აუცილებლობა აღიარეს ჯერ კიდევ 1994 წელს.<sup>22</sup>

15. თავიანთი მუშაობის პროცესში არსებული რისკების გამო უფლებადამცველები საჭიროებენ სპეციფიკურ და გაძლიერებულ დაცვას ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. უფლებადამცველების დაცვის გაძლიერებისთვის წევრ სახელმწიფოებმა პირველ რიგში საჯაროდ უნდა აღიარონ უფლებადამცველების მნიშვნელოვანი როლი, მათი საქმიანობის ლეგიტიმურობა და ამ რისკების არსებობა.
16. უფლებადამცველთა გარკვეული ჯგუფები ექცევიან გაზრდილი რისკის ქვეშ, მაგალითად, იმ კონკრეტული კონტექსტის და საკითხების გამო, რომლებზეც ისინი მუშაობენ, ან იმის გამო, რომ მათ მიერ განხორციელებული სამუშაოს გამო ისინი ასოცირდებიან სოციალურად მიუღებელ ან მარგინალიზებულ ჯგუფებთან. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობიდან და კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, უფლებადამცველთა კონკრეტული ჯგუფები, რომლებიც უფრო მაღალი რისკის ჯგუფებს მიეკუთვნებიან, მათ შორის, შეზღუდვების გარეშე, შეიძლება იყოს შემდეგი:
  - ქალი/ქალთა უფლებადამცველები, ე.ი. ნებისმიერი ასაკის ქალები, რომლებიც ეწევიან ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობას და ყველა ის ადამიანი, რომელიც ახორციელებს ქალთა უფლებების დაცვას და მუშაობენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე<sup>23</sup> მათ შორის ისინი, ვინც, მაგალითად, სხვა საკითხებთან ერთად, მუშაობენ გენდერული ნიშნით ძალადობის და დედობრივ ჯანმრთელობის საკითხებზე;
  - უფლებადამცველები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს და ჯგუფებს ან იცავენ ასეთ პირთა უფლებებს – მათ შორის სინტების და რომების, მომთაბარე ხალხების, აფრიკული წარმოშობის ხალხის, ლტოლვილებისა და მიგრანტების, ან აბორიგენების;
  - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უფლებადამცველები, მათ შორის შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობებისა, ასევე ის უფლებადამცველები, რომლებიც იცავენ შეზღუდული პასუხისმდებლობის პირების უფლებებს;
  - LGBTI ადამიანები, რომლებიც არიან უფლებადამცველები და ყველა, ვინც მუშაობს სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის გარეგანი გამოხატვისა და ინტერსექს სტატუსის გამო დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ;

22 ბუდაპეშტი, 1994

23 ტერმინი „ქალი უფლებადამცველები“ გამოყენებულია ტექსტში UNAG-ის 2013 წლის დეკემბრის რეზოლუციაში მოცემული განმარტების ანალოგიურად, რაც მოიცავს ორივეს – უფლებადამცველებს, რომლებიც არიან ქალები და მათ (სქესის მიუხედავად), ვინც იცავს ქალთა უფლებებს და მათ გენდერულ თანასწორობას. იხ. UNGA რეზოლუცია 68/181, პრეამბულა, პარაგრაფი 6.

- უფლებადამცველები, რომლებიც მიეკუთვნებიან ისეთ პროფესიულ ჯგუფებს, როგორებიც არიან სამართალდამცავები, სამხედრო მოსამსახურეები, მოსამართლეები და იურისტები, ხელისუფლების წარმომადგენლები, საჯარო მოსამსახურეები და სხვა სახელმწიფო მოხელეები, სახალხო დამცველის აპარატის (ომბუდსმენის) და NHRI-ის თანამშრომლები, ჟურნალისტები და მედიის სხვა წარმომადგენლები;
  - ინფორმატორები, რომლებიც ამჟღავნებენ და საუბრობენ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე, ასევე ისინი, ვინც იღებს, ფლობს ან ავრცელებს ამგვარ ინფორმაციას;
  - უფლებადამცველები, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების სპეციფიკურ საკითხებზე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სფეროში, მათ შორის საარჩევნო კონტექსტში, ისეთი ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვაზე, როგორიცაა აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების, პროფკავშირების შექმნის, მასში გაწევრიანების და მონაწილეობის უფლება, რელიგიური თავისუფლება და მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის უფლება, ასევე ის ადამიანები, რომლებიც მუშაობენ მილიტარიზმის წინააღმდეგ და მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობაზე;
  - უფლებადამცველები, რომლებიც მუშაობენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე, ჯანმრთელობაზე, გარემოსდაცვითი ან მიწის საკითხებზე და კორპორატიული პასუხისმგებლობაზე, ასევე ისინი, ვინც იცავს სოციალურად მიუღებელ ან მარგინალიზებულ ჯგუფების უფლებებს – მათ შორის ღარიბი ან უსახლკაროთა, ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებელთა და აივ/შიდსით ინფექციით დაავადებულთა უფლებებს, ასევე იმ პირთა, უფლებებს, რომლებიც არიან ექსპლუატაციის მსხვერპლნი, მათ შორის ბავშვები და ტრეფიკინგის მსხვერპლები;
  - უფლებადამცველები, რომლებიც მუშაობენ სოფლის ან შორეულ ტერიტორიებზე, ასევე სადავო ან არადიარებულ ტერიტორიებზე, მიმდინარე ან პოსტ კონფლიქტურ სიტუაციებში, აგრეთვე ისინი, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების საკითხებზე. ჰუმანიტარული კრიზისების ან საგანგებო სიტუაციების და საარჩევნო კონტექსტში.
17. წევრ სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ თავიანთ ქვეყნებში არსებული სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე, უფლებადამცველთა გარკვეული ჯგუფები განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან. როგორც ასეთი, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ამ ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებები ნებისმიერი ზომების მიღებით

### სახელმწიფო ვალდებულებების არსი

18. ეუთოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა რატიფიცირებაც მოახდინეს სახელმწიფოებმა, ისევე როგორც საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა

ვალდებულებების შესაბამისად, სახელმწიფოებს აქვთ როგორც პოზიტიური, ასევე უარყოფითი ვალდებულებები, კერძოდ, ვალდებულება პატივი სცენ ადამიანის უფლებებს, და ასევე დაიცვან და შეასრულონ ისინი.

19. ICCPR-ის მიხედვით პოზიტიურ და უარყოფით მოვალეობებს რაც შეეხება, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ ICCPR მოითხოვს სახელმწიფოებისგან, თავი შეიკავონ პატივით აღიარებული უფლებების დარღვევისგან, ისევე როგორც მიიღონ შესაბამისი ზომები იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ, დაისაჯონ, გამოიძიონ ან მოახდინონ იმ ზიანის კომპენსირება, რომელიც დადგა კერძო ან სხვა პირების ქმედებების შედეგად. გარდა ამისა, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მიიღონ საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და სხვა სათანადო ზომები იმისათვის, რომ შეასრულონ ICCPR-ით გათვალისწინებული თავიანთი ვალდებულებების.<sup>24</sup>
20. ადამიანის უფლებების პატივისცემის, დაცვისა და შესრულების ვალდებულება ასევე ვრცელდება მათ უფლებებზე, ვინც იცავს ადამიანის უფლებებს. ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოებს აქვთ არა მხოლოდ ვალდებულება თავი შეიკავონ იმ ქმედებებისგან, რომლებიც არღვევს უფლებადამცველთა უფლებებს, არამედ ისინი ვალდებული არიან მიიღონ შესაბამისი ზომები უფლებადამცველთა უფლებების დასაცავად, და გადადგან ნაბიჯები რეაქტიული და პროფილაქტიკური ზომების მისაღებად ისეთი უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით, რომლის პირობებშიც უფლებადამცველები შეძლებენ თავისუფლად შეასრულონ თავიანთი საქმიანობა, დასჯის ან სხვა სახის ზიანის შიშის გარეშე. გარდა ამისა, მათ უნდა გადადგათ აქტიური საგანმანათლებლო ნაბიჯები საზოგადოებებში ადამიანის უფლებების დაცვის კულტურის განვითარების მიზნით, რომ ადამიანებისა და ჯგუფებისთვის ნორმად იქცეს საკუთარი უფლებების დაცვა ხელისუფლებასთან ან თანამოქალაქებთან ურთიერთობებში.
21. ადამიანის უფლებების პატივისცემის, დაცვის და შესრულების ვალდებულება, უფრო კონკრეტულად, უფლებადამცველთა უფლებებისა (მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის უფლება, როგორც ასეთი), ვრცელდება სახელმწიფოებზე სრულად. როგორც, მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა: „პატივის ვალდებულებები [...] სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსთვის, მთლიანობაში. მთავრობის ყველა რგოლს (აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას) და სხვა სამთავრობო სტრუქტურებს – ეროვნულ, რეგიონალურ თუ ადგილობრივ დონეებზე – ეკისრება წევრი სახელმწიფოს ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა.“ აქედან გამომდინარეობს, რომ მთავრობის ყველა შტოს აქვს ყველა დონეზე

24 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No.31, „პატივის მონაწილე მხარეების ზოგადი სამართლებრივი ვალდებულების ბუნება“ გაეროს დოკუმენტი. C/PR/C/21/Rev.1/Add.13, 2004 წლის 26 მაისი, პარაგრაფები. 6-8.



პასუხისმგებლობა უფლებადამცველთა უფლებებთან დაკავშირებით, და რომ სახელმწიფო არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ, მაგალითად, აღმასრულებელი ხელისუფლება ირწმუნება, რომ დარღვევები მთავრობის სხვა ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ქმედებების შედეგია.<sup>25</sup> გარდა ამისა, საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა უფლებადამცველთა მიმართ ჩადენილი არასწორი ქმედების გამო იმ პირების ან ჯგუფების მხრიდან, რომლებსაც არ გააჩნიათ ფორმალური სტატუსი, როგორც სახელმწიფო მოხელისა ან ორგანოსი, მაგრამ როცა ეს პირები ან ჯგუფები მოქმედებენ როგორც დე ფაქტო სახელმწიფო ორგანოები. ეს ვრცელდება, მაგალითად, ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ასეთი პირები ან ჯგუფები მოქმედებენ კონკრეტული ინსტრუქციის საფუძველზე, ან შემდგომ პერიოდში გაიცა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ნებართვა (სახელმწიფო პასუხისმგებლობის საკითხებზე არასახელმწიფოებრივი აქტორების მხრიდან ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და დასჯის შესახებ, იხ. ქვემოთ).<sup>26</sup>

**ადამიანის უფლებების საქმიანობის განხორციელებისთვის უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო**

22. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდა სახელმწიფოებს „შექმნან უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო, რომლის პირობებშიც უფლებადამცველებს შეეძლებათ იმოქმედონ თავისუფლად, შეფერხებებისა და დაუცველობის გარეშე (...)“.<sup>27</sup> თავის მხრივ, წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, „ხელი შეუწყონ საკუთარ რეაგირებაში ისეთი პირობების შექმნას, სადაც ყველას შეეძლება სრულად ისარგებლოს თავისი უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით,

25 იხ. Ibid. პარაგ. 6-8. ამ კონტექსტში ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტის ინტერპრეტაციით საერთაშორისო კონვენციის ICCPR მიხედვით სახელმწიფოების ვალდებულებებთან დაკავშირებით, სახელმწიფოთა ვალდებულებები ასევე ვრცელდება მათ ტერიტორიებს გარეთაც, მაგალითად, სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებთან მიმართებაში, რომლებიც მისი ტერიტორიის გარეთ მოქმედებენ. იხილეთ ზოგადი კომენტარი 31, პარაგრაფი 10.

26 იხ. საქმე პროკურატურა დუჟკო ტადიჩის წინააღმდეგ „საერთაშორისო ტრიბუნალის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება იმ პირებთან დაკავშირებით, ვინც პასუხისმგებელია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სერიოზულ დარღვევებზე ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში 1991 წლის შემდეგ, სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისთვის, საქმე: IT-94-1-A, 1999 წლის 15 ივლისი. რაც შეეხება სტრუქტურულად და იერარქიულად ორგანიზებულ სამხედრო დაჯგუფებებს, სახელმწიფო პასუხისმგებელია ჯგუფების მიერ ჩადენილ ქმედებებზე, თუ იგი მოქმედებდა სახელმწიფოს „საერთო კონტროლის“ ქვეშ, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებების ორგანიზებაში, კოორდინაციაში ან დაგეგმვაში. ამ ჯგუფის დაფინანსება, წვრთნისა და აღჭურვილობისთვის, აგრეთვე ოპერაციული უზრუნველყოფის პარალელურად. ამ ჯგუფის ან მისი წევრების მიერ შესრულებული ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს დე ფაქტო სახელმწიფო ორგანოების მოქმედებად, მიუხედავად მაკონტროლებელი სახელმწიფოს მიერ გაკეთებული კონკრეტული მითითებებისა, თითოეული ამ მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.“ იხ. Ibid. პარა 137.

27 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია A / HRC / RES / 22/6, პარაგრაფი 2. ანალოგიურად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა „შექმნან გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს უფლებადამცველთა მუშაობას, საშუალებას მისცემს ადამიანებს, ჯგუფებსა და გაერთიანებებს თავისუფლად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა, (...) ხელი შეუწყონ და მიზნად დაისახონ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა (...)“, იხ. ასევე „მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ევროსაბჭოს მოქმედებასთან დაკავშირებით, უფლებადამცველთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის და მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად“, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2008 წლის 6 თებერვალი, პარაგრაფი 2, <<https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1245887&Site=CM>>.

ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუტების, სათანადო სასამართლო პროცესისა და კანონის უზენაესობის დაცვის ქვეშ. ეს მოიცავს უსაფრთხო გარემოს შექმნასა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებას მშვიდობიანი დებატებისა და საზოგადოების ყველა ჯგუფის მიერ საკუთარ ინტერესთა გამოხატვის უზრუნველყოფის მიზნით.”<sup>28</sup>

23. უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის მიხედვით, უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო მოიცავს შემდეგს: ხელსაყრელი იურიდიული, ინსტიტუციური და ადმინისტრაციული სტრუქტურებს; მართლმსაჯულებაზე წვდომას და უფლებადამცველების წინააღმდეგ დანაშაულების დაუსჯელობის დასასრულს; ძლიერ და დამოუკიდებელ ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს; პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებას, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ქალ უფლებადამცველებზე; ეფექტური დაცვის პოლიტიკის და მექანიზმების შემუშავება, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღებას გაამახვილებს რისკის ჯგუფებზე; არასახელმწიფო აქტორებს, რომლებიც პატივს სცემენ და მხარს უჭერენ უფლებადამცველთა მუშაობას; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებთან უსაფრთხო და ღია წვდომას; და უფლებადამცველთა ძლიერ, დინამიურ და მრავალფეროვან საზოგადოებას.<sup>29</sup>
24. მაშასადამე, ასეთი გარემო მოითხოვს უფლებადამცველთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მთლიანობის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების და ღირსების ეფექტურ დაცვას, ისევე როგორც სხვა ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციას, რომლებიც აუცილებელია ადამიანის უფლებების სრულად დასაცავად.
25. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სფერო შინაგანად არის შერწყმული, სახელმძღვანელო ცალკეული ყურადღებას ამახვილებს უფლებადამცველთა უსაფრთხოებასა და დაცვაზე, შემდგომ კი უკვე უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოსთვის აუცილებელი სხვა ელემენტებზე.

## I. უფლებადამცველთა უფლებების დაცვის მხარდამჭერი ზოგადი პრინციპები

### უფლებადამცველთა უფლებების დაცვის საერთაშორისო განზომილების აღიარება

26. წევრ სახელმწიფოებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი იმას, რომ „საკითხები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს, ძირითად თავისუფლებებს, დემოკრატიას და კანონის უზენაესობას, არის საერთაშორისო ზრუნვის საგანი, რადგან ამ უფლებებისა და თავისუფლებებისადმი

28 იხ. მინისტრთა საბჭოს მეთერთმეტე სხდომის დოკუმენტი, „ეთოს სტრატეგია ოცდამეერთე საუკუნეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საფრთხეების აღმოსაფხვრელად“, მასტრიხტი 2003, პარაგრაფი 36.

29 უფლებადამცველთა საბჭოს მეთერთმეტე სხდომის დოკუმენტი, „ეთოს სტრატეგია ოცდამეერთე საუკუნეში უსაფრთხომარტების ანალოგიურად, რა.

პატივისცემა საერთაშორისო წესრიგის ერთ-ერთი საფუძველია.”<sup>30</sup>  
უფრო კონკრეტულად, ისინი „კატეგორიულად და შეუქცევადად აცხადებენ, რომ CSCE-ს ადამიანური განზომილების სფეროში ნაკისრი ვალდებულებები ყველა წევრ სახელმწიფოს პირდაპირი და ლეგიტიმური საზრუნავია და არა მხოლოდ იმ ქვეყნისა, რომელსაც უშუალოდ ეხება იგი”.<sup>31</sup>

27. ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა კომიტეტი აცხადებდა, რომ ICCPR-ის მიხედვით სახელმწიფო ვალდებულებებთან დაკავშირებით, „ყველა წევრ სახელმწიფოს სამართლებრივ ინტერესს წარმოადგენს ყველა სხვა დანარჩენი წევრი სახელმწიფოების მხრიდან თავიანთი ვალდებულებების შესრულება. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ „ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებული წესები“ წარმოადგენენ erga omnes ვალდებულებებს და, რომ, როგორც ეს პაქტის პრეამბულის მეოთხე ნაწილშია განსაზღვრული, არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული ვალდებულება ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემისა და დაცვის ხელშეწყობის თაობაზე.”<sup>32</sup>
28. მეტიც, წევრ სახელმწიფოებმა კეთილსინდისიერად უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან უსაფრთხოების საფრთხის ან სხვა მსგავსი საკითხის მოგვარების საქმეში, რაც უარყოფითად აისახება ადამიანის უფლებების დაცვის უფლების განხორციელებაში მათ ქვეყანაში. სახელმწიფოებმა არ უნდა მიიჩნიონ არამეგობრულ ქმედებად ის, როდესაც სხვა წევრი სახელმწიფო გამოხატავს ინტერესს მათ ქვეყანაში უფლებადამცველების მდგომარეობის მიმართ. ეუთოს ვალდებულებების მიხედვით და იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებების დაცვა ხშირად სცდება ქვეყნის საზღვრებს, წევრ სახელმწიფოებმა ასევე ხელი უნდა შეუწყონ ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობას, რომელიც ეხება მათ ქვეყანას და ასევე ხორციელდება სხვა ქვეყნების უფლებადამცველების მიერ.<sup>33</sup>

**არასახელმწიფო აქტორების ანგარიშვალდებულება**

29. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე განსხვავებული განმარტება იმისა, თუ რომელი პირები კლასიფიცირდებიან, როგორც არასახელმწიფო აქტორები, წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებისათვის ეს ტერმინი უფრო ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. ეს ტერმინი მოიცავს კერძო პირებს და ყველა სხვა აქტორს, გარდა

30 მოსკოვი, 1991, პრეამბულა.  
31 Ibid. ასევე იხ. ლისაბონის დოკუმენტი, სახელმწიფო ან მთავრობათა მეთაურების სამიტი „დეკლარაცია 21-ე საუკუნის ევროპის უსაფრთხოების მოდელზე“ ლისაბონი, 1996, პარაგრაფი 5; ევროპული უსაფრთხოების ქარტია, “ჩვენი ზოგადი პასუხი”, სტამბოლი, 1999, პარაგრაფი 7; ასტანა 2010, პარაგრაფები 3 და 6.  
32 იხ. გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი No. 31, CCPR/C/21/Rev.1/Add.13, 26 მაისი 2004, პარაგრაფი 2.  
33 მაგ. მოსკოვის დოკუმენტში, წევრ სახელმწიფოებმა ასევე აიღეს ვალდებულება „ხელი შეუწყონ მათ ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ვიზიტებს, ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოდან, ადამიანური განზომილების პირობებზე დაკვირვების მიზნით“. იხ. მოსკოვი 1991, პარაგრაფი 43.4.

სახელმწიფოებისა, მათი სტატუსის ან სახელმწიფოსთან კავშირის მიუხედავად. შესაბამისად, არასახელმწიფო აქტორები მოიცავს პოლიტიკურ ან სოციალურ ჯგუფებს, რელიგიურ ლიდერებსა და ინსტიტუტებს (მათ შორის ისეთებს, რომელთაც სახელმწიფოში სპეციალური სტატუსი აქვთ მინიჭებული), მედია კორპორაციებს, ბიზნესებს (მათ შორის, მულტინაციონალურ კორპორაციებს და ფართომასშტაბიან ინდუსტრიებს, როგორცაა სოფლის მეურნეობა ან მომპოვებელი საწარმოები), კერძოდ დაქირავებულ უსაფრთხოების სამსახურებს, ასევე შეიარაღებულ ჯგუფებს და კრიმინალურ ორგანიზაციებს, ა.შ.

30. უფლებადამცველთა საქმიანობასთან არასახელმწიფო აქტორების ურთიერთობის თვალსაზრისით, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოიწვია „ლიდერები საზოგადოების სახვადსხვა სფეროდან, მათ შორის, პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური წრეებიდან, ასევე ლიდერები ბიზნეს და მედია სექტორებიდან, რათა მათ გამოხატონ საზოგადოებრივი მხარდაჭერა უფლებადამცველთა მნიშვნელოვანი როლის და მათი საქმიანობის ლეგიტიმურობის მიმართ.“<sup>34</sup>

31. რაც შეეხება ბიზნესს, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მიღებული ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპები ხაზს უსვამენ, რომ ბიზნეს საწარმოებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებს, ე.ი. მათ თავი უნდა აარიდონ ადამიანის უფლებების შელახვას და უნდა იზრუნონ იმ უარყოფით ზემოქმედებაზე, რომელსაც მათ ბიზნეს საქმიანობა იწვევს ადამიანის უფლებათა კუთხით. ამისათვის, როგორც სახელმძღვანელო პრინციპებში არის მითითებული, ბიზნეს საწარმოებმა უნდა აიღონ პოლიტიკური ვალდებულებები – მათი მოცულობისა და არსებული გარემოებების გათვალისწინებით – რათა გამოკვეთონ, აღკვეთონ, შეამცირონ და შეადგინონ ანგარიში იმის თაობაზე, თუ როგორ ანდენენ ისინი გავლენას ადამიანის უფლებებზე, ასევე შეიმუშაონ პროცესები, რომლებიც მოახდენენ ადამიანის უფლებების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებას, რომლებიც გამოწვეული ან პროვოცირებულია მათ მიერ.<sup>35</sup> ბიზნეს კორპორაციებს უნდა მოუწოდდნენ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ რა გავლენა აქვს მათ საქმიანობას უფლებადამცველთა მდგომარეობაზე.

34 A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი. 18.

35 იხ. გენერალური მდივნის სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ადამიანის უფლებების და ტრანსნაციონალური კორპორაციების და სხვა ბიზნეს კორპორაციების საკითხებზე, ჯონ რაგი, „სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესსა და ადამიანის უფლებებზე: გაეროს დაცვის, პატივისცემის და დახმარების ჩარჩოს შესრულება“, გაეროს დოკუმენტი A/HRC/17/31, 23 მარტი 2011, მე-15 პრინციპი. სახელმძღვანელო პრინციპებს მოწონება გაუყუთა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ, იხ. რეზოლუცია A/HRC/17/31, 16 ივნისი 2011, პარაგრაფი 1. ამ საკითხზე ასევე იხილეთ უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში დიდი მასშტაბის განვითარების პროექტების თაობაზე, გაეროს დოკუმენტი, A/68/262, 5 აგვისტო 2013; და გაეროს სამუშაო ჯგუფის ანგარიშები ადამიანის უფლებების და ტრანსნაციონალური კორპორაციების და სხვა ბიზნეს კორპორაციების საკითხებზე, მაგალითად გაეროს დოკუმენტი A/HRC/23/32, 14 მარტი 2013, რომელშიც სამუშაო ჯგუფმა აღნიშნა „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა და უფლებადამცველთა როლი ადამიანის უფლებებზე ზოგიერთი ბიზნეს საქმიანობის ნეგატიური გავლენის თაობაზე ცნობიერების ამაღლებაში, ისევე როგორც უფლებადამცველების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მიმართ დანაშაულების და რეპრესიების პრობლემების მოგვარების საკითხები“ (პარაგრაფები 47 და 49).



გავლენის შეფასების პროცესში მათ უნდა ჩაერთონ უფლებადამცველები და სხვა პოტენციურად დაზარალებული ჯგუფები და სხვა დაინტერესებული მხარეები, მნიშვნელოვანი კონსულტაციების გზით.<sup>36</sup>

32. არასახელმწიფო აქტორების უნარის პარალელურად, რომელიც მოიცავს მათ მნიშვნელოვან როლს ფლებადამცველების მეტი დაცულობის უზრუნველყოფაში, მათ შორის მათი საქმიანობის მხარდაჭერით და პოპულარიზაციით, მთავარი პასუხისმგებლობა და მოვალეობაა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მათ შორის, უფლებადამცველთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ეკისრება სახელმწიფოებს.<sup>37</sup> როგორც ასეთი, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება დაიცვან უფლებადამცველები არასახელმწიფო აქტორების მხრიდან ძალადობისგან, მათ შორის ეფექტური საკანონმდებლო ცვლილებების და სხვა ზომების მიღებით, რომლებიც მიმართული იქნება ამგვარი დანაშაულების პრევენციის, გამოძიების, დასჯისა და კომპენსირებისკენ.

33. ბიზნესის და ადამიანის უფლებების საკითხებზე სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, სახელმწიფოებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ მოლოდინი, რომ ყველა ბიზნეს საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია და ოპერირებს მათ ტერიტორიაზე და/ან იურისდიქციის ქვეშ, პატივს სცემდეს ადამიანის უფლებებს თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას.<sup>38</sup> იგივე შეიძლება ითქვას სხვა კერძო აქტორებთან მიმართებაშიც, მათ შორის პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური ჯგუფების ან ინსტიტუტების და მედიის მიმართ. როგორც ასეთი, მონაწილე სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთ კერძო პირებთან ან სხვა არასახელმწიფო აქტორებთან თანამშრომლობისგან და პასუხი მოთხოვონ მათ, ვინც მოქმედებენ უფლებადამცველების წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციები გადანაწილებულია კერძო აქტორებზე, როგორებიცაა სამხედრო და უსაფრთხოების კომპანები და სხვა ჯგუფები. როდესაც არსებული კანონმდებლობა,

36 გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური მომხსენებელი ბიზნესისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ასევე რეკომენდაციას იძლევა, რომ ბიზნეს საწარმოებმა კონსულტაციები გაიარონ „სანდო, დამოუკიდებელ რესურსებთან, მაგალითად უფლებადამცველებთან; ინიციურ „სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესის და ადამიანის უფლებების საკითხებზე“ კომენტარი მე-18 პრინციპის შესახებ.

37 ინიციურ ვერსიის საბჭოს „მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ევროსაბჭოს მოქმედებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებების დამცველთა უფლებების დაცვის შესახებ და მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად“ მიღებული 2008 წლის 6 თებერვალს, წინასიტყვიით პუნქტი. 9; და UNGA რეზოლუცია A / RES / 66/164, პრეამბულის პარაგრაფი 15.

38 „სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესის და ადამიანის უფლებების საკითხებზე“, პრინციპი 2. რაც შეეხება უფრო კონკრეტულად საზღვრებს გარეთ მოქმედ კერძო კომპანიებს, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გაიხსენა ეს პრინციპი, მაგალითად, გერმანიის შესახებ ბოლო დასკვნებში და მოუწოდა მონაწილე მხარეებს მკაფიოდ გამოეცხადებინათ ეს მოლოდინი და აგრეთვე მიიღოთ სათანადო ზომები იმ ადამიანების დასაცავად, რომლებიც წარმოადგენენ გერმანიის საზღვრებს გარეთ მოქმედი ბიზნეს საწარმოების მსხვერპლთ. ინიციურ „დასკვნითი შეფასებები გერმანიასზე“, გაეროს დოკუმენტი. CCPR /C/DEU/CO/6, 2012 წლის 12 ნოემბერი, პუნქტი 16. 26-ე პრინციპის კომენტარში, სახელმწიფოზე დაუფძნებელი სასამართლო მექანიზმების თაობაზე, როცა საქმე შეეხება ბიზნესთან დაკავშირებული უფლებების დარღვევას, სახელმძღვანელო პრინციპები რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს კონკრეტულად უზრუნველყონ „რომ არ მოხდეს უფლებადამცველთა კანონიერი და მშვიდობიანი საქმიანობის დაბრკოლება“.



პოლიტიკა და პრაქტიკა არ არის საკმარისი არასახელმწიფო აქტორების პასუხისმგებლობის დასადგენად, სახელმწიფოებმა უნდა შეცვალონ ისინი ან მიიღონ ახალი კანონმდებლობა და პრაქტიკა ამ კუთხით.

### თანასწორობა და დისკრიმინაციის არარსებობა

34. ICCPR-ის 26-ე მუხლი ადგენს, რომ: „ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს კანონის დაცვის თანაბარი უფლება. ამ თვალსაზრისით, კანონმა უნდა აკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და ყველა ადამიანს მისცეს თანაბარი და ეფექტური დაცვის გარანტია დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისგან, როგორცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობა, ქონება, დაბადების ადგილი ან სხვა ნებისმიერი სტატუსი.“ გარდა ამისა, ICCPR-ის მე-2 მუხლი წევრი სახელმწიფოებისგან ითხოვს, რომ მათ „საკუთარ ტერიტორიაზე და იურისდიქციის ქვეშ, პატივი სცენ ნებისმიერი პირის უფლებას, რომელიც აღიარებულია მოცემულ პაქტში, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე, როგორცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობა, საკუთრება, დაბადების ადგილი თუ სხვა სტატუსი.“ ანალოგიურად, ICESCR-ის მე-2 მუხლი უზრუნველყოფს ამ პაქტით გათვალისწინებულ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს ყველასთვის, ყოველგვარი განსხვავების გარეშე. საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ICERD) უზრუნველყოფს რასობრივი დისკრიმინაციისაგან დაცვას, რაც განიმარტება როგორც “ნებისმიერი ნიშნით განსხვავება, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება რასობრივი, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით, რაც მიზნად ისახავს ან იძლევა ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობის თანაბარი პირობების გაუქმების ან გაუფასურების საშუალებას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში.”<sup>39</sup>

35. დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასევე მყარად არის ასახული ადამიანის უფლებების შესახებ რეგიონალურ ხელშეკრულებებში, მათ შორის, ACHR-ის 1 და 24 მუხლებში, ECHR-ის მე-14 მუხლოში<sup>40</sup> და ECHR-ის მე-12 ოქმში, FCNM-ის<sup>41</sup> მე-4 მუხლოში და სხვა სტანდარტები. მათ შორის, ევროკავშირის (EU) რასობრივი თანასწორობის დირექტივა.<sup>42</sup>

39 ICERD, მუხლი 1.

40 ACHR-ს პირველი მუხლი იძლევა კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლების დაცვის შესაძლებლობას, ყოველგვარი განსხვავების გარეშე. გარდა ამისა, მუხლი 24 ითვალისწინებს კანონის წინაშე თანასწორი დაცვის საყოველთაო უფლებას.

41 ECHR-ის მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვა შეზღუდული ხასიათის არის და ვრცელდება მხოლოდ კონვენციით გარანტირებულ უფლებებზე. თუმცა, ECHR-ის მე-12 პროტოკოლი შეიცავს დისკრიმინაციის წოგად აკრძალვას.

42 საბჭოს დირექტივა 2000/43/EC, 29 ივნისი 2000, ადამიანებთან თანასწორი მოპყრობის პრინციპის შემუშავება, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32000L0043:en:HTML>>

36. როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, „დისკრიმინაციის აკრძალვა, კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობასთან ერთად და კანონის წინაშე დისკრიმინაციის გარეშე თანაბარი დაცვის უფლებასთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ძირითად და ზოგად პრინციპს“<sup>43</sup> და, შესაბამისად, უფლებადამცველთა უფლებების დაცვისას. ICCPR-ის 26-ე მუხლის თანახმად, კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის თანაბარი დაცვა გულისხმობს, რომ კანონებს, ისევე როგორც კანონებიდან გამომდინარე პრაქტიკას არ უნდა ჰქონდეს დისკრიმინაციული ხასიათი; როგორც ასეთი, აკრძალულია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი დისკრიმინაცია. არაპირდაპირი დისკრიმინაციის აღგობსება ადგილი აქვს, მაგალითად, როდესაც ერთი შეხედვით კანონის არადისკრიმინაციული დებულება ახდენს გარკვეულ ჯგუფებზე არაპროპორციულ გავლენას. როგორც ეს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ არის დადგენილი, კანონის წინაშე თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციისგან თავისუფლება ასევე მოითხოვს სახელმწიფოებისგან საჯარო თუ კერძო აქტორების და ორგანოების მხრიდან ნებისმიერ სფეროში არსებულ დისკრიმინაციასთან შებრძოლებას.<sup>44</sup>

37. მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება უზრუნველყონ, რომ პირებმა, მათ შორის მათი ოჯახის წევრებმა, რომლებიც იყენებენ, გამოხატავენ გამოყენების განზრახვას ან ცდილობენ გამოიყენონ თავიანთი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, აღნიშნულის გამო და შედეგად არ განიცადონ რაიმე სახის დისკრიმინაცია.<sup>45</sup> შესაბამისად, პირები, რომლებიც ამ უფლებებსა და თავისუფლებებს იყენებენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ და მიადწიონ ადამიანის უფლებების დაცვას და რეალიზაციას, არ უნდა იყვნენ დისკრიმინირებული თავიანთი საქმიანობის გამო.

38. უფლებადამცველები დაცულები უნდა იყვნენ დისკრიმინაციისაგან მათი უფლებების მთლიანი ჩამონათვალის გამოყენებისას, მათ შორის, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების, რომელთაგან ყველა „განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და უნდა იქნას სრულად გამოყენებული, ნებისმიერი საშუალებით.“<sup>46</sup> ეს ასევე მოიცავს საჯარო მომსახურებაზე თანაბარი წვდომის უფლებას, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, საცხოვრებელი ადგილი, განათლება ან

43 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი „ზოგადი კომენტარი No.18: არა დისკრიმინაციის“, 10 ნოემბერი 1989, პარაგრაფი 1. CEDAW-ის პირველი მუხლში მოცემული ტერმინის „ქალთა დისკრიმინაციის გარეშე“ დეფინიციის მიხედვით, სიტყვა „დისკრიმინაცია“ ადამიანის უფლებათა კომიტეტის აზრით გაგებული უნდა იყოს ისე, რომ ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა, აკრძალვა ან უპირატესობა, რომელიც ეუფძება ICCPR-ის 2 და 26 მუხლებით განსაზღვრულ ნებისმიერ საფუძველს, და რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად გამოიწვევს ყველა ადამიანის მიერ ყველა უფლების გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვას ან ხელყოფას. იხ. *ibid.* პარაგრაფი 7.

44 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი No.28, მუხლი 3, „მამაკაცებისა და ქალების უფლებების თანასწორობა“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/21/Rev.1/Add.10, 29 მარტი 2000, პარაგრაფი 31.

45 ვენის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი – ჰელსინკის კონფერენციის მესამე შემაჯამებელი შეხვედრა, ვენა 1989, „ევროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები: პრინციპები“, პარაგრაფი 13.8.

46 Vienna 1989, პარაგრაფი 12.

დასაქმება. აღნიშნული სერვისებზე დაშვებისას დისკრიმინაცია ხშირად გამოიყენება როგორც იარაღი უფლებადამცველების გასაჩუმებლად ან მათი საქმიანობისთვის ხელის შესაშლელად. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოფონ, რომ უფლებადამცველებს და მათი ოჯახის წევრებს ჰქონდეთ თანაბარი წვდომა საჯარო სერვისებზე სხვა ადამიანების მსგავსად, და დაიცვან ისინი ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან, როგორც მათი უფლებადამცველი საქმიანობის, ისე მათი ახლობლების უფლებადამცველი საქმიანობის პროცესში.

39. გარდა ამისა, პირთა დისკრიმინაცია არ უნდა განხორციელდეს ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე საფუძვლით მათი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას, მათ შორის, მაშინაც, როდესაც ასეთი დისკრიმინაცია ხელს უშლის მათ თავისუფლად განახორციელონ თავიანთი უფლებების დაცვა სხვებთან თანაბარი საფუძვლებით, მაგალითად, დისკრიმინაციული შეზღუდვების დაწესებით აზრისა და გამოხატვის თავისუფლებასა თუ შეკრებისა და გაერთიანების უფლებაზე გარკვეული ჯგუფებისთვის, რომლებიც, მაგალითად, მიეკუთვნებიან ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობას ან სხვა ჯგუფებს.
40. დისკრიმინაციის აკრძალვის შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოფონ, რომ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე და იურისდიქციის ქვეშ ყველა ადამიანი სარგებლობდეს ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით,<sup>47</sup> მიუხედავად მათი ეროვნებისა თუ მოქალაქეობრივი სტატუსისა, და მათ შორის თავშესაფრის მძიებლები, ლტოლვილები, მიგრანტი მუშები და სხვა.<sup>48</sup> ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს მიეკუთვნებულ პირთა უფლებების შესახებ გაეროს დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი უფლებები (...) როგორც ინდივიდუალურად, ისე მათი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, კოლექტიურად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.“<sup>49</sup> ანალოგიურად, გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ ხაზს უსვამს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სრულად და თანაბრად სარგებლობის დაცვის და უზრუნველყოფის“ აუცილებლობას.<sup>50</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის (CEDAW) მე-3 მუხლის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ (...) ყველა საჭირო ზომა (...) ქალთა სრულფასოვან განვითარების უზრუნველსაყოფად, მათ მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გამოყენების და სარგებლობის უზრუნველსაყოფად მამაკაცებთან თანაბარ საფუძვლებზე.“<sup>51</sup>

47 ვენა 1989.

48 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი 31, პარაგრაფი. 10.

49 მუხლი 3.

50 მუხლი 1.

51 CEDAW, მუხლი 3

41. რაც შეეხება ICCPR-ს, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დისკრიმინაციის საწინააღმდეგო დებულებები განსაზღვრა 3-ე მუხლის მე-2 და 26-ე მუხლებში და აღნიშნული განმარტების მიხედვით იგი გულისხმობს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის გამო, ხოლო ნებისმიერი სახის მითითება „სქესზე“ განეკუთვნება დისკრიმინაციის აკრძალულ საფუძველს.<sup>52</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec (2010)5 რეკომენდაცია მონაწილე სახელმწიფოებისთვის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული თვითმყოფადობის საფუძველებით დისკრიმინაციასთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ – განსაზღვრავს კონკრეტულ ნაბიჯებს ამ მიმართულებით.<sup>53</sup>
42. როგორც ასეთი, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ თითოეული ადამიანის უფლებას დაიცვას ადამიანის უფლებები თანაბრად. აღნიშნულის განხორციელებისას წევრ სახელმწიფოებს შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში ჰქონდეთ ვალდებულება, განსხვავებულად მოეპყრან ადამიანებს, თუ/როცა მათი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება.<sup>54</sup> როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა

52 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები, საქმე ტუნენი ავსტრალიის წინააღმდეგ (*Toonen v. Australia*), კომუნიკაცია No.488/1992, აშშ-ს დოქტორი CCPR/C/50/D/488/1992, პარაგრაფი 8.7. ამტკიცდამის ხელშეკრულების მე-13 მუხლი ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის ვალდებულებას „მიიღოს აუცილებელი ზომები სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიზნით“, ხოლო ძირითადი უფლებების შესახებ ევროკავშირის ქარტიის 21-ე მუხლის 2-ე პუნქტი კრძალავს „რაიმე სახის დისკრიმინაციას რაიმე ნიშნით“, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე. ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმე *Salgueiro da Silva Mouta v Portugal*, (საქმე ნომერი 33 33290/96, 1999 წლის 21 დეკემბერი) დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციისგან დაცვა ასევე მოიცავს დისკრიმინაციის სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე, დისკრიმინაციის ხოლო დისკრიმინაციის საფუძველები რომლებიც მე-14 მუხლითა მოცემული, ილუსტრაციულია და არა ამოწმურავი, როგორც ეს მოცემულია შემდეგ სიტყვებში: „ნებისმიერი საფუძველი, როგორცაა“. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმის განმარტებითი მოხსენების თანახმად, რომელიც ავსებს მე-14 მუხლს დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვით, პროტოკოლი ასევე იცავს სექსუალური ორიენტაციის დისკრიმინაციას <<http://www.conventions.coe.int/Treaty/en/Reports/Html/177.htm>>, პარ. 20. გარდა ამისა, *იოგიაკარტას პრინციპებმა* კიდევ უფრო ნაზგასმით აღნიშნა, რომ „ყველას აქვს უფლება, თანაბრად ისარგებლოს ადამიანის უფლებებით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიადაგით... მიუხედავად იმისა, რომ პრინციპები არ წარმოადგენს ეუთოს სავალდებულო დოკუმენტს, ისინი შეიმუშავეს და მიღებულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მათ შორის გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური მომხსენებლების ჩათვლით, და, შესაბამისად, სასარგებლო სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენს. იხილეთ *იოგიაკარტას პრინციპები*, „პრინციპები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გამოყენების შესახებ სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობასთან მიმართებაში“, პრინციპი 2.

53 რეკომენდაცია CM/Rec(2010)5, რომელიც მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 31 მარტს, <[http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/Publications/LGBT\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/Publications/LGBT_en.pdf)>.

54 იხილეთ ECHR-ის გადაწყვეტილება საქმეზე *Thlimmenos v. Greece* (2000), პარაგრაფი 44, რომელიც ნათქვამია, რომ: „სასამართლოს აქამდე მიაჩნია, რომ მე-14 მუხლით გათვალისწინებული უფლებები არ უნდა იყოს დისკრიმინირებული კონვენციით გარანტირებული უფლებების შესრულებით, და ირღვევა, როდესაც სახელმწიფოები განსხვავებულად ეპყრობიან პირებს ანალოგიურ სიტუაციებში, ობიექტური და გონივრული დასაბუთების გარეშე [...] ამათთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს არ არის მხოლოდ მე-14 მუხლში დისკრიმინაციის აკრძალვის ერთადერთი ასპექტი. კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობისას დისკრიმინაციის განუხორციელებლის უფლება აგრეთვე ირღვევა იმ შემთხვევებშიც, როდესაც სახელმწიფოები ობიექტური და გონივრული დასაბუთების გარეშე ვერ უზრუნველყოფენ განსხვავებულად მოეპყრან პირებს, რომელთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება.“

განაცხადა, თანასწორობის პრინციპი ზოგჯერ მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა მიიღონ პოზიტიური ზომები იმისათვის, რათა შეამცირონ ან აღმოფხვრან ის პირობები, რომლებიც იწვევენ ან ხელს უწყობენ დისკრიმინაციის ფაქტებს.<sup>55</sup> ICERD-ი ასევე ცალსახად ითვალისწინებს სპეციალურ ზომებს გარკვეული რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფების ან პირთა სათანადო განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც საჭიროებენ ამგვარ დაცვას.<sup>56</sup> ანალოგიურად, FCNM-ი წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ხელი შეუწყონ იმ პირთა ეფექტურ თანასწორობას, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცნობების ყველა სფეროში და რომ ეს ზომები არ ჩაითვალოს დისკრიმინაციულ ქმედებად.<sup>57</sup>

43. უფლებადამცველების უფლებების დაცვას ზურგს უნდა უმაგრებდეს შესაბამისი ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობა და პოლიტიკა, რომლებიც შესთავაზებენ ეფექტურ სამართლებრივ და სხვა დაცვას დისკრიმინაციის წინააღმდეგ, მათ შორის მათ, ვინც განიცდიან მრავალჯერად ან მრავალ საფუძვლიან დისკრიმინაციას.<sup>58</sup> უფლებადამცველთა დასაცავად შექმნილი უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო უნდა ასახავდეს და პასუხობდეს იმ უფლებადამცველთა სპეციფიკურ საჭიროებებს, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას.

44. კერძოდ, უფლებადამცველთა უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით განხორციელებული ყველა ღონისძიება უნდა იქნას შესწავლილი, რათა დადგინდეს თუ რა გავლენას იქონიებს იგი გენდერის გათვალისწინებით, ასევე, მისი უნებლოე გავლენის დასადგენად სტერეოტიპებისა და გამორიცხვის ფორმების გაძლიერებაში. შესაბამისად, UNGA-მ გამოთქვა განსაკუთრებული შეშფოთება „სისტემური და სტრუქტურული დისკრიმინაციისა და შევიწროვების ფაქტების შესახებ, რომელსაც აწყდებიან სხვადასხვა ასაკის ქალი უფლებადამცველები“ და მოუწოდა სახელმწიფოებს „მიიღონ ყველა ზომა, რაც აუცილებელია მათი დაცვის უზრუნველსაყოფად. მან ასევე მოუწოდა მათ გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებისკენ იმ ძალისხმევაში, რომელიც ემსახურება უფლებადამცველთათვის უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შექმნას.“<sup>59</sup>

55 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #18, 1989 წ., პარაგრაფი 10.

56 ICERD, მუხლი 1(4).

57 FCNM, მუხლი 4.

58 CM/Rec (2010)5 რეკომენდაციის განმარტებითი მემორანდუმში ტერმინებს განმარტავს შემდეგნაირად: „შეიძლება ითქვას, რომ ადგილი აქვს მრავალმხრივ დისკრიმინაციას, როდესაც ადამიანი განიცდის დისკრიმინაციას სულ ცოტა ორი საფუძვლით მისი კავშირის გამო, ან სულ ცოტა ორი ამგვარი საფუძვლის კომბინაციის შედეგად. ამ უკანასკნელ შემთხვევას ხშირად მრავალ საფუძვლიან დისკრიმინაციას უწოდებენ. ამის მაგალითს წარმოადგენს, როდესაც ლეზბოსეულობა ქალს ეპყრობიან ნაკლებად კეთილგანწყობილად, ვიდრე ჰეტეროსექსუალ ქალს, მაგრამ ამავედროულად უფრო ნაკლებად კეთილგანწყობილად, ვიდრე გეი მამაკაცს მოეპყრობოდნენ.“

59 UNGA რეზოლუცია 68/181, 2013 წლის დეკემბერი, პარაგრაფი 5.



**ხელშეწყობი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ჩარჩო**

45. წევრ სახელმწიფოებს აქვთ პოზიტიური მოკვლეობა, მიიღონ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა სათანადო ზომები იმ უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შექმნისა და კონსოლიდაციისთვის, რომელიც უფლებადამცველებს მისცემს საშუალებას თავისუფლად განხორციელონ ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობა. უფლებადამცველთა შესახებ გაეროს დეკლარაციის მე-3 მუხლის შესაბამისად, შიდა კანონმდებლობა უზრუნველყოფს სამართლებრივ ჩარჩოს ადამიანის ყველა უფლებისა და ძირითადი თავისუფლების განხორციელების მიზნით, მათ შორის ადამიანის უფლების დაცვის უფლებისა. როგორც ასეთი, იგი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებს ადამიანის უფლებების სფეროში.<sup>60</sup> გარდა ამისა, იგი სათანადოდ უნდა იქნას შექმნილი, ფართო და ფართოდმომცველი კონსულტაციების პროცესის შედეგად და საფუძველზე.
46. კერძოდ, როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ აღნიშნა, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა ის სამართლებრივი დებულება და მათი გამოყენება, რომელიც გავლენას ახდენს უფლებადამცველებზე, მკაფიოდ განსაზღვრული იყოს, გასაგები იყოს და არ იწვევდეს ორპიროვნებას, რათა შესაძლებელი არ იყოს მისი ბოროტად გამოყენება.<sup>61</sup> ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის ბოლო დროს წარდგენილი ანგარიშის მიხედვით, უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა გამოთქვა შემოთავაზება, რომ რიგ ქვეყნებში კანონმდებლობა გამოიყენება უფლებადამცველთა საქმიანობის შეზღუდვისა და მათი კრიმინალიზაციის მიზნით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობის და სტანდარტების დარღვევით (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ქვემოთ სასამართლოში შევიწროებისგან, კრიმინალიზაციისგან, თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრებისგან) დაცვა.<sup>62</sup>

60 გაეროს დეკლარაციის მე-3 მუხლის თანახმად: „შიდა კანონმდებლობა, რომელიც შეესაბამება გაეროს წესდებას და სახელმწიფოს სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების სფეროში, წარმოადგენს იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც უნდა ხორციელდებოდეს და სრულდებოდეს ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები და რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ყველა იმ უფლებისა და თავისუფლების განხორციელება, რომლის ხელშეწყობა, დაცვა და ეფექტური რეალიზაცია მოცემულია წინამდებარე დეკლარაციაში.“ იხილეთ აგრეთვე გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს A/HRC/RES/22/6 რეზოლუციის პარაგრაფი 3, რომელიც ხაზს უსვამს „რომ კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს და გავლენას ახდენს უფლებადამცველთა საქმიანობაზე, აგრეთვე მისი გამოყენება, უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობას, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს, და უნდა ხელმძღვანელობდეს „ადამიანების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ დეკლარაციით, ხელი შეუწყოს და დაიცვან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და ძირითადი თავისუფლებები“ და ამ კუთხით გამოხდეს უფლებადამცველთა საქმიანობაზე ნებისმიერი ისეთი შეზღუდვის დაწესებას, რომელიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოვა.“

61 A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 11.

62 იხ. უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/HRC/25/55, 23 დეკემბერი 2013, პარაგრაფი 64.

47. მაშასადამე, წევრმა სახელმწიფოებმა, სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციებისა და შესაბამისი საერთაშორისო სააგენტოების ტექნიკური რჩევების საფუძველზე, უნდა განიხილონ კანონმდებლობა, რომელიც ეხება ადამიანის უფლებების დაცვის უფლების განხორციელებას, და ცვლილებები შეიტანონ ან გააუქმონ ისეთი კანონები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნულ პროცესში სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ და გაითვალისწინონ ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების მოსაზრებები, როგორცაა ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის (ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია), ეუთო/ODIHR და მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენელი. მათ ასევე უნდა გადახედონ შესაბამის პოლიტიკას, პრაქტიკას და მთლიანი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური სისტემის ფუნქციონირებას და მიიღონ შესაბამისი ზომები ადამიანის უფლებების დაცვის უფლების განხორციელების ნებისმიერი ხელისშემშლელი გარემოების აღმოფხვრის მიზნით.
48. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ხაზი გაუსვა იმ NHRI-ის მნიშვნელობას, რომლებიც შექმნილია და მოქმედებს პარიზის პრინციპების შესაბამისად, ამ კონკრეტულ კონტექსტში, იმ NHRI-ების მუშაობის მნიშვნელობას, რომლებიც ახორციელებენ არსებული კანონმდებლობის მუდმივ მონიტორინგს და სახელმწიფოებს მუდმივად აწვდიან ინფორმაციას უფლებადამცველების საქმიანობაზე მათი გავლენის შესახებ, მათ შორის აძლევენ მათ რეგულაციურ და კონკრეტულ რეკომენდაციებს.<sup>63</sup>
49. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საჯარო მოსამსახურებმა, მათ შორის სამართალდამცავმა ორგანოებმა, სასამართლოს წარმომადგენლებმა და სხვა თანამდებობის პირებმა გაიარონ სწავლება სახელმწიფოების ვალდებულებების თაობაზე, ადამიანის უფლებების პატივისცემის, დაცვის და შესრულების კუთხით, მათ შორის ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებაზე.<sup>64</sup>
50. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საგანმანათლებლო და სხვა ზომები, პაქტის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, არა მხოლოდ საჯარო მოსამსახურებისთვის, არამედ ზოგადად საზოგადოებისთვისაც.<sup>65</sup>

63 პარაგრაფი 16. ასევე იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია უფლებადამცველების უფლებების დაცვის გაუმჯობესების და მათი საქმიანობის ხელშეწყობის თაობაზე“ (პარაგრაფი 2). ეროვნული ინსტიტუტების სტატუს შესახებ პრინციპები ანუ, ე.წ. პარიზის პრინციპები მიღებულ იქნა UNGA-ს 1993 წლის 20 დეკემბრის 48/134 რეზოლუციით. პარიზის პრინციპები აყალიბებენ იმ სტანდარტებს, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლს, შემადგენლობას, სტატუსს და ფუნქციებს და მათი დამოუკიდებლობის გარანტიებს. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტი (ICC), დაფუძნებული 1993 წელს NHRI-ების ხელშეწყობა და გასაძლიერებლად, განიხილავს და აკრედიტაციას ანიჭებს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების პარიზის პრინციპების შესაბამისად. პრინციპები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <<http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/StatusOfNationalInstitutions.aspx>>.

64 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 12.

65 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 31, „ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებზე დაკისრებული ზოგადი სამართლებრივი ვალდებულებების ბუნება“, UN დოკუმენტი CCPR/C/21/Rev.1/Add.13, 26 მაისი 2004, პარაგრაფი 7. ასევე იხ. გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოდ რეზოლუცია A/HRC/RES/24/16, მიღებული 2013 წლის 27 სექტემბერს 2013, პარაგრაფი 3.

წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიიღონ ასეთი ზომები სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში, უფლებადამცველთა უფლებების დაცვის თაობაზე, წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების ჩათვლით.<sup>66</sup>

**ადამიანის უფლებათა საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი უფლებების შეზღუდვების კანონიერება, აუცილებლობა და პროპორციულობა**

51. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები იძლევა ზოგიერთ უფლებაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას, მკაცრად განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში. ეს უფლებები მოიცავს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, შეკრებისა და გაერთიანების უფლებას (ICCPR-ის 19, 21 და 22 მუხლები; ECHR-ის 10 და 11 მუხლები; და ACHR-ის 13, 15 და 16 მუხლები); გადაადგილების თავისუფლებას (ICCPR-ის მე-12 მუხლი, ECHR-ის მე-4 პროტოკოლის მე-2 მუხლი; და ACHR-ის 22-ე მუხლი); და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას (ECHR-ის მე-მუხლი).<sup>67</sup> არც ერთ შემთხვევაში არ არის ნებადართული იმ უფლებების და ძირითადი პრინციპების შეზღუდვა, რომლებიც აღიარებულია აბსოლუტურ უფლებად/პრინციპად.
52. უფლებადამცველთა შესახებ გაეროს დეკლარაციის მე-17 მუხლი განმარტავს რომ „მოცემულ დეკლარაციაში განსაზღვრული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენებისას, ნებისმიერ პირზე, მოქმედებს იგი დამოუკიდებლად თუ სხვებთან ერთად, ვრცელდება მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც შეესაბამება მოქმედ საერთაშორისო ვალდებულებებს და კანონით დადგენილია მხოლოდ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო აღიარებისა და პატივისცემის მიზნითა და დემოკრატიული საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და ზოგადად კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.“

66 ასევე იხ. უფლებადამცველების შესახებ გაეროს დეკლარაციის მე-14 მუხლი, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოთა ვალდებულებას „მიიღონ საკანონმდებლო, სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა საჭირო ზომები მისი იურისდიქციის ქვეშ არსებული თითოეული პირის მიერ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების თაობაზე ცნობიერების ამაღლების კუთხით.“ მე-15 მუხლის თანახმად, „სახელმწიფოებს გააჩნიათ ვალდებულება, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების სწავლებას განათლების ყველა დონეზე და უზრუნველყონ, რომ ყველამ ვინც პასუხისმგებელია იურისტებისთვის, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის, შეიარაღებული ძალების პერსონალისთვის და საჯარო მოსამსახურეებისთვის შესაბამისი სწავლების ჩატარებაზე, თავიანთ პროგრამაში გაითვალისწინონ ადამიანის უფლებების შესაფერისი ელემენტები.“

67 პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების თაობაზე ICCPR-ის შესაბამისი დებულებები (მუხლი 17) არ შეიცავს ცალკე მუხლს შეზღუდვაზე, ვინაიდან მასში მოცემულია ადამიანის პირად ცხოვრებაში, ოჯახში, სახლში ან კორუპონდენციაში თვითნებური ან უკანონო ჩარევისგან, ისევე როგორც ადამიანის პატივისა და ღირსების უკანონო შელახვისგან დაცვის მექანიზმი. ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარის მე-17 მუხლის მიხედვით ტერმინი „უკანონო“ ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ტიპის ჩარევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რომელიც თავის მხრივ უნდა შეესაბამებოდეს პატივის მიზნებს და ამოცანებს. ხოლო რაც შეეხება ტერმინს „თვითნებური ჩარევა“ – თვითნებურობის ცნება მიზნად ისახავს იმის გარანტიას, რომ თავად კანონით განსაზღვრული ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს პატივის მიზნებს და ამოცანებს და ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გონივრული უნდა იყოს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #16, მიღებული 1988 წლის 23 მარტს, პარაგრაფები 4 და 5). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოთხოვნები, რომლებსაც ადამიანის უფლებათა კომიტეტი აყენებს პირადი ცხოვრებაში ჩარევის უფლებასთან დაკავშირებით, ICCPR-ის 19, 20 და 21 მუხლებით ნებადართული შეზღუდვების ანალოგიურია. იხილეთ ასევე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ქვემოთ. ACHR-ის მე-11 მუხლი მსგავს ტექსტს გვთავაზობს და, შესაბამისად, ანალოგიურად არ მოიცავს ცალკე მუხლს აკრძალვაზე.

53. უფლების ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც ამგვარი აკრძალვების დაწესებას გულისხმობს, მკაცრად უნდა აკმაყოფილებდეს ყველა შემდეგ მოთხოვნას:

(ა) ისინი დადგენილი უნდა იყოს კანონით;

(ბ) ისინი უნდა ემსახურებოდნენ ლეგიტიმურ მიზანს, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ნებადართული საფუძვლებით; და

(გ) ისინი აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამასთანავე პროპორციული მისაღწევ მიზანთან მიმართებაში.<sup>68</sup>

54. ამგვარი შეზღუდვების დაწესების უფლებების განხორციელების ნებისმიერი შეზღუდვის პირობები, კრებითია;<sup>69</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პირობები მკაცრად უნდა აკმაყოფილებდნენ კანონიერებასთან, დასაშვებ საფუძვლებთან, აუცილებლობასთან და პროპორციულობასთან დაკავშირებულ ყველა მოთხოვნას.<sup>70</sup> სახელმწიფოებმა ყოველთვის უნდა იხელმძღვანელონ იმ პრინციპით, რომ შეზღუდვებმა არ დააზიანონ უფლების არსი.<sup>71</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ურთიერთკავშირი უფლებასა და შეზღუდვას შორის და ნორმასა და გამონაკლისს შორის არ უნდა დაირღვეს. თავისუფლება არის წესი, ხოლო შეზღუდვა გამონაკლისი.<sup>72</sup>

55. მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ შეზღუდვები კანონის მიხედვით უნდა იყოს დაწესებული, გულისხმობს იმას, რომ შეზღუდვებს უნდა ქონდეს ფორმალური სამართლებრივი საფუძველი და რომ კანონი იყოს საკმარისად მკაფიო, ერთმნიშვნელოვანი და ზუსტად ჩამოყალიბებული, რაც პირებს მისცემს შესაძლებლობას შესაბამისად მოაწესრიგონ თავიანთი ქცევა. გარდა ამისა, კანონი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის და იგი არ უნდა ანიჭებდეს თავისუფალ არჩევანს შეზღუდვასთან დაკავშირებით მათ, ვინც პასუხისგებაშია მიცემული

68 იხ., მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი 34, მუხლი 19, „ზრისა და გამოხატვის თავისუფლება“ 12 სექტემბერი, 2011, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/GC/34, პარაგრაფი 22, რომელიც შეეხება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ICCPR-ის 19(3) მუხლის შესაბამისად. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 22/6 რეზოლუცია სახელმწიფოებს მოუწოდებს უზრუნველყონ, რომ „ნებისმიერი დებულება ან გადაწყვეტილება, რომელიც ადამიანის უფლებების გამოყენებაში ერევა, შესაბამებოდეს საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებულ ძირითად პრინციპებს და დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი, პროპორციული, არადისკრიმინაციული და აუცილებელი იყოს“ (პარაგრაფი 11(დ)).

69 იხ. მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, გაეროს დოკუმენტი, A/HRC/23/39, 23 აპრილი 2013, პარაგრაფი 19.

70 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი.

27, მუხლი 12, „გადაადგილების თავისუფლება“, გაეროს დოკუმენტი, CCPR/C/21/Rev.1/Add.9, 2 ნოემბერი 1999, პარაგრაფი 13.

71 Ibid.

72 იხ. ასევე მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, გაეროს დოკუმენტი, A/HRC/20/27, პარაგრაფი 16.

მისი გამოყენების გამო.<sup>73</sup> კანონი შესაბამისობაში უნდა იყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან.

56. ICCPR დასაშვები საფუძვლით დაწესებულ შეზღუდვებზე მიიჩნევა ისეთი შეზღუდვები, რომლებიც დაწესებულია ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის ან უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ან მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნებისთვის. გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან მიმართებაში, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „დაუშვებელია შეზღუდვები ისეთი საფუძვლით, რომელიც არ არის მითითებული მე-3 პარაგრაფში, მაშინაც კი, თუ ამგვარი საფუძვლები გაამართლებდა პაქტით გათვალისწინებული რომელიმე სხვა უფლების შეზღუდვას. შეზღუდვები უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ისინი იქნა დაწესებული და პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული იმ სპეციფიკურ საჭიროებასთან, რომელზეც წინასწარ არის მითითებული.“<sup>74</sup> დასაშვები შეზღუდვების მსგავსი საფუძველი განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, გარკვეულ უფლებებთან მიმართებაში. ამ უფლებებთან დაკავშირებულ ყველა დებულებაში, შეზღუდვების დასაშვები საფუძვლების სია ამომწურავია. საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული კანონიერი საფუძვლების გარდა შიდა კანონმდებლობა არ უნდა ითვალისწინებდეს სხვა დამატებით საფუძვლებს. ECHR-ის მე-18 მუხლის (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მიხედვით, „აღნიშნულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის.“ ACHR-ის 30-ე მუხლი შეიცავს მსგავს დებულებას, რომელიც ზღუდავს შეზღუდვების ფარგლებს.

57. „აუცილებლობის“ პრინციპი გულისხმობს ჩარევის „გადაუდებელი სოციალური აუცილებლობის“ არსებობას და შეზღუდვა უნდა ექცეოდეს ამავდროულად დემოკრატიული საზოგადოებისთვის მისაღებ ფარგლებში.<sup>75</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უყურებს „პლურალიზმს, ტოლერანტობას და ლიბერალურ აზროვნებას“ როგორც ელემენტებს, რომელთა გარეშე დემოკრატიული საზოგადოება ვერ იარსებებს.<sup>76</sup> როგორც შეკრების და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, შეზღუდვები არ უნდა არღვევდეს პლურალიზმის, ტოლერანტობის და ლიბერალური აზროვნების პრინციპს.<sup>77</sup>

73 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი 34, მუხლი 19, „აზრისა და გამოხატვის თავისუფლება“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/GC/34, 12 სექტემბერი 2011, პარაგრაფი 25.

74 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი 34, პარაგრაფი 22.

75 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, „ზედსართავი სახელი 'აუცილებელი', 10.2 მუხლში მოცემული შინაარსის მიხედვით, მიუთითებს „გადაუდებელი სოციალური აუცილებლობის“ არსებობაზე. იხ. მალაგითად, საქმე Steel and Morris v. the United Kingdom, საქმე no. 68416/01, 15 თებერვალი 2005.

76 Ibid.

77 იხ. გაეროს დპოკ. A/HRC/C/20/27, პარაგრაფები 17 და 81.



58. პროპორციულობის დაცვის მიზნით, შეზღუდვები არ უნდა იყოს მეტიმეტად დიდი, და უპირატესობა უნდა მიენიჭოს რაც შეიძლება ნაკლებად ინვაზიურ მეთოდს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „შემზღუდავი ზომები უნდა პასუხობდეს პროპორციულობის პრინციპს; უნდა იყოს დაცვითი ფუნქციის მისაღწევად შესაბამისი; უნდა იყოს ნაკლებად ინვაზიური ყველა იმ შესაძლო ინსტრუმენტს შორის, რომელიც მიზნის მისაღწევად გამოყენება; და უნდა იყოს დასაცავი ინტერესის პროპორციული.“<sup>78</sup> კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ „აუცილებელია პროპორციულობის პრინციპის დაცვა არა მხოლოდ კანონის ფარგლებში, რომელიც ვრცელდება შეზღუდვების დაწესებაზე, არამედ ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლების მხრიდანაც, რომელიც გამოიყენებს ამ კანონებს.“<sup>79</sup>

59. გარდა ამისა, შეზღუდვების დამწესებელი კანონები თავსებადი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა სხვა ძირითად ნორმებთან, როგორცაა, მაგალითად, დისკრიმინაციის აკრძალვა.80 მაგალითად, საზოგადოებრივი მორალის საფუძვლით შეზღუდვებს რაც შეეხება, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „მორალის კონცეფცია გამომდინარეობს მრავალი სოციალური, ფილოსოფიური და რელიგიური ტრადიციიდან; შესაბამისად, საზოგადოებრივი მორალის დაცვის საფუძვლით დაწესებული შეზღუდვები დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ პრინციპებზე, რომლებიც მხოლოდ ერთი ტრადიციიდან არ გამომდინარეობს“.81 კომიტეტმა ასევე დასძინა, რომ „ნებისმიერი ამგვარი შეზღუდვა გაგებულ უნდა იყოს ადამიანის უფლებების უნივერსალურობის და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დაცვით“.<sup>82</sup>

60. ანალოგიურად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა სახელმწიფოებს მოუწოდა უზრუნველყონ რომ „კანონმდებლობა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი მორალის დაცვას, თავსებადი იყოს ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონმდებლობასთან“, და რომ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კანონმდებლობა შეიცავდეს მკაფიოდ განსაზღვრულ დებულებებს, რომლებიც შეესაბამება ადამიანის უფლებების საერთაშორისო

78 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი 27 მე-12 მუხლზე, პარაგრაფი 14.

79 Ibid., პარაგრაფი 15.

80 იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი 34, პარაგრაფი 26, რომელიც განმარტავს რომ: „კანონები, რომლებიც ზღუდავენ მე-19 მუხლის მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებულ უფლებებს ... გარდა იმისა, რომ მკაცრად უნდა აკმაყოფილებდნენ პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პარაგრაფის მკაცრ მოთხოვნებს, არამედ შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდნენ პაქტის დებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს. კანონები არ უნდა არღვევდნენ პაქტის დებულებებს დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე და არ უნდა ითვალისწინებდნენ ისეთ სახის სასჯელებს, რომლებიც არათავსებადია პაქტის შინაარსთან, მაგალითად ფიზიკური ისჯელები.“

81 Ibid. და ზოგადი კომენტარი ნომერი 22 ICCPR-ის მე-18 მუხლზე, გაეროს დოკ. C/PR/C/21/Rev.1/Add.4, 1993 წლის 27 სექტემბერი, პარაგრაფი 8.

82 ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი 34 მე-9 მუხლზე, პარაგრაფი 32.

კანონმდებლობას, მათ შორის დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს, და ეს კანონმდებლობა გამოყენებული არ უნდა იყოს ადამიანის რომელიმე უფლების შეზღუდვის ან აკრძალვის მიზნით, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებისა, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან უფლებებს სხვა უფლებების ხელშეწყობის და დაცვის კუთხით.<sup>83</sup>

61. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების თაობაზე საკუთარ კანონმდებლობაში გაითვალისწინა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში პაქტით განსაზღვრული უფლებების ღირებულება განსაკუთრებით მაღალია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეთა საჯარო დებატების კონტექსტში.<sup>84</sup> ეს გამოწვეულია იმით, რომ „ინფორმაციის და გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ქვაკუთხედს ნებისმიერ თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამგვარ საზოგადოებათა არსია, მის მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია ძალაუფლებაში მყოფი პოლიტიკური სისტემის/პარტიების ალტერნატივების თაობაზე და გააკრიტიკონ ან ღიად და საჯაროდ შეაფასონ მთავრობა, დასჯის ან ჩარევის შიშის გარეშე.“<sup>85</sup>
62. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ისეთ უფლებებთან მიმართებაშიც, რომლებიც ადამიანის უფლებების გამოყენებაში მთავარ როლს ასრულებს. მაშასადამე, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპების ზღვარი შეიძლება იყოს განსაკუთრებით მაღალი მაშინ, როდესაც შეზღუდვები ეხება ადამიანის უფლებების სფეროში საქმიანობას.

## II. უფლებადამცველთა ფიზიკური ხელშეუხებლობა, თავისუფლება, უსაფრთხოება და ღირსება

### ა. მუქარისგან, თავდასხმისა და სხვა სახის შევიწროებისგან დაცვა

63. უფლებადამცველთა უფლებების შესახებ გაეროს დეკლარაციის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყონ კომპეტენტური ორგანოების მიერ თითოეული ადამიანის დაცვა, განურჩევლად მოქმედებს იგი ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად, ყველა სახის ძალადობისგან, მუქარისგან, შურისძიებისგან, დე-ფაქტო ან დე-იურე არასასურველი დისკრიმინაციისგან, ზეწოლისგან ან ნებისმიერი სხვა თვითნებური მოქმედებისგან, აღნიშნული პირ(ებ)ის მიერ დეკლარაციით განსაზღვრული უფლებების კანონიერი გამოყენების შედეგად.“

83 იხ. ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია A/HRC/RES/22/6, პარაგრაფები 4 და 11(გ).

84 იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები საქმეზე Bodrozic v. Serbia and Montenegro, კომუნიკაცია No. 1180/2003, ოქტომბერი, 2005.

85 Ibid. სქოლიო 8, მითითება მოსაზრებებზე, საქმე Aduayom et al. v. Togo, კომუნიკაცია ნომერი 422-424/1990, 12 ივლისი 1996.

64. ICCPR-ის მე-6 და მე-7 მუხლები, ECHR-ის მე-2 და მე-3 მუხლები და ACHR-ის მე-4 და მე-5 მუხლები მოითხოვენ სახელმწიფოებისგან მოითხოვენ საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში და იურისდიქციის ქვეშ ნებისმიერი ადამიანის, მათ შორის უფლებადამცველების, დაცვას მათი სიცოცხლის უფლების ხელყოფისგან და წამებისა და მსგავსი არაადამიანური მოპყრობის სრულყოფილად აკრძალვად. ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა აღნიშნეს, რომ „ყველას აქვს სიცოცხლის უფლება [...] და არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.“<sup>86</sup> გარდა ამისა, მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი გადაწყვეტილება, რომ სრულად შეესრულებინათ ეუთოს ვალდებულებები წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის და დასჯის აღმოფხვრის მიზნით; რომ გააძლიერონ ძალისხმევა მუდმივი, განსაზღვრული და ექვეტური ზომების მისაღებად წამებისა და სხვა სახის არაადამიანური მოპყრობის თავიდან ასაცილებლად; და უზრუნველყონ წამების მსხვერპლთა სრულყოფილი რეპარაცია.<sup>87</sup>

65. მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს უფლებადამცველები კვლავ რჩებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მუქარისა და ძალადობის რისკის წინაშე, მათ შორის ხორციელდება მათი მკვლელობა, წამება და სხვა სახის სასტიკი მოპყრობა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა გამოავლინა ფაქტები „რომ უფლებადამცველები, მათ შორის ჟურნალისტები, ყველანი საკმაოდ ხშირად ხდებიან მათი უფლებების დარღვევის, დაშინებისა და მუქარის ან თავდასხმის მსხვერპლნი, მიუხედავად ძალისხმევისა ნაციონალურ თუ საერთაშორისო დონეებზე“.<sup>88</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ და გენერალურმა ასამბლეამ, ორივემ გამოთქვეს თავიანთი ღრმა შეშფოთება „იმ სერიოზულ რისკებთან დაკავშირებით, რომლებსაც უფლებადამცველები აწყდებიან მათი დაშინების, მუქარის, ასევე მათ წინააღმდეგ თავდასხმების გამო.“<sup>89</sup> გაეროს ორგანოებმა ასევე გამოხატეს თავიანთი წუხილი უფლებადამცველთა წინააღმდეგ

86 იხ. მინისტრთა საბჭოს მეექვსე შეხვედრის დოკუმენტი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-60 იუბილისადმი მიძღვნილი მინისტრთა დეკლარაცია (პელსინიკი 2008).

87 იხ. მინისტრთა საბჭოს მეჩვიდმეტე შეხვედრის დოკუმენტი, „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის 25-ე იუბილისადმი მიძღვნილი მინისტრთა დეკლარაცია (ათენი 2009), პარაგრაფები 8 და 9. წამებისა და სხვა არაადამიანური მოპყრობის აკრძალვასთან დაკავშირებული ეუთოს უფრო ადრინდელი ვალდებულებებისთვის ასევე იხილეთ ვენის 1989 დოკუმენტი, პარაგრაფი 23.4; კონვენციის 1990 წლის დოკუმენტი, პარაგრაფი 16.1; ახალი ევროპისთვის პარიზის ქარტია (პარიზი, 1990 წ.); ბუდაპეშტის 1994 წლის დოკუმენტი, პარაგრაფი 20; სტამბულის 1999 წლის დოკუმენტი, „ევროპის უსაფრთხოების ქარტია: III. ჩვენი ზოგადი პასუხი“, პარაგრაფი 24; და მინისტრთა საბჭოს მე-13 შეხვედრა (ლუბლიანა, 2005 წ.), გადაწყვეტილება ნომერი 12/05 სისხლის სამართლის სისტემაში ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის დაცვა.

88 იხ. მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია უფლებადამცველების დაცვის და მათი საქმიანობის ხელშეწყობის გაუმჯობესებისთვის ევროპის საბჭოს მოქმედებების თაობაზე“, პრეამბულა, 2008 წლის 6 თებერვალს.

89 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 22/6, გაეროს დოკუმენტი, A/HRC/RES/22/6, მიღებული 2013 წლის 21 მარტს და UNGA რეზოლუცია 66/164, გაეროს დოკუმენტი A/RES/66/164, მიღებული 2011 წლის 19 დეკემბერს. ქალი უფლებადამცველების წინააღმდეგ მიმართული თავდასხმების თაობაზე ასევე იხ. UNGA რეზოლუცია 68/181, გაეროს დოკ. A/RES/68/181, მიღებული 2013 წლის 18 დეკემბერს.

მუქარის, თავდასხმების და სხვა სახის ძალადობის ფაქტების გამო, ზოგჯერ მკვლელობის ფაქტებისაც კი, ეუთოს წევრ სახელმწიფოებში.<sup>90</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) გამოავლინა ფაქტები, როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ სათანადოდ გამოძიებული არ არის უფლებადამცველებზე სერიოზული თავდასხმების, მათ შორის მკვლელობის, გატაცების და წამების ფაქტები.<sup>91</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა გამოთქვა იგივე შემფოთებები საკუთარ ანგარიშებში.<sup>92</sup>

66. უფლებადამცველთა მუქარის და მათ წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებების მიღებული ფორმები, რომელთაც ეუთოს რეგიონის წევრ სახელმწიფოებში აქვს ადგილი, მოიცავს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, უფლებადამცველთა სახლებზე, ოფისებსა და მანქანებზე ცეცხლის წაკიდებას ან ბომბების დაშენას; მათი ნივთების და ქონების განადგურებას ან ჩამორთმევას; უფლებადამცველების წინააღმდეგ ძალის გადამტებას რეიდების, შეკრებების ან საპოლიციო ოპერაციების დროს; დაკავებისას წამებას და სხვაგვარ უხეშ მოპყრობას; და მოტაცებას ან იძულებით გაუჩინარებას და მკვლელობასაც კი. ამგვარი ძალადობა მიმართულია არა მხოლოდ უფლებადამცველთა წინააღმდეგ, არამედ ხშირად მათი ოჯახის წევრების წინააღმდეგაც, მათ შორის შვილების წინააღმდეგ. უფლებადამცველები და მათი ოჯახები ხდებიან სამიზნეები იმის გამო, რომ დამნაშავეები ცდილობენ შეზღუდონ მათი საქმიანობა, გამოვიდნენ უფლებადამცველთა რომელიმე კონკრეტული

90 მაგ. იხილეთ „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შეფასებები უკრაინაზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/UKR/CO/7, მიღებული 2013 წლის 22 აგვისტოს, პარაგრაფი 20; „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შეფასებები სერბეთზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/SRB/CO/2, მიღებული 2011 წლის 20 მაისს, პარაგრაფი 21; „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შეფასებები უზბეკეთზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/UZB/CO/3, მიღებული 2010 წლის 7 აპრილს, პარაგრაფი 24; „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შეფასებები რუსეთის ფედერაციაზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/RUS/CO/6, მიღებული 2009 წლის 24 ნოემბერს; „გაეროს კომიტეტის დასკვნითი შეფასებები წამების საკითხებზე რუსეთის ფედერაციაში“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/RUS/CO/5, მიღებული 2012 წლის 11 დეკემბერს, პარაგრაფი 12; „გაეროს კომიტეტის დასკვნითი შეფასებები წამების საკითხებზე ბელარუსიაში“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/BLR/CO/4, მიღებული 2011 წლის 7 დეკემბერს, პარაგრაფი 25; „გაეროს კომიტეტის დასკვნითი შეფასებები წამების საკითხებზე თურქმენეთში“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/TKM/CO/1, მიღებული 2011 წლის 15 ივნისს, პარაგრაფი 13; „გაეროს კომიტეტის დასკვნითი შეფასებები წამების საკითხებზე აზერბაიჯანში“, გაეროს დოკ. CAT/C/AZE/CO/3, მიღებული 2009 წლის 8 დეკემბერს, პარაგრაფი 21.

91 იხ. PACE რეზოლუცია 1891 (2012) ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე, მიღებული 2012 წლის 27 ივნისს, პარაგრაფი 3. მაგალითად, ფიზიკურ მთლიანობაზე თავდასხმის, მათ შორის მკვლელობის, და ამგვარი დანაშაულების დაუსჯელობის შესახებ იხილეთ რეზოლუციის განმარტებითი მეორე ნაწილი (დოკუმენტი 12957, ადამიანის უფლებების და სამართლებრივი საკითხების კომიტეტის ანგარიში, მომხსენებელი: Ms Reps), კერძოდ პარაგრაფები 9-12 და 28-31. ასევე იხ. PACE მომხსენებლის საინფორმაციო მეორე ნაწილში მისი ვიზიტების თაობაზე სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, ადამიანის უფლებების და იურიდიული საკითხები კომიტეტი, „უფლებადამცველების დაცვის და მათი როლის გაძლიერება ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, საინფორმაციო მეორე ნაწილში უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ სამხრეთ კავკასიის რეგიონში (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო)“, AS/Jur (2014) 03, მიღებული 2014 წლის 24 იანვარს.

92 იხ., მაგალითად, მისი ანგარიში ევროპაში მიგრანტების დაცვის თაობაზე, სადაც იგი აღნიშნავს უფლებადამცველების წინააღმდეგ ძალადობის ფაქტებზე ექსპტემისტიების და მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან. იხ. „მიგრანტების უფლებების დაცვა ევროპაში“ მრგვალი-მაგიდის შეხვედრა უფლებადამცველებთან, რომელიც ორგანიზებული იყო ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარის ოფისის მიერ, პარიზი, 5 ოქტომბერი, 2012“, CommDH(2013)9, 18 აპრილი 2013, პარაგრაფები 31-32.



აქტივობის წინააღმდეგ ან უბრალოდ გაადვილონ შიში. უმეტეს შემთხვევაში, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რომელთაც უფლებადამცველები აწყდებიან, გრძელვადიანია და მიზნად ისახავს მათ გაჩუმებას.

67. ამგვარი დანაშაული ჩადენილია ან არასახელმწიფო აქტორების მხრიდან, მათ შორის ძალადობრივი პოლიტიკური ჯგუფების, შეიარაღებული დაჯგუფებების ან ორგანიზებული დამნაშავეთა, ასევე კერძოდ დაქირავებული დაცვის კომპანიების ან სხვათა მხრიდან, ან ჩადენილია სახელმწიფო პირების მიერ ან მათი ავტორიზაციით და დანშარებით ან მონაწილეობით. ზოგჯერ, ძალადობრივი ჯგუფების მიერ ჩადენილ დანაშაულებს საჯარო მოსამსახურეები უკეთებენ ლეგიტიმაციას, პირდაპირ ან დაფარულად.<sup>93</sup>
68. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, პატივი სცენ, დაიცვან და შეასრულონ ადამიანის უფლებები, მოითხოვს მათგან უფლებადამცველების წინააღმდეგ ნებისმიერი სახის მუქარისა თუ შევიწროებისგან თავშეკავებას, უფლებადამცველების დაცვას არასახელმწიფო აქტორების მხრიდან ჩადენილი ამგვარი ქმედებებისგან და ნაბიჯების გადადგმას უფლებადამცველთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საკუთარ გადაწყვეტილებებში UNGA-მ არაერთხელ მოუწოდა სახელმწიფოებს უფლებადამცველთა დაცვის უზრუნველყოფისკენ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა „მიიღონ ეფექტური ზომები უფლებადამცველთა წინააღმდეგ ძალადობის ფაქტების და დანაშაულების აღმოსაფხვრელად და ამგვარ ქმედებათა დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად და დამნაშავეთა ადმინისტრაციულ და/ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მისაცემად.“<sup>94</sup> მსგავსად, UNGA-მ სახელმწიფოებს მოუწოდა „გამოიჩინონ ძალისხმევა უფლებადამცველთა წინააღმდეგ დანაშაულების აღმოფხვრის მიზნით, მათ შორის პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმით ქალ უფლებადამცველთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ფაქტების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც აწყდებიან კონკრეტულ რისკებს, და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლით, რათა დარღვევებზე და შევიწროვებაზე პასუხისმგებელი პირები დაუყოვნებლივ მიეცენ პასუხისმგებაში მიუკერძოებელი გამოძიების საფუძველზე.“<sup>95</sup>

93 მაგ., იხილეთ უფლებადამცველების მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2013 წლის დეკემბრის ანგარიში, სადაც ნათქვამია, რომ „სპეციალური მომხსენებელი განაგრძობს სანდო ანგარიშების და განცხადებების მიღებას, რომლებიც მიუთითებენ არასახელმწიფო აქტორების, მათ შორის კერძო კორპორაციების მხრიდან უფლებადამცველების წინააღმდეგ დანაშაულებში ჩართულობაზე, მათ შორის სტიგმატიზაციაში, დაშინებაში, შევიწროვებაში, თავდასხმაში, სიკვდილით დამუქრებასა და მკვლელობებში. თავდასხმები ზოგჯერ ხორციელდება ისეთი ჯგუფების მხრიდან, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად იღებენ ბიძგს სახელმწიფოებისგან, ლოგისტიკური ტიპის დანშარების ან მათ მოქმედებებზე ცალსახად ან არაპირდაპირ თვალუბნის დასუფავის სახით (გაეროს დოკუმენტი A/HRC/25/55, პარაგრაფი 103).

94 „მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ევროპის საბჭოს მოქმედებების თაობაზე უფლებადამცველების დაცვის და მათი საქმიანობის გაძლიერების მიზნით,“ მიღებული 2008 წლის 6 თებერვალს, პარაგრაფი 2(IV).

95 იხ. UNGA რეზოლუცია A/RES/68/181, პარაგრაფი 9.



## დაუსჯელობა და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები

69. UNGA-მ არაერთგზის მოუწოდა სახელმწიფოებს, მიიღონ შესაბამისი ზომები დაუსჯელობის დასასრულებლად იმ მუქარების, თავდასხმების და სხვა სახის შევიწროვების ფაქტების გამო, რომელთაც ჩადიან სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები უფლებადამცველთა წინააღმდეგ.<sup>96</sup> თუმცა, უფლებადამცველთა წინააღმდეგ ჩადენილი მუქარის და შევიწროვების ფაქტების გამოძიება ყოველთვის საკმარისი არ არის დამნაშავეთა გამოსავლენად, ხოლო სასამართლო წარმოება – ასეთის დაწყების შემთხვევაში – ხშირად ვერ ახერხებს დამნაშავეთა გასამართლებას და დასჯას. უფლებადამცველთა საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის თქმით, ერთ-ერთი მთავარი და სისტემური საკითხი, რომელიც მისი მანდატის ფარგლებში დაისვა უფლებადამცველების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან მიმართებაში, დაუსჯელობის საკითხია.<sup>97</sup>

70. ეუთოს წევრ ბევრ სახელმწიფოში უფლებადამცველები აცხადებენ, რომ შევიწროვების ფაქტების შესახებ საჩივრები სერიოზულად არ აღიქმება, მათ წინააღმდეგ მუქარებს ასევე არასერიოზულად აღიქვამენ და აფასებენ, ასევე ზოგადი სურვილი და მონდომება ამგვარი ფაქტების საფუძვლიან გამოკვლევაზე არ არსებობს. ზოგჯერ ეს სამართალდამცავი პირების უუნარობის ბრალია, რეაგირება მოახდინონ უფლებადამცველთა წინააღმდეგ მიმართულ ამგვარ ფაქტებზე, ზოგჯერ კი ეს ხდება იმ რისკების და ძალადობის სიმძიმის არასაკმარისი შეფასების გამო, რომელთა საფრთხის წინაშეც უფლებადამცველები დგანან. ზოგჯერ ეს შევიწროვებაში საჯარო პირების პირდაპირი მონაწილეობის გამო ხდება ან იმის გამო, რომ საჯარო მოსამსახურეები მხარს უჭერენ პასუხისმგებელ პირებს და/ან მათ მოტივებს და/ან იდეოლოგიას. მაშინაც კი, როცა ხორციელდება გამოძიება და დგება პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ეს ხშირად ვრცელდება მხოლოდ მათზე, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული და არ დგება იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც გასცა უფლებადამცველთა წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებების თაობაზე დავალება. ასევე ხშირია ფაქტები, როდესაც გამოძიება ვერ ახერხებს დამნაშავე პირთა პასუხისმგებაში მიცემას, ან გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი.

71. როგორც ეს უფლებადამცველების შესახებ გაეროს დეკლარაციის 9(5) მუხლით არის განსაზღვრული, სახელმწიფოებს გააჩნიათ ვალდებულება, „ჩაატაროს დაუყოვნებლივი და მიუკერძოებელი გამოძიება ან უზრუნველყოს, რომ გამოძიება დაიწყოს ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც იარსებებს ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დარღვევის ფაქტების საფუძვლიანი ეჭვი, მისი იურისდიქციის ქვეშ ნებისმიერ ტერიტორიაზე.“

96 იხ. UNGA რეზოლუცია A/RES/66/164, პარაგრაფი 8. ასევე იხ. UNGA-ს ადრინდელი რეზოლუციები A/RES/64/163, A/RES/62/152, A/RES/60/161 და A/RES/59/192.

97 იხ. უფლებადამცველების მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში A/HRC/25/55, 23 დეკემბერი, 2013, პარაგრაფი 73.

72. იმისათვის რომ გამოძიება ეფექტური იყოს, მისი ჩატარებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი მოთხოვნა. კერძოდ, გამოძიება უნდა იყოს:

- ადეკვატური, ე.ი., შედეგად უნდა მოყვეს პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირება და დასჯა;
- დეტალური, ე.ი., შინაარსობრივად ყოვლისმომცველი და, მათ შორის, უნდა შეეძლოს იმ სისტემური მარცხების იდენტიფიცირება, რამაც შედეგად მოიტანა დანაშაული;
- მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, ე.ი., ისინი, ვინც პასუხისმგებლები არიან გამოძიების ჩატარებაზე, უნდა იყვნენ საქმეში ჩართული პირებისგან მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი;
- ზუსტი, ე.ი. გამოძიება უნდა დაიწყოს დროულად და დასრულდეს ზომიერ ვადაში;
- უნდა არსებობდეს საზოგადოების მხრიდან გამოძიების ან შედეგების შემოწმების საკმარისი შესაძლებლობა, ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ხელისუფლების მიმართ, კანონის უზენაესობის დაცვის კუთხით, საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და არაკანონიერი ქმედებების მიმართ ტოლერანტობის თავიდან აცილების მიზნით.“<sup>98</sup>

73. ძალის გადამეტების, წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის თაობაზე საჩივრების გამოსაძიებლად, ისევე როგორც სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ, გაეროს ორგანოები რეგულარულად მოუწოდებენ სახელმწიფოებს, სადაც ჯერ არ არსებობს, ჩამოაყალიბონ დამოუკიდებელი ორგანოები, რომელთაც ექნებათ უფლებამოსილება მიიღონ და განიხილონ ამგვარ ქმედებებთან დაკავშირებული საჩივრები.<sup>99</sup> გარდა ამისა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა სახელმწიფოებს, გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტებისთვის იმ კომპეტენციის და შესაძლებლობის მინიჭება, ხოლო სადაც ამის საჭიროებაა, მიანიჭონ მათ გაძლიერებული უფლებამოსილება იმისა, რომ მათ მიიღონ და განიხილონ უფლებადამცველთა საჩივრები მათი უფლებების დარღვევის თაობაზე

98 „ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების დაუსჯელობის აღმოფხვრის თაობაზე“ ნაწილი VI. ეფექტური გამოძიების კრიტერიუმები, მიღებული 2011 წლის 30 მარტს, <<https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1769177>>.

99 იხ., მაგ., „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შეფასებები წამების საკითხებზე ყირგიზეთში“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/KGZ/CO/2, 20 დეკემბერი, 2013, პარაგრაფი 6; „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შეფასებები წამების საკითხებზე ტაჯიკეთში“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/TJK/CO/2, 21 იანვარი, 2013, პარაგრაფი 15; „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შეფასებები წამების საკითხებზე სომხეთში“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/ARM/CO/3, 6 ივლისი, 2012, პარაგრაფი 12; „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შეფასებები წამების საკითხებზე ლიეტუვაში“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/LTU/CO/2, 19 იანვარი 2009, პარაგრაფი 14; და „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შეფასებები აზერბაიჯანზე“, CCPR/C/AZE/CO/3, 13 აგვისტო, 2009, პარაგრაფი 11.

და გასცენ შესაბამისი რეკომენდაციები მათი გადაჭრის გზების თაობაზე.<sup>100</sup> ნებისმიერი გარემოების არსებობისას, საჩივრების ავტორები დაცულნი უნდა იყვნენ თავიანთი საჩივრების გამო ნებისმიერი არასათანადო მოპყრობისგან, ზეწოლისგან ან დასჯისგან.<sup>101</sup> ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ უფლებადამცველები ამ საჩივრების გამო არ უნდა ხდებოდნენ საპასუხო გამოძიების ან დევნის მსხვერპლნი.

74. როდესაც გამოძიების შედეგი ადგენს უფლებადამცველთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებული დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის საკითხს, სახელმწიფოს აქვს მოვალეობა, მისცენ ეს პირები პასუხისგებაში, იმის მიუხედავად, არიან ეს პირები საჯარო მოსამსახურეები თუ არასახელმწიფო აქტორები.<sup>102</sup> როგორც წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტმა აღნიშნა სახელმწიფოების ვალდებულებებთან დაკავშირებით მიიღონ ეფექტური ზომები წამების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია მოხდეს გამოძიება და დადგინდეს არა მხოლოდ პირდაპირი დამნაშავეების პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ მათი, ვინც ინსტანციათა ჯაჭვში არის ჩართული.<sup>103</sup>

75. ის ფაქტი, რომ დანაშაული ჩადენილია დაქვემდებარებული პირის მიერ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს მის ზემდგომ პირს, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ ფაქტის შესახებ, რომ მისი დაქვემდებარებული პირი ჩადიოდა დანაშაულს ან აპირებდა დანაშაულის ჩადენას და არ მიიღო ყველა საჭირო ზომა დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით ან მის დასასჯელად. რაც შეეხება დაქვემდებარებულის პასუხისმგებლობას, ის ფაქტი, რომ დამნაშავე მოქმედებდა მისი მთავრობის ან ზემდგომის მითითებების საფუძველზე, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან.<sup>104</sup> თუმცა, დაქვემდებარებულ პირს, რომელიც უარს აცხადებს არაკანონიერი მითითების შესრულებაზე, არ უნდა დაეკისროს ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი სანქცია.<sup>105</sup>

100 „მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია უფლებადამცველების დაცვისა და მათი საქმიანობის ხელშეწყობის გაუმჯობესებისთვის ევროპის საბჭოს მოქმედებების თაობაზე“, პარაგრაფი 2(v).

101 იხ. „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შეფასებები წამების საკითხებზე ტაჯიკეთში“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/TJK/CO/2, პარაგრაფი 15.

102 იხ. მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი 31, „პაქტის მონაწილე სახელმწიფოებზე დაკისრებული ზოგადი სამართლებრივი ვალდებულებების არსი“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/21/Rev.1/Add.13, 26 მარტი, 2004, პარაგრაფი 78.

103 იხ. წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტის ზოგადი კომენტარი # 2, „მე-2 მუხლის შესრულება წევრი სახელმწიფოების მიერ“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/GC/2, 24 იანვარი, 2008, პარაგრაფი 9.

104 იხ. „ადამიანის უფლებების დაცვის და წახალისების განახლებული პრინციპები“, გაეროს დოკუმენტი E/CN.4/2005/102/Add.1, 8 თებერვალი, 2005, პრინციპი 27. ასევე იხ. „ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების გამო დაუსჯელობის შემცირების თაობაზე“, ნაწილი XIII. დაქვემდებარებულთა ანგარიშვალდებულება. ასევე იხ. „ძალისხვედრის სტრუქტურების მიერ ძალისა და საბრძოლო იარაღის გამოყენების ზოგადი პრინციპები“, მიღებული გაეროს მე-8 კონგრესზე დანაშაულის თავიდან აცილების და დამნაშავეებთან მოპყრობის თაობაზე, ჰავანა, კუბა, 27 აგვისტო – 7 სექტემბერი 1990 წ., პრინციპები 24 და 26.

105 იხ. „სამართლდამცავი სტრუქტურების მიერ ძალისა და საბრძოლო იარაღის გამოყენების ზოგადი პრინციპები“, პრინციპი 25.

76. ნებისმიერი საჯარო მოსამსახურე, რომელიც კომპეტენტური ორგანოს მიერ მხილებულ იქნა ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების ჩადენაში და მიჩნეულ იქნა დამნაშავედ ამგვარი ქმედებების ხელშეწყობაში ან დამნაშავეთა მფარველობაში, უნდა გათავისუფლდეს თანამდებობიდან, ან მიესაჯოს სხვა შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურები.<sup>106</sup> სადაც არის ამის საჭიროება, ამგვარ პროცედურებს თან უნდა ახლდეს სისხლისსამართლებრივი გამოძიება<sup>107</sup> და ეფექტური, ჩადენილ დანაშაულთან პროპორციული და შესატყვისი სასჯელის მისჯა.<sup>108</sup> ეს, მათ შორის, ნიშნავს, რომ განაჩენი უნდა ახდენდეს დემონსტრირებას იმისა, რომ ამგვარი ქმედებები უპატიებელია და მას საკმარისად დამაბრკოლებელი ეფექტი უნდა ქონდეთ.
77. დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლებადამცველთა საქმიანობის მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უფლებადამცველთა წინააღმდეგ, მათი საქმიანობის გამო, მუქარები და შევიწროვება ხშირად იწვევს შიშს არამხოლოდ უშუალოდ მსხვერპლში, არამედ სხვა უფლებადამცველებშიც, რაც აიძულებს მათ შეწყვიტონ თავიანთი საქმიანობა – წევრ სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ეროვნულ დონეზე ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც ამგვარი დანაშაულებისთვის სასჯელის განსაზღვრისას ამ მოტივებს დამამძიმებელ გარემოებად განიხილავს.<sup>109</sup>
78. თუ უფლებადამცველები ხდებიან ისეთი ძალადობრივი შეტევის მსხვერპლნი, რომელიც მოტივირებულია კონკრეტული სოციალური ჯგუფის მიმართ არატოლერანტულობით, ხელისუფლებამ ასეთი დანაშაულების გამო უნდა დასაჯოს, როგორც სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამო. ასეთი დანაშაული შეიძლება მოიცავდეს თავდასხმას იმ უფლებადამცველების წინააღმდეგ, რომლებიც იცავენ იმ ადამიანთა უფლებებს, რომლებიც თავიანთი ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი, გენდერული, მოქალაქეობის, შეზღუდული შესაძლებლობების ან სხვა სტატუსის გამო თავად არიან სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლნი. სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მარეგულირებელი შესაბამისი კანონმდებლობა უნდა იქნას გამოყენებული იმისდა მიუხედავად, მსხვერპლი განეკუთვნება თავად ამგვარ ჯგუფებს თუ მსხვერპლი მხოლოდ

106 იხ. „ევროპის საბჭოს მიწინასწარ კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების დაუსჯელობის აღმოფხვრის შესახებ,” ნაწილი III, ზოგადი ზომები დაუსჯელობის თავიდან ასაცილებლად, პარაგრაფი 7.

107 გამოძიების ეფექტურობის მოთხოვნები ასევე ვრცელდება ბრალდების ეტაპზე. Ibid. ნაწილი VIII. ბრალდება.

108 Ibid. ნაწილი X. განაჩენის გამოტანა.

109 ამ კუთხით კარგი პრაქტიკის მაგალითს წარმოადგენს, თუმცა არა ეუთოს რეგიონიდან, ელ სალვადორის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განიხილავს როცა დანაშაული მოტივირებულია მსხვერპლის მუშაობით ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების სფეროში. იხ. ელ სალვადორის სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლი <<http://www.asamblea.gob.sv/eparlamento/indice-legislativo/buscador-de-documentos-legislativos/codigo-penal>>.

ასოცირებული ან აფილირებული არის ამგვარ პირებთან საკუთარი საქმიანობის გამო. მონაწილე სახელმწიფოებმა, სადაც ამის საჭიროება არსებობს, უნდა ამოქმედონ კონკრეტული კანონმდებლობა, რომელიც გამიზნული და მიმართული იქნება სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, ეუთოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებებთან შესაბამისობაში, და რომელიც გაითვალისწინებს ეფექტურ სანქციებს ამგვარ დანაშაულთა სიმძიმის გათვალისწინებით.<sup>110</sup> მოქმედი კანონმდებლობის გადახედვისას, წევრმა სახელმწიფოებმა, სხვა რესურსების პარალელურად, უნდა ინელმდღვანელონ OSCE/ODIHR გამოცემით სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მარეგულირებელი კანონმდებლობა – პრაქტიკული სახელმძღვანელო.<sup>111</sup>

79. როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა აღნიშნა, „დაუსჯელობა გამოწვეულია ან მას მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების მიმართ ინსტიტუტების ან სახელმწიფო აგენტების მხრიდან სათანადო რეაქციის არარსებობა. ასეთ გარემოებებში, ბრალეულობა შეიძლება ვეძებოთ როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებში, ასევე სასამართლო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე.“<sup>112</sup> ისეთი ინსტიტუციონალური კულტურის დასაგმობად და მოსასპობად, რომელიც ხელს უწყობს დაუსჯელობას, მინისტრთა კომიტეტმა სახელმწიფოებს ასევე მოუწოდა შეიმუშაონ პოლიტიკა და გადადგან სხვა პრაქტიკული ნაბიჯები, როგორცაა ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების პატივისცემის კულტურის ამაღლება, შესაბამისი სასწავლო პროგრამების და კონტროლის მექანიზმების შემუშავება და განხორციელება, კორუფციის წინააღმდეგ პოლიტიკის შემუშავება, შესაბამისი თანამდებობის პირებში საკუთარი ვალდებულებების თაობაზე ცნობადობის ამაღლება და შესაბამისი სანქციების დაწესება ამ ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, ადამიანის უფლებების წინააღმდეგ ჩადენილი სერიოზული დანაშაულებისთვის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარება და დანაშაულების და ამ დანაშაულებზე ხელისუფლების საპასუხის რეაქციაზე საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება.<sup>113</sup>
80. წევრ სახელმწიფოებს მოუწოდეს „გააძლიერონ თავიანთი სასამართლო სისტემა და უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების არსებობა იმათთვის, ვისი უფლებები და თავისუფლებებიც შეილახა“.<sup>114</sup> ამგვარი საშუალებები ხელმისაწვდომი და სრულყოფილად

110 იხ. ეუთოს მინისტრიალის საბჭოს გადაწყვეტილება No. 9/09, „სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“, ათენი, 1-2 დეკემბერი 2009, <<http://www.osce.org/cio/40695>>.

111 იხ. ეუთო/ODIHR-ის „სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მარეგულირებელი კანონმდებლობა – პრაქტიკული სახელმძღვანელო“ 2009წ., 49-51 გვერდები.

112 „ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე“ ნაწილი I. პარაგრაფი 2.

113 Ibid. ნაწილი III. ზოგადი წომები დაუსჯელობის თავიდან ასაცილებლად.

114 მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს მოქმედებების თაობაზე უფლებადამცველების დაცვისა და მათი საქმიანობის ხელშეწყობის გაუმჯობესებისთვის“ პარაგრაფი 2(III).



ეფექტური უნდა იყოს.<sup>115</sup> ერთოს წევრმა სახელმწიფოებმა დაადასტურეს ადეკვატური სამართლებრივი დახმარების, როგორც სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების, მოძიების და მიღების უფლება.<sup>116</sup>

81. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ეს საშუალებები მიღებული უნდა იქნას იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას ადამიანთა გარკვეული ჯგუფის თავისებურებები.<sup>117</sup> UNGA-მ ასევე გაუსვა ხაზი რომ ქალი უფლებადამცველების უფლებების შელახვის ფაქტების დაუსჯელობა განსაკუთრებულ პრობლემად რჩება რამდენიმე ფაქტორის გამო, მათ შორის ანგარიშგების, დოკუმენტაციის, გამოძიების და სასამართლოსთან წვდომის ნაკლებობის გამო, ისევე როგორც სოციალური ბარიერების და შეზღუდვების არსებობის გამო გენდერულ დანაშაულებთან, მათ შორის სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებაში და სტიგმატიზაციის გამო, რაც შეიძლება მოყვეს ამ დანაშაულებს.<sup>118</sup> მათსადავამ, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალ უფლებადამცველებს და უფლებადამცველთა სხვა ჯგუფებს, რომლების გარკვეული რისკების წინაშე დგანან, ქონდეთ მართლმსაჯულებაზე ეფექტური წვდომა, მაგალითად ამგვარი ჯგუფებისთვის სამართლებრივი დახმარების და სხვა სახის მხარდაჭერის შეთავაზებით.<sup>119</sup>
82. გარდა ამისა, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „ეფექტურ საშუალებებთან წვდომის უფლება გარკვეული გარემოებების პირობებში მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან დროებითი ზომების შემუშავებას და მიღებას იმისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული შევიწროვების უწყვეტი ფაქტები, და რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე მოხდეს ამ დანაშაულების მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგების გამოსწორება.“<sup>120</sup> ნებისმიერ შემთხვევაში, უფლებადამცველებს (და/ან მათ ოჯახებს), რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლნი, უფლება აქვთ მიიღონ შესაბამისი რეპარაცია.

115 მაგალითისთვის იხილეთ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი 31, პარაგრაფი 15, რომლის მიხედვით „პაქტი ვანსაზღვრული უფლებების ეფექტური დაცვის გარდა, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პირებისთვის აღნიშნულ უფლებათა დაცვისთვის აუცილებელი ეფექტური საშუალებების ხელმისაწვდომობა.“ ერთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებებთან დაკავშირებით, სამართლებრივ საშუალებებთან მიმართებაში იმ პირებისთვის, ვინც აცხადებს, რომ მოხდა მათი უფლებების და ძირითადი თავისუფლებების ხელყოფა, იხ. მაგ., ვენა 1989, პარაგრაფი 13.9; პარიზი 1990; კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი 11; ლუბლიანა 2005; და ჰელსინკი 2008.

116 კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი 11.

117 ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი 31, პარაგრაფი 15.

118 იხ. UNGA-ს რეზოლუცია A/RES/68/181, 18 დეკემბერი, 2013, პრეამბულად, პარაგრაფი 10.

119 მაგალითად, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (CERD) თავის შვედეთის დასკვნით შეფასებებში რეკომენდაციები მისცა სახელმწიფოებს, დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის დაცვის საშუალებების გარანტირების თვალსაზრისით, რომ მათ „მიიღონ ომბუდსმენის მიერ შეთავაზებული ზომები იმისათვის, რათა ფინანსური დახმარება გაუწიონ პირებსა და ასოციაციებს დისკრიმინაციის საკითხებზე სამართალწარმოების მხარდასაჭერად (...) და სამართლებრივი დახმარების სისტემის გასაძლიერებლად.“ იხ. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის „დასკვნითი შეფასებები: შვედეთი“, გაეროს დოკუმენტი CERD/C/SWE/CO/19-21, 23 სექტემბერი 2013, პარაგრაფი 21.

120 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი ნომერი 31, პარაგრაფი 19.

83. ტერმინი რეპარაცია ზოგადად გამოყენებული მნიშვნელობით მოიცავს რესტიტუციას, კომპენსაციას, რეაბილიტაციას, დაკმაყოფილებას და განმეორებითი შევიწროვების დაუშვებლობის გარანტიას. როცა ეს შესაძლებელია, რესტიტუციის გზით უნდა აღდგეს მსხვერპლის ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა შევიწროვების ფაქტის დადგომამდე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მას უნდა შესთავაზონ კომპენსაცია ნებისმიერი იმ ზიანისთვის, რომლის ფინანსური შეფასება შესაძლებელია, მაგალითად როგორცაა ფიზიკური ან გონებრივი ზიანი, ქონებრივი ზიანი და სამართლებრივი დახმარებისთვის ან საექსპერტო ან სხვა სერვისებისთვის საჭირო ხარჯები. რეაბილიტაცია უნდა მოიცავდეს შესაბამის სამედიცინო, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და სოციალურ სერვისებს. დაკმაყოფილება მოიცავდეს საქმის გარემოებიდან გამომდინარე სხვადასხვა ზომას, როგორცაა: შევიწროვების შესაწყვეტად გადადგმული ეფექტური ნაბიჯები; სიმართლის საჯაროდ გამოცხადება; ისეთი ოფიციალური განცხადების გაკეთება ან სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც აღადგენს მსხვერპლის, მისი ოჯახის ან მასთან დაახლოებული პირების ღირსებას, რეპუტაციას და უფლებებს; და საჯარო ბოდიში და დამნაშავეების წინააღმდეგ შესაბამისი სანქციები. დაბოლოს, შევიწროვების განმეორებით დაუშვებლობის გარანტია უნდა მოიცავდეს ეფექტურ პრევენციულ ზომებს.<sup>121</sup>

**დაცვის პოლიტიკა, პროგრამები და მექანიზმები**

84. UNGA-მ არაერთგზის მოუწოდა სახელმწიფოებს „მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისთვის, რომ უზრუნველყონ უფლებადამცველთა უფლებების დაცვა, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე.“<sup>122</sup> ყველა ეს ზომა მყარად მოქცეული უნდა იყოს თანმიმდევრულ ჩარჩოებში, რომელიც მიზნად დაისახავს უფლებადამცველებისთვის უსაფრთხო და ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნას და ჩამოყალიბებას, რათა მოხდეს იმ სერიოზული რისკების და გამორწვევების მიზეზების აღმოფხვრა, რომელთაც აწყდებიან უფლებადამცველები. მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიერ, სევე როგორც ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლების მიერ უფლებადამცველების სტატუსის და როლის და მათი საქმიანობის ლეგიტიმურობის აღიარება, მათ შორის საჯარო გამოსვლებით და თავდასხმების, მუქარის და შევიწროვების სხვა ფაქტების სწრაფი დაგმობით, მათი მოხდენისთანავე, პირველი გადადგმული ნაბიჯია დაცვისა და პრევენციის გაუმჯობესებისკენ.<sup>123</sup>

121 იხ. „ზოგადი პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევების მსხვერპლთა დახმარების და რეპარაციის უფლების შესახებ“, რომელიც მიღებულია გენერალური ასამბლეის 60/147 რეზოლუციით, 16 დეკემბერი, 2005, პარაგრაფი 20-24.

122 იხ. UNGA-ს რეზოლუცია A/RES/ 64/164, პარაგრაფი 4, და ასევე გენერალური ასამბლეის უფრო ადრინდელი რეზოლუციები უფლებადამცველთა შესახებ. მესამე სახელმწიფოებში უფლებადამცველთა დაცვის თაობაზე მეტი დეტალებისთვის ასევე იხილეთ ქვემოთ ნაწილი განხორციელების ჩარჩოები.

123 იხ. უფლებადამცველების მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში A/HRC/13/22 პარაგრაფი 114.

85. ეუთოს რეგიონში, ისევე როგორც ყველა სხვა ადგილზე, რისკის წინაშე მყოფი უფლებადამცველების დასაცავად სპეციალურად შექმნილი პროგრამების არარსებობისას, უფლებადამცველთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე პასუხი ხშირად შენელებული და არაეფექტურია. კოორდინაციის ნაკლებობასა და გრძელვადიანი ბიუროკრატიული პროცედურების არსებობასთან ერთად, რომელიც თან სდევს დაცვითი ზომების გატარებას, ხშირად ადგილი აქვს თანამდებობის პირების მხრიდან უფლებადამცველთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საფრთხეების არასაკმარისად სერიოზულ დამოკიდებულებას და მუქარისა და შევიწროვების ფაქტების გამოძიების სურვილის არარსებობას. უფლებადამცველთა ირგვლივ არსებული პრობლემების და სახელმწიფოს მხრიდან უფლებადამცველთა დაცვის ვალდებულების სათანადოდ გააზრებლობას, ხშირად თან სდევს უფლებადამცველთა საქმიანობის მნიშვნელობის არაღიარება და მათთვის დაცვისთვის აუცილებელი არასაკმარისი მატერიალური რესურსების შეთავაზება. შესაბამისად, გარდაუვალი რისკის წინაშე მდგომი უფლებადამცველები ძალიან ხშირად რჩებიან ადეკვატური დანმარების გარეშე, მათ შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვის, უსაფრთხო ადგილებზე გადაადგილებაში დანმარების ან სხვა აუცილებელი მხარდაჭერის გარეშე.

86. უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა რეკომენდაცია მისცა სახელმწიფოებს, შეიმუშაონ საჯარო პოლიტიკა და კონკრეტული ინსტიტუციური მექანიზმები იმისთვის, რომ, სადაც ამის საჭიროება იარსებებს, შეძლონ ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვის და სხვა მატერიალური რესურსების შეთავაზება.<sup>124</sup> სპეციალურმა მომხსენებელმა ასევე მოახდინა იმ მინიმალური სახელმძღვანელო პრინციპების დემონსტრირება, რომელიც აუცილებელია დაცვითი პროგრამების შემუშავებისთვის, და სახელმწიფოებს მისცა რეკომენდაცია, ამგვარი პროგრამების შემუშავების და განხილვების პროცესში კონსულტაციები გაიარონ თავად უფლებადამცველებთან. დაცვითი პროგრამების სტრუქტურა განსაზღვრული უნდა იყოს კანონით, ხოლო ფედერალურ სახელმწიფოებში დაცვითი პროგრამები ფედერალური კანონმდებლობით და მათი ადმინისტრირება უნდა მოხდეს ფედერალური მთავრობის მიერ. დაცვითი პროგრამები უნდა მოიცავდეს წინასწარი გაფრთხილების ფუნქციებს, რათა შესაძლებელი იყოს დაცვითი ზომების წინასწარ პროგნოზირება. პროგრამები ასევე უნდა ახორციელებდნენ რისკის ქვეშ მყოფი უფლებადამცველთა ოჯახის წევრების უსაფრთხოების შეფასებას. უსაფრთხოების და ძალოვანი სტრუქტურების წამომადგენლები, რომლებიც ჩართულები იქნებიან ამ პროგრამებში, სათანადოდ მომზადებული და გაწვრთნილი უნდა იყვნენ, ხოლო ფიზიკური დაცვის ფუნქციის მესამე მხარეებზე განაწილება არ უნდა ხდებოდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მესამე მხარეები ასევე სათანადოდ გაწვრთნილები იქნებიან ამისთვის. დაბოლოს,

124 იხ. უფლებადამცველების მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში A/HRC/25/55, პარაგრაფები 84 და 131.

დაცვითი პროგრამებისთვის უნდა გამოიყოს ადეკვატური ფინანსური რესურსები.<sup>125</sup>

87. უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა დაადგინა, რომ ბევრი სახელმწიფო იყენებს მოწმის-დაცვის პროგრამებს როგორც ერთადერთ მექანიზმს რისკის წინაშე მყოფი უფლებადამცველების დასაცავად. უმეტეს შემთხვევაში, ეს პროგრამები საკმარისი არ არის უფლებადამცველთა უსაფრთხოებისთვის, ვინაიდან ეს პროგრამები ამ მიზნით არ შექმნილა.<sup>126</sup> ზოგადად, მოწმის დაცვის პროგრამები არ უნდა გამოიყენებოდეს უფლებადამცველთა დასაცავად სპეციალურად შექმნილი პროგრამების ნაცვლად. თუ სახელმწიფოები გამოიყენებენ ამ პროგრამებს უფლებადამცველთა უფლებების დასაცავ ბაზისად, მაშინ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეს პროგრამები პასუხობდეს მათ ძირითად საჭიროებებს ან მოიცავდეს შესაბამის დამატებით ზომებს.
88. რისკის ქვეშ მყოფი უფლებადამცველების ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვის მიზნით წევრი სახელმწიფოების მიერ გამოყენებული სისტემების მიუხედავად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ დაცვითი პროგრამები ხელმისაწვდომი იყოს მათთვის, ვინც განსაკუთრებით საჭიროებს დაცვას, ასევე იმას, რომ მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ხორცილდება ამ პროგრამების ადმინისტრირება, ოპერირებდეს სამართლიანად, დამოუკიდებლად და გამჭვირვალად, ბენეფიციარების სრულყოფილი მონაწილეობით. ნებისმიერი გამოყენებული დაცვის საშუალება წინასწარ შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამის უფლებადამცველთან, რომელსაც ეხება იგი. მეტიც, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავი პირები და სასამართლოს წარმომადგენლები, რომლებიც ჩართული იქნებიან ამ პროცესში, სათანადოდ მომზადებული და ინფორმირებული იყვნენ, რათა შეძლონ იმ საშიშროებისა და უსაფრთხოების რისკების სათანადო იდენტიფიცირება, რომელთა საფრთხის წინაშე დგანან უფლებადამცველები, და სათანადოდ მიუდგნენ ამ რისკებს. ასეთ პროგრამებში ჩართული პირების კვალიფიკაცია და სანდოობა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს ნდობა უფლებადამცველებსა და ამ პირებს შორის, რამეთუ ნდობა უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ნებისმიერი დაცვითი პროგრამის ფუნქციონირებისთვის. როცა უფლებადამცველები დგანან დიდი საფრთხის წინაშე, უნდა ჩაერთონ სათანადო რესურსის მქონე სპეციალურად გაწვრთნილი სამართალდამცავი პირები, დაცვის ჩარჩოების გასაძლიერებლად და დაუყოვნებელი რეაგირების უზრუნველსაყოფად და ფიზიკური დაცვის და სხვა მხარდაჭერის სწრაფი განხორციელებისთვის.

125 იხ. Ibid. პარაგრაფი 88 და A/HRC/13/22, 30 დეკემბერი, 2009, რომელიც ეხება უფლებადამცველების უფლებების დაცვის და უსაფრთხოების საკითხებს.

126 იხ. A/HRC/13/22, პარაგრაფები 71-74.

89. ქალი უფლებადამცველების სპეციფიკური რისკების და უსაფრთხოების საჭიროების გათვალისწინებით, UNGA-მ სახელმწიფოებს მოუწოდა, შეიმუშაონ და პრაქტიკაში გამოიყენონ სრულყოფილი, მდგრადი და გენდერული თვალსაზრისით სენსიტიური პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება ქალი უფლებადამცველების მხარდასაჭერად.<sup>127</sup> ამგვარი პოლიტიკა და პროგრამები ადეკვატურად უნდა იყოს შედგენილი და სთავაზობდეს დაუყოვნებლივ და გრძელვადიან დახმარებას, ხოლო იმისთვის, რომ ეს რესურსები მოქნილად და სწრაფად მობილიზდეს ეფექტური დაცვის მიზნით, საჭიროა შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.<sup>128</sup> დაცვის საჯარო პოლიტიკა და პროგრამები ასევე უნდა ითვალისწინებდეს უფლებადამცველთა სხვა კატეგორიების სპეციფიკურ გამოწვევებს და საჭიროებებს, მათ შორის ახალგაზრდა და ბავშვი უფლებადამცველებისა, ისევე როგორც რისკის ქვეშ მყოფი უფლებადამცველებისა, მაგალითად ისეთებისა, რომლებიც არატოლერანტულობას და ქსენოფობიას ებრძვიან.
90. ფიზიკური დაცვის და/ან სასწრაფო რელოკაციის შესაძლებლობის შეთავაზების მიღმა, დაცვითი საშუალებები და პროგრამები ხელს უწყობდეს, როცა არსებობს ამის საჭიროება, უფლებადამცველთა წვდომას მხარდაჭერის ისეთ მომსახურებაზე, როგორიცაა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა დარღვევების მსხვერპლთა გადაუდებელი დახმარება, თავშესაფრები, ფსიქოლოგიური დახმარება და რეაბილიტაცია, ისევე როგორც ფსიქოთერაპია, სამართლებრივი კონსულტაციები და დახმარება.<sup>129</sup> მონაწილე სახელმწიფოებმა ამ მიზნით უნდა გამოიყონ საკმარისი თანხები და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ საერთაშორისო დახმარებას ამ მიზნით. მათ ასევე მხარი უნდა დაუჭირონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და სხვა აქტორებს, რომლებიც ამგვარ სერვისებს სთავაზობენ.
91. მეტიც, წევრმა სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ რისკის წინაშე მყოფ უფლებადამცველებს და მათ ორგანიზაციებს საკუთარი შესაძლებლობების შენებაში, რათა მათ შეძლონ, მაგალითად, გადადგან ნაბიჯები საკუთარი უსაფრთხოებისთვის, გაუმკლავდნენ რისკებს და შექმნან უსაფრთხო გარემო და შექმნან სწრაფი რეაგირებისა და დახმარების შიდა ქსელები, ისევე როგორც ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

127 იხ. UNGA-ს რეზოლუცია A/RES/68/181, პარაგრაფი 19.

128 Ibid.

129 UNGA-ს რეზოლუცია ქალი უფლებადამცველთა შესახებ (A/RES/68/181) მოუწოდებს სახელმწიფოებს, „შეიმუშაონ და განხორციელონ პოლიტიკა და პროგრამები, რომლებიც ქალ უფლებადამცველებს მისცემს ეფექტურ საშუალებებთან წვდომის შესაძლებლობას, მათ შორის (ბ) ძალადობის მსხვერპლი ქალი უფლებადამცველებისთვის არსებობდეს საკმარისი წვდომა დახმარების ისეთ სერვისებთან, როგორიცაა, მათ შორის თავშესაფრები, ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრები, ფსიქოთერაპია, სამედიცინო და იურიდიული და სოციალური სერვისები“, პარაგრაფი 21.



**ბ. სასამართლოში შევიწროებისგან, კრიმინალიზაციისგან, თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრებისგან დაცვა**

92. იმის მტკიცებით, რომ „საჯარო უწყებების მხრიდან გადადგმული ყველა ნაბიჯი უნდა იყოს ეყრდნობოდე კანონის უზენაესობის პრინციპს და, შესაბამისად, იძლეოდეს ადამიანის უსაფრთხოების სამართლებრივ გარანტიებს,<sup>130</sup> წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ლეგალურობის პრინციპის პრიორიტეტულობა საჯარო პირების ქმედებებთან მიმართებაში, და ამასთანავე ადამიანების მიმართ თვითნებური ან დისკრიმინაციული მიდგომა. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, „უზრუნველყონ, რომ არც ერთი ადამიანი არ გახდეს თვითნებური დაკავების, პატიმრობის ან გაძევების მსხვერპლი.“<sup>131</sup> ჟურნალისტებზე კონკრეტული მითითებით, მათ დაგმეს „ჟურნალისტებზე ყველა სახის თავდასხმა და მათი შეურაცხყოფა“ და მოუწოდეს „აღნიშნული ქმედებებისთვის პასუხისმგებელი პირების პასუხისგებაში მიცემისკენ.“<sup>132</sup>
93. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდა სახელმწიფოებს, უზრუნველყონ, რომ ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და დაცვა არ იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და უფლებადამცველებს ეძლეოდეთ შესაძლებლობა მათი საქმიანობის ფარგლებში ისარგებლონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებით. გარდა ამისა, საბჭომ სახელმწიფოებს მოუწოდა უზრუნველყონ, რომ არც ერთი ადამიანი არ დაექვემდებაროს, მათ შორის, თვითნებურ დაკავებას ან პატიმრობას ან განდეს სისხლისსამართლებრივი ან სამოქალაქო სამართალწარმოების ან ამგვარი მუქარის მსხვერპლი.<sup>133</sup>

**კრიმინალიზაცია და კანონმდებლობის თვითნებურად და ბოროტად გამოყენება**

94. აღნიშნულის მიუხედავად, ეუთოს რამდენიმე წევრ სახელმწიფოში, გრძელდება უფლებადამცველთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა მხარდაჭერასა და დაცვასთან დაკავშირებული ლეგიტიმური აქტივობების გამო და ისინი ხდებიან სასამართლოს მხრიდან შევიწროვების ან სხვა სახის ძალადობის მსხვერპლი. წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებების მიზნებისთვის, ტერმინი „სასამართლოში შევიწროვება“ გამოყენებულია როგორც არაგარანტირებული სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურების გამოყენება ან ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი ძალაუფლების ნებისმიერი სხვა არასათანადო ფორმით გამოყენება, მათ შორის კანონმდებლობის თვითნებური გამოყენება და ბოროტად

130 ბუდაპეშტი 1994, „გადაწყვეტილებები: VIII. ადამიანური განზომილებები“, პარაგრაფი 18.

131 ვენა 1989, „ევროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები: პრინციპები“, პარაგრაფი 23.1.

132 ბუდაპეშტი 1994, „გადაწყვეტილებები: VIII. ადამიანური განზომილებები“, პარაგრაფი 37.

133 გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, რეზოლუცია უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ, A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 6 და 11(a).

გამოყენება, უფლებადამცველთა საქმიანობის დაბრკოლების ან სტიგმატიზაციის მიზნით.

95. უფლებადამცველთა შევიწროვება სასამართლოში და მათი საქმიანობის კრიმინალიზაცია რამდენიმე ფორმით ხორციელდება, მათ შორის შემდეგი ფორმებით: უფლებადამცველთა განსჯა ბუნდოვანი კანონების საფუძველზე, რაც იძლევა ისეთი კანონის თვითნებური გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც უფლებადამცველთა ლეგიტიმურ საქმიანობას სისხლისსამართლებრივ ჭრილში განიხილავენ; გაყალბებული სისხლის სამართლებრივი ბრალდება ან ყალბი სარჩელი; არაპროპორციული სანქციები უმნიშვნელო გადაცდომებისთვის; და ადმინისტრაციული პროცედურების და რეგულაციების დარღვევა (მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებული, ფინანსური და საგადასახადო ან საგზაო რეგულაციების). ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში, ძალოვანი, სასამართლო, უსაფრთხოების და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ხშირად ფიქსირდება გადაცდომის ისეთი ფაქტები, სადაც სამიზნეს ასევე წარმოადგენენ რისკის ქვეშ მყოფი უფლებადამცველების ოჯახის წევრებიც. მუქარა და შევიწროვება შესაძლოა ინიცირებულ იქნას არასახელმწიფო აქტორების მხრიდანაც, როცა სახელმწიფო იგნორირებას უკეთებს ან აქტიურად მხარს უჭერს ასეთ ქმედებებს. სასამართლოში შევიწროვების და კრიმინალიზაციის ფაქტებმა შესაძლოა შედეგად გამოიწვიოს უფლებადამცველების თვითნებური დაკავება ან დაპატიმრება,<sup>134</sup> დაკავების გრძელი ვადები ან მათთვის თავისუფლების ჩამორთმევა სხვა საფუძველზე, როგორცაა სადამსჯელო ღონისძიების სახით მათი არანებაყოფლობითი მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.<sup>135</sup>

96. რასობრივი, სექსისტური და სხვა ნიშნით მიკერძოებულობა სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან, მათ შორის ძალოვანი სტრუქტურების და სასამართლოს წარმომადგენლების მხრიდან, შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც შესაძლებლობაზე, ისე პოლიტიკურ ნებაზე, გამოძიებულ იქნას უმცირესობების და გენდერულ საკითხებზე მომუშავე უფლებადამცველთა წინააღმდეგ მიმართული

134 გაეროს სპეციალური ანგარიში ბელორუსიაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის თაობაზე, მაგალითად, მიუთითებს საჩივრების არსებობაზე „უფლებადამცველთა დაშინების და მათი შევიწროვების მუდმივ ფაქტებთან დაკავშირებით“, გაეროს დოკუმენტი A/HRC/23/52, 18 აპრილი, 2013, პარაგრაფი 92.

135 ODIHR-სთვის ცნობილი ინფორმაციის მიხედვით, ხშირად ხდება უფლებადამცველთა არანებაყოფლობითი მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში და მათი გარემოების მიზნით მათთვის სამედიცინო დახმარების გაწევა (მათი ნების საწინააღმდეგოდ), რაც წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას და ასევე შესაძლოა წარმოადგენდეს ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების სერიოზულ დარღვევას. იხილეთ, მაგ., გაეროს სპეციალური პროცედურის მანდატის ფარგლებში, მათ შორის უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ გამოთქმული განცხადებები ფსიქიატრიულ დაწესებულებებში უფლებადამცველთა არანებაყოფლობითი მოთავსების თაობაზე, უკრაინისა და ყაზახეთის სახელმწიფოებისადმი მიმართვის ფარგლებში UKR 2/2013, 22 ივლისი 2013წ., <[https://spdb.ohchr.org/hrdb/24th/public\\_-\\_UA\\_Ukraine\\_22.07.13\\_\(2.2013\).pdf](https://spdb.ohchr.org/hrdb/24th/public_-_UA_Ukraine_22.07.13_(2.2013).pdf)>; და KAZ 4/2013, 22 August 2013, <[https://spdb.ohchr.org/hrdb/24th/public\\_-\\_UA\\_Kazakhstan\\_22.08.13\\_\(4.2013\).pdf](https://spdb.ohchr.org/hrdb/24th/public_-_UA_Kazakhstan_22.08.13_(4.2013).pdf)>.

ძალადობრივი ფაქტები.<sup>136</sup> ამან ასევე შესაძლოა გამოიწვიოს თანამდებობის პირების მხრიდან შევიწროვების უსეთი ფაქტები, რომლებიც მიმართული იქნება კონკრეტულად ამ საკითხებზე მომუშავე უფლებადამცველების მიმართ. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში იმ უფლებადამცველთა საქმიანობა, რომლებიც ე.წ. სენსიტიურ საკითხებზე მუშაობენ, როგორცაა მაგალითად გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულები და ქალთა უფლებები, ხშირად არასასურველი ჩარევის გაცილებით მაღალი რისკის ქვეშ ექცევა.

97. შევიწროვებამ შესაძლოა მიიღოს მრავალი ფორმა, რომლებიც ხშირად შენიღბულია, როგორც ფორმალურად კანონიდან წარმოშობილი. ბუნდოვანება კანონმდებლობაში და მასში არსებული ხარვეზები შეიძლება გამოყენებულ იქნას უფლებადამცველთა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად (იხ. ქვემოთ ნაწილი აზრისა და გამოხატვის თავისუფლება). უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ კონკრეტულ ტენდენციებზე, როცა გამოიყენება უფლებადამცველთა საქმიანობაში ჩარევის უფრო დახვეწილი ფორმები, „მათ შორის გამოიყენება სამართლებრივი და ადმინისტრაციული დებულებები ან ხდება სასამართლო სისტემის არასწორი გამოყენება მათი საქმიანობის კრიმინალიზებისთვის.“<sup>137</sup> სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ეს პატერნები არამხოლოდ საფრთხეს უქმნის უფლებადამცველების ფიზიკურ ხელშეუხებლობას და საფრთხის წინაშე აყენებს მათ, არამედ იწვევენ შიშს და აწვდიან დასაშინებელ მესიჯს საზოგადოებას.“<sup>138</sup>

98. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს კანონში არსებული ხარვეზების უფლებადამცველთა გასაჩუმებლად გამოყენების უკანონობას. ერთ-ერთი უფლებადამცველის საქმეზე, რომელსაც მიესაჯა ადმინისტრაციული პატიმრობა არაავტორიზებული შეკრების ორგანიზების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა არ მოითხოვდა ამგვარ ავტორიზაციას, ECtHR-მა დაადგინა, რომ, სხვა პირობებთან ერთად, დაირღვა შეკრების თავისუფლების პირობა, არსებობს რა ამ უფლებასთან დაკავშირებული ხარვეზი კანონმდებლობაში.<sup>139</sup>

136 როგორც ეს აღნიშნულია ქვემოთ ნაწილში „სტიგმატიზაციასთან და მარჯნალიზაციასთან დაპირისპირება“, UNGA-მ ქალი უფლებადამცველების თაობაზე თავის რეზოლუციაში გამოთქვა განსაკუთრებული წუხილი იმ დისკრიმინაციულ პრაქტიკასთან და სოციალურ ნორმებთან და პატერნებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოყენებულია ქალთა მიმართ ძალადობის იგნორირებისთვის, და მოიწვია ლიდერები საზოგადოების სხვადასხვა სექტორიდან, მათ შორის პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და რელიგიური წრეებიდან, რათა გამოეხატა საჯარო მხარდაჭერა ქალი უფლებადამცველების მნიშვნელოვანი როლის და მათი ლეგიტიმური საქმიანობის მიმართ. იხ. A/RES/68/181, პრეამბულა და პარაგრაფი 15.

137 იხ. უფლებადამცველების მდგომარეობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/HRC/25/55, 23 დეკემბერი, 2013, პარაგრაფი 59.

138 Ibid.

139 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმეზე *Vyerentsov v. Ukraine*, განცხადების ნომერი 20372/10, 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება.

99. უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა გამოთქვა მწუხარება „არარეგისტრირებული ჯგუფების მიერ განხორციელებული აქტივობების კრიმინალიზაციის სავალალო ტრენდის“<sup>140</sup> თაობაზე. გარდა ამისა, აღნიშნულ კონტექსტში, ჯგუფები, რომელთაც არაერთგზის ეთქვათ უარი რეგისტრაციაზე, მარტივად ხდებიან სისხლისსამართლებრივი დევნის სამიზნეები, როცა ისინი აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას. იმ წევრ სახელმწიფოებში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მიერ სხვა ქვეყნიდან დაფინანსების მიღების აუცილებელი წინაპირობას წარმოადგენს შესაბამისი ავტორიზაციის გავლა, უფლებადამცველებს შესაძლოა მიუხაჯოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი თუ ისინი არ შეასრულებენ ავტორიზაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ეს პრაქტიკა გააკრიტიკა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, რომელმაც აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა შეეძლოთ „შეასრულონ საკუთარი ფუნქციები პაქტის 22-ე მუხლთან [გაერთიანების თავისუფლება] წინააღმდეგობაში მყოფი დაბრკოლებების, წინააღმდეგობის, დაფინანსებაზე კონტროლის და ადმინისტრაციული აკრძალვების გარეშე.“<sup>141</sup> ანალოგიურად, ბავშვთა უფლებების საკითხებზე გაეროს კომიტეტმა გამოთქვა შეშფოთება რეგისტრაციის გარეშე ოპერირებადი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრთა კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით.<sup>142</sup>

100. ანალოგიურად, კანონები, რომლებიც შექმნილია ტერორიზმის და „რელიგიური ექსტრემიზმის“ პრევენციისა და მასთან შესაბამისობაშია, ხშირად „გამოიყენება ხოლომე უფლებადამცველების აქტივობების კრიმინალიზაციისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე დაწესებული ზემოთ აღწერილი შეზღუდვები ბოროტად გამოიყენება ხოლომე უფლებადამცველთა ჯგუფების გასაჩუმებლად, რაც ხშირად შენიღბულია ისე, თითქოს აღნიშნული ხორციელდება ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების პრევენციის მიზნით.“<sup>143</sup> რაც შეეხება ეროვნული უშიშროების კანონმდებლობას, მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა კიდევ ერთხელ გამოთქვა შეშფოთება „ეროვნული უშიშროების ბუნდოვანი თეორიის“ გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც „ფართოდ განიმარტება და, შესაბამისად, მგრძობიარეა სახელმწიფოს მხრიდან მანიპულირების კუთხით, გამოიყენოს რა ეს კანონმდებლობა ისეთი ქმედებების გასამართლებლად, რომელთა მიზანს ისეთი წარმოადგენს დაუცველი

140 იხ. უფლებადამცველების მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, A/HRC/25/55, პარაგრაფი 68.  
141 „გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შეფასებები ევკვიპტზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/CO/76/EGY, 28 ნოემბერი, 2002, პარაგრაფი 21.  
142 ბელორუსიაში ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს კომიტეტის დასკვნითი შეფასებები“ CRC/C/BLR/CO/3-4, 8 აპრილი, 2011, პარაგრაფი 23-24.  
143 იხ. მაგალითად, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლებებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, გაეროს დოკუმენტი A/HRC/20/27, 21 მაისი, 2012, პარაგრაფი 94; და უფლებადამცველების მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, გაეროს დოკუმენტი A/64/226, 4 აგვისტო, 2009, პარაგრაფი 94.

ჯგუფები, როგორცაა უფლებადამცველები, ჟურნალისტები და აქტივისტები.”<sup>144</sup>

101. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ, განსაკუთრებულად აქცენტი გააკეთა რა იმ მეთოდებზე, რომლებიც ტერორიზმთან შესაბამისობადაა და ეროვნული უშიშროების შენარჩუნებისთვის არიან შექმნილი, მოუწოდა სახელმწიფოებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამგვარი მეთოდები „არ აბრკოლებდნენ იმ ადამიანთა, ჯგუფების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას და უსაფრთხოებას, რომლებიც ჩართულნი არიან ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის საქმიანობაში,” და ხაზი გაუსვა კანონში ტერორიზმთან დაკავშირებული გადაცდომების მკაფიო და არაბუნდოვანი დეფინიციების არსებობის მნიშვნელობას, ისევე როგორც იმპერატიული მოთხოვნისა, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილებს გარანტირებული ქონდეთ სამართალწარმოების სათანადო პროცესი, საქმის განხილვის მთლიანი პერიოდის განმავლობაში.<sup>145</sup> როგორც ასეთი, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოფნ, რომ კანონმდებლობა, რომელიც შექმნილია ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულის კრიმინალიზაციის მიზნებისთვის, მათ შორის ტერორიზმის დაფინანსებისა, მკაცრად იყოს შედგენილი და ამცირებდეს მისი გამოყენების რისკს პოლიტიკურად მოტივირებული ან სხვა მსგავსი მიზნებისთვის.

102. უფლებადამცველთა კრიმინალიზაციასთან და სასამართლოში მათ შევიწროებასთან ეფექტური ბრძოლა ასევე მოითხოვს სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან დიდ ძალისხმევას, რომ მოხდეს სამართალდამცავი სისტემის მთლიანობის და სასამართლო

144 იხ. მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლებებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში A/HRC/23/40, პარაგრაფი 60.

145 ადამიანის უფლებათა საბჭო, უფლებადამცველთა დაცვის თაობაზე რეზოლუცია A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 10, რომელიც: „კიდევ ერთხელ მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ ტერორიზმთან ბრძოლისთვის და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული მეთოდები:

(ა) შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებებთან, კერძოდ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ კანონმდებლობასთან, და არ აბრკოლებდეს ადამიანების, ჯგუფების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც ჩართულნი არიან ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის საქმიანობაში;

(ბ) მკაფიოდ უნდა ადგენდეს რომელი დანაშაული კვალიფიცირდება ტერორისტულ აქტად, და ამისთვის უნდა განსაზღვრული უნდა იყოს გამჭვირვალე და განჭვრეტადი კრიტერიუმები, მათ შორის, *inter alia*, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ტერორიზმთან ბრძოლისას ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

(გ) კრძალავდეს და არ ითვალისწინებდეს ან იწვევდეს ადამიანების თვითნებურ დაკავებას, როგორც დაკავებას სამართალწარმოების სათანადო გარანტიების გარეშე, თავისუფლების აღკვეთას რომელიც უტოლდება დაკავებული ადამიანის მოთავსებას სამართლებრივი დაცვის ფარგლებს გარეთ, და თავისუფლების უკანონო აღკვეთას და ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი ადამიანების გადაყვანას, ან ცნობის უფლების უკანონო შეზღუდვას ან ეჭვმიტანილთა დაკითხვას ძირითადი სასამართლო გარანტიების გარეშე;

(დ) ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ან სხვა მსგავსი კანონმდებლობის საფუძველზე დაკავებული ადამიანებისთვის იძლეოდეს სათანადო წვდომის შესაძლებლობას შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და უზრუნველყოფდეს, რომ არ ხდებოდეს უფლებადამცველების შეურაცხყოფა ან დევნა ეროვნული უშიშროების კანონმდებლობის საფუძველზე დაკავებული პირების სამართლებრივი დანაშაულის გამო.“



და საგამოძიებო სისტემების დამოუკიდებლობის გაუმჯობესება. ეს იქნება საკანონმდებლო დონეზე სიციხადის და პროგნოზირებადობის გარანტი, სამართლიანობის პრინციპთან ერთად, და გააძლიერებს მარგინალიზებულ ან სხვა დაუცველ ჯგუფებს. ამ მხრივ, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ სახელმწიფოებს მოუწოდა უზრუნველყონ, რომ „სასამართლო სისტემა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური იმისათვის, რომ ეფექტურად განიხილოს ის კანონმდებლობა და მისი გამოყენების საკითხები, რომლებსაც გავლენა აქვთ უფლებადამცველთა საქმიანობაზე.“<sup>146</sup>

103. მისაღებია წომები იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების მუშაობის დონე და თავის საქმიანობაში მათ დაიცვან უმაღლესი ეთიკური სტანდარტები. უფრო კონკრეტულად, წევრმა სახელმწიფოებმა პრიორიტეტად უნდა განსაზღვრონ ეფექტური საზედამხედველო მექანიზმების განვითარება, შიდა და გარე დონეებზე, მათ შორის პოლიციის ზედამხედველობის სამოქალაქო საბჭოების, რათა დროულად გამოავლინონ და დამოუკიდებლად გამოძიონ გადაცდომა და დააკისრონ შესაბამისი დისციპლინარული სანქციები ან წამოიწყონ სისხლისსამართლებრივი პროცედურები, როცა დადგინდება შესაბამისი გადაცდომა. საკანონმდებლო, სასამართლო და სხვა შესაბამისი ოფიციალური პირები ასევე უნდა გადიოდნენ შესაბამის სწავლებას, რომლიც დაეხმარება მათ საზოგადოებისთვის უფლებადამცველთა მნიშვნელოვანი როლის სათანადო აღქმაში, ისევე როგორც იმ სპეციფიკური რისკებისა, რომელთაც ისინი აწყდებიან მათი საქმიანობის შედეგად, სასწავლო კურსები ასევე დაეხმარება მათ უფლებადამცველთა კონკრეტული საჭიროებების აღქმაშიც. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ასევე სასამართლო და სხვა საჯარო პირებში მავნე სტერეოტიპებთან დაპირისპირებას, რათა არ მოხდეს მარგინალიზებული ან სხვა დაუცველი ჯგუფების უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაზე მომუშავე უფლებადამცველების შევიწროვება და ხდებოდეს მიკერძოებული და გენდერული დანაშაულების შესახებ ანგარიშების დინამიური გამოძიება.

104. უფლებადამცველები, რომლებსაც ადამიანის უფლებების დარღვევის გამო შეაქვთ სარჩელები ადამიანის ან ინსტიტუტის წინააღმდეგ, ყოველთვის უნდა იმსახურებდნენ ღირსეულ მოქცევას და ეფექტურად დაცულები უნდა იყვნენ საპასუხო ბრალდებებისგან, თვითნებური დევნისგან და სხვა მსგავსი სამართლებრივი ქმედებებისგან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ უფლებადამცველებისთვის, რომლებიც ჩართულები არიან ადამიანი უფლებებთან დაკავშირებულ სტრატეგიულ სამართალწარმოებაში, მათ შორის იმ პირთა სახელით, რომლებიც მიუკუთვნებიან მარგინალიზებულ ან სხვა დაუცველ ჯგუფებს და რომელთაც სასამართლომ ან დაცვის მხარემ შესაძლოა მოუწყოს შეუსაბამოდ პირადი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული დაკითხვა. „იურისტები არ უნდა განიცდიდნენ დევნას ან მათზე არ უნდა ვრცელდებოდეს რაიმე ზეწოლა, როდესაც ისინი ასრულებენ

146 იხ. A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 11(b).

საქმიანობას პროფესიული სტანდარტების შესაბამისად,<sup>147</sup> მათ შორის როცა წარმოადგენენ კლიენტებს ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენელთა წინააღმდეგ მიმართული ადამიანის უფლებების დარღვევის ან დისკრიმინაციის საქმეებზე. ანალოგიურად, მოწმეები, რომლებიც ჩვენებას აძლევენ სახელმწიფოს წარმომადგენლების ან ინსტიტუტების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, ეფექტურად უნდა იყვნენ დაცულები ნებისმიერი სახის ზეწოლისგან.

### თვითნებური დაკავება და მოპყრობა დაკავებისას

105. ICCPR-ის მე-9 მუხლი, ECHR-ის მე-5 მუხლი და ACHR-ის მე-7 მუხლი ეხება ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას და მოიცავს დაცვის ზოგად პრინციპებს თვითნებურ დაკავებასთან დაკავშირებით. თვითნებურ დაკავებაზე გაეროს სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, თავისუფლების ხელყოფა თვითნებურია, inter alia, როცა „ცალსახად შეუძლებელია რაიმე სამართლებრივი საფუძვლის მისადაგება თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად“; როცა თავისუფლების ჩამორთმევა შედეგად მოსდევს ადამიანის მიერ აზრისა და გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და გაერთიანების ან გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით და ICPT-ით აღიარებული სხვა უფლებების და ძირითადი თავისუფლებების გამოყენებას; ასევე როცა „სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმების მთლიანად ან ნაწილობრივ დაუცველობის ხარისხი [...] იმდენად სერიოზულია, რომ თავისუფლების შეზღუდვას თვითნებური დაპატიმრების ხასიათს სძენს.“<sup>148</sup> თავისუფლების შეზღუდვა მოიცავს საპოლიციო პატიმრობას, წინასწარ პატიმრობას, გასამართლების შემდგომ პატიმრობას, შინაპატიმრობას, არანებაყოფლობით ჰოსპიტალიზაციას ან მოთავსებას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ისევე როგორც პატიმრობის სხვა ფორმებს.

106. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დაკავებას წინ უნდა უძღოდეს სასამართლოს შესაბამისი ავტორიზაცია, ხოლო დაკავებულებს უნდა ქონდეთ შეუზღუდავი წვდომა ადვოკატთან და უფლება, გაასაჩივროს დაკავება. როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი აღნიშნა, აღნიშნული პირობა ვრცელდება ყველა პირზე, ვისაც ჩამოერთვა თავისუფლება დაკავების ან დაპატიმრების სახით, მიუხედავად იმისა, თავისუფლების ჩამორთმევა დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივ საქმესთან თუ დაკისრებულია სხვა

147 იხ. „მინისტერიალის საბჭოს მე-14 შეხვედრის დოკუმენტი“, ბრუსელის დეკლარაცია სისხლის სამართლებრივი წარმოების სისტემებზე, 2006წ.

148 იხ. ინფორმაცია სამუშაო მეთოდების თაობაზე „ინდივიდუალური საჩივრები და გადაუდებელი გასაჩივრება“ სამუშაო ჯგუფი <<http://www.ohchr.org/EN/Issues/De-ntention/Pages/Complaints.aspx>>. საქმეების მეორე კატეგორიასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფი თავისუფლების ჩამორთმევას მიიჩნევს თვითნებურად, როცა იგი ხორციელდება „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 7, 13, 14, 18, 19, 10 და 21 მუხლებით გარანტირებული უფლებების ან თავისუფლებების გამოყენების შედეგად, და, როცა მონაწილე სახელმწიფოები არიან ჩართულები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 12, 18, 19, 21, 22, 25, 26 და 27 მუხლებით“.

საფუძვლით, როგორცაა, მათ შორის, მაგალითად, მენტალური ავადმყოფობა, ქუჩაში შეწყობების თხოვნა, ნარკოტიკული ნივთიერებებზე დამოკიდებულება, საგანმანათლებლო მიზნები ან იმიგრაციის კონტროლი.<sup>149</sup> ზოგადად, მოწინააღმდეგეობა უნდა განახორციელონ ალტერნატიული სანქციების უფრო ფართო გამოყენება პრაქტიკაში, და ამასთანავე დანაშაულის გამო დაკავების სანქციის ავტომატურად გამოყენება არ უნდა ხდებოდეს.

107. შეიარაღებული ძალების წევრებს, რომლებიც ჩართულები არიან საკუთარი უფლებების ან სხვათა უფლებების დასაცავ აქტივობებში, ასევე უნდა ქონდეთ თვითნებურ დაკავებასთან დაკავშირებული ზოგადი გარანტიები.<sup>150</sup> შეიარაღებული ძალების ან სამართალდამცავი ორგანოების წევრებს, რომლებიც გასამართლდნენ დისციპლინარული გადაცდომის ან სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გამო, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული აქტივობების გამო, უნდა მიეცეთ საქმის სამართლიანი მოსმენის საშუალება და იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებელ ორგანოში გაასაჩივრონ იგი. ისინი არ უნდა ექვემდებარებოდნენ დაპატიმრებას და არ უნდა ხდებოდეს მათი დაკავება სამართლის ძიების და დადგენის შესაძლებლობის გარეშე.

108. უფლებადამცველები რომელთა დაკავება მოხდა თვითნებურად, დაუყოვნებლივ და უპირობოდ უნდა გათავისუფლდნენ და მიიღონ

149 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარები ნომერი 8, მუხლი 9, „ადამიანთა თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება“, 30 ივნისი, 1982, პარაგრაფი 1. ადამიანის უფლებათა კომიტეტი ამჟამად მუშაობს ახალ ზოგად კომენტარზე, მე-9 მუხლთან დაკავშირებით. ამჟამინდელი პროექტის მიხედვით „თავისუფლების ჩამორთმევის მაგალითებს განეკუთვნება საპოლიციო პატიმრობა, წინასწარი პატიმრობა, გასამართლების შემდგომ დაპატიმრება, შინაპატიმრობა, არანებაყოფლობითი ჰოსპიტალიზაცია, დაკავება აეროპორტის შეზღუდული ტერიტორიაზე, ასევე არანებაყოფლობითი გადაყვანა/ტრანსპორტირება.“ იხ. ნომერი 35 ზოგადი კომენტარის პროექტი, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/107/R.3, 28 იანვარი, 2013, პარაგრაფი 6. როგორც ეს მოცემულია ზოგად კომენტარში ნომერი 8, მე-9 მუხლით განსაზღვრული გარანტიები ასევე ვრცელდება ე.წ. პრევენციულ დაპატიმრებაზე, იხ. პარაგრაფი 4.

150 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)4 რეკომენდაციის მიხედვით, შეიარაღებული ძალების წევრებს არ შეიძლება ჩამოერთვათ თავისუფლება გარდა ECHR-ის 5(1) მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, კანონით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით. დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში, მა სწრაფად უნდა განუმარტონ დაკავების ან დაპატიმრების მიზეზი, ნებისმიერი ბრალი რომელიც ედება მას და მისი პროცედურული უფლებები. მეტიც, შეიარაღებული ძალების თავისუფლება ჩამორთმეულ წევრებს უფლება აქვთ თავიანთი დაკავების კანონიერების დადგენა მოითხოვონ სასამართლოში. დისციპლინარული სასჯელები ან ზომები რომლებიც შეესაბამება თავისუფლების ჩამორთმევას, 5(1) მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობის შესაბამისად, ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ დებულების მოთხოვნებს (რეკომენდაციის დანართი, პარაგრაფები 22-27). რაც შეეხება დისციპლინარული პროცედურებს, რეკომენდაციის მიხედვით, სამხედრო დისციპლინა უნდა ხასიათდებოდეს სამართლიანობით და პროცედურული გარანტიები უზრუნველყოფილი უნდა იყოს; და დისციპლინარული გადაცდომისთვის ბრალდებული შეიარაღებული ძალების წევრები ინფორმირებული უნდა იყვნენ დროულად და დეტალურად მათ წინააღმდეგ არსებული ეჭვების და ბრალდების შინაარსის თაობაზე; მათ აქვთ საქმის სამართლიანი განხილვის უფლება (სადაც გამოიყენება ECHR-ის მე-6 მუხლი საქმის სამართლიანი განხილვის უფლებაზე); და მათ ასევე უნდა მიეცეთ ზემდგომ და დამოუკიდებელ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება და შესაძლებლობა (იხ. პარაგრაფები 17 და 21). გარდა ამისა, შეიარაღებული ძალების წევრებთან დაკავშირებულ სისხლისსამართლებრივ საქმეებზე სასამართლოს წარმომადგენელთა დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის გარანტიის მიზნით, უნდა მკაფიოდ უნდა იყოს გაყოფილი ფუნქციები იმ პირებს შორის, ვინც ბრალდების მხარეს არის და ვისაც გამოაქვს განაჩენი (პარაგრაფი 29). იხ. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)4 წევრი სახელმწიფოებისთვის, მიღებული 2010 წლის 24 თებერვალს.

შესაბამისი რეპარაცია. მონაწილე სახელმწიფოებმა დროულად და სრულყოფილად უნდა აღასრულონ საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები, კერძოდ ECtHR-ისა, ისევე როგორც კვაზი-სასამართლო ორგანიზაციებისა, როგორცაა თვითნებური დაკავების საკითხებზე გაეროს სამუშაო ჯგუფი და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი.

109. უფლებადამცველებს, რომელთაც ჩამოერთვათ თავისუფლება, უფლება აქვთ მოექცნენ ჰუმანურად და მათი ღირსების პატივისცემით.<sup>151</sup> ეს მოითხოვს დაკავების ადგილებში ისეთი პირობების არსებობას, რომელიც არ გაუთანაბრდება არაჰუმანურ და დამამცირებელ მოპყრობას. უფლებადამცველების მიმართ, რომელთაც ჩამოერთვათ თავისუფლება, არ უნდა ხორციელდებოდეს დისკრიმინაციული მოპყრობა და დაკავებაში ყოფნისას არ უნდა ექმნებოდეთ ისეთი პირობები, რომელიც მათი საქმიანობის გამო სადამსჯელო პირობას დაემსგავსება. ისინი ეფექტურად უნდა იყვნენ დაცულები წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან და ნებისმიერი პოტენციური ძალადობისგან სხვა დაკავებულთა მხრიდან. თავისუფლება ჩამორთმეულ უფლებადამცველებთან მოპყრობის პირობები სრულად უნდა შეესაბამებოდეს პატიმრებთან მოპყრობის გაეროს მინიმალურ სტანდარტებს და ნებისმიერი ფორმით დაკავებულ პატიმართა დაცვის ზოგად პრინციპებს და პატიმრებთან მოპყრობის ზოგად პრინციპებს.<sup>152</sup>

110. იმ პირობებების მოსაგვარებლად, რომელთაც შესაძლოა აწყდებოდნენ დაკავებაში მყოფი ქალი უფლებადამცველები, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები მათ დასაცავად გენდერული ნიშნით შევიწროებისგან და უნდა შესთავაზონ მათ ქალ პატიმრებთან მოპყრობის და ქალ მოძალადეთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ გაეროს წესებით (ე.წ. ბანგკოკის წესები) გათვალისწინებული სერვისები.<sup>153</sup> ანალოგიურად, წევრმა სახელმწიფოებმაც უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები უფლებადამცველთა სხვა ჯგუფების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც განსაკუთრებული ძალადობის ან სხვა საფრთხის რისკის ქვეშ იმყოფებიან.<sup>154</sup>

151 იხ. ICCPR-ის მე-10 მუხლი.

152 „პატიმრებთან მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები“, მიღებული გაეროს პირველ კონგრესზე დანაშაულის თავიდან აცილების და დამნაშავეებთან მოპყრობის თაობაზე, რომელიც გაიმართა ქუენჯაში 1955 წელს, და რომელიც დამტკიცდა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის რეზოლუციით 663 C (XXIV) და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით; და „პატიმრებთან მოპყრობის ზოგადი პრინციპები“ მიღებული და დამტკიცებული გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 45/111, 14 დეკემბერი, 1990.

153 „გაეროს წესები ქალ პატიმრებთან მოპყრობის და ქალ მოძალადეთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები)“, მიღებული UN-GA-ს რეზოლუციით A/RES/65/229 2010 წლის 21 დეკემბერს.

154 მაგალითად მათი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან გენდერული გამოხატულების გამო. იხ., მაგალითად, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) „სახელმძღვანელო სპეციალური საჭიროების მქონე პატიმართა შესახებ“ 2009, <<http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Prisoners-with-special-needs.pdf>>; LGBTI პირებთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციებისთვის იხ. გვ. 119-122.



## საქმის სამართლიანი საპროცესო განხილვა

111. ICCPR-ის მე-14 მუხლის შესაბამისად, ECHR-ის მე-6 და ასევე ACHR-ის მე-8 მუხლის შესაბამისად, თითოეულ ადამიანს, რომელსაც ემუქრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, უფლება აქვს ისარგებლოს საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებით კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მხრიდან. უფრო კონკრეტულად, ყველას, ვისაც წაყენებული აქვს ბრალი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გამო, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამდე, სანამ მისი ბრალი არ დამტკიცდება. მეტიც, ICCPR-ის მე-14 მუხლი, inter alia, გულისხმობს შემდეგს: უფლება მიიღოს დროული და დეტალური ინფორმაცია ბრალდების შინაარსის და მიზეზის თაობაზე; უფლება მიეცეს ადეკვატური დრო და საშუალებები თავდაცვის მოსამზადებლად; უფლება ყავდეს საკუთარი არჩეული ადვოკატი; უფლება უფასო სამართლებრივ დახმარებაზე, როცა ამის საჭიროებაა; უფლება დაიკითხოს სხვა ადამიანის თანდასწრებით; უფლება მოითხოვოს და დაკითხოს მოწმეები საკუთარი სახელით; და უფლება არ აიძულონ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა ან არ აღიაროს დანაშაული.<sup>155</sup>

112. უფლებადამცველები, რომელთაც წაყენებული აქვთ ბრალი, გააჩნიათ საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და ეუთოს შესაბამისი ვალდებულებებით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის სრული უფლებამოსილება.<sup>156</sup> მათ უფლება აქვთ მიიღონ დაცვის ეფექტური საშუალებები და ადეკვატური რეპარაცია, თუკი სამართლიანი სასამართლოს რომელიმე უფლება დაირღვევა მათ წინააღმდეგ. კერძოდ, შემთხვევები, როცა ბრალის აღიარება მოხდა ზეწოლის ფონზე, მათ შორის წამების ფონზე, რაც წარმოადგენს საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპის პირდაპირ დარღვევას, სწრაფად, ეფექტურად, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად უნდა იქნას გამოძიებული, ხოლო ნებისმიერი მტკიცებულების გამოყენება, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებისა, რომლებიც მიღებულია წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის ფონზე, უნდა გამოირიცხოს სასამართლოს მხრიდან.<sup>157</sup>

155 იხ. მუხლი 14(3).

156 იხ. მაგალითად: ვენა 1989; კოპენჰაგენი 1990; ლუბლიანა 2005; და ჰელსინკი 2008.

157 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმებმა გამოთქვეს უმცაოფილება რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით, სადაც უფლებადამცველები, აღიარების მოპოვების მიზნით, შესაძლოა განდენ წამების მსხვერპლნი. მაგალითად, ყირგიზეთში მისი ვიზიტის შემდგომ, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების და სხვა არასათანადო, არაადამიანური და არაჰუმანური მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე, აღნიშნა, რომ: „უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება რომლითაც ძალაში დარჩა გადაწყვეტილება უფლებადამცველი აზიშხან ასკაროვის და სხვა პირთა წინააღმდეგ სიკვდილით დასჯის განაჩენის ძალაში დატოვების თაობაზე, რომელთაც ბრალად ედებოდათ 2010 წლის ძალადობრივ ქმედებებში მონაწილეობა, მიუხედავად მისი წამების ფაქტების შესახებ განცხადებებისა და დაცვის მხარის მტკიცებისა, რომ აღიარება მოხდა ზეწოლის ქვეშ, წარმოადგენს უმადლესი სასამართლო ინსტანციის უუნარობის პირდაპირ მაგალითს რეაგირება მოახდინოს წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. უზენაესი სასამართლოს უფრო გვიანდელი, 2011 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელმაც უცვლელი დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 4 პოლიციელის საქმეზე, რომელთაც ბრალი ედებოდათ მსხვერპლის წამებაში, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობდა მყარი საბუთები მტკიცებულება რომელიც ამტკიცებდა წამების ფაქტს, კიდევ ერთი ცუდი მაგალითია სასამართლოს წარუმატებლობის.“ იხ. A/HRC/19/61/Add.2, 21 თებერვალი 2012, პარაგრაფი 49.



113. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ სახელმწიფოებს მოუწოდა უზრუნველყონ, რომ „არსებობდეს პროცედურული გარანტიები, მათ შორის უფლებადამცველთა წინააღმდეგ ადრულ სისხლისსამართლებრივ საქმეებზე, თანახმად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობისა, რათა თავიდან იქნას აცილებული საქველ მტკიცებულებების გამოყენება, არაგარანტირებული გამოძიება და პროცედურული დაყოვნებები, რაც საბოლოოდ ეფექტურად იმოქმედებს დაუსაბუთებელი საქმეების სწრაფად დახურვაზე, ხოლო ადამიანებს მიეცემათ შესაძლებლობა შეიტანონ საჩივარი პირდაპირ შესაბამისი დაწესებულებაში.“<sup>158</sup>

114. ეუთოს ფარგლებში აღებულნი საკუთარი ვალდებულებების თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ სასამართლო დამოუკიდებლობა პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლოს ქმედებების ან სასამართლოს გარეთ არსებული გავლენების საფუძველზე მიღებული განაჩენების მაქსიმალურად შემცირების მიზნით. უფრო კონკრეტულად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაუშვან და ხელი შეუწყონ სასამართლო პროცესზე დამკვირვებლების არსებობას, როგორც საქმის სამართლიანი განხილვის პრაქტიკული განხორციელების მონიტორინგის მექანიზმს. ამ მხრივ, მონაწილე სახელმწიფოები დათანხმდნენ „თავდაჯერებულობის ამალგების მექანიზმის სახით, წევრი სახელმწიფოების მიერ მოვლენილი დამკვირვებლების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა დასწრებას სასამართლო პროცესებზე, ისევე როგორც სხვა დაინტერესებული მხარეებისა.“<sup>159</sup> მეტიც, მათ აღნიშნეს, რომ „სასამართლო პროცესი შეიძლება წარმართოს მხოლოდ კამერის თანდასწრებით, კანონით განსაზღვრულ ვითარებაში და საერთაშორისო სამართლით აღიარებული წესების და აღიარებული ვალდებულებების შესაბამისად.“<sup>160</sup> შესაბამისად, სასამართლოები ასევე ვალდებული უნდა იყვნენ დაგეგმონ სასამართლო მოსმენები იმგვარად და გახადონ საჭირო დოკუმენტაცია, მაგალითად სასამართლოს გადაწყვეტილებები, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ისე, რომ, გარანტირებული იყოს პროცესის გამჭვირვალობა.

## **გ. სტიგმატიზაციასთან და მარგინალიზაციასთან დაპირისპირება**

115. წევრ სახელმწიფოებმა აღიარეს ადამიანების, ჯგუფების, ორგანიზაციების და ინსტიტუტების აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა მათი საერთო ამოცანების უწყვეტი პროგრესის უზრუნველყოფის პროცესში. ეს ამოცანები მოიცავს ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის გაძლიერებას და გამოყენებას. მეტიც, წევრ სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, პატივი სცენ „მათი მოქალაქეების უფლებას აქტიურად ჩაერთონ, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, ადამიანის უფლებების და ძირითადი

158 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 11(c).

159 კოპენჰაგენი, 1990, პარაგრაფი 12.

160 Ibid.

თავისუფლებების ხელშეწყობის და დაცვის საქმიანობაში,<sup>161</sup> და „ყველას უფლებას, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, მოიძიონ, მიიღონ და გაამჟღავნონ ინფორმაცია ადამიანის უფლებებზე და ძირითად თავისუფლებებზე, მათ შორის გაავრცელონ და გამოაქვეყნონ ეს მოსაზრებები და ინფორმაცია.“<sup>162</sup>

116. გაეროს დეკლარაციამაც დაადასტურა, მაგალითად, თითოეული ადამიანის უფლება, კომუნიკაცია ქონდეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მთავრობათაშორის ორგანიზაციებთან (მუხლი 5 (c)) და მოიძიოს, მიიღოს ან გამოიყენოს – ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად – ეს რესურსები მშვიდობიანი საშუალებებით, კონკრეტულად ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობის და დაცვის მიზნებისთვის (მუხლი 13).

117. მიუხედავად ამ და სხვა ვალდებულებებისა, ბევრ ქვეყანაში უფლებადამცველების სტიგმატიზაცია, ამ უფლებების გამოყენების და მათი საქმიანობის გამო, ისევ გრძელდება.<sup>163</sup> უფლებადაცვითი საქმიანობა ხშირად განიხილება როგორც პოლიტიკური საქმიანობა ან პოლიტიკურად ოპოზიციური საქმიანობა, ვინაიდან იგი ხშირად მოიცავს ხელისუფლების და უმრავლესობის პოზიციის კრიტიკას. თუმცა, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ადამიანებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი საქმიანობის წარმართვაში, *inter alia*, ხელისუფლებისთვის კრიტიკისა და წინადადებების წარდგენით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაძლიერონ მათ ადამიანის უფლებების დაცვა. საზოგადოებრივი აზრზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მიზნით განხორციელებული აქტივობები მნიშვნელოვანი ელემენტს წრმოადგენს უფლებადაცვითი საქმიანობისთვის და აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებისთვის. მასადაამე, უფლებადაცვითი საქმიანობა არ უნდა გვერეოდეს პარტიზანულ პოლიტიკურ საქმიანობაში. შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობის მნიშვნელობა და ლეგიტიმურობა.

118. უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა გამოთქვა წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ უფლებადამცველებს, მათი საქმიანობისა და აქტივობების დელეგიტიმაციის მცდელობისას, ხშირად აძლევენ სახელმწიფოს მტრის ან ტერორისტის სახელს.<sup>164</sup> ეუთოს რეგიონში ეს როგორც წესი მოიცავს

161 ვენა 1989, „ევროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები: პრინციპები.“ პარაგრაფი 13(5).

162 კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი (10.1).

163 2001 წელს UNGA-ს გენერალური მდივნის მაშინდელმა სპეციალურმა მომხსენებელმა უფლებადამცველთა საკითხებზე თავის პირველ ანგარიშში აღნიშნა, რომ „უფლებადამცველთა წინააღმდეგ წარმოებული კამპანიები ხშირად ხდება მათი საქმიანობის მაღისკრედიტირებული იარაღი.“ ეს გარემოება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა მომდევნო პერიოდში, თუმცა უფლებადამცველთა დისკრედიტაციისთვის გამოყენებული მეთოდები კიდევ უფრო დახვეწილი გახდა. იხილეთ უფლებადამცველების საკითხებზე გენერალური მდივნის სპეციალური მომხსენებლის, ჰინა ჯილიანის ანგარიში, UN Doc. A/56/341, 10 სექტემბერი, 2001, პარაგრაფები 36-40.

164 იხ. უფლებადამცველების მდგომარეობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში A/HRC/25/55, 23 დეკემბერი 2013წ., პარაგრაფი 86.

უფლებადამცველების შერაცხვას ექსტრემისტებად, მოღალატეებად ან ჯაშუშებად, და ხდება მათი საქმიანობის დისკრედიტაცია იმგვარად, თითქოს იგი გამიზნულია მთავრობის დასამხრად ან უფლებადამცველები ეჭვმიტანილები ხდებიან კრიმინალების დაცვაში ან თავად ხდებიან ეჭვმიტანილნი კრიმინალურ საქმიანობაში.

119. PACE-მა გამოთქვა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ „უფლებადამცველები ხშირად ხდებიან მადისკრედიტირებელი კამპანიის მსხვერპლნი, რომელიც მიზნად ისახავს მათ დისკრედიტაციას, ან რიგ ქვეყნებში ისინი ეჭვმიტანილნი ხდებიან არაპატრიოტულ, მოღალატეობრივ, ჯაშუშურ ან ექსტრემისტულ საქმიანობაში.“<sup>165</sup> მეტიც, PACE-მა წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა შეწყვიტონ უფლებადამცველების უსაფუძვლო ეჭვის მიტანა“ ექსტრემისტებად ან უცხოელი ძალების აგენტებად.“<sup>166</sup>

120. ეუთოს რიგ წევრ სახელმწიფოში სტიგმატიზაცია და მადისკრედიტირებელი კამპანიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ უფლებადამცველთა დელეგატიმაციის საქმეში, რომლებიც დაფინანსებას იღებენ ან ასრულებენ პროფესიულ საქმიანობას, თითქოს მათ პირველ რიგში ფინანსური სარგებლის ინტერესი ამოძრავებთ, ვიდრე ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მოტივები. მეტიც, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში უფლებადაცვითი საქმიანობა დისკრედიტირებულია ისეთი კანონმდებლობის მიღების გზით, რომელიც, მაგალითად, უფლებადამცველებს, რომლების დაფინანსებას უცხოეთიდან იღებენ, „უცხო ქვეყნის აგენტებად“ განიხილავს.<sup>167</sup> ნებისმიერი ასეთი კანონი უნდა გადაინხედოს, უფლებადამცველებთან კონსულტაციების საფუძვლზე და, როცა ამის საჭიროება იქნება, შეიცვალოს ან გააუქმდეს.

121. ყოფილა შემთხვევები, როცა უფლებადამცველები ან მათი ორგანიზაციები ცალ-ცალკე გამხდარან დაგეგმილი მადისკრედიტირებელი კამპანიების მსხვერპლნი, მათ შორის მედიის ან სტიგმატიზაციის სხვა საშუალებებით, რომლებიც შექმნილია მათი პირადი რეპუტაციის ან მათი ორგანიზაციის ავტორიტეტის შესაღახად.

165 იხ. PACE რეზოლუცია 1660 (2009) ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ, მიღებული 2009 წლის 28 აპრილს, პარაგრაფი 4.

166 იხ. PACE რეზოლუცია 1891 (2012), მიღებული 2012 წლის 27 ივნისს, პარაგრაფი 5.8.

167 რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ მის დასკვნაში, მაგალითად, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა აღნიშნა, რომ ტერმინის „უცხო ქვეყნის აგენტი“ ხშირი გამოყენება გამოიწვევს სამოქალაქო საზოგადოების მეტ სტიგმატიზაციას და ექნება „შიშის ეფექტი“ სამოქალაქო საზოგადოების აქტივობებზე: „ტერმინის „უცხო ქვეყნის აგენტი“ გამოყენება (*inostranniy agent*) განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებზეც ზემოქმედება აქვს უცხო ქვეყნის აგენტების შესახებ კანონის გამოყენებას, ვინაიდან ეს ტერმინი რუსეთის ისტორიულ კონტექსტში, როგორც წესი, ასოცირდება „უცხო ქვეყნის ჯაშუშთან“ და/ან „მოღალატესთან“. იხ, ადამიანის უფლებების კომისარის დასკვნა არაკომერციული ორგანიზაციების თაობაზე რუსეთის კანონმდებლობის შესახებ, ევროპის საბჭოს სტანდარტებთან მიმართებაში, Com-DH(2013)15, 15 ივლისი, 2013, <<https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=2086667>>, პარაგრაფები 57 და 80. ტერმინის „უცხო ქვეყნის აგენტი“ ნეგატიურ კონტექსტში გამოყენებასთან დაკავშირებით, იხ. ასევე ევროპის კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის (ვენეციის კომისია) და ეუთო/ODIHR, „ერთობლივი შუალედური დასკვნა ყირგიზეთის რესპუბლიკის არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ კანონში და სხვა კანონებში ცვლილებების კანონპროექტზე“ CDL-AD(2013)030, 16 ოქტომბერი, 2013, პარაგრაფი 47.

მაგალითად, რეგულარულად ხდება გენდერული სტერეოტიპების გამოყენება ქალი უფლებადამცველების დისკრიმინაციისთვის.<sup>168</sup> როგორც ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის საკითხებზე გაეროს სამუშაო ჯგუფმა აღნიშნა, ქალი უფლებადამცველების წინააღმდეგ ხორციელდება შევიწროვება, დაშინება და სექსისტური შეტევები ინტერნეტ სივრცეში.<sup>169</sup> ახალგაზრდა უფლებადამცველები, მათ შორის ბავშვები, ხშირად მიიჩნევიან ზედმეტად ახალგაზრდებად იმისათვის, რომ გააჩნდეთ საკუთარი აზრი და მათ უარს ეუბნებიან საკუთარი მოსაზრებების გამოხატვაზე. უფლებადამცველთა კრიტიკა მათი ამკარა ან საექვო სექსუალური ორიენტაციის გამო, ისევე როგორც მასმედიისთვის პირადი ხასიათის სენსიტიური ინფორმაციის ან მონაცემების განდობა პირადი ცნოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევით კიდევ ერთი ტაქტიკაა, რომელიც გამოიყენება უფლებადამცველთა დისკრიმინაციისთვის.

122. ICCPR-ის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცნოვრების ხელშეუხებლობის უფლება მათ შორის მოიცავს ადამიანის რეპუტაციის და ღირსების უკანონო შელახვისგან დაცვას.<sup>170</sup> პაქტის წევრი სახელმწიფოები მამასადამე ვალდებული არიან დაიცვან უფლებადამცველები ამგვარი თავდასხმებისგან, მიუხედავად იმისა, როგორც ეს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება ისინი თუ ფიზიკური ან იურიდიული პირების მხრიდან არის ინიცირებული.<sup>171</sup> თუმცა, კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ საწამ შესაძლებელია ლეგიტიმურად ჩაითვალოს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მე-17 მუხლით განსაზღვრული უფლების დაცვის მიზნით, ამგვარ აკრძალვებს სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ.<sup>172</sup> უფრო კონკრეტულად, ისინი მკაცრად უნდა იყვნენ შესაბამისობაში გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებთან, რათა არ დაუშვან ამ უფლების არასათანადო გარდასახვა და არ უნდა ხდებოდეს მათი ბოროტად გამოყენება სხვა ადამიანისთვის ადამიანის უფლებების დაცვის უფლების ჩამორთმევის მიზნით.

168 თავის რეზოლუციაში 68/181, მაგალითად, UNGA-მ გამოხატა ღრმა შემფოთება ისტორიული და სტრუქტურული უთანასწორობის გავლენის თაობაზე, რაც იწვევს ქალი უფლებადამცველების მიმართ დანაშაულის და მათი საქმიანობის სტიგმატიზაციას „რაც არის იმ დისკრიმინაციული პრაქტიკის და იმ სოციალური ნორმებისა და პატერნების შედეგი, რომლებიც გამოიყენება ქალთა მიმართ ძალადობის დასაიგნორებლად“, იხ. გაეროს დოკუმენტი. A/RES/68/181, პრეამბულა.

169 იხ. ქალების წინააღმდეგ (კანონში და პრაქტიკაში) დისკრიმინაციის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის ანგარიში, გაეროს დოკუმენტი A/HRC/23/50, 19 აპრილი 2013, პარაგრაფი 66. სამუშაო ჯგუფმა, მაგალითად, აღნიშნა ანონიმური ნეგატიური კამპანიის თაობაზე, რომელიც მოუწოდებდა ქალი უფლებადამცველის გაუპატიურებისკენ, რომელმაც მისი ვიკიპედიის პერსონალურ გვერდზე რასობრივი თავდასხმის თაობაზე ინფორმაციის განთავსებით.

170 ICCPR-სგან განსხვავებით, ECHR-ის მე-8 მუხლი კონკრეტულად არ მიუთითებს პატივზე და რეპუტაციაზე, თუმცა თავის იურისპრუდენციაში ECHR აღნიშნავს, რომ ადამიანის რეპუტაციის დაცვის უფლებას კონვენციის მე-8 მუხლი გარკვეულწილად მაინც ითვალისწინებს, პირადი ცნოვრების უფლების პატივისცემის ნაწილი. იხ. ნაწილი „პირადი ცნოვრების უფლება“ ქვემოთ.

171 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #16, Article 17, „პირადი ცნოვრების უფლება“, 8 აპრილი, 1988, პარაგრაფი 1 და 11.

172 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #34 მე-19 მუხლზე, „გამოხატვის თავისუფლება“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/GC/34, 12 სექტემბერი, 2011 წ. პარაგრაფი 28.



123. არის შემთხვევები, როცა რიგ წევრ სახელმწიფოში უფლებადამცველთა მადისკრედიტირებელი კამპანიებს უძღვებიან პირდაპირ სახელმწიფოს წამომადგენლები ან თანამდებობის პირები ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მედია საშუალებები. ამგვარ კამპანიებს ხშირად უძღვებიან არასახელმწიფო აქტორები, მათ შორის აგრესიული ეროვნული დაჯგუფებები, რელიგიური ლიდერები და ინსტიტუტები ან კერძო კორპორაციები.<sup>173</sup> უფლებადამცველთა და მათი საქმიანობის დისკრედიტაციის ამგვარი მცდელობები ზოგჯერ აგორებულია სახელმწიფოს წარმომადგენლების ან პოლიტიკური ფიგურების მიერ მედია საშუალებებით გაკეთებული კრიტიკული – ან სულაც პროვოკაციული – განცხადებების საფუძველზე, მუნიციპალურ, რეგიონალურ ან ეროვნულ დონეებზე.

124. უფლებადამცველები, რომლებიც მიეკუთვნებიან ან ასოცირებულნი არიან რომელიმე ისეთ ჯგუფთან, რომელიც საზოგადოებაში აწყდება მიკერძოებულ და არატოლერანტულ დამოკიდებულებას – მაგალითად ეთნიკური, რელიგიური, რასის, მოქალაქეობის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა სტატუსის გამო – განსაკუთრებული რისკის ქვეშ ექვევნიან ასეთი ტიპის პოტენციური ძალადობისა. ინტერნეტ და სოციალური ქსელები განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ამგვარ ჯგუფებთან დაკავშირებული ან მიეკუთვნებული უფლებადამცველების მიმართ ზიზღის გასავრცელებლად და გასაძლიერებლად. მეტიც, დისკრიმინაციის პროვოცირებასთან ბრძოლაში, უფლებადამცველთა წინააღმდეგ მტრობა და ძალადობა, რომლებიც მოტივირებულია კონკრეტული სოციალური ჯგუფის მიმართ არატოლერანტული განწყობით, რომელსაც მიეკუთვნება ან რომელთანაც ასოცირდება უფლებადამცველი, ხშირად არაეფექტურია.

125. ზოგადად, სტიგმატიზაცია და მადისკრედიტირებელი კამპანიები ქმნიან გარემოს, რომელიც ახდენს უფლებადამცველთა წინააღმდეგ სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების პროვოცირებას და აღვივებს მათ შეურაცხყოფას და დევნას, რითაც მათი უსაფრთხოება დგება რისკის ქვეშ.

126. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ სახელმწიფოებს მოუწოდა „საჯაროდ აღიარონ უფლებადამცველთა მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური როლი ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობაში, როგორც მათი დაცვისთვის აუცილებელი მნიშვნელოვანი კომპონენტისა, მათ შორის მათი ორგანიზაციების დამოუკიდებლობის პატივისცემით და მათი საქმიანობის სტიგმატიზაციისგან თავის არიდებით.“<sup>174</sup> ადამიანის უფლებათა საბჭომ მოიწვია ლიდერები საზოგადოების სახვადასხვა სფეროდან, მათ შორის, პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური წრეებიდან, ასევე ლიდერები ბიზნეს და მედია სექტორებიდან, რათა მათ გამოხატონ

173 მაგალითად, როგორც უფლებადამცველების მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა გაუსვა ხაზი, უფლებადამცველები, რომლებიც მუშაობენ LGBT-TI პირების უფლებების დაცვის საკითხებზე, ხშირად ხდებიან სტიგმატიზაციის და თავდასხმის ობიექტები, მათ შორის, საზოგადოებრივი ან რელიგიური ლიდერების ან ჯგუფების და მედიის მხრიდან. იხ. გაეროს დოკუმენტი A/HRC/25/55, 23 დეკემბერი, 2013 წ. პარაგრაფი 104.

174 გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია A/HRC/RES/22/6, პრეამბულა.



საზოგადოებრივი მხარდაჭერა უფლებადამცველთა მნიშვნელოვანი როლის და მათი საქმიანობის ლეგიტიმურობის მიმართ.<sup>175</sup>

127. სახელმწიფო ან არასახელმწიფო აქტორების მხრიდან ისეთი მანიფესტაციები, რომლებიც დგას ეროვნული, რასობრივი და რელიგიური საფუძვლებით სიძულვილის ადოკატირების ზღვარზე, და რომლებიც დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის მაპროვოცირებელია, უნდა იკრძალებოდეს კანონით, როგორც ამას ICCPR-ის მე-20 მუხლი ითვალისწინებს.<sup>176</sup> როგორც აზრისა და გამოხატვის თავისუფლების მხარდაჭერისა და დაცვის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, ასეთი კანონები შემუშავებულ და გამოყენებულ უნდა იქნას ფრთხილად, რათა არ მოხდეს ICCPR-ს მე-19 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის ლეგიტიმური საშუალებების შეზღუდვა.<sup>177</sup>

128. ეროვნული, რასობრივი და რელიგიური ნიშნით სიძულვილის პროვოცირებასთან შესაბამისობა უნდა ჰქონდეს, მათ შორის როცა იგი მიმართულია უფლებადამცველების წინააღმდეგ, კანონმდებლობას უნდა დაემატოს ისეთი ცნობიერების ასამაღლებელი და გამაფრთხილებელი ზომები, როგორც რეკომენდირებულია, მაგალითად რაბათის სამოქმედო გეგმით ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით სიძულვილის ადვოკატირების აკრძალვის თაობაზე.<sup>178</sup> ამგვარი ზომები მოიცავს უსაფრთხოების სამსახურების, ძალისხმევის სტრუქტურების წარმომადგენელთა და სასამართლო სისტემის ადმინისტრაციის ჩართული პირების სწავლებას და ინფორმირებულობას, ისევე როგორც ადამიანის უფლებებზე ინფორმირებულობას და ადამიანის უფლებების ფასეულობებზე და პრინციპებზე სწავლებას, მათ შორის სკოლებში.

175 A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 18. ანალოგიურად, ქალ უფლებადამცველთა შესახებ რეზოლუციაში UNGA-მ ასევე მოუწოდა სამხედრო ლიდერებს ქალი უფლებადამცველების როლის მხარდაჭერის საჯარო გამოხატვისკენ (კერძოდ იხ. A/RES/68/181, პარაგრაფი 15). რაც შეეხება სახელმწიფო პირების მხრიდან (მათ შორის ძალისხმევის სტრუქტურების ან სასამართლოს წარმომადგენლების მხრიდან) რასობრივი, სექსისტური და სხვა სახის მიკროქოლუბული გამოხატულებების შემოქმედებას პოლიტიკურ ნებაზე დაიგმოს, გამოძიებულ იქნას და დაისაჯოს უმცირესობების და გენდერულ საკითხებზე მომუშავე უფლებადამცველთა წინააღმდეგ მიმართული მუქარა და ძალადობა, ასევე იხ. ნაწილი „კრიმინალიზაცია და კანონმდებლობის თვითნებურად და ბოროტად გამოყენება.“

176 ICCPR-ს მე-20 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება „მიიღონ ეფექტური ზომები, მათ შორის, მიიღონ თავიანთი საკონსტიტუციო სისტემისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისი ისეთი კანონები, რომლებიც დაიცავს ადამიანებს და ჯგუფებს ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური დისკრიმინაციის, სიძულვილისა ან ანტისემიტიზმის მოტივით ჩადენილი შევიწროვებისგან.“ იხ. კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი (40.1); ასევე ქენევა 1991 წელი.

177 აზრისა და გამოხატვის თავისუფლების მხარდაჭერის და დაცვის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, გაეროს დოკუმენტი A/67/357, 7 სექტემბერი, 2012 წ., პარაგრაფები 76 და 77.

178 “რაბათის სამოქმედო გეგმა ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით სიძულვილის ადვოკატირების აკრძალვის თაობაზე, რომელიც აქუნებს დისკრიმინაციას, მტრობას ან ძალადობას“ დასკვნები და რეკომენდაციები, ექსპერტთა მე-4 რეგიონალური სამუშაო შეხვედრა, ორგანიზებული OHCHR-ს მიერ 2011 წელს, და ექსპერტების მიერ დამტკიცებული რაბათში, მოროკო, 2012 წლის 5 ოქტომბერს, <[http://www.ohchr.org/Documents/Issues/Opinion/SeminarRabat/Rabat\\_draft\\_outcome.pdf](http://www.ohchr.org/Documents/Issues/Opinion/SeminarRabat/Rabat_draft_outcome.pdf)>, გვერდები 7-8.

129. მეტიც, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მოცემული პერიოდისთვის მისაღები და არასტიმატიური ტერმინოლოგიის გამოყენება ადამიანთა იმ გარკვეულ ჯგუფებთან მიმართებაში, რომლებიც მარგინალიზებული არიან, მაგალითად, მათი ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, რასის, მოქალაქეობის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა სტატუსის გამო. ამ მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურებმა ხშირი კონსულტაციები უნდა გააირონ უფლებადამცველებთან სათანადოდ, მიუკერძოებელ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით და უნდა უზრუნველყონ, რომ ეს ტერმინოლოგია იქნას გამოყენებული როგორც ზეპირ, ისე წერილობით განცხადებებში.

130. ეუთოს ვალდებულებების შესაბამისად, სიძულვილის ენის გამოხატულებასთან, ისევე როგორც აგრესიული გამოხატვის სხვა ფორმებთან დაკავშირებით, როგორცაა რასიზმი, შოვინიზმი, ქსენოფობია, ანტისემიტიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი, მძაფრი საჯარო პოზიციის გამოხატვასთან ერთად,<sup>179</sup> – სახელმწიფოს წარმომადგენლები და ინსტიტუტები ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე საჯაროდ უნდა კიცხავდნენ უფლებადამცველთა წინააღმდეგ მანიფესტაციებს, როცა ასეთს აქვს ადგილი.

131. სტიგმატიზაცია ასევე იწვევს მარგინალიზაციას. ზოგადად, იგი საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობის სანდოობას და, შედეგად, ამცირებს ამ საქმის წარმატებისთვის აუცილებელი რესურსებისა და მხარდაჭერის შესაძლებლობებს. უფლებადამცველთა სტიგმატიზაციის ნაცვლად, წევრი სახელმწიფოები აქტიურად და კონსტრუქტიულად უნდა ჩაებან უფლებადამცველების საქმიანობაში და აღიარონ მათი საქმიანობის მნიშვნელობა. იმ ფაქტის აღიარებით, რომ დამოუკიდებელი NHRI-ის წევრები და თანამშრომლები ასევე წარმოადგენენ უფლებადამცველებს, წევრ სახელმწიფოებმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გააძლიერონ მათი მანდატი, პარიზის პრინციპების შესაბამისად, და მისცენ მათ სხვა უფლებადამცველებთან ეფექტური თანამშრომლობის შესაძლებლობა საჯარო დებატებში მათი ჩართულობის სტიმიულირების მიზნით. მათ ასევე სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ დამოუკიდებელი NHRI-ების და სხვა უფლებადამცველების რეკომენდაციები და მოსაზრებები, მაშინაც კი, თუ ისინი მთავრობის მიმართ კრიტიკულია.

132. ვინაიდან უფლებადამცველთა საქმიანობა ხშირად მოიცავს მთავრობის პოლიტიკის და მოქმედებების კრიტიკას, მთავრობებმა ამგვარი კრიტიკა უარყოფითად არ უნდა მიიღონ. „მთავრობის პოლიტიკასა და მოქმედებებში აზროვნების თავისუფლების და თავისუფალი დებატების არსებობის პრინციპი მნიშვნელოვანია და ადამიანის უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტის შექმნის გამოცდილი გზას წარმოადგენს. უფლებადამცველებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ მთავრობებს ადამიანის უფლებების მხარდაჭერასა და დაცვაში. საკონსულტაციო პროცესში მათ შეუძლიათ შეასრულონ საკვანძო როლი შესაბამისი

179 მინისტრიალის საბჭოს შეჯამებულ დოკუმენტი (ვორტო 2002), პარაგრაფი 8.

კანონმდებლობის შექმნასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავების პროცესში დახმარების სახით. ეს როლიც აღიარებული და მხარდაჭერილი უნდა იყოს.”<sup>180</sup>

### III. ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო

#### დ. აზრისა და გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის თავისუფლება

133. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR) მე-19 მუხლის გარდა, ადამიანის უფლებათა რამდენიმე საერთაშორისო რეგიონული დოკუმენტი იცავს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებს, მათ შორის ICCPR,<sup>181</sup> ECHR,<sup>182</sup> ACHR<sup>183</sup> და FCNM.<sup>184</sup> UDHR-ის თანახმად „ყველა ადამიანს აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.“

134. წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, „ხელი შეუწყონ ყველა სახის ინფორმაციის თავისუფალ და ფართო გავრცელებას, ასევე ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას და ინფორმაციის გაცვლას სხვა ქვეყნებთან.“<sup>185</sup> მათ ასევე დაადასტურეს, რომ „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის კომუნიკაციის უფლება. ეს უფლება გულისხმობს აზრის ქონის, ინფორმაციის მიღებისა და ინფორმაციის და იდეების გადაცემის უფლებას ხელისუფლების ჩარევის გარეშე და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.“<sup>186</sup> გამოხატვის თავისუფლების ძირითადი როლი ასევე მიჩნეულია როგორც „ადამიანის ძირითადი უფლება და დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი კომპონენტი.“<sup>187</sup> უფრო მეტიც, მონაწილე სახელმწიფოებმა

180 „დაცვის უზრუნველყოფა – ევროპის კავშირის სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველთა შესახებ“ <<http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUp-load/GuidelinesDefenders.pdf>>, პარაგრაფი 5. სახელმძღვანელო მითითებები თავდაპირველად მომზადდა 2004 წელს და 2008 წელს მოხდა მისი განახლება.

181 ICCPR, მუხლი 19.

182 ECHR, მუხლი 10.

183 მუხლი 13, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია. ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული კომისიის მიერ 2000 წლის ოქტომბერში დამტკიცებული პრინციპები გამოხატვის თავისუფლების შესახებ მოიცავს უფრო დეტალურ განმარტებებს ამერიკული კონვენციის მე-13 მუხლის ინტერპრეტაციის თაობაზე, იხ: <<http://www.oas.org/en/iachr/expression/showarticle.asp?artID=26&ID=1>>.

184 FCNM, მუხლი 7.

185 ჰელსინკი 1975, „ჰუმანიტარული და სხვა სფეროებში თანამშრომლობა“.

186 კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი 9.1.

187 ბუდაპეშტი 1991, „გადაწყვეტილებები: VIII. ადამიანური განზომილება“, პარაგრაფი 34.

აღიარეს ინფორმაციის თავისუფალი მიმოქცევის მნიშვნელობა,<sup>188</sup> ისევე როგორც თავისუფალი მედიის მნიშვნელოვანი როლი.<sup>189</sup>

135. როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მოიცავს ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და ინფორმაციის გაცემის უფლებას, არსებითია ნებისმიერი საზოგადოებისთვის და წარმოადგენს ნებისმიერი თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველს.<sup>190</sup> გარდა ამისა, კომიტეტმა განაცხადა, რომ „გამოხატვის თავისუფლების აუცილებელი პირობაა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების რეალიზებისათვის, რომლებიც, თავის მხრივ, აუცილებელია ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვისათვის.“<sup>191</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობა აუცილებელია უფლებადამცველთათვის, რომ მათ შეეძლოთ თავიანთი საქმიანობის განხორციელება ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის კუთხით. შესაბამისად, უფლებადამცველთა შესახებ გაეროს დეკლარაციის მე-6 მუხლი კიდევ ერთხელ ადასტურებს, ადამიანის უფლებას, იცოდეს, მოიძიოს, მიიღოს და შეინახოს ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ; თავისუფლად გამოაქვეყნოს, გააზიაროს ან გაავრცელოს შეხედულებები, ინფორმაცია და ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ; შეისწავლოს, განიხილოს, გააჩნდეს და ჩამოუყალიბდეს შეხედულებები ადამიანის უფლებების დაცვაზე; და ბოლოს, მიიქციოს საზოგადოების ყურადღება ადამიანის უფლებების საკითხებზე.

136. თუმცა, მიუხედავად საერთაშორისო სამართლის მიხედვით არსებული გარანტიებისა, უფლებადამცველთა აზრის და გამოხატვის თავისუფლების და ინფორმაციის თავისუფლება კვლავ რჩება ზედმეტად შეზღუდული ეუთოს რიგ წევრ სახელმწიფოებში. 2007 წელს, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ მოწოდებულ სახელმწიფოებს მოუწოდა, *inter alia*, გამოხატვის თავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაეხდინათ „დარჩენილ გამოწვევებს, პროგრესის არარსებობას და შეფერხებებსაც კი“, რომელიც აღმოჩნდა „საფრთხის ქვეშ მთელი რიგი ზედმეტად შემზღუდავი კანონებისა და პოლიტიკის გამო“, რაც უარყოფითად მოქმედებს უფლებადამცველთა სამუშაო გარემოზე.<sup>192</sup> ბოლო წლების განმავლობაში, აღნიშნული ვითარება არსებითად არ შეცვლილა, მაგრამ, როგორც ჩანს, გაუარესდა რეგიონის ზოგიერთ ნაწილში. პრობლემატურია

188 სტამბოლი 1999, „ევროპის უსაფრთხოების ქარტია: III. ჩვენი ზოგადი პასუხი“, პარაგრაფი 26.

189 ასტანა 2012, პარაგრაფი 6.

190 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 34 მე-19 მუხლზე, პარაგრაფი 2.

191 *Ibid.* პარაგრაფი 3.

192 ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია უფლებადამცველებთან და ადამიანის უფლებათა ინსტიტუტებთან თანამშრომლობაში ეუთოს ჩართულობის გაძლიერების თაობაზე, პარაგრაფი 17, „კვივის დეკლარაცია და რეზოლუცია, მიღებული მეექვსე წლიურ სესიაზე“, კვივი, 5-9 ივლისი 2007, გვ. 28-30, <<http://www.oscepa.org/publications/declarations/2007-kyiv-declaration/250-kyiv-declaration-english/file>>.

კანონები, რომლებიც გამუდმებით აწესებენ არაპროპორციულ და ირაციონალურ შეზღუდვებს ეროვნული უშიშროების (კერძოდ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა), ჯანდაცვის და საზოგადოებრივი მორალის საფუძველზე. ანალოგიურად, ბუნდოვანი კანონები, რომლებიც შეიძლება თვითნებურად იქნას გამოყენებული სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით, ზოგიერთ სახელმწიფოში შემფოთების მიზნად დასახელდა. შესაბამისად, რამდენიმე ქვეყანაში, LGBTI პირების უფლებადამცველებს ხელი შეეშალათ მათ საქმიანობაში საზოგადოებრივი მორალის და არასრულწლოვანთა ზიანისგან დაცვის მიზნით.<sup>193</sup>

137. წევრ სახელმწიფოებმა უნდა გადახედოს საკუთარ საკანონმდებლო ჩარჩოებს, რათა უზრუნველყონ მათი სრული შესაბამისობა აზრის და გამოხატვის თავისუფლების, მათ შორის ინფორმაციის მოძიების, მიღების და გავრცელების უფლების საერთაშორისო სტანდარტებსა და ეუთოს ვალდებულებების გათვალისწინებით. უფრო კონკრეტულად, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ აღნიშნულ უფლებებზე ნებისმიერი შეზღუდვა მკაცრად შეესაბამებოდეს კანონიერების, აუცილებლობისა

193 იხ. მაგალითად, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიარის აზერბაიჯანში 22-24 მაისი 2013 მისი ვიზიტის შემდგომი ანგარიში CommDH(2013)14, 6 აგვისტო 2013. მის მოსაზრებაში რუსეთში საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, კომისარმა აღნიშნა, რომ დალატის შესახებ კანონში გამოყენებული ტერმინოლოგია მეტად ფართე და ბუნდოვანია და შესაძლოა სხვადასხვა სახით მოხდეს მისი ინტერპრეტაცია ან გამოიწვიოს არასათანადო შეზღუდვების გამოხატვის უფლების გამოყენების თვალსაზრისით (იხ. „ადამიანის უფლებათა კომისიარის მოსაზრებები არაკომერციულ იურიდიულ პირებთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასთან მიმართებაში, ევროპის საბჭოს სტანდარტების ჭრილში“ CommDH(2013)15, 15 ივლისი, 2013, პარაგრაფი 24). მეტიც, კომისარმა აღნიშნა, რომ „უცხოელი აგენტების შესახებ კანონში ტერმინის „პოლიტიკური აქტივისტი“ გამოყენება და კანონის დარღვევების გამო სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა ეწინააღმდეგება შეკრების და გაერთიანების უფლებების თავისუფლად გამოყენების პრინციპს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მოცემული განმარტებების გათვალისწინებით“ (პარაგრაფი 82). თავის 2009 წლის დასკვნით შეფასებებში რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა სახელმწიფოს მოუწოდა „გადახედოს ექსტრემისტთა ქმედებებთან ბრძოლის შესახებ ფედერალურ კანონმდებლობას რათა ტერმინი „ექსტრემისტული ქმედება“ იყოს რაც შეიძლება ზუსტი და გამორიცხოს თვითნებური გამოყენების ყველანაირი შესაძლებლობა.“ იხ. გაეროს დოკუმენტი CCPR/C/RUS/CO/6, 24 ნოემბერი, 2009, პარაგრაფი 24. თავის 2012 წლის დასკვნით შეფასებებში თურქეთზე, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გამოთქვა შემფოთება „ტერორისტული აქტის დეფინიციის ბუნდოვანების გამო“ და „იმ საქმეთა დიდი რაოდენობის გამო, სადაც უფლებადამცველები, იურიტები, ჟურნალისტები და ჰავმეები იყენებენ მათ თვითნებურად ანტი ტერორისტული კანონის მუხლებით, საკუთარი აზრის და იდეების გაფრეების გამო, კეოდ ქურთისტანის თემასთან დაკავშირებით;“ იხ. გაეროს დოკუმენტი CCPR/C/TUR/CO/1, 13 ნოემბერი 2012, პარაგრაფი 16. 2011 წელს, ევროპის საბჭოს კომისარმა ტომას ჰამარბერგმა გამოაქვეყნა დეტალური ანგარიში გამოხატვის თავისუფლების და მედიის თავისუფლების საკითხებზე თურქეთში, სადაც მან ხელისუფლებას მოუწოდა შეასწორონ მის ცვლილებები შეთანხმებულ რიგ სამართლებრივ დებულებებში, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსში და ანტიტერორისტული კანონმდებლობაში, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი არაპროპორციული გამოყენება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით (იხ. „ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიარის თომას ჰამარბერგის ანგარიში მის ვიზიტზე თურქეთში 2011 წლის 27-29 აპრილს,“ CommDH(2011)25, 12 იანვარი 2011). რაც შეეხება საზოგადოებრივი მორალის და მცირეწლოვანთა დაცვის კანონმდებლობას, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, მაგალითად, თავის დასკვნით შეფასებებში ლიეტუვაზე გამოთქვა შემფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ „ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი, როგორცაა, მაგალითად, საჯარო ინფორმაციის უარყოფითი ზემოქმედებისგან მცირეწლოვანთა დაცვის თაობაზე კანონი (მუხლი 7) შესაძლოა გამოყენებულ იქნას არამართებულად, ჰაქტიტ გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების არასწორად შეზღუდვით, და შესაძლოა გამოყენებულ იქნას ლეზბოსეულ, გეი, ბისექსუალ ან ტრანსგენდერ (LGBT) პირთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის გაზრთვებად.“ იხ. CCPR/C/LTU/CO/3, 31 აგვისტო, 2012, პარაგრაფი 8.



და პროპორციულობის პრინციპებს. ამგვარად, მათ განსაკუთრებულნი ყურადღება უნდა მიაქციონ ბუნდოვანი დებულებების და ხარვეზების აღმოფხვრას, რომლებიც გავლენას ახდენენ კანონის გამოყენების პროგნოზირებადობაზე და ამგვარად შეუსაბამო კანონიერების პრინციპთან. ანალოგიურად, ის დებულებები, რომლებიც საშუალებას იძლევიან აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას იმ საფუძვლით, რაც არ არის აღიარებული საერთაშორისო სამართლის მიერ და აწესებენ არაპროპორციულ შეზღუდვას, დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს.

138. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდა სახელმწიფოებს, „უზრუნველყოფონ, რომ კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოების და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, შეიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ დებულებებს, რაც შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს, და რომ ასეთი კანონმდებლობა არ გამოიყენება ადამიანის უფლებების განხორციელების შეზღუდვისათვის, მათ შორის თავისუფლების გამოხატვის შეზღუდვისათვის.“<sup>194</sup> დამატებით, იმ კანონებმა, რომლებიც შეზღუდვებს აწესებენ საზოგადოებრივი მორალის დაცვის მიზნით, მათ შორის გამოხატვის თავისუფლებაზე, არ უნდა დაარღვიონ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი.<sup>195</sup> შესაბამისად, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებების უნივერსალურობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპების ჭრილში.<sup>196</sup>

139. ეუთოს რიგ წევრ სახელმწიფოში ცილისწამების შესახებ კანონმდებლობა ნშირად გამოიყენება უფლებადამცველთა გასაჩუმებლად და ხანდახან დასაკავებლადაც კი. არსებობს ცნობები ცილიწამების კანონისა და პოლიტიკური ლიდერობის ღირსებისა და რეპუტაციის დაცვისთვის შექმნილი კანონმდებლობის ბოროტად გამოყენების თაობაზე, ლეგიტიმური გამოხატვის შეზღუდვის მიზნით, მათ შორის ონლაინ ფორმით. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა თავის იურისპრუდენციაში აღმოაჩინა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო დებატებისას, განსაკუთრებით მედია საშუალებებით, რომელიც შეეხება საჯარო პოლიტიკურ ფიგურებს, ICCPR-ის მიერ ღია გამოხატვაზე დადებული ფასი განსაკუთრებით მაღალია.<sup>197</sup> მეტიც, კომიტეტმა აღნიშნა, რომ „წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ცილისწამების დეკრიმინალიზაცია და, ნებისმიერ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ძალიან სერიოზულ საქმეებზე, ხოლო პატიმრობა არასდროს წარმოადგენს

194 A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 4.

195 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნომერი 34 მე-19 მუხლოზე, პარაგრაფი 26.

196 *Ibid.* პარაგრაფი 32.

197 იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები საქმეზე *Bodrozic v. Serbia and Montenegro*, კომუნიკაცია #1180/2003, ოქტომბერი, 2005, პარაგრაფი 8, ზოგადი პრინციპები.

ადეკვატურ სასჯელს.”<sup>198</sup> როგორც ეს მედიის თავისუფლების საკითხებზე უეთოს წარმომადგენლის მოსაზრებებში იკითხება, გამოხატვის თავისუფლების დაცვაზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები თანხმდებიან, რომ ცილისწამების კრიმინალიზაცია აუცილებელი არ არის ადამიანის რეპუტაციის დასაცავად და უნდა გაუქმდეს, გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით.<sup>199</sup> აზრისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან და გამოხატვის თავისუფლებაზე OAS-ის სპეციალურ მომხსენებელთან ერთად, მედიის თავისუფლების საკითხებზე უეთოს წარმომადგენელმა არაერთგზის მოუწადა სახელმწიფოებს ცილისწამების კრიმინალიზაციის კანონმდებლობის გაუქმებისა და, საჭიროების შემთხვევაში, ჩანაცვლებასკენ შესაბამისი სამოქალაქო ცილისწამების კანონებით.<sup>200</sup>

140. სამოქალაქო ცილისწამების კანონებიც შესაძლოა ბოროტად იქნას გამოყენებული, მათ შორის გასაჩუმებლად, მაგალითად, ცილისწამების საქმეებზე უფლებადამცველებზე არაპროპორციულად მაღალი ჯარიმების დაწესებით.<sup>201</sup> ამ კუთხით, გაეროს ადამიანის უფლებათა

198 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნომერი. 34 მე-19 მუხლზე, პარაგრაფი 47. თავის დასკვნით შეფასებებში კომიტეტი ასევე უწყვეტად აძლევს წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას, მოანდინონ ცილისწამების დეკრიმინალიზაცია. იხ. მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის „დასკვნითი შეფასებები ჩეხეთის რესპუბლიკაზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/GE/CO/3, 22 აგვისტო, 2013, პარაგრაფი 21; „დასკვნითი შეფასებები თურქეთზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/TUR/CO/1, 13 ნოემბერი 2012, პარაგრაფი 24; „დასკვნითი შეფასებები სერბეთზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/SRB/CO/2, 20 მაისი 2011, პარაგრაფი 21; „დასკვნითი შეფასებები უზბეკეთზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/UZB/CO/3, 7 აპრილი 2010, პარაგრაფი 24; „დასკვნითი შეფასებები რუსეთზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/RUS/CO/6, 24 ნოემბერი 2009, პარაგრაფი 23. ასევე იხ. მაგალითად, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიარის ანგარიში მის ვიზიტთან დაკავშირებით აზერბაიჯანში, CommDH(2013)14, გვ. 8-10.

199 იხ. მაგალითად, მედიის თავისუფლების საკითხებზე უეთოს წარმომადგენლის მიერ ლიტუვას კანონმდებლობაზე გაკეთებული სამართლებრივი ანალიზი, იანვარი 2014 <<http://www.osce.org/fom/111066>>; და იტალიაში, 2013 წლის ნოემბერში <<http://www.osce.org/fom/108108>>.

200 „გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობის საერთაშორისო მექანიზმები, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, მედიის თავისუფლების საკითხებზე უეთოს წარმომადგენლის და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე OAS-ის სპეციალური მომხსენებლის ერთობლივი დეკლარაცია“, დეკემბერი 2002, <<http://www.osce.org/fom/39838>>. ასევე იხ. „მე-10 იუბილეისადმი მიძღვნილი ზოგადი დეკლარაცია: ათი ძირითადი გამოწვევა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით შემდეგ დეკადაში“, თებერვალი 2010, <<http://www.osce.org/fom/41439>>. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) ასევე მოუწოდა ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს გადაეხდინათ და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანონ ცილისწამების შესახებ საკუთარ კანონმდებლობაში, რათა აღკვეთონ ბოროტად გამოყენების ან დაუსაბუთებელი სამართლებრივი დევნის რისკები. ასამბლეამ ასევე მოიწონა მედიის თავისუფლების საკითხებზე უეთოს წარმომადგენლის ძალისხმევები ცილისწამების დეკრიმინალიზაციის მიმართულებით, იხ. რეზოლუცია 1577 (2007) და რეკომენდაცია 1814 (2007), „ცილისწამების დეკრიმინალიზაციისკენ“, მიღებული 2007 წლის 4 ოქტომბერს.

201 მაგალითად თავის „დასკვნით შეფასებებში მოლდოვაზე“ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გამოთქვა შემფოთება „პოლიტიკურად გავლენიანი ინტერესების მქონე ჯგუფების და პირების მიერ ცილისწამების შესახებ კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი ევროპის წარმომადგენლის წინააღმდეგ. კომიტეტმა ასევე აღნიშნა დამოუკიდებელი მაუწყებელი ტელევიზიების დევნის ფაქტებიც;“ იხ. გაეროს დოკუმენტი CCPR/C/MDA/CO/2, 4 ნოემბერი, 2009, პარაგრაფი 21. თავის „დასკვნით შეფასებებში ტაჯიკეთზე“, კომიტეტმა ასევე გამოთქვა შემფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ „ხდება სარჩელების შეტანა ცილისწამების ფაქტებზე მედია ორგანიზაციების წინააღმდეგ“ (სისხლის სამართლის კოდექსიდან ცილისწამებაზე მუხლების ამოღების იდეის მხარდაჭერასთან ერთად, კომიტეტმა ამავედროულად გამოხატა შემფოთება სისხლისსამართლებრივი დებულებებთან დაკავშირებით პრეზიდენტის და მთავრობის წარმომადგენლების მიმართ ცილისწამების გამო), გაეროს დოკუმენტი CCPR/C/TJK/CO/2, 22 აგვისტო, 2013, პარაგრაფი 22.

საბჭომ სახელმწიფოებს მოუწოდა უზრუნველყოფნ, რომ „ცილისწამების გამო სასჯელები შეზღუდონ, დამდგარი ზიანის პროპორციულობის და რეპარაციის უზრუნველსაყოფად.“<sup>202</sup> გარდა ამისა, სასჯელის შეფარდება უნდა მოხდეს ცილისწამების ფაქტის შინაარსის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე და შესაბამის პირის მედია საშუალების ან ორგანიზაციის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რათა დაწესებულმა სანქციებმა ეჭვქვეშ არ დააყენონ მათი ფუნქციონირება და არ გამოიწვიოს მათი გაკოტრება. მართო გადამეტებული სანქციების შიშაც კი შეიძლება შექმნას თვით-ცენზურის კლიმატი და უფრო ზოგადად შეზღუდოს გამონატვის თავისუფლება.

141. კანონმდებლობის და იმ ცვლილებების განხილვისას, რომელიც აუცილებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მათ მიხლოვებისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაიარონ ეფექტური კონსულტაციები პარტნიორ ორგანიზაციებთან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებასთან. მათ ასევე ტექნიკური დახმარებისთვის უნდა მიმართონ შესაბამის საერთაშორისო ინსტიტუტებს, მათ შორის მედიის თავისუფლების საკითხებზე ეუთოს წარმომადგენლის ოფისს და ვენეციის კომისიას, და სრულყოფილად უნდა შეასრულონ მათი რჩევები.

142. ნებისმიერი პირი, რომელიც დაკავებული ან დაპატიმრებული იქნება მისი აზრის ან მოსაზრების გამონატვის გამო, ან რომელსაც შეეფარდება სხვა სახის სანქცია იმ კანონების საფუძველზე, რომლებიც აზრისა და გამონატვის თავისუფლებაზე არსებული საერთაშორისო კანონმდებლობის მკაცრ მოთხოვნებს არ პასუხობს, სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდეს, ხოლო ნებისმიერი სხვა გამოყენებული სანქცია – მაგალითად ჯარიმა ან ქონების კონფისკაცია – უნდა გაუქმდეს. მეტიც, მონაწილე სახელმწიფოებმა ცალსახად უნდა აღიარონ უფლებადამცველების უფლება, ღიად შეისწავლონ საჯარო პოლიტიკა და სახელმწიფოს ქმედებები. როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ აღნიშნა, განსხვავებული აზრის გამონატვა შესაძლებელია მშვიდობიანი გზითაც.<sup>203</sup> თავის პრაქტიკაში, ECtHR-მა არაერთხელ დაადასტურა, რომ აზრისა და გამონატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ დადებითი აზრებისა და იდეების გამონატვას, არამედ ასევე იცავს კრიტიკული აზრებისა და იდეებისაც, ხოლო შეზღუდვები ნებადართულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.<sup>204</sup>

202 A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 11(f).

203 A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 11 (i).

204 იხ. მაგალითად, ECtHR გადაწყვეტილება საქმეზე *Palomo Sánchez and Others v. Spain*, განცხადებები # 28955/06, 28957/06, 28959/06 და 28964/06, 12 სექტემბერი, 2011, რომლის მიხედვით: „გამონატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ფუნდამენტს და მისი წარმატების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას. მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის გათვალისწინებით, ეს ვრცელდება არა მხოლოდ დადებით და არაშეურაცხველ „ინფორმაციაზე“ ან „იდეებზე“ არამედ ისეთებზეც, რომლებიც შეურაცხყოფელია, შოკისმომგვრელი ან შემამფოთებელია. ასეთებია პლურალიზმთან, ტოლერანტობასთან და ლიბერალურ აზროვნებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომელთა გარეშე „დემოკრატიული საზოგადოება“ ვერ იარსებებს“ (პარაგრაფი 53).

## საზოგადოებრივი ინტერესის ინფორმაციაზე წვდომა და ინფორმატორები

143. ICCPR-ის 19(2) მუხლის შესაბამისად, გამონატვის თავისუფლება მოიცავს „უფლებას მოიპოვო, მიიღო და გაავრცელო ნებისმიერი სახის ინფორმაცია და იდეები, შეუზღუდავად – ზეპირად, წერილობით, ან ბეჭდური სახით, ხელოვნების გამონატულების ფორმით, ან მისი არჩევანით ნებისმიერი სხვა ფორმით.“ ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ჩატარების უფლება, მათ შორის შეკრების მონიტორინგი, წარმოადგენს ინფორმაციის მოძიების და გავრცელების უფლების შედეგს.
144. ინფორმაციაზე წვდომის არასათანადო შეზღუდვებმა შეიძლება სხვადასხვა ფორმით შეუშალონ ხელი ადამიანის უფლებათა აქტივისტების საქმიანობას. ინფორმაციასთან წვდომის ან მისი გავრცელების შეზღუდვებმა, საზოგადოებრივი მორალის დაცვის მოტივით, შესაძლოა ხელი შეუშალონ უფლებადამცველებს მათი მხარდასაჭერი ან ინფორმაციის გავრცელების აქტივობების განხორციელებაში ან მათი კლიენტების დანმარებაში, მაგალითად, ქალთა და რეპროდუქციული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განათლების ან გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა ზომების მიზნით. ეროვნული უსშიშროება ხშირად გამოიყენება ინფორმაციის არასწორი კლასიფიკაციის გასამართლებლად, რაც ზღუდავს უფლებადამცველების და სხვა დაინტერესებული მხარეების წვდომას საზოგადოებრივი ინტერესის ინფორმაციაზე და ქმნის კიდევ ერთ დაბრკოლებას ინფორმატორებისთვის და საგამოძიებო ჟურნალისტებისთვის, რომლებიც ცდილობენ სააშკარაოზე გამოიტანონ სახელმწიფოს მხრიდან კორუფციის და ადამიანის უფლებათა დარღვევის შესაძლო ფაქტები. ნებისმიერი კანონი, რომელიც ზღუდავს ინფორმაციის მოძიების და გავრცელების უფლებას, გარდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით ნებადართული შეზღუდვებისა, და რომელიც არ შეესაბამება თანასწორობის, აუცილებლობის და პროპორციულობის პრინციპებს, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს.
145. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდა სახელმწიფოებს უზრუნველყონ, რომ „საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ შენახული ინფორმაციები პროაქტიულად არის გამჟღავნებული, მათ შორის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების შესახებ ინფორმაცია, და რომ გამჭვირვალე და ნათელი კანონები და პოლიტიკა უზრუნველყოფს ასეთი ინფორმაციის მოთხოვნის და მიღების ზოგად უფლებას, რომლისთვისაც უნდა მიენიჭოს საზოგადოებრივი დაშვება, გარდა ვიწრო და მკაფიოდ განსაზღვრული შეზღუდვებისა“.<sup>205</sup>
146. საჭიროა შეიქმნას გასაგები და გამჭვირვალე პროცედურები, რათა თავიდან იქნას აცილებული დოკუმენტების ზედმეტი კლასიფიკაცია, არათანაზომიერად გრძელი ვადები დე-კლასიფიკაციამდე და ისტორიული არქივების წვდომაში ზედმეტი შეზღუდვები. სხვაგვარად

205 A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 11(e).



საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ან აკადემიური კვლევის გაზიარება და გამოქვეყნება არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო საიდუმლოების არამართლოზომიერ გამჟღავნებად, მაშინაც კი, როდესაც მათი გამჟღავნება მოხდა საიდუმლოების შესახებ კანონების დარღვევით.

147. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კანონმდებლობა, რომ უზრუნველყონ საზოგადოების წვდომა საჯარო ორგანოების მიერ შენახულ ინფორმაციაზე. აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების პოპულარიზაციისა და დაცვის შესახებ, გაეროს სპეციალური მომხსენებლის აზრით, „ეროვნული ნორმატიული ჩარჩოს მიღება, რომელიც ობიექტურად ადგენს საჯარო ორგანოების მიერ შენახულ ინფორმაციაზე მაქსიმალურად ფართო წვდომის უფლებას, არის მნიშვნელოვანი ეროვნულ დონეზე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებაზე. კანონმდებლობა საფუძვლიანი უნდა იყოს მაქსიმალური გამჟღავნების პრინციპით.“<sup>206</sup> ნათლად და ვიწროდ უნდა იყოს განსაზღვრული გამჟღავნების უარის თქმის საფუძვლები; ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, და გამონაკლისის დაშვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული ინტერესისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების რისკი უფრო მეტია, ვიდრე საზოგადოების საერთო ინტერესი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხში. გარდა ამისა, საკანონმდებლო ჩარჩომ უნდა დაიცვას პრინციპი, რომ ზოგადად, ხელისუფლების ორგანოებს აქვთ ვალდებულება გამოაქვეყნონ ინფორმაცია, აღნიშნული პრინციპი შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ გონივრულ შეზღუდვებს, ვიდრე უბრალოდ მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცემას.<sup>207</sup> შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე უნდა მოეთხოვებოდეს რეგულარულად გამოაქვეყნოს და პროაქტიულად გაავრცელოს, სხვა საკითხებთან ერთად, მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემები, მათ შორის, მათ ბიუჯეტებსა და ხარჯებზე, აგრეთვე უნდა გაკეთდეს კონკრეტული ინფორმაცია ადამიანის უფლებების საკითხებზე, არამარტო მოთხოვნის შემთხვევაში. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ არასახელმწიფო სუბიექტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, როგორცაა კერძო კომპანიები, რომელიც უკავშირდება

206 სპეციალური მომხსენებლის ანგარიში აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობის და დაცვის საკითხებზე, გაეროს დოკუმენტი A/68/362, 2013 წლის 4 სექტემბერი, პარაგრაფი 98.

207 Ibid. პარაგრაფი 76, რომელიც მოიცავს ინფორმაციასთან წვდომაზე ეროვნული კანონმდებლობის შექმნის ძირითად პრინციპების ჩამონათვალს; და პარაგრაფი 99. ასევე იხ. PACE რეზოლუცია 1954 (2013), მოცემული ქვემოთ, რომელიც მე-9 პარაგრაფში ხაზს უსვამს რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული სახელმწიფოების მიერ ინფორმაციაზე წვდომასთან დაკავშირებული თავიანთი კანონმდებლობის და პრაქტიკის განახლებისას. ეს პრინციპები დაფუძნებულია „შვეინ (Tshwane) პრინციპებზე“ (ეროვნული უშიშროების და ინფორმაციის თავისუფლების გლობალური პრინციპები), მიღებული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სამოქალაქო საზოგადოებიდან, აკადემიური საზოგადოებიდან და ეროვნული უშიშროების პრაქტიკოს ექსპერტთა დიდი ჯგუფის მიერ. PACE-მა გამოთქვა გამოხატა საკუთარი მხარდაჭერა პრინციპების მიმართ და ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს მოუწოდა გაითვალისწინონ ისინი ამ სფეროში საკუთარი კანონმდებლობის და პრაქტიკის განახლებისას.



საზოგადოებრივ ინტერესს, ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, ან საჭიროებისამებრ შესაძლებელია მათი მოპოვება და ექვემდებარება მხოლოდ გონივრულ შეზღუდვებს. საპარლამენტო ასამბლეამ განაცხადა, რომ „კომერციული საწარმოები“, მათ შორის კერძო სამხედრო და უსაფრთხოების კომპანიები, პასუხისმგებელი არიან გაამჟღავნონ ინფორმაცია მდგომარეობასთან, საქმიანობასთან ან ქვევასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გონივრულად გავლენა იქონიოს ადამიანის უფლებების სარგებლობაში“.<sup>208</sup>

148. ადამიანის უფლებების უნეში დარღვევების შესახებ ინფორმაციის შესახებ, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ინფორმაცია არ უნდა იქნას ამოღებული ეროვნული უსაფრთხოების საფუძველზე. „როდესაც შეზღუდვები აბსოლუტურად საჭიროა, მტკიცების ტვირთი აქვს სახელმწიფოს, რათა დაამტკიცოს, რომ გამოწვევები შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს. ინფორმაცია ადამიანის უფლებების სხვა დარღვევებთან დაკავშირებით, ექვემდებარება გამჟღავნების მაღალ მოსაზრებას და, ნებისმიერ შემთხვევაში, არ შეიძლება ამოღებული იქნეს ეროვნული უსაფრთხოების ნიშნით ისე, რომ ხელი შეუშალოს პასუხისმგებლობას ან ხელი შეუშალოს დაზარალებულს ეფექტური ზომების მიღებისთვის.“<sup>209</sup> ანალოგიურად, PACE-მ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ინფორმაცია იმ სახელმწიფო აგენტთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევა, როგორცაა მკვლელობა, იძულებითი გაქრობა, წამება ან გატაცება, არ იმსახურებენ საიდუმლოდ დაცვას. ასეთი ინფორმაცია არ უნდა იყოს დაცული სასამართლო და საპარლამენტო ზედამხედველობიდან „სახელმწიფო საიდუმლოების“ საბაბით, და რომ „ინფორმაცია ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების ან ჰუმანიტარული კანონის შესახებ არ უნდა იქნას ამოღებული რაიმე სახის გარემოებებში ეროვნული უსაფრთხოების საფუძველით.“<sup>210</sup>

149. PACE-მ ასევე მოუწოდა სახელმწიფოებს გადახედონ თავიანთ კანონმდებლობას ინფორმატორთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, ამასთან აღნიშნა, სხვა საკითხებთან ერთად, რომ კანონმდებლობა ინფორმატორთა შესახებ უნდა იყოს ყოველმხრივად და უნდა უზრუნველყოს დემოკრატიის უსაფრთხო ალტერნატივა.<sup>211</sup>

208 PACE-ს რეზოლუცია 1954 (2013), „ეროვნული უსაფრთხოება და ინფორმაციაზე წვდომა“, მიღებული 2013 წლის 2 ოქტომბერს, პარაგრაფი 9.

209 A/68/362, პარაგრაფი 106.

210 იხ. რეზოლუცია 1954 (2013), პარაგრაფები 6 და 9.6.

211 PACE რეზოლუცია 1729 (2010), „ინფორმატორების (‘whistle-blowers’) დაცვა“, მიღებული 2010 წლის 29 აპრილს, პარაგრაფები 6.1 და 6.2. PACE-ის მიხედვით, ამგვარი კანონმდებლობა უნდა იცავდეს ნებისმიერ პირს, ვინც, კეთილსინდისიერად იყენებს ინფორმატორების შიდა არხებს. სადაც ასეთი შიდა არხები არ არსებობს, ან არაეფექტურია, გარე ინფორმატორები, მათ შორის მედიის არხებით, ანალოგიურად უნდა იქნას დაცული. ინფორმაციაზე წვდომის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის შექმნის მარეგულირებელი პრინციპების ჩამოყალიბებისას, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა კონკრეტულად განაცხადა, რომ ინფორმაციის მიღების უფლებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს ინფორმატორების დაცვას. იხ. A/68/362, პარაგრაფი 76 (i).

ანალოგიურად, ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლებაზე, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების პოპულარიზაციასა და დაცვის საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელმა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ OAS-ს სპეციალურმა მომხსენებელმა, ყველას მოუწოდა ინფორმატორების დაცვა იურიდიული, ადმინისტრაციული ან სამსახურთან დაკავშირებული სანქციებისგან, თუ ისინი მოქმედებენ „კეთილსინდისიერად“ როდესაც ავრცელებენ ინფორმაციას კანონის დარღვევის შესახებ, საჯარო ორგანოების მხრიდან არასათანადო ქმედებებზე, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან გარემოსთვის სერიოზული საფრთხის შემცველობაზე, ან ადამიანის უფლებების დარღვევის ან ჰუმანიტარული კანონის დარღვევის გამო.<sup>212</sup> მათ განაცხადეს, რომ ტერმინი „ინფორმატორი“ მოიცავს მათ, ვინც ავრცელებს კონფიდენციალურ ან საიდუმლო ინფორმაციას ამ საკითხებზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ოფიციალურად ან სხვაგვარად ვალდებული არიან შეინარჩუნონ კონფიდენციალურობა ან საიდუმლოება. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მოხელეებს ან სახელმწიფოსთან დაკავშირებული პირებს, რომლებსაც აქვთ ვალდებულება უზრუნველყონ კონფიდენციალურობა (ე.ი. ინფორმატორები), უნდა იყვნენ დაცვის ობიექტები, გაეროს სპეციალური მომხსენებელმა ასევე განაცხადა, რომ სხვა პირებს, მათ შორის ჟურნალისტებს, სხვა მედია პერსონალს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც იღებენ, ფლობენ ან ავრცელებენ საიდუმლო ინფორმაციას, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს არის საზოგადოების ინტერესის ქვეშ, არ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა, თუ ისინი ვინმეს არ დააყენებენ სერიოზული ზიანის გარდაუვალი ვითარებაში.<sup>213</sup>

150. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ აღიარა, რომ კომუნიკაციის ახალი ფორმები, მათ შორის ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტით, შეიძლება განდეს მნიშვნელოვანი იარაღი უფლებადამცველებისთვის, რომ ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების დაცვას. გარდა ამისა, მან ხაზგასმით აღინიშნა, რომ „უნდა მოხდეს ინფორმაციული ტექნოლოგიასა და მედიასთან დაშვების, მათ შორის რადიო, ტელევიზია და ინტერნეტი, და გამოყენების ხელშეწყობა ეროვნული დონეზე, სახელმწიფოებს შორის და საერთაშორისო დონეზე, როგორც აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური უფლებების სარგებლობის განუყოფელი ნაწილი“.<sup>214</sup> ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ვებგვერდები დაბლოკილია, რათა შეზღუდონ იმ ინფორმაციის გაზიარება და წვდომა, რომელიც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად არის მიჩნეული, ან ისეთი

212 იხ. „გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობის საერთაშორისო მექანიზმები, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, მედიის თავისუფლებაზე ეუთოს წარმომადგენლის და გამოხატვის თავისუფლებაზე OAS-ის სპეციალური მომხსენებლის საერთო დეკლარაცია“, 6 დეკემბერი, 2004, <<http://www.osce.org/fom/38632>>.

213 A/68/362, პარაგრაფები 68, 107 და 108. იხ. ასევე აზრისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის და გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული კომისიის სპეციალური წარმომადგენლის „ერთობლივი დეკლარაცია დაწვევით პროგრამებზე და მათ გავლენაზე გამოხატვის თავისუფლებაზე“, პარაგრაფი 15.

214 A/HRC/RES/22/6, პრეამბულა და პარაგრაფი 7.

ინფორმაციის, რომელიც სადავოა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ვებგვერდზე წვდომა შეიძლება ნაწილობრივ შეიზღუდოს ან სრულად დაიბლოკოს ასეთი ზომების ბოროტად გამოყენების გარეშე, მათ შორის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ზედამხედველობა. ანალოგიურად, როდესაც ასეთი გარანტიები არ არის დაცული, ხელისუფლებას ხშირად შეუძლია მიიღოს კომუნიკაციების დეტალები და სხვა ინფორმაცია ინტერნეტ სერვისის პროვაიდერების მხრიდან, მაგალითად, ონლაინ კონტენტის განთავსებული პირების ვინაობის შესახებ. ამგვარი ინფორმაცია შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათ გასაჩუმებლად.

151. უნდა იქნას მიღებული ზომები, რომ თავიდან იქნას აცილებული არასახელმწიფო სუბიექტების, მათ შორის ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებლების მიერ ადამიანის უფლებების დასაცავად ლეგიტიმური საქმიანობის შეზღუდვა. როგორც მთავარი წესი, წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა აიძულონ ინტერნეტის შუამავლები, როგორებიცაა ინტერნეტ სერვისის პროვაიდერები და სოციალური მედია კომპანიები, გაავრცელონ ბლოკერების ან სოციალური მედიის მომხმარებლების ვინაობა ნებისმიერი საჯარო ხელისუფლების მიმართ. იქ, სადაც კომპეტენტურმა ორგანოებმა დაადგინეს, რომ გამოქვეყნებული შინაარსი აშკარად არ ჯდება საერთაშორისო სტანდარტებით დაცულ აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებაში, მაგალითად, იმიტომ, რომ ეს შეიძლება გახდეს სიძულვილის ან ძალადობის წახალისების მიზეზი და ასეთი პირების წინააღმდეგ გამოძიება და შესაძლო პასუხისმგებაში მიცემა სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს შესაბამისი სამართლიანი სასამართლო პროცესის შესახებ.

### მედიის თავისუფლება

152. ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს „მედიის უფლება, შეაგროვოს, მოიხსენიონ და გაავრცელონ ინფორმაცია, სიახლეები და მოსაზრებები», და განსაზღვრეს, რომ „ამ უფლების განხორციელებაში რაიმე შეზღუდვა დაწესდება კანონით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად» და ნათლად აღიარებენ დამოუკიდებელი მედიის უმთავრეს მნიშვნელობას „თავისუფალი და ღია საზოგადოებისთვის და ხელისუფლების ანგარიშვალდებულებული სისტემებისთვის და [...] ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვაში».<sup>215</sup> გარდა ამისა, მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს დამოუკიდებელი მედიის მნიშვნელობა და ვალდებულება აიღეს, რომ გადადგამენ ყველა საჭირო ნაბიჯს, რათა

215 მოსკოვი 1991, პარაგრაფი 26. 1997 წელს, წევრ სახელმწიფოებმა მიიღეს გადაწყვეტილება მედიის თავისუფლების საკითხებზე ეუთოს წარმომადგენლის ოფისის დაფუძნებასთან დაკავშირებით, აღიარეს რა გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების უკეთ დაცვის და ამ დარგში არსებული ეუთოს შესაბამისი პრინციპებისა და ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების საჭიროება. იხ. მუდმივი საბჭოს გადაწყვეტილება No. 193, 5 ნოემბერი 1997, „მედიის თავისუფლების საკითხებზე ეუთოს წარმომადგენლის ოფისის დაფუძნება, „მედიის თავისუფლების საკითხებზე ეუთოს წარმომადგენლის მანდატი“, ვალდებულებები: მედიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება – 1975-2012, 2013, <<http://www.osce.org/fom/99565?download=true>>, გვ. 32.

უზრუნველყონ თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიისთვის ძირითადი პირობები.<sup>216</sup>

153. იმისათვის, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიამ შესრულოს თავისი ფუნქციები, მედია გარემო უნდა იყოს პლურალისტური და ღია იყოს მთელი რიგი სუბიექტების მონაწილეობისთვის საჯარო დებატებსა და მაუწყებლობაში. ამ თვალსაზრისით, UN GA-ამ დაადასტურა, რომ „ჟურნალისტიკა მუდმივად ვითარდება, რაც მოიცავს კონტრიბუციას მედიის ინსტიტუტებიდან, კერძო პირებიდან და მთელი რიგი ორგანიზაციებიდან, რომლებიც ეძებენ, იღებენ და ავრცელებენ ინფორმაციას და ყველა სახის იდეას ინტერნეტის საშუალებით, ასევე ინტერნეტის გარეშე, და ამით წვლილი შეაქვთ საჯარო დებატების ფორმირებაში“.<sup>217</sup> ანალოგიურად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „ჟურნალისტიკა არის ფუნქცია, რომელსაც იზიარებს სუბიექტთა ფართო სპექტრს, მათ შორის პროფესიონალებს სრულ განაკვეთზე, როგორცაა რეპორტიორები და ანალიტიკოსები, ისევე როგორც ბლოგერები და სხვები, რომლებიც საკუთარ მასალებს აქვეყნებენ ინტერნეტით ან სხვაგან“.<sup>218</sup> ადამიანის უფლებების უფრო დიდი პატივისცემის უზრუნველსაყოფად, მედია გარემო საშუალებას მისცემს უფლებადამცველებს მონაწილეობა მიიღონ საჯარო დებატებში, იმისდა მიუხედავად, ისინი არიან თუ არა პროფესიონალი ჟურნალისტები, ან სხვაგვარად ჩაერთონ ადამიანის უფლებების რეპორტირებაში, ან მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებასთან დაკავშირებულ დებატებში. აღნიშნული ასევე მნიშვნელოვანია უფლებადამცველების ლეგიტიმურობის გაძლიერების და, შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

154. მედიის კანონებმა, პოლიტიკამ და პრაქტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ღია და პლურალისტურ მედია სისტემას, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების პოპულარიზაციას, და რომელიც არის ხელმისაწვდომი და ხელს უწყობს უფლებადამცველთა დაცვას. მედია ორგანიზაციები უნდა წახალისდნენ, რომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეიმუშაონ სახელმძღვანელო პრინციპები, ეთიკის კოდექსი ან სხვა სტანდარტები და თვითრეგულირების მექანიზმები. ზოგადად აღიარებულია „თვითრეგულირების ეფექტური მექანიზმების, მაგალითად, პრეს-საბჭოების და ომბუდსმენების“ მნიშვნელობა, ისევე, როგორც ასეთი მექანიზმების აუცილებლობა იყოს „ჩამოყალიბებული საკონსულტაციო და ინკლუზიურ პროცესში და (...) დამოუკიდებელი იყოს სახელმწიფო ინტერესებისაგან“.<sup>219</sup> ამგვარი თვითრეგულირების

216 სტამბოლი 1999, „ევროპის უსაფრთხოების ქარტია: III. ჩვენი ზოგადი პასუხი“, პარაგრაფი 26.

217 იხ. UNGA-ს რეზოლუცია 68/163, „ჟურნალისტების უსაფრთხოება და დაუსჯელობის საკითხი“, გაეროს დოკუმენტი A/RES/68/163, 18 დეკემბერი, 2013წ., პრეამბულა.

218 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნომერი 34 on Article 19, პარაგრაფი 44.

219 „ცენტრალური აზიის მე-15 მედია კონფერენცია: ეუთოს მედიის თავისუფლების ვალდებულებების მიმოხილვა“, ბიშკეკი, ყირგიზეთი, 27-28 ივნისი 2013წ., მე-15 იუბილისადმი მიძღვნილი დეკლარაცია, პარაგრაფი 13, <<http://www.osce.org/fom/104110>>.

ზომები უნდა ასახავდეს მედიის პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებების და უფლებადამცველთა დაცვის სფეროში.

155. წევრ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება თავი შეიკავონ მედიის ნებისმიერი პირდაპირი და არაპირდაპირი ცენზურისგან, მათ შორის ონლაინ მედიის, ან სხვა სახის ზეწოლისაგან, რაც გამიზნულია იმ ჟურნალისტების გასაჩუმებლად, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე, ასევე სხვების, რომლებიც ჩართულნი არიან ადამიანის უფლებების შესახებ მაუწყებლობაში ან სხვაგვარად მონაწილეობენ საზოგადოებრივ დებატებში. მათ ასევე უნდა შექმნან პირობები ისე, რომ კერძო სუბიექტები, როგორცაა გავლენიანი მედია კორპორაციები ან გავლენიანი ჯგუფები, არ შეეცადონ ცენზურის დაწესებას ან ზეწოლას უფლებადამცველებზე. როგორც სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების პრაქტიკულად დაცვის აუცილებელ კომპონენტს, ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება „განხორციელონ შემდგომი ძალისხმევა, რათა ხელი შეუწყონ ყველა სახის ინფორმაციის თავისუფალ და ფართო გავრცელებას, ხელი შეუწყონ ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას და გააუმჯობესონ სამუშაო პირობები ჟურნალისტებისთვის.“<sup>220</sup> კერძოდ, „გავიხსენოთ, რომ ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის ლეგიტიმური დევნა არ გამოიწვევს მათ გაძევებას ან სხვაგვარად არ გამოიწვევს მათ დაჯარიმებას, [ისინი უნდა შეეცადონ თავი შეიკავონ] შემზღვევადი ზომების მიღებისაგან, როგორცაა ჟურნალისტის აკრედიტაციის გაუქმება ან მისი დევნა მისი რეპორტირების შინაარსის ან მისი საინფორმაციო მედიის კონტენტის გამო.“<sup>221</sup> სათანადო ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმ პირების საქმიანობაში არასასურველი ჩარევის თავიდან ასაცილებლად, რომლებიც არ არიან პროფესიონალი ჟურნალისტები, მაგრამ მონაწილეობენ საზოგადოებრივ დებატებში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ შეეძლოთ აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელება ადამიანის უფლებათა საკითხებზე ინფორმაციის წარდგენისას ან აღნიშნულთან დაკავშირებით საჯარო დებატებში მონაწილეობის მისაღებად.

156. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან „უსაფრთხო და შესაძლებლობის მომცემი გარემო, რომ ჟურნალისტებმა შეასრულონ თავიანთი სამუშაო დამოუკიდებლად და არასაჭირო ჩარევის გარეშე, შემდეგი ღონისძიებების საშუალებით: (ა) საკანონმდებლო ზომები; (ბ) სასამართლო სისტემის, სამართალდამცავი პირებისა და სამხედრო პერსონალის, ასევე ჟურნალისტების და სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლის ვალდებულებებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ; (გ) ჟურნალისტების თავდასხმების მონიტორინგი და ანგარიშის წარდგენა; (დ) თავდასხმების საჯაროდ დაგმობა; და (ე) საჭირო რესურსების გამოყოფა ასეთი თავდასხმების გამოსაძიებლად და გასამართლების

220 ვენა 1989, „თანამშრომლობა ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში“, პარაგრაფი 34.

221 *Ibid.* პარაგრაფი 39.



მიზნით”.<sup>222</sup> განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ჟურნალისტები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებების დაცვას და რეალიზაციას, შესაბამისად დაცული არიან თავდასხმებისაგან და სხვა სახის დანაშაულისგან, რომლებიც განხორციელებულია როგორც სახელმწიფო, ასევე არა სახელმწიფოებრივი სუბიექტების მიერ, მათ შორის ძალადობრივი ექსტრემისტული და ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფების მიერ.

## ე. მშვიდობიანი შეკრების უფლება

157. მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, რომ „მშვიდობიანი შეკრებების ჩატარება ლეგიტიმური და ძლიერი საშუალებაა დემოკრატიული ცვლილებების მოწოდებისათვის, ასევე ადამიანის უფლებების უფრო მეტი პატივისცემა [...] და პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დარღვევებზე და ბოროტად გამოყენებაზე“.<sup>223</sup> ამასთან დაკავშირებით, მან ხაზი გაუსვა მშვიდობიანი შეკრებების გამართვის შესაძლებლობაზე სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტების მიერ, მათ შორის უფლებადამცველების ჩათვლით, რადგან ეს საშუალებას აძლევს მათ საჯაროდ გამოაცხადონ თავიანთი მოთხოვნა და თავიანთი წვლილი შეიტანონ უფლებ(ებ)ის რეალიზაციაში, რომლებსაც ისინი იცავენ.<sup>224</sup>

158. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა დაცვის არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში, მათ შორის, UDHR-ს მე-20 მუხლოში, ICCPR-ს 21-ე მუხლოში, ECHR-ის მე-11 მუხლოში, ACHR-ის მე-15 და FCNM-ის მე-7 მუხლებში. გაეროს ადამიანის უფლებადამცველთა დეკლარაციამ ასევე დაადასტურა აღნიშნული უფლება და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მის მნიშვნელობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების განვითარებისა და დაცვისთვის (მუხლი 5)

159. ICCPR-ის 21-ე მუხლი ადგენს, რომ დაუშვებელია მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებაზე რაიმე შეზღუდვის დაწესება, გარდა კანონის მიერ დაწესებული შეზღუდვისა, რომელიც აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან მორალის ან სხვათა უფლებებისა

222 A/RES/68/163, პარაგრაფი 6.

223 A/HRC/23/39, 24 აპრილი, 2013, პარაგრაფი 80. სპეციალური მომხსენებელმა თავისი გამოსვლისას მითითება გააკეთა „არაბულ გაზაფხულზე“ და „ოკუპაციის მოძრაობაზე.“

224 *Ibid.* პარაგრაფი 43.

და თავისუფლებების დაცვისათვის.<sup>225</sup> ყველა შეზღუდვა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპს. გარდა ამისა, ისინი უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ სხვა ნორმებს, მაგალითად დისკრიმინაციის აკრძალვას და არ უნდა იქნეს გამოყენებული ისე, რომ შეაფერხოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების არსი.<sup>226</sup> როგორც კიდევ ერთხელ დაადასტურა მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელმა, სახელმწიფოებმა უნდა წარმოადგინონ დეტალური და დროული წერილობითი ახსნა ნებისმიერი შეზღუდვის დაწესების შესახებ და უზრუნველყონ ამ შეზღუდვის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და დაუყოვნებლივი სასამართლო განხილვა.<sup>227</sup>

160. ეუთოს ვალდებულებების თანახმად, „ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და დემონსტრაციის უფლება. ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ უფლებების განხორციელებაზე, დადგენილი უნდა იყოს კანონით და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.“<sup>228</sup> უფრო მეტიც, ეუთო/ODIHR-ის ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო მითითებები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, ითვალისწინებს, რომ „მაქსიმალურად უნდა განხორციელდეს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების, როგორც ფუნდამენტური უფლების, გამოყენება შეზღუდვების გარეშე“.<sup>229</sup> სახელმწიფოს ვალდებულებაა ხელი შეუწყოს და დაიცვას მშვიდობიანი შეკრებები და უზრუნველყოს, რომ ეს თავისუფლება არ ექვემდებარება არასასურველ ბიუროკრატიულ რეგულირებას.<sup>230</sup>

161. მიუხედავად ამ და სხვა გარანტიებისა, უფლებადამცველები მაინც აწყდებიან სამართლებრივ და ადმინისტრაციულ წინააღმდეგობებს მრავალ წევრ სახელმწიფოში აღნიშნული უფლების სრული

225 ECHR-ის მე-11 მუხლის მიხედვით, ეს დებულება არ უნდა უშლიდეს ხელს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის მხრიდან ამ უფლების გამოყენებაზე კანონიერი შეზღუდვების დაწესებას. თუმცა, ნებისმიერი ამგვარი შეზღუდვა კანონით უნდა იყოს განსაზღვრული, უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული და უფლებადამცველები, რომლებიც ამ ჯგუფებს მიეკუთვნებიან აგრეთვე უნდა სარგებლობდნენ შეკრების თავისუფლების უფლებით, ყოველგვარი არასათანადო შეზღუდვის გარეშე.

226 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადო კომენტარი ნომერი 31, „პაქტის წევრ სახელმწიფოებზე დაკისრებული ზოგადი სამართლებრივი ვალდებულების ხასიათი“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/21/Rev.1/Add.13, 26 მაისი, 2004, პარაგრაფი 6. რაც შეეხება მორალის დაცვის მიზნით დაწესებულ შეზღუდვებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მორალის კონცეფცია გამომდინარეობს მრავალი სოციალური, ფილოსოფიური და რელიგიური ტრადიციიდან. მამასადამე, მორალის დასაცავად დაწესებული შეზღუდვები, უნდა ეყრდნობოდეს ისეთ პრინციპებს, რომლებიც ექსკლუზიურად კონკრეტული ტრადიციიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებიდან გამომდინარეობს. იხ. ზოგადი კომენტარი ნომერი 34 მე-19 მუხლზე, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/GC/34, 12 სექტემბერი, 2011, პარაგრაფი 32. იხილეთ ზემოთ მოცემული ნაწილი ზოგადო პრინციპები – ადამიანის უფლებათა საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი უფლებების შეზღუდვების კანონიერება და პროპორციულობა.

227 A/HRC/23/39, 24 აპრილი, 2013, პარაგრაფი 81(c).

228 კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი 9(2).

229 ეუთო/ODIHR-ვენეციის კომისია, სახელმძღვანელო მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების თაობაზე, მე-2 გამოცემა, (ვარშავა/სტრასბურგი, 2010), პარაგრაფი 2.1.

230 *Ibid.* პარაგრაფი 2.2.

რეალიზაციის დროს. მაგალითად, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს შესაბამის ნათელ და სრულყოფილ პროცედურებს და პრინციპებს. პრაქტიკაში, ეს ხშირად იწვევს თვითნებურ და ზედმეტად შეზღუდულ ინტერპრეტაციებს და შესაბამისი დებულებების გამოყენებას. ბევრ წევრ სახელმწიფოში ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ეხება შეკრების თავისუფლებას, ამკარად ანიჭებს ხელისუფლებას გადაჭარბებულ ძალაუფლებას შეკრებაზე, მათ შორის მათ შინაარსზე, წესზე, დროზე და ჩატარების ადგილზე, და აკისრებს მძიმე და სერიოზული შედეგის მქონე პასუხისმგებლობას შეკრებების ორგანიზატორებს. გარდა ამისა, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ორგანიზატორებმა მოიპოვონ სახელმწიფო ნებართვა მშვიდობიანი შეკრების ჩატარებამდე. ამგვარი რეგულაციების შეუსრულებლობისთვის დაწესებული სანქციები ხშირად არაპროპორციულია და ცდილობს, რომ პირებს დააკარგვინოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების გამოყენების სურვილი.

162. საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო: წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოფონ, რომ მათი კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია შეკრების თავისუფლებასთან, სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და ეუთოს ვალდებულებებს. შესაბამისმა ეროვნულმა კანონმდებლობამ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს ძირითადი პრინციპები, რომლებზეც უნდა დამყარდეს ამ უფლების დაცვაზე. ეს მოიცავს პრინციპს, რომ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება არის ფუნდამენტური უფლება და დემოკრატიული საზოგადოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება; პრეზუმფცია უნდა გაკეთდეს შეკრებების ჩატარების სასარგებლოდ; სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება აქვს ხელი შეუწყოს და დაიცვას მშვიდობიანი შეკრებები; ასევე კანონიერების, პროპორციულობის, დისკრიმინაციის აკრძალვის და სათანადო მართვის პრინციპებს.<sup>231</sup> კანონები და პრაქტიკა, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნულ პრინციპებსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს.

163. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩაატარონ მნიშვნელოვანი, არა-დისკრიმინაციული კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის, უფლებადამცველებთან და უზრუნველყოფონ მათი თავისუფალი და აქტიური მონაწილეობა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების განხილვაში. უფლებადამცველების მონაწილეობა კონსულტაციებში უნდა მოხდეს ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოს მათი წვლილის სრულად გამოყენება. ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებაში ან განხილვაში, ასევე მათ განხორციელებაში ჩართულ ოფიციალურ პირებს – მათ შორის, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება,

231 Ibid. პარაგრაფი 2.1-2.6.

სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო სისტემა, უნდა მოუწოდონ მიმართონ ეუთო/ODIHR-ის ვენეციის კომისიის სახელმძღვანელოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ. გარდა ამისა, როგორც მითითებულია სახელმძღვანელოში, „ადგილობრივი კანონები უნდა იყოს შემუშავებული, ინტერპრეტირებული და განხორციელებული შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ იურისპრუდენციის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.“<sup>232</sup> წევრი სახელმწიფოებს რეკომენდაცია ეძლევათ მოიპოვონ საერთაშორისო ორგანოების ექსპერტიზა, რომლებიც სპეციალიზირდებიან საკანონმდებლო განხილვაში, მაგალითად, ეუთო/ODIHR და ევროსაბჭოს ვენეციის კომისია, და განხორციელონ ამ და ადამიანის უფლებების სხვა მექანიზმების მოსაზრებები და რეკომენდაციები, მათ შორის ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანებების თავისუფლების უფლებების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის და უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციები.

164. სამართლებრივი რეგულირებისა და პროცედურული საკითხების გამოყენება: წევრმა სახელმწიფოებმა აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი უფლებადამცველების მიერ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სრულ სარგებლობას. შეკრებები დასაშვებად უნდა იქნას მიჩნეული, თუ ისინი არ შეიცავენ იმგვარ ქმედებებს, რომლებიც პირდაპირ აკრძალულია კანონით, რაც თავის მხრივ უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ უფლებების განხორციელება არ უნდა ექვემდებარებოდეს ხელისუფლების მხრიდან წინასწარ ნებართვას. ამის ნაცვლად, შეკრების შესახებ წინასწარი შეტყობინების მიღება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ხელისუფლებამ „მოამზადოს და მიიღოს შესაბამისი ზომები, რაც შეიძლება აუცილებელი იყოს შეკრების უფლების შენარჩუნების, დაცვისა და ხელშეწყობისთვის“.<sup>233</sup> შეტყობინების პროცედურა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა იყოს მარტივი და დაჩქარებული. მან ვიწროდ უნდა განსაზღვროს, როდის და როგორ შეიძლება ხელისუფლებამ ხელი შეუშალოს შეკრებას, რომ იგი დე ფაქტოდ არ გადაიქცეს ავტორიზაციის პროცედურად. თუ ხელისუფლება დაუყოვნებლივ არ წარმოადგენს რაიმე შენიშვნებს შეტყობინებასთან დაკავშირებით, სახალხო შეკრების ორგანიზატორებს უნდა შეეძლოთ გააგრძელონ მოქმედება შეტყობინებაში წარმოდგენილი პირობების შესაბამისად და შეზღუდვების გარეშე.<sup>234</sup>

165. თუმცა, პრაქტიკაში, ზოგი წევრი სახელმწიფო მნიშვნელოვან შეზღუდვებს აწესებს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებზე, უსაფუძვლო შეზღუდვების დაწესებით და შეკრებების შეკავების ხელისშემშლელი სხვადასხვა ტაქტიკის გამოყენებით. შედეგად, უფლებადამცველებს, რომლებიც ცდილობენ მოაწიონ საზოგადოებრივი

232 Ibid. პარაგრაფი 12.

233 OSCE/ODIHR-ვენეციის კომისია, „საერთო დასკვნა ყირგიზეთის რესპუბლიკის კანონპროექტთან დაკავშირებით მშვიდობიანი შეკრების შესახებ“, CDL-AD (2010)050, პარაგრაფი 13.

234 OSCE/ODIHR-ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო მითითებები, პარაგრაფი 4.1.

შეხვედრები, მსვლელობები და დემონსტრაციები უმცირესობის ან მარჯინალიზირებული ჯგუფების თანაბარი უფლებებისთვის, ან იმ შეტყობინების გადმოსაცემად, რომელიც კრიტიკულია ხელისუფლების მიმართ, ხშირად უარს იღებენ ნებართვის მიღებაზე ან სხვაგვარად არ უზღუდავენ ასეთი ღონისძიებების ჩატარებას.<sup>235</sup> შინაარსზე დაფუძნებული შეზღუდვები, რომლებიც დაწესებულია მხოლოდ იმის გამო, რომ შეკრებები შეეხება საზოგადოებისათვის გარკვეულ საკამათო საკითხებს ან ხელისუფლების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას, შეუთავსებელია შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან და პრინციპებთან.<sup>236</sup> იგივე ეხება შეზღუდვებს, რომლებიც ოფიციალურად არ გამომდინარეობს შეკრების შინაარსიდან, მაგრამ რომლებიც დაწესებულია იმის გამო, რომ ორგანიზატორები აღიქმებიან კრიტიკულად განწყობილნი ხელისუფლების მიმართ ან უკავშირდება საზოგადოებაში საკამათო საკითხებს. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, შეკრების დროს გამოხატული ნებისმიერი შეტობინების შინაარსის შეზღუდვა ექვემდებარება მაღალ ზღვარს და უნდა დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ძალადობის გარდაუვალი საფრთხე.<sup>237</sup>

166. ანალოგიურად, მშვიდობიანი შეკრების დროს, ადგილისა და წესის შეზღუდვა უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებისა და კანონიერების, აუცილებლობის, პროპორციულობისა და ანტი-დისკრიმინაციული პრინციპების სრული დაცვით. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ადეკვატური მექანიზმები და პროცედურები, რათა უზრუნველყონ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების განხორციელება პრაქტიკაში, მათ

235 იხ., მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Alekseyev v. Russia* (განცხადების # 4916/07, 25924/08 და 14599/09, 2010 წლის 21 ოქტომბერი) 2006, 2007 და 2008 წლებში მოსკოვში LGBT პრაიდ მარშების ჩატარების აკრძალვებთან დაკავშირებით. ხელისუფლებამ განახორციელა აკრძალვა არავტორიზებული ღონისძიებების დამოთხრობით, ხოლო პირები, ვინც აკრძალვის მოთხოვნას არ დაემორჩილა, ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდა. ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ აკრძალვა მონაწილეების მიმართ აუცილებელი იყო საჯარო წესრიგის პოტენციური დარღვევის და შესაძლო ძალადობის მიზეზით და ზნეობრივი ნორმების დაცვის გამო. თავის გადაწყვეტილებაში ECtHR-მა გაიმეორა ECHR-ის მე-11 მუხლი, რომელიც იცავს დემონსტრაციებს, რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს იმ განცხადებებისა და იდეებისადმი ოპოზიციურად განწყობილ პირებს, რომლის მხარდასაჭერად იმართება ეს დემონსტრაცია. (პარაგრაფი 73). მეტიც, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით: „თუ დემონსტრაციის დროს ოპოზიციურ ძალებს შორის დაძაბულობის ყველა სავარაუდო შემთხვევა მისი აკრძალვის გარანტია რომ იყოს, საზოგადოებას ჩამოერთმეოდა სხვადასხვა მოსაზრების მოსმენის შესაძლებლობა ნებისმიერ ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც უმრავლესობის აზრს ეწინააღმდეგება.“ იხ. ასევე გადაწყვეტილება საქმეზე *Bączkowski and Others v. Poland* (განცხადების # 1543/06, 3 მაისი, 2007), სადაც სასამართლომ 2005 წელს ვარშავაში LGBT პრაიდ მარშის ჩატარების აკრძალვა მიიჩნია შეკრების თავისუფლების და დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევად.

236 იხ. მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის „დასკვნითი შეფასებები ბოსნიასა და ჰერცეგოვინაზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/BIH/CO/2, 13 ნოემბერი, 2012, პარაგრაფი 19. კომიტეტმა გამოთქვა შემოთავაზება 2012 წლის მაისში პრიედორში შეკრების აკრძალვის ფაქტებთან დაკავშირებით, სადაც მერმა აკრძალა ომარსკში მასობრივი ქოლტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოსვლები. კომიტეტმა ასევე გამოთქვა შემოთავაზება იმ საჯარო განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვით სამართლებრივ დევნას დაექვემდებარებოდა ომარსკში ჩადენილ ქმედებებთან მიმართებაში ტერმინი „გენოციდის“ გამოყენება. კომიტეტმა წევრ სახელმწიფოს მოუწოდა დაემორჩილოს პაქტის მკაცრ მოთხოვნებს შეკრების და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, და გამოიძიოს პრიედორში დაწესებული აკრძალვების ლეგიტიმურობა.

237 Ibid. პარაგრაფი 3.3.



შორის უსაფრთხოების რისკების შეფასებით და მოგვარებით. შეკრების რაიმე ლეგიტიმური შეზღუდვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ხელისუფლებამ უნდა აცნობოს ორგანიზაციებს ამის შესახებ და მისცეს საშუალება გამოხატონ თავიანთი აზრი ამასთან დაკავშირებით. ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს გონივრული ალტერნატივები, რომ მშვიდობიანი შეკრება უზრუნველყოფდეს სამიზნე აუდიტორიისთვის სათანადო „ხილვადობას და სმენადობას“.<sup>238</sup>

167. ამგვარი გონივრული ალტერნატივები, როგორც წესი, არ არის შეთავაზებული მრავალ წევრ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლება შეკრებილებს უწოდებს შეიკრიბონ შორეულ ადგილებში, სადაც მისვლა რთულია ან შეუძლებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტით და რაც ხელს უშლის უფლებადამცველებს გამოხატონ თავიანთი შემფოთება სამიზნე აუდიტორიის წინაშე. შეზღუდვების გასამართლებლად ხშირად დასახელებული მიზეზებია ფეხითმოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შეფერხებები, ასევე შეფერხებები კომერციული ან სხვა ყოველდღიურ საქმიანობაში. უნდა აღინიშნოს, რომ „ადგილმდებარეობა შეკრების თავისუფლების ერთ-ერთი მთავარი ასპექტია“ და საზოგადოებრივ შეკრებებში მონაწილეებს ისევე აქვთ პრეტენზია, რომ გამოიყენონ ცენტრალური და ადვილად ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი სივრცეები, მაგალითად, პარკები, სკვერები, ქუჩები, გზები, გამზირები და ტროტუარები, გონივრული პერიოდის განმავლობაში, როგორც სხვა ყველას.<sup>239</sup>

168. დემონსტრაციის მიზნობრივი აუდიტორიისგან მოშორებით გადატანის პრაქტიკას ზოგჯერ თან ახლავს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შეზღუდვის პრაქტიკა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს სატრანსპორტო საშუალებების მოშლას, რომ ხალხმა ვერ შეძლოს შეკრებაზე მისვლა, მონაწილეების გზებზე შეჩერება, დაკავება ან დაშინება, ან ინტერნეტის და მობილური სატელეფონო სერვისების შეზღუდვა, რომელსაც ორგანიზაციები და მონაწილეები იყენებენ შეკრების კოორდინაციისთვის შეკრებამდე ან მის განმავლობაში. შეკრებებში მონაწილეობა არ უნდა შეფერხდეს და არც ორგანიზაციები უნდა აიძულონ გადაიფიქრონ შეკრების გამართვა.

169. სამართლებრივი შეზღუდვების ფართოდ გამოყენება შეკრებებთან დაკავშირებით – მაგალითად, რომელიც კრძალავს ყველა სახის დემონსტრაციის ჩატარებას გარკვეულ დროს, კონკრეტულ ადგილებში ან საზოგადოებრივ ადგილებში, რომლებიც შესაფერისია შეკრებისთვის – გაივლის პროპორციულობის ტესტს, რადგან ასეთი შეზღუდვები არ ითვალისწინებს თითოეული ინდივიდუალური საქმის გარემოებებს.<sup>240</sup> ამიტომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ამოიღონ ასეთი აკრძალვები

238 A/HRC/23/39, პარაგრაფი 83(c).

239 „მოსაზრებები საჯარო გამოსვლების, მარშების, შეკრებების და გაერთიანებების რეგულაციის აქტთან დაკავშირებით“ ტუნისში, ეუთო/ODIHR, FOA-TUN/218/2012, პარაგრაფი 56.

240 ეუთო/ODIHR-ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო მითითებები, პარაგრაფი 43.

კანონიდან და პრაქტიკიდან და სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ თითოეული შეკრების სპეციფიკურ გარემოებებს.

170. უფლებადამცველთა შესახებ დეკლარაციის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა „მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყონ ყველას დაცვა კომპეტენტური ორგანოების მიერ, ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად, ნებისმიერი ძალადობისგან, მუქარისგან, შურისძიებისგან, დე ფაქტო ან დე იურე დისკრიმინაციისგან, ზეწოლისგან ან რაიმე სხვა თვითნებური მოქმედებისგან“, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების კანონიერი გამოყენების შედეგად. დაცული უნდა იყოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება იმ საკითხებზე, რომლებიც უპირისპირდება ტრადიციულ ფასეულობებს ან უკიდურეს პოლიტიკურ შეხედულებებს. ასეთი შეკრებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება რასიზმის, ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ დემონსტრაციებით, მაგალითად, ეროვნული უმცირესობების, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების, ბოშებისა და სინთების, ლტოლვილებისა და მიგრანტებისა და LGBTI პრაიდ მსვლელობის საწინააღმდეგოდ. როგორც მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, „ასეთი შეკრებების ჩატარების შესაძლებლობა განსაკუთრებით გადამწყვეტია იმ ჯგუფებისთვის, რომელთა მიმართ ადგილი აქვს ყველაზე მეტ დარღვევას და დისკრიმინაციას, რაც მათ საშუალებას აძლევს გაუმკლავდნენ თავიანთ ნშირად სასოწარკვეთილ მდგომარეობას ასეთი არსებითი წესით“.<sup>241</sup> გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პირებს და ჯგუფებს, მათ შორის, რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ასოციაციებს, შეუძლიათ ისარგებლონ და განახორციელონ ეს ფუნდამენტური უფლება და ამავედროულად, თანაბრად იყვნენ დაცული სახელმწიფოს მიერ. წევრი სახელმწიფოების ვალდებულება, უზრუნველყონ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, მთლიანობაში ეხება სახელმწიფოს. როგორც ასეთი, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მუნიციპალურმა და სხვა ორგანოებმაც შეასრულონ აღნიშნული ვალდებულება, ხოლო ფედერალური სახელმწიფოების შემთხვევაში, ყველა ფედერალური ორგანო ვალდებულია შეასრულოს ეს ვალდებულება.
171. მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ახალი ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის ინტერნეტისა და მობილური სატელეფონო მომსახურების მნიშვნელოვან როლს შეკრებისა და ასოცირების უფლებების თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობებში.<sup>242</sup> უფრო მეტიც, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფოების ვალდებულება „პატივი სცენ და სრულად დაიცვან ყველა პირის მშვიდობიანად და თავისუფლად შეკრების უფლებას, როგორც ინტერნეტით, ისევე ინტერნეტის მიღმა

241 A/HRC/23/39, 24 April 2013, პარაგრაფი 80.

242 A/HRC/20/27, 21 May 2012, პარაგრაფები 32 და 84(k).

[..]”<sup>243</sup> აღნიშნულის გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უფლებადამცველებს შეეძლოთ თავისუფლად გამოიყენონ ისეთი ტექნოლოგიები, როგორცაა შეკრებების ორგანიზების საშუალებები, მომავალი მოვლენების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და აღნიშნულთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა. ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს პრაქტიკა და რეგულაციები, რომლებიც ზღუდავს უფლებადამცველების მიერ ამ საშუალებებზე ხელმისაწვდომობას და გამოყენებას. ამგვარი დაშვების ან გამოყენების შესახებ რაიმე შეზღუდვა უნდა განიხილოს კომპეტენტურმა სასამართლომ.<sup>244</sup>

172. სპონტანური, ერთდროული და შეუტყობინებელი შეკრება: წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და უზრუნველყონ მშვიდობიანი შეკრებების, მათ შორის სპონტანური და ერთდროული შეკრების დაცვა. სპონტანური შეკრებები ხშირად გამოწვეულია კონკრეტული მოვლენით და, შესაბამისად, წინასწარი შეტყობინების მოთხოვნის დაკმაყოფილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი. უფრო მეტიც, ასეთი ღონისძიებები ხშირად იმართება წინასწარი რეკლამის ან მოწვევის და იდენტიფიცირებადი ორგანიზატორის გარეშე, რის შედეგადაც წინასწარი შეტყობინება არაპრაქტიკულია. მიუხედავად ამისა, მშვიდობიანი სპონტანური შეკრებები უნდა იყოს სრულად დაცული, კანონით აღიარებული და განიხილება „როგორც ჯანსაღი დემოკრატიის მოსალოდნელი (და არა გამონაკლისი) მახასიათებელი“.<sup>245</sup> ანალოგიურად, ერთდროული შეკრებები ასევე უნდა იყოს დაშვებული, დაცული და უზრუნველყოფილი. „თუ ეს შეუძლებელია (მაგალითად, სივრცის არარსებობის გამო), მხარეებს უნდა მოუწოდონ დიალოგში ჩართვა, ყველა მხარისათვის დამაკმაყოფილებელი გამოსავლის მოსაძებნად.“<sup>246</sup> როდესაც ტარდება კონტრ-დემონსტრაციები, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რომ შეკრებები ჩატარდეს მათი სამიზნე აუდიტორიის სათანადო „ხილვადობით და სმენადობით“. ამასთან, აქცენტი უნდა გაკეთდეს „სახელმწიფოს ვალდებულებაზე, რომ თავიდან აიცილოს ძირითადი მოვლენის შეფერხება, სადაც იმართება კონტრ-დემონსტრაციები“.<sup>247</sup>

173. უფლებადამცველები, რომლებიც არაოფიციალურ შეკრებებში მონაწილეობენ, არ უნდა დაექვემდებარონ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სანქციებს, რომელიც გამოიწვევს მათ დაჯარიმებას ან პატიმრობას, მხოლოდ ასეთ შეკრებებში მონაწილეობისთვის.<sup>248</sup> სანქციები შეკრების ფორმალური სამართლებრივი მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის უნდა იყოს პროპორციული

243 A/HRC/RES/24/5, 8 ოქტომბერი 2013.

244 A/HRC/23/39, პარაგრაფი 83(e).

245 ეუთო/ODIHR-ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო მითითებები, პარაგრაფი 128.

246 *Ibid.* პარაგრაფი 122.

247 *Ibid.*

248 A/HRC/20/27, პარაგრაფი 29.

დანაშაულის სიმძიმის მიმართებაში და უნდა იქნას გამოყენებული არადისკრიმინაციული გზით. პასუხისმგებლობა კანონის რომელიმე შესაბამისი დებულების შეუსრულებლობისთვის ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ან სხვა დანაშაულებებისთვის ბრალდებული პირები სარგებლობენ სრულად დაცული პროცესით, მათ შორის, მათ მიერ არჩეულ ადვოკატთან დაუყოვნებლივ წვდომით და შესაბამისი დროის გამოყოფით დაცვის მოსამზადებლად. უფლებადამცველები, რომლებიც მშვიდობიან შეკრებებს აწეობენ, არ უნდა აგონ პასუხის სხვა მონაწილეთა უკანონო ქმედებზე შეკრების დროს, თუ ასეთი ქმედება არ არის გამოწვეული მათ მიერ და მათ მონაწილეობა არ მიუღიათ ამ ქმედებების განხორციელებას.

174. პოლიცია და ძალის გამოყენება: სამართალდამცავებმა თავიდან უნდა აიცილონ ძალის გამოყენება შეკრებების დროს, ან თუ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, მინიმუმამდე შეზღუდონ ძალის გამოყენება.<sup>249</sup> გამოყენებული ძალა მიმართული უნდა იყოს მხოლოდ იმ მონაწილეებისკენ, რომლებიც მიმართავენ ძალადობას და უნდა იყოს მკაცრად პროპორციული. მშვიდობიანი შეკრება ავტომატურად არ გადაიქცევა არა-მშვიდობიან შეკრებად თუ მონაწილეთა მცირე

249 ძალოვანი სტრუქტურების ქვევის გაეროს კოდექსის მიხედვით, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელ პირებს უფლება აქვთ გამოიყენონ ძალა მხოლოდ უკიდურეს აუცილებლობის შემთხვევაში და იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მათი მოვალეობების შესასრულებლად. ეს ნიშნავს იმას, რომ ძალის გამოყენება უნდა იყოს განსაკუთრებული და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ცდებოდეს გონივრული აუცილებლობის ფარგლებს. იხ. გაეროს „ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა ქვევის კოდექსი“ მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 17 დეკემბრის რეზოლუციით 34/169, მუხლი 3. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ ძალისა და საბრძოლო იარაღის გამოყენების გაეროს ზოგადი პრინციპების (შემდგომში „გაეროს ზოგადი პრინციპები“) მიხედვით ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, ძალის გამოყენებამდე უნდა მიმართონ რაც შეიძლება ნაკლებად ძალადობრივ საშუალებებს და ძალა უნდა გამოიყენონ მხოლოდ მაშინ, თუ სხვა საშუალებები არაეფექტური გამოდგება. როცა ძალის კანონიერი გამოყენება გარდაუვალია, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებმა, სხვა საშუალებების გარდა, უნდა დაიცვან ზღვარი, მინიმუმამდე დაიყვანონ ზიანის მიყენების ალბათობა და უზრუნველყონ ნებისმიერი დაზარებული ან დაზიანებული პირისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე (ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა ქვევის ზოგადი პრინციპები, მიღებული გაეროს მერვე გაერთიანებულ კონგრესზე, ჰავანა, კუბა 27 აგვისტო – 7 სექტემბერი, 1990, პრინციპები 4 და 5). ეს პრინციპები არაეულირებენ ზოგადად საბრძოლო იარაღის გამოყენების პირობებს, თუმცა გაეროს ზოგადი პრინციპები უფრო კონკრეტულად აზუსტებს, რომ ადამიანების წინააღმდეგ საბრძოლო იარაღის გამოყენება არ უნდა იყოს დაშვებული, გარდა თავდაცვის ან სხვათა სიცოცხლის დაცვის ან სერიოზული ფიზიკური დაზიანების თავიდან აცილების შემთხვევებისა (პრინციპი 9). ძალის გადამეტებასთან დაკავშირებით, იხ. გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ „დასკვნითი შეფასებები საბერძნეთზე“ (გაეროს დოკ. CAT/C/GRC/CO/5-6, 27 ივნისი 2012, პარაგრაფი 11), სადაც კომიტეტმა გამოთქვა შემფოთება ძალოვანი სტრუქტურების მიერ ძალის გადამეტებული გამოყენების ფაქტების გამო, რომლებიც ხშირად უკავშირდება დემონსტრაციების და აქციების კონტროლს. კომიტეტმა სახელმწიფოებს მოუწოდა იმის უზრუნველყოფისკენ, რომ ძალის გამოყენება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა არსობას ამის უკიდურესი აუცილებლობა და იმ ფორმით, რაც მათი მოვალეობის შესრულებისთვის იქნება აუცილებელი. იხ. ასევე „დასკვნითი შეფასებები კანადაზე“ გაეროს დოკუმენტი CAT/C/CAN/CO/6, 25 ივნისი 2012, პარაგრაფი 22), სადაც კომიტეტმა გამოთქვა შემფოთება ძალოვანი სტრუქტურების მიერ ფედერალურ და პროვინციულ დონეებზე ბრზობას კონტროლის მიზნით ძალის გადამეტებული გამოყენების გამო. კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა სახელმწიფოებს გააძლიერონ ძალისხმევა ამგვარი ფაქტების დროული და მიუკერძოებელი გამოძიებისთვის და დამნაშავეთა დასჯის უზრუნველყოფად.

ჯგუფი, ან მონაწილეები ან პროვოკატორები მიმართავენ ძალადობას.<sup>250</sup> სამართალდამცავებმა, რომლებიც ზედამხედველობენ შეკრებას, რეაგირება უნდა მოახდინონ ამგვარ ქმედებებზე მიზნობრივად, რომ ხელი არ შეეშალოთ მშვიდობიან მონაწილეებს შეკრების თავისუფლების განხორციელებაზე, როგორცაა მაგალითად, სხვაგვარად მშვიდობიანი შეკრების იძულებით დაშლა.

175. UNGA-მ და ადამიანის უფლებათა საბჭომ არაერთხელ დაადასტურეს, რომ არავინ არ უნდა დაექვემდებაროს ძალის გადაჭარბებულ და განურჩეველ გამოყენებას მშვიდობიანი პროტესტის კონტექსტში.<sup>251</sup> ყოველგვარი ვითარების პირობებში, სამართალდამცავმა ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ ძალის გადაჭარბებულ და განურჩევლად გამოყენებისგან, რომელიც ვერ ახდენს დიფერენციაციას მშვიდობიანი მომიტინგეების, შეკრებაზე მომუშავე ჟურნალისტების, შეკრების დამკვირვებლების ან უბრალო გამვლელებისა და ძალადობრივი ქმედებებისთვის პასუხისმგებელი პირებისგან. ძალის განურჩევლად გამოყენებამ, მაგალითად, საპროტესტო აქციების მცირე ჯგუფის მიერ შეკრების ან ძალადობრივი ქმედებების დროს სპორადული ძალადობის რეაქციის გამო, შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობის ესკალაცია და გამოიწვიოს შემდგომში ძალადობა. კონფლიქტის დეესკალაციისთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს მოლაპარაკებებს და/ან მედიაციას და არა ძალის გამოყენებას.<sup>252</sup> ძალის ზედმეტი და არაპროპორციული გამოყენების თავიდან ასაცილებლად, საშინაო სამართალი უნდა შეიცავდეს ნათელ წესებს, რომლებიც განსაზღვრავენ ძალის გამოყენებას ამგვარი გარემოებებში, აგრეთვე ძალის იმ დონეს, რომელიც მისაღება სხვადასხვა საფრთხეების მოსაგვარებლად.<sup>253</sup> ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის რეკომენდაციით, სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ ნათელი წესები დემონსტრაციის დროს ძალის გამოყენებაზე.<sup>254</sup>

176. ეფექტურად უნდა იქნას გამოძიებული სამართალდამცავების მიერ შეკრების დროს ძალის გადაჭარბებული ან განურჩევლად

250 ეუთო/ODIHR--ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო მითითებები, პარაგრაფი 164.

251 იხ. UNGA „რეზოლუცია ადამიანების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ, ხელი შეუწყო და დავიკან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და ძირითადი თავისუფლებები“, გაეროს დოკ. A/RES/66/164, პარაგრაფი 6; UNGA-ს „რეზოლუცია ქალი უფლებადამცველების უფლებების დაცვის თაობაზე“, გაეროს დოკუმენტი A/RES/68/181, 18 დეკემბერი, 2013, პარაგრაფი 8; ადამიანის უფლებათა საბჭოს „რეზოლუცია ადამიანის უფლებათა მხარდაჭერის და დაცვის თაობაზე მშვიდობიანი პროტესტის კონტექსტში“, A/HRC/RES/19/35, მიღებული 2012 წლის 23 მარტს, პარაგრაფი 6; და ადამიანის უფლებათა საბჭოს „რეზოლუცია უფლებადამცველების უფლებების დაცვის თაობაზე“, A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 6.

252 იხილეთ ეუთო/ODIHR--ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო მითითებები, პარაგრაფები 5.4 და 5.5, მეტი დეტალებისთვის იხ. გვ. 75-89.

253 *Ibid.* პარაგრაფი 171.

254 იხ. მაგალითად, კომისიის ანგარიში თურქეთში მისი ვიზიტის თაობაზე, სადაც იგი მოუწოდებს ხელისუფლებას, მიიღონ უფრო მკაფიო წესები დემონსტრაციების დროს გამოსაყენებელი ძალების, მათ შორის, ცრემლსადენი ჯანის და ცეცხლსასროლი იარაღის, თაობაზე და შექმნან უკეთესი გარანტიები თავისუფალი შეკრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით. იხ. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ნილს მუიზინიკის ანგარიში, თურქეთში მისი ვიზიტის შემდგომ, 1-5 ივლისი, 2013, CommDH(2013)24, 26 ნოემბერი, 2013.



გამოყენების შემთხვევები და ყველა პასუხისმგებელი პირი უნდა მიეცეს პასუხისგებაში.<sup>255</sup> დაუშვებელია ამგვარი ქმედებებისთვის დაუსჯელობა. ადამიანის უფლებების შესაბამისი სტანდარტებისა და ეუთოს ვალდებულებების შესაბამისად, შესაბამისმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის და ცეცხლსასროლი იარაღის თვითნებური ან ძალადობრივი გამოყენება დაისჯება, როგორც სისხლის სამართალდარღვევა მათი კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>256</sup>

177. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდა სახელმწიფოებს უზრუნველყონ ადეკვატური სწავლება, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.<sup>257</sup> გაეროს ძირითადი პრინციპების თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძალის და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, მათ შორის კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, ხალხის ქვევის გააზრებას და დამაჯერებლობის, მოლაპარაკების და შუამავლობის მეთოდებს, ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუდვის მიზნით.<sup>258</sup>

178. შეკრებების მონიტორინგი: UNGA-მ და ადამიანის უფლებათა საბჭომ აღიარეს უფლებადამცველების მნიშვნელოვანი როლი მშვიდობიან საპროტესტო კონტექსტში.<sup>259</sup> უფლებადამცველებს შეუძლიათ თავიანთი როლი შეასრულონ სხვადასხვა გზით, მათ შორის, როგორც შეკრებების ორგანიზატორებმა ან მონაწილეებმა, ასევე შეკრებების დამკვირვებლებმა, რომლებიც აკვირდებიან და აფიქსირებენ შეკრებისა და პოლიციური ოპერაციების ჩატარებასა და მათ შესაბამისობას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. უფლებადამცველების მიერ შეკრებების მონიტორინგი ხელს შეუწყობს შეკრებისა და საპოლიციო ოპერაციების ჩატარების შეფასებას. მათ ასევე შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ინფორმირებულ საჯარო დებატებში იმ

255 მაგალითად, პროტესტების კონტექსტში ძალის გადამტების ფაქტების გამოძიების მიზნით, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა რუსეთის ფედერაციას მისცა რეკომენდაცია, „შექმნან დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც უფლებამოსილება ექნება მიიღოს, გამოიძიოს და გადაწყვიტოს ძალის გადამტების და პოლიციის მიერ ძალის ბოროტად გამოყენების სხვა საკითხები;“ იხ. „დასკვნითი შეფასებები რუსეთზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/RUS/CO/6, 24 ნოემბერი, 2009, პარაგრაფი 25. საქართველოში მისი ვიზიტის შემდგომ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მშვიდობიანი შეკრების და მშვიდობიანი გაერთიანების უფლებებზე, ხელისუფლებას მისცა რეკომენდაცია, „სერიოზულად განიხილოს დამოუკიდებელი კომისიის შექმნის საკითხი, რომელიც შეისწავლის 2011 წლის 26 მაისის მოვლენებს ინკლუზიურად, გამჭვირვალედ და აქტიური ჩართულობით და ყველა პარტნიორის მონაწილეობით, მათ შორის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფკავშირების, აქტივისტების, უფლებადამცველების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების;“ იხ. მშვიდობიანი შეკრების და მშვიდობიანი გაერთიანების უფლებებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, მაინა კიაი, დამატება, მისია საქართველოში, გაეროს დოკუმენტი A/HRC/20/27/Add.2, 8 ივნისი, 2012, პარაგრაფი 91 (ე). ეფექტური გამოძიების მოთხოვნებთან დაკავშირებით მეტი დეტალებისთვის იხ. ნაწილი დაუსჯელობა და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები ზემოთ.

256 გაეროს ზოგადი პრინციპები, პრინციპი 7.

257 A/HRC/RES/19/35, პარაგრაფი 7.

258 გაეროს ზოგადი პრინციპები, პრინციპი 20.

259 იხ. A/HRC/RES/226, პარაგრაფი 6; A/RES/68/181, პარაგრაფი 8; A/RES/66/164, პარაგრაფი 6.

ლონისძიებების შესახებ, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს შეკრებების სამართლებრივი ჩარჩოების, სამართალდამცავი პირების ტრენინგის საჭიროებების შესახებ, ან საჭიროა თუ არა დამატებითი რესურსები ან ალტერნატიული პოლიციის მიერ შეკრებაზე წესრიგის დაცვისათვის.<sup>260</sup>

179. როგორც მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, მშვიდობიანი შეკრების უფლება არა მხოლოდ შეკრების ან მონაწილეობის უფლებას მოიცავს, არამედ იცავს მშვიდობიანი შეკრებების მონიტორინგის განმხორციელებელი პირების უფლებებს.<sup>261</sup> ამრიგად, მან მოუწოდა სახელმწიფოებს უზრუნველყონ იმ მონიტორინგისა და რეპორტირების დაცვა, რომლებიც ეხმარება დარღვევებსა და ძალადობებს მშვიდობიანი შეკრების კონტექსტში.<sup>262</sup> უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ასევე მოუწოდებს სახელმწიფოებს, საშუალება მისცენ უფლებადამცველებს თავისუფლად იმოქმედონ შეკრების კონტექსტში, რათა მათ შეძლონ თავიანთი მონიტორინგის როლის შესრულება.<sup>263</sup>

180. წევრმა სახელმწიფოებმა აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი და ხელი შეუწყონ უფლებადამცველთა ინიციატივებს შეკრების დამოუკიდებლად მონიტორინგისა და მოხსენების შესახებ. ხელისუფლებას რეკომენდაციას უწყვენ შეკრების დამკვირვებლებთან გაიარონ კონსულტაცია, როგორც შეკრების დაწყებამდე – მაგალითად, წესრიგის დაცვისათვის მომზადებასა და რისკების შეფასებასთან დაკავშირებით – ასევე შეკრების დასრულების შემდეგ გამოვლენილი შესაძლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადო რეაგირება გაკეთდა შეკრების დროს საჯარო მოხელეების მხრიდან რაიმე სახის დარღვევაზე. გარდა ამისა, ხელისუფლებას მოუწოდებენ სამართალდამცავების და სხვა შესაბამისი თანამდებობის პირების მომზადების დროს ითანამშრომლონ უფლებადამცველებთან, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ შეკრების მონიტორინგს. მათ ასევე მოუწოდებენ ხელი შეუწყონ შეკრებების საერთაშორისო მონიტორინგს ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორცაა ODIHR.

181. შეკრების ორგანიზატორებისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან საჯარო პასუხისმგებლობის ამდლებების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მედიას ჰქონდეს სრული წვდომა შეკრებებზე, რომ უზრუნველყონ თავისუფალი გაშუქება.<sup>264</sup> როგორც მედიის თავისუფლების შესახებ ეუთოს წარმომადგენელმა აღნიშნა, „დემონსტრაციების თავისუფალი გაშუქება ისევე არის თავისუფალი შეკრების უფლების ნაწილი, რამდენადაც

260 იხ. ეუთო/ODIHR-ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო მითითებები, პარაგრაფი 5.9, და მეტი დეტალებისთვის იხ. გვ. 94-110.

261 იხ. A/HRC/20/27, მოკლე შინაარსი.

262 A/HRC/20/27, პარაგრაფი 94.

263 იხ. უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გენერალური მდივნის სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, გაეროს დოკ. A/62/225, 13 აგვისტო, 2007, პარაგრაფი 101(f)(i).

264 *Ibid.* პარაგრაფი 101(f)(ii).

დემონსტრაციები თავად წარმოადგენენ თავისუფალი სიტყვის უფლების განხორციელებას”.<sup>265</sup>

### **3. გაერთიანების თავისუფლება და უფლება დააფუძნოს, გაწევრიანდე და ეფექტური მონაწილეობა მიიღოს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში**

182. UDHR-ის მე-20 მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლების უფლება“ და „არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად“. ICCPR-ის 22(1) მუხლის თანახმად, „თითოეულ ადამიანს აქვს სხვებთან ასოციაციის უფლება, მათ შორის უფლება თავისი ინტერესების დასაცავად შექმნას და შევიდეს პროფესიულ კავშირებში“. ECHR-ის 11(1) მუხლი მოიცავს მსგავს დებულებას, რომლის თანახმადაც „ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად“. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-8 მუხლი ასევე უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს შექმნან პროფესიული კავშირები და გაწევრიანდნენ ასეთ კავშირებში თავისი არჩევანით, თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების გასავითარებლად და დასაცავად. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს თავისუფლად გაერთიანების უფლება „იდეოლოგიური, რელიგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, შრომითი, სოციალური, კულტურული, სპორტული ან სხვა ნიშნის მიხედვით“. FCNM-ს მე-7 მუხლი უზრუნველყოფს ყველა ადამიანის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას, გაერთიანების უფლებას. FCNM-ის 17(2) მუხლი დამატებით ითვალისწინებს, რომ მხარეები იღებენ ვალდებულებას „არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი მიკუთვნებული პირების უფლების განხორციელებაში, მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.“ გაეროს უფლებადამცველთა დეკლარაციის მე-5 მუხლი ამტკიცებს, რომ ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტური თავისუფლებების გასავითარებლად და დასაცავად, ყველას გააჩნია უფლება დააფუძნოს, გაწევრიანდეს და ეფექტური მონაწილეობა მიიღოს არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციების და პროფესიული კავშირების საქმიანობაში.

183. არანაირი შეზღუდვა არ უნდა დაწესდეს გაერთიანების თავისუფლების უფლების განხორციელებაზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და რაც ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და

265 ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებზე, სპეციალური ანგარიში „პოლიტიკური დემონსტრაციების დროს მედიასთან ურთიერთობა, დაკვირვებები და რეკომენდაციები“, 21 ივნისი, 2007, <<http://www.osce.org/fom/25744>>. მედიის როლის თაობაზე მეტი დეტალებისთვის ასევე იხ. ეუთო/ODIHR-ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო მითითებები, გვ. 97-100.

აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილია, რომ მხოლოდ შემდეგი წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვის დასაშვებ საფუძვლებს: ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები; საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა; არეულობის ან დანაშაულის პრევენცია; და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამ ფუნდამენტური უფლების განხორციელების ნებისმიერი შეზღუდვა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს და უნდა შეესაბამებოდეს დისკრიმინაციის ამკრძალავ და პროპორციულობის პრინციპებს. გარდა ამისა, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებების შესახებ სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციით, სახელმწიფოებმა უნდა წარადგინონ დეტალური და დროული წერილობითი ახსნა-განმარტებები რაიმე სახის შეზღუდვის დაწესების შესახებ და უზრუნველყონ კომპეტენტური და დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე მისი გასაჩივრების შესაძლებლობა.<sup>266</sup>

184. ICCPR-ის 22-ე მუხლი და ECHR-ს მე-11 მუხლი ცალსახად აცხადებენ, რომ აღნიშნულმა მუხლებმა ხელი არ უნდა შეუშალონ შეიარაღებული ძალების წევრებსა და პოლიციაზე კანონიერი შეზღუდვების დაწესებას გაერთიანების თავისუფლების უფლების განხორციელებაში. მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული ძალების წევრებზე, პოლიციაზე ან სახელმწიფოს ადმინისტრაციის წევრებზე გარკვეული შეზღუდვები შეიძლება იყოს გამართლებული, თუ ამ უფლების განხორციელება ეწინააღმდეგებოდა მათ საზოგადოებრივ მოვალეობებს და/ან საფრთხეს უქმნის მათ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა ასევე უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებს. ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანია, რომ დაცული იქნეს მათი სხვებთან თავისუფლად გაერთიანების უფლება, მათ შორის, ადამიანის უფლებების დასაცავად. როგორც ასეთი, უფლებადამცველებს, რომლებიც შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრები არიან, ასევე აქვთ უფლება გაწევრიანდნენ თავიანთ გაერთიანებებში, რომ კოლექტიურად განახორციელონ თავიანთი საერთო ინტერესები. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, აღნიშნული უფლებების შეზღუდვების მიზეზები რეგულარულად უნდა იქნეს განხილული, ასეთი შეზღუდვების მოხსნის მიზნით, თუ აღარ არსებობს მათი არსებობის საფუძველი.<sup>267</sup>

185. ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ „გაერთიანების უფლება გარანტირებული უნდა იყოს“ და მათ აიღეს ვალდებულება „უზრუნველყონ, რომ ყველას ექნება გაერთიანების

266 A/HRC/23/39, 2013 წლის 24 აპრილი, პარაგრაფი 81.

267 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)4 და ახსნა-განმარტებითი მემორანდუმი შეიარაღებული ძალების წევრთა უფლებების შესახებ, 24 თებერვალი, 2010, პარაგრაფები 53-57, <[http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/publications/cmrec\\_2010\\_4en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/publications/cmrec_2010_4en.pdf)>. ასევე იხ. PACE რეკომენდაცია 1572 (2002) შეიარაღებული ძალების პროფესიონალი კადრების შეკრების თავისუფლების თაობაზე, 3 სექტემბერი 2002, <<http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta02/erec1572.htm>>.

უფლების გამოყენების შესაძლებლობა, მათ შორის შექმნან, შეუერთდნენ და ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის პროფკავშირების და ადამიანის უფლებების მონიტორინგის ჯგუფებს“.<sup>268</sup> ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებად აღიარებენ ორგანიზაციებს, რომლებიც „ამგვარ ორგანიზაციებად თვლიან თავს“<sup>269</sup> და მიიჩნევენ მათ „ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელ ნაწილს [...რომლებიც მიმართული არიან...] გააძლიერონ არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობა, სრული წვლილი შეიტანონ სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში და ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემაში“.<sup>270</sup>

186. გაერთიანების თავისუფლება არის ფუნდამენტური უფლება, რომელიც „აუცილებელი წინაპირობაა სხვა ფუნდამენტური თავისუფლებებისათვის“ და „მჭიდროდ არის გადაჯაჭვული გამოხატვის თავისუფლებასთან, შეკრებასთან, ისევე როგორც ადამიანის სხვა უფლებებთან [...]“.<sup>271</sup> გაერთიანების თავისუფლება განუყოფელია ადამიანის უფლებების დასაცავად. ამას ხაზს უსვამს გაეროს ადამიანის უფლებადამცველთა დეკლარაცია, რომელიც სხვადასხვა დებულებებში (მუხლები 5-9, 11-13 და 17) ითვალისწინებს უფლებადამცველთა უფლებას ინდივიდუალურად ჩაერთონ საქმიანობაში ან სხვებთან ურთიერთობებში.

187. მიუხედავად ამ და სხვა გარანტიებისა, მრავალ წევრ სახელმწიფოში, ადამიანის უფლებადამცველები აწყდებიან სამართლებრივ და ადმინისტრაციულ წინააღმდეგობებს თავიანთი უფლების განხორციელებაში, რომ შექმნან, გაწევრიანდნენ და ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციებში ან სხვა ასოციაციებში. ადგილობრივი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ასოციაციების შექმნას, ფუნქციონირებას და დაფინანსებას, ხშირად გაუგებარია ან ზედმეტად შემზღვევითი და, შესაბამისად, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა 2012 წლის მოხსენებაში აღნიშნა, რომ „სხვადასხვა ქვეყანაში ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებები კიდევ უფრო ზღუდავს თავისუფლად ასოცირების უფლებას“.<sup>272</sup> ამგვარი კანონები ხშირად მიიღება სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების

268 კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფები 9.3 და 10.3.

269 მოსკოვი 1991, პარაგრაფი 43.

270 სტამბოლი 1999, „ევროპის უსაფრთხოების ქარტია: III. ჩვენი ზოგადი პასუხები“, პარაგრაფი 27.

271 ვენეციის კომისია „ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან არასამთავრობო ორგანიზაციების თაობაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის თავსებადობის შეფასება“, CDL-AD (2011)035, პარაგრაფი 45; და ვენეციის კომისია და ODIHR, „ყირგიზეთის რესპუბლიკის არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ კანონპროექტის და სხვა საკანონმდებლო აქტების ერთობლივი შუალედური დასკვნა“, CDL-AD(2013)030, პარაგრაფი 14.

272 A/67/292, 10 აგვისტო 2012, პარაგრაფი 40.



გარეშე, ხოლო საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარებული საკანონმდებლო მიმოხილვები ამ კანონების ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით, ისევე როგორც მათი შემდგომი რეკომენდაციები სახელმწიფოებისათვის, ხშირად არ არის შესრულებული.

188. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე წევრ სახელმწიფოში, მძიმე ადმინისტრაციული სირთულეები ხელს უშლის უფლებადამცველებს ეფექტურად გამოიყენონ გაერთიანების თავისუფლება. უამრავ წევრ სახელმწიფოში, ასოციაცია არ ითვლება კანონიერად დაფუძნებულად, თუ ის არ არის რეგისტრირებული. ამავე დროს, მძიმე და გრძელი ბიუროკრატიული პროცედურები, რომლებიც ასევე ხშირად თვითნებურად გამოიყენება, მნიშვნელოვნად ართულებს რეგისტრაციის პროცესს. ხშირად, ბიუროკრატიული რეგისტრაციის ამ სირთულეებს რეგისტრაციის შემდეგ თან ახლავს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის დაწესებული გადაჭარბებული ანგარიშგების და სხვა მოთხოვნები, ასევე თვითნებური შემოწმებები, მათ შორის ფინანსური და საგადასახადო შემოწმებები. ასეთი პროცედურები და პრაქტიკა ხშირად მიზნად ისახავს ან იწვევს სახელმწიფოებრივ ჩარევას არასამთავრობო ორგანიზაციების შიდა სტრუქტურაში, მათ საქმიანობასა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებაში. ისინი საფრთხის ქვეშ აყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციების ლეგიტიმურ მუშაობას და ახორციელებენ ზეწოლას უფლებადამცველებზე.

**არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი კანონები, ადმინისტრაციული პროცედურები და მოთხოვნები**

189. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სამართლებრივი ჩარჩო, რომ უზრუნველყონ იმ უფლებადამცველების მიერ გაერთიანების თავისუფლების თავისუფლად გამოყენება, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის, წევრობის და ეფექტურად მონაწილეობის უფლება, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. ასეთი კანონები უნდა იყოს ნათელი, ზუსტი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მკაცრ შესაბამისობაში მოყვანილი. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობას გაეროს წესდებასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი მოუწოდებს სახელმწიფოებს „როგორც კანონის მეშვეობით, ასევე რეალურად შექმნან და შეინარჩუნონ უსაფრთხო და შესაძლებლობის მომცემი გარემო, რომლითაც სამოქალაქო საზოგადოება შეძლებს შეფერხებების და საფრთხის გარეშე მოქმედებას“.<sup>273</sup>

190. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ასოციაციის თავისუფლება რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. მშვიდობიანი შეკრებისა

273 A/HRC/RES/22/6, მიღებული 2013 წლის 21 მარტს, პარაგრაფი 2; და A/HRC/RES/24/21, მიღებული 2013 წლის 27 სექტემბერს, პარაგრაფი 2.

და გაერთიანების თავისუფლების უფლებების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა სახელმწიფოებს მოუწოდა, რომ „ყველასთვის უზრუნველყოფილი იყოს გაერთიანების თავისუფლება, ნებისმიერი რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული პირებისთვის, მათ შორის ქალებისათვის, სქესობრივი ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის დაწარალებულებისათვის, ახალგაზრდობისათვის, უმცირესობათა მიკუთვნებულ პირებისთვის, მკვიდრი მოსახლეობისათვის, მოქალაქეებისათვის, მათ შორის მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, ლტოლვილებისათვის ან მიგრანტებისათვის და რელიგიური ჯგუფების წევრებისათვის, აგრეთვე აქტივისტებისათვის, რომლებიც ლობირებას უწევენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს“.<sup>274</sup>

191. როგორც გაეროს უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ „ღრმა შედეგების მქონე შეზღუდვებს ორგანიზაციების შესაძლებლობებზე, განახორციელონ თავიანთი საქმიანობა ჩარევის გარეშე“ ან ძირს უთხრიან „ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელ ფუნქციონირებას“, უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს.<sup>275</sup> ამ მიზნით ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა უნდა დაექვემდებაროს ღია და გამჭვირვალე კონსულტაციას სამოქალაქო საზოგადოებასთან. კონსულტაციები უნდა დაიწყოს რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე – სასურველია წინასწარი პროექტის დაწყებამდე – და ღია უნდა იყოს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მათი კონკრეტულ ჯგუფებთან კავშირის ან მათ მეორე დაცული უფლებების მიმართ რაიმე დისკრიმინაციის გარეშე.

192. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ასოციაციების მარეგულირებელი საშინაო კანონმდებლობის ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებენ მოიპოვონ საერთაშორისო ორგანოების ექსპერტიზა, როგორცაა ეუთო/ODIHR და ევროსაბჭოს ვენეციის კომისია, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან კანონმდებლობის შეფასებაში. მათ მოუწოდებენ გაითვალისწინონ მოსაზრებები და განახორციელონ რეკომენდაციები ამ და ადამიანის უფლებების დამცველი სხვა პირების მიერ, როგორცაა მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანებების თავისუფლების უფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი და უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი.

193. წევრმა სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ და სრულად დაიცვან ყველა პირის უფლება, რომ თავისუფლად გაერთიანდნენ ინტერნეტის მეშვეობით.<sup>276</sup> როგორც ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა განაცხადა, გაერთიანების თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლებისა და

274 A/68/299, 7 აგვისტო 2013, პარაგრაფი 58 (b).

275 A/64/226, 4 აგვისტო 2009, პარაგრაფები 53 და 54.

276 A/HRC/RES/24/21, მიღებული 2013 წლის 27 სექტემბერს, პარაგრაფი 1.

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასთან ერთად, „აუცილებელია საზოგადოების მონაწილეობისთვის საჯარო დებატებში და მათი დემოკრატიული მოქალაქეობის განხორციელებისთვის, და იგი გარანტირებული უნდა იყოს [...] (მიუხედავად იმისა, ხორციელდება ინტერნეტით თუ არა).“<sup>277</sup> კანონები, რომლებიც არეგულირებენ ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის დაშვებას და გამოყენებას, იმ საშუალებით, რომლის საშუალებით რომლითაც შეიძლება განხორციელდეს გაერთიანების თავისუფლება, ასევე უნდა ითვალისწინებდეს ასოციაციის თავისუფლების შეუზღუდავ განხორციელებას. ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც თავისუფლდება ინტერნეტის მეშვეობით ასოციაციის უფლებას ზღუდავს, მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.

### **არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციის შესახებ:**

194. არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ არსებობის და თავიანთი საქმიანობის განხორციელების უფლება რეგისტრაციის გარეშე.<sup>278</sup> ეუთოს ვალდებულებების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები აღიარებენ იმ ასოციაციებს არასამთავრობო ორგანიზაციებად, რომლებიც ეროვნული პროცედურების შესაბამისად ასეთებად აცხადებენ თავს.<sup>279</sup> ეროვნული პროცედურები ასევე უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და ეუთოს ვალდებულებებს.

195. მიუხედავად ამისა, მრავალ წევრ სახელმწიფოში არასამთავრობო ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ოფიციალურად დარეგისტრირდნენ სახელმწიფო ორგანოებში და მიიღონ თავიანთი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება. გარდა ამისა, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში რეგისტრაციის პროცედურები ხანგრძლივი და ძვირი და გამოიყენება თვითნებური და დისკრიმინაციული გზით. ზედმეტი დოკუმენტაციის მოთხოვნების და ბიუროკრატიის რამდენიმე ფენის დაწესება იწვევს რეგისტრაციის შეფერხებას ან სულაც ხელს უშლის ასოციაციების რეგისტრაციას.<sup>280</sup>

196. უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არარეგისტრირებული გაერთიანებების მიერ განხორციელებული საქმიანობის კრიმინალიზაცია ერთ-ერთი ყველაზე შემამოთხლებელი ტენდენციაა.<sup>281</sup> ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში,

277 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, „დეკლარაცია გამოხატვის თავისუფლების და შეკრების და გაერთიანების თავისუფლების დაცვის შესახებ კერძოდ ოპერირებად ინტერნეტ პლატფორმებსა და ონლაინ სერვის პროვაიდერებთან მიმართებაში“, 7 დეკემბერი 2011, <<https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1883671>>, პარაგრაფი 1.

278 იხ. უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, გაეროს დოკუმენტი A/59/401, 1 ოქტომბერი 2004, პარაგრაფი 82 (ა). ასევე იხ. მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების უფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, გაეროს დოკუმენტი A/HRC/23/39, 24 აპრილი, 2013, პარაგრაფი 82 (ა).

279 მოსკოვი 1991, პარაგრაფი 43.

280 A/64/226, 4 August 2009, პარაგრაფები 70 და 71.

281 Ibid.

რეგისტრაციის გარეშე ადამიანის უფლებების სფეროში სხვებთან ერთად მუშაობა განიხილება, როგორც სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად. ამ მიზეზით მოხდა რიგი უფლებადამცველების დაპატიმრება ან ისინი იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი ქვეყნები საერთაშორისო დაცვის მოპოვების მიზნით. დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს კანონები, რეგულაციები და პრაქტიკა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ახდენენ ადამიანის უფლებების დაურეგისტრირებელი საქმიანობის კრიმინალიზაციას და, შესაბამისად, არღვევენ ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ საერთაშორისო გარანტიებს.<sup>282</sup>

197. მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაცია არ უნდა იყოს სავალდებულო, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა გაერთიანებებს უნდა გააჩნდეთ იურიდიულ პირებად რეგისტრაციის უფლება, იმისათვის, რომ მაგალითად, ისარგებლონ დამატებითი სახელმწიფო დახმარებით და სუბსიდიებით, რომლებიც მხოლოდ იურიდიულ პირებისთვისაა ხელმისაწვდომი. არასამთავრობო ორგანიზაციამ ან ასოციაციამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს სურთ თუ არა რეგისტრაცია, ზემოაღნიშნული სარგებლობის მიღების მიზნით. იმ შემთხვევებში, როდესაც შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს იურიდიულ პირთა სხვადასხვა ფორმებს – მაგალითად, არაკომერციული ორგანიზაციებს, ფონდებს ან სხვა – იურიდიულ პირად დარეგისტრირების მოთხოვნები უნდა ითვალისწინებდეს საკმარის მოქნილობას გაერთიანების ყველაზე შესაფერისი იურიდიული ფორმის არჩევისას და უნდა ფუნქციონირებდეს ისე, რომ ხელი შეუწყონ უფლებადამცველებს მათ საქმიანობაში სხვებთან ერთად და არა პირიქით, ხელი შეუშალოს მათ საქმიანობას.

198. UNGA-მ მოუწოდა სახელმწიფოებს, რომ „სადაც არსებობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეგისტრაციის პროცედურები, უზრუნველყონ რომ ასეთი პროცედურები იყოს გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული, მიზანშეწონილი, ხელმისაწვდომი, გასაჩივრების შესაძლებლობის მქონე და ხელახალი დარეგისტრირების მოთხოვნის გარეშე [...]“<sup>283</sup>

199. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო რეგისტრაციაში მნიშვნელოვანი შეფერხებები და შესაბამისი ორგანოების განმეორებითი უარი ასოციაციის რეგისტრაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით, შეიძლება წარმოადგენდეს რეგისტრაციაზე დე ფაქტო უარის თქმას და

282 მშვიდობიანი შეკრების და გაერთიანების უფლების საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა თავის 2012 წლის ანგარიშში კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობენ არარეგისტრირებულ ასოციაციებში, ნამდვილად უნდა ქონდეთ თავისუფლება განახორციელონ ნებისმიერი ქმედება, მათ შორის ქონდეთ უფლება ჩაატარონ და მონაწილეობა მიიღონ მშვიდობიან შეკრებებში, და არ უნდა ხდებოდნენ სისხლისსამართლებრივი საქციების ობიექტები“ (A/HRC/20/27, 21 მაისი 2012, პარაგრაფი 56).

283 A/RES/66/164, 10 აპრილი 2012.

დაუშვებელ ჩარევას გაერთიანის თავისუფლების განხორციელებაში.<sup>284</sup> ქვეყნის სამართალმა უნდა უზრუნველყოს სათანადო დაცვა ასეთი შეფერხებებისგან. იგი უნდა შეიცავდეს ზუსტ ვადას, რომლის განმავლობაში შესაბამისი უფლებამოსილი პირები მიღებენ გადაწყვეტილებას და საკმარისი სიზუსტით უნდა განსაზღვრონ კანონით დადგენილ ვადაში ხელისუფლების მიერ ქმედების შეუსრულებლობის შედეგები (მაგალითად, ავტომატური რეგისტრაცია დროული გადაწყვეტილების შემთხვევაში).<sup>285</sup>

200. რეგისტრაციის პროცესში, სარეგისტრაციო ორგანო არ უნდა ერეოდეს ასოციაციების დამოუკიდებლობასა და ავტონომიაში. მაგალითად, არ უნდა ჩაერიოს დამფუძნებლების ან წევრების თავისუფლებაში, აირჩიონ თავიანთი ორგანიზაციის სახელი, სიმბოლოები ან ლოგოები, ან განსაზღვრონ მისი მიზნები და საქმიანობა.<sup>286</sup> ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში, ხელისუფლებამ მოახდინა არასამთავრობო ორგანიზაციების წესდების ცენზურა და მოითხოვა არასასურველი სიტყვების, სიმბოლოების, საქმიანობის ან მიზნების ამოღება, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების გარკვეულ საკითხებთან ან უმცირესობათა ჯგუფებთან, ან უარი განაცხადა რეგისტრაციაზე, რადგანაც ორგანიზაციის სათაური ან სიმბოლო შეიცავდა უმცირესობის ჯგუფის სახელწოდებას. უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ სპეციალურ მომხსენებლის თქმით, გარკვეული სახელმწიფოები მიმართავენ ასეთ ზომებს, რომ „გაფილტრონ ის ჯგუფები, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილი მთავრობის პოლიტიკის მიმართ“<sup>287</sup> და მნიშვნელოვნად ზღუდავენ მათ საქმიანობას.

201. როგორც FCNM-ში არის მითითებული, გაერთიანების თავისუფლება და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობის უფლება ეხება უმცირესობებსაც. დაუშვებელია თვითნებური შეზღუდვების დაწესება, და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება

284 იხ. ECtHR-ის გადაწყვეტილება საქმეზე *Ramazanov and Others v. Azerbaijan*, განცხადება ნომერი 44363/02, 1 თებერვალი 2007, პარაგრაფები 56-68.

285 *Ibid.* პარაგრაფები 66 და 67. გარდა ამისა, ECtHR-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ხელშემკვრელი სახელმწიფოს ვალდებულებაა მოაწყოს ქვეყნის შიდა რეგისტრაციის სისტემა და მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა შესაბამისმა ორგანოებმა იმოქმედონ საკუთარი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და თავიდან აიცილონ ყველა დაუსაბუთებელი შეფერხებები ამ მხრივ“; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რესურსების სიმცირე არ არის გამართლები კანონმდებლობით დადგენილი ვადების შეუსრულებლობისთვის (პუნქტი 65.)

286 2006 წლის 17 მარტის კომუნიკაციაში ნომერი 1478/2006, საქმეზე *Kungurov v. Uzbekistan*, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განიხილა საქმე, უფლებამოსილია თუ არა სახელმწიფო უარი თქვას არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატია და უფლებები“-ს რეგისტრაციაზე, იმის გამო რომ არ შეესაბამება შიდა კანონმდებლობის ორ მოთხოვნას – კერძოდ, რომ აღნიშნული ასოციაცია არ უნდა ჩაერთოს იმ ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობაში, რომელსაც უკვე ეწევა ნებისმიერი ოფიციალური ორგანო და წარმოდგენილი უნდა იყოს უზბეკეთის ყველა რეგიონში, რომ ჩათვალოს „ეროვნულ“ არასამთავრობო ორგანიზაცია, განსხვავებით ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისა. კომიტეტმა დაადგინა, რომ მონაწილე სახელმწიფოს არ შეეძლო რაიმე სახის არგუმენტაციის წარდგენა იმის თაობაზე, თუ რატომ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ასოციაციის რეგისტრაცია განპირობებული იყოს ადამიანის უფლებების სფეროში მისი საქმიანობის მიხედვით და დამოკიდებული იყო იმ განუსაზღვრელ საკითხებზე, რომლებიც არ შედის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში, ან ასოციაციის რეგიონალური ფილიალების არსებობაზე (პარაგრაფი 8.5).

287 A/64/226, 2009 წლის 4 აგვისტო, პარაგრაფი 60.



დაწესდეს, თუ დაშვებულია საერთაშორისო სამართლის მიერ. თავის საქმეებში, ECtHR-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანების თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმცირესობებისთვის, მათ შორის ეროვნული და ეთნიკური უმცირესობებისათვის.<sup>288</sup> მიუხედავად ECtHR-ს აღიარებისა, რომ გაერთიანების თავისუფლების გარკვეული შეზღუდვები დასაშვებია, თუ ეს დადგენილია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში კონვენციით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძვლის ინტერესების გათვალისწინებით, სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში მიიჩნია, რომ ასოციაციის რეგისტრაციაზე უარის თქმა მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს იმ იდეის გავრცელება საშუალება, რომ სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებობს ეთნიკური უმცირესობა, რომლის უფლებებიც სრულად არ არის დაცული, წარმოადგენს კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას.<sup>289</sup> სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „ქვეყნის რეგიონის მაცხოვრებლებს უფლება აქვთ შექმნან ასოციაციები რეგიონის განსაკუთრებული მახასიათებლების ხელშეწყობის მიზნით. ის ფაქტი, რომ ასოციაცია ცდილობს უმცირესობის ცნობიერების დაცვას და დამტკიცებას, თავისთავად ვერ ასაბუთებს კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებში

288 იხ. საქმე *Horzelek and others v. Poland*, განაცხადის ნომერი 44158/98, 17 თებერვალი 2004, პარაგრაფი 93. საქმე ეხებოდა სახელმწიფო ორგანოებს უარს ასოციაციის რეგისტრაციაზე, რომელიც თავის თავს ახასიათებდა სილუეზიის „ეროვნული უმცირესობის“ ორგანიზაციად. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმეში ჩარევა არ შეიძლება ჩაითვალოს არაპროპორციულად, თუკი განსაკუთრებული სტატუსი და პრივილეგიები ექნებოდა ასოციაციის, როგორც იურიდიული პირის რეგისტრაციას საარჩევნო კანონმდებლობით, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასოციაციის შექმნა გამოხატვისა და პოპულარიზაციის მიზნით, შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს და დაეხმაროს უმცირესობას თავისი უფლებების დაცვაში. ამით სასამართლომ მოიშველია ევროპის საბჭოს ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის პრეამბულა, რომელიც ადგენს, რომ „პოლურალისტული და ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება არა მხოლოდ პატივს სცემს თითოეული ადამიანის ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობას, რაც ეროვნული უმცირესობას მიკუთვნება, მაგრამ ასევე ქმნის სათანადო პირობებს, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს გამოხატონ, შეინარჩუნონ და შეიმუშაონ ასეთი იდენტობა“.

289 იხ. გადაწყვეტილებები საქმეზე *Bekir-Ousta and Others v. Greece*, განაცხადი ნომერი 35151/05, 2007 წლის 11 ოქტომბერი, ასევე საქმეზე *Emin and Others v. Greece*, განაცხადი ნომერი 34144/05 და საქმეზე *Tourkiki Enosi Xanthis and Others v. Greece*, განაცხადი ნომერი 26698/05, ორივე მიღებული 2008 წლის 27 მარტს. საქმეები უკავშირდება დასავლეთ თრაკიის საბერძნეთის რეგიონში მუსლიმური უმცირესობის ასოციაციის რეგისტრაციაზე უარის თქმასა და ერთ შემთხვევაში სასამართლოს მიერ ლიკვიდაციის შესახებ, იმ საბაზით, რომ ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ორგანიზაციების სახელები შეცდომაში შეიყვანენ საზოგადოებას მათი წარმომხმარებელთა მიზნებთან დაკავშირებით – ასოციაციები წარმოადგენენ რელიგიურ უმცირესობას თუ ეთნიკურ ჯგუფს – ვინაიდან 1923 წლის ლოსანის შეთანხმება აღიარებდა მხოლოდ მუსლიმ, მაგრამ არ აღიარებდა თურქულ უმცირესობას დასავლეთ თრაკიაში. სასამართლომ დაადგინა, რომ იმ იდეის გავრცელება, რომ არსებობდა ეთნიკური უმცირესობა, არ წარმოადგენდა საფრთხეს დემოკრატიისთვის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ არსებული ინფორმაციით ასოციაციების წევრები მხარს არ უჭერდნენ ძალადობას ან ანტიდემოკრატიულ ან ანტი-დემოკრატიულ კონსტიტუციურ მეთოდებს. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანების თავისუფლება გულისხმობს ყველას უფლებას, კანონიერ ჭრილში გამოხატონ თავიანთი რწმენა თავიანთი ეთნიკური იდენტურობის შესახებ; იხილეთ საქმე *Tourkiki Enosi Xanthis and Others v. Greece*, პარაგრაფი. 56.

ჩარევას.<sup>290</sup> გარდა ამისა, სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში დაადგინა, რომ იურიდიული პირის შექმნა ერთობლივი ინტერესის სფეროში კოლექტიურად მოქმედების მიზნით, წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს. როგორც ასეთი, იურიდიული პირის რეგისტრაციაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ ასოციაციის წესდება არ შეესაბამება ეროვნულ კანონებს და ასოციაციის დამფუძნებლები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას შეცვალონ წესდება და შესაბამისობაში მოიყვანონ იგი ეროვნული სამართლის მოთხოვნებთან რეგისტრაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, შესაძლებელია წარმოადგენდეს გაერთიანების თავისუფლების დარღვევას.<sup>291</sup>

202. გარდა ამისა, უნდა გაუქმდეს კანონები და დებულებები, რომლებიც მოითხოვენ მოსახლეობის არამიზნობრივად მაღალ რაოდენობას არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნისთვის, ან აწესებენ მოთხოვნებს ეროვნული ნიშნით დამფუძნებლების მიმართ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს უმცირესობათა ჯგუფებს მიკუთვნებულ პირებს მონაწილეობა მიიღონ ასოციაციის ფორმირებაში.<sup>292</sup> ამგვარმა მოთხოვნებმა შეიძლება დააზარალოს არასამთავრობო ორგანიზაციების

290 იხ. საქმე Stankov and the United Macedonian Organisation Ilinden v. Bulgaria, განაცხადების ნომრები. 29221/95 და 29225/95, 2001 წლის 2 ოქტომბერი, პარაგრაფი. 89. აგრეთვე იხილეთ საქმე Sidiroopoulos and Others v. Greece, განაცხადი ნომერი 26695/95, 1998 წლის 10 ივლისი, პარაგრაფი. 44. სტენკოვისა და გაერთიანებული მაკედონიური ორგანიზაციის ილინდენის საქმეზე, სასამართლომ, inter alia, განიხილა, საჯაროდ სეპარატისტული იდეებისა და განცხადებების გამოთქმა ისტორიულ მოვლენათა აღსანიშნავად (განმცხადებელთა ასოციაციას ადრე უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, რადგან იგი ითვლებოდა ანტი-კონსტიტუციურად) ამართლებდა თუ არა ხელისუფლების მხრიდან უარს ამგვარი დონის იდეების ორგანიზების უფლებაზე (შინაარსზე და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე შეზღუდვებისთვის იხილეთ აგრეთვე თავი მშვიდობიანი შეკრების უფლების შესახებ). საქმის განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ „ის ფაქტი, რომ პირთა ჯგუფი ითხოვს ავტონომიას ან თუნდაც ითხოვს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის გამოყოფას – რითიც მოითხოვენ ძირეულ კონსტიტუციურ და ტერიტორიულ ცვლილებებს – არ შეიძლება ავტომატურად გაამართლოს მისი შეკრებების აკრძალვა. ტერიტორიული ცვლილებების მოთხოვნა სიტყვიერ გამოსვლისას და დემონსტრაციებისას ავტომატურად არ წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული უსაფრთხოების საფრთხეს. [...] კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოებაში, პოლიტიკურ იდეებს, რომლებიც არსებულ წესრიგს გამოიწვევს და რომელთა რეალიზება მშვიდობიანი გზით ხდება, უნდა მიეცეს გამაზნავის სათანადო შესაძლებლობა შეკრების უფლების განხორციელების გზით, ისევე როგორც სხვა კანონიერი საშუალების მეშვეობით“ (პარაგრაფი 97).

291 იხილეთ გადაწყვეტილება საქმეზე Ozbek and Others v. Turkey, განაცხადი No. 35570/02, 2009 წლის 6 ოქტომბერი.

292 ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, „ორ ან მეტ პირს უნდა შეეძლოს დააფუძნოს წევრობაზე დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ შესაძლებელია დაწესდეს მოთხოვნა უფრო მეტ პირზე სამართლებრივი რეგისტრაციის შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ ამ შემთხვევაში მოთხოვნა არ მიაღწევს ისეთ რაოდენობას, რაც აზრს დაუპარგავს რეგისტრაციის განხორციელებას“, CM / REC (2007) 14, 2007 წლის 10 ოქტომბერი, პუნქტი. 17. მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებელი კანონმდებლობის მიღწევად მიიჩნევა ისეთ მოთხოვნას, თუ გაერთიანების შექმნისათვის არ მოითხოვება ორ ადამიანზე მეტი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უწყება მიიჩნევს, რომ კანონმდებლობამ შეიძლება დამფუძნებელთა უფრო მეტი რაოდენობა მოითხოვოს კავშირის ან პოლიტიკური პარტიის შექმნისათვის, ასეთი რაოდენობა არ უნდა აღწევდეს ისეთ რაოდენობამდე, რაც დაინტერესებულ პირებს ხელს შეუშლის გაერთიანებების შექმნაზე. იხილეთ მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებების შესახებ სპეციალური მომხსენებლის მოხსენება, გაეროს დოკუმენტი. A / HRC / 20/27, 2012 წლის 21 მაისი, პარაგრაფი 54.

შექმნა და ამასთანავე ხელი შეუშალოს უფლებადამცველებს, როგორც იურიდიულ პირებს, კოლექტიურად განხორციელონ საერთო მიზნები.

203. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ზედმეტი ჩარევა და გაუმართლებლად ხანგრძლივი რეგისტრაციის პროცედურები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს უფლებადამცველებს რეგისტრაციის დასრულების მომენტამდე თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას სხვებთან გაერთიანებაში, შეკრების თავისუფლებისა და გაერთიანების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა სახელმწიფოებს რეკომენდაცია მისცა, რომ ავტორიზაციის სისტემის ნაცვლად, როდესაც უფლებადამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა მოიპოვონ მარეგისტრირებელი ორგანოს თანხმობა იურიდიული სტატუსის მოსაპოვებლად, შექმნან შეტყობინებების პროცედურა. ამგვარი შეტყობინების სისტემის საშუალებით, მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია კომპეტენტურ ორგანოს წარუდგენს შეტყობინებას მისი შექმნის შესახებ, ორგანიზაციას ავტომატურად უნდა მიეცეს იურიდიული პირის სტატუსი.<sup>293</sup>

204. მარეგისტრირებელი ორგანოს ნებისმიერი უარი იურიდიული პირის რეგისტრაციაზე უნდა იყოს დასაბუთებული და მკაცრად შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, და ასევე უნდა დაექვემდებაროს დროულ განხილვას კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ანალოგიურად, უნდა არსებობდეს ეფექტური სამართლებრივი საშუალებები, მარეგისტრირებელი ან ზედამხედველი ორგანოების ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ან წარმოების გასაჩივრებლად. ამასთან, ასოციაციებისა და ასოციაციების ქსელების ფილიალების შექმნა, მათ შორის საერთაშორისო დონეზე მოქმედი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ადგილობრივი წარმომადგენლობების ჩათვლით, უნდა დაექვემდებაროს იმავე შეტყობინების პროცედურას.<sup>294</sup> როგორც ადამიანის უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ უნდა მოეთხოვოთ ხელახალი რეგისტრაცია და ახალი კანონმდებლობის მიღების შემთხვევაში, მათ უნდა განაგრძონ საქმიანობა და დაჩქარებული პროცედურებით შეძლონ რეგისტრაციის განახლება.<sup>295</sup>

### **არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციები:**

205. არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებისთანავე, მონაწილე სახელმწიფოებს ევალებათ არ ჩაერიონ მათ საქმიანობაში და გადაწყვეტილების მიღების შიდა პროცესებში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია რეგისტრირებული. ამასთან, როგორც უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ

293 A/HRC/20/27, 21 მაისი 2012, პარაგრაფი 58.

294 *Ibid.* პარაგრაფი 59.

295 A/59/401, პარაგრაფი 82(i).

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, კანონმდებლობაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში კანონმდებლობა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ სახელმწიფო ორგანოებს ანიჭებს ფართო უფლებას, ჩაერიონ და ზედამხედველობა გაუწიონ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას.<sup>296</sup> ტერორიზმისა და ექსტრემიზმის საწინააღმდეგო კანონები უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენება ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შეზღუდვისა და კონტროლის მიზნით.

206. რამდენიმე წევრ სახელმწიფოში, ამგვარი ჩარევა და ზედამხედველობა გამოიხატება ანგარიშვალდებულობის გადაჭარბებული მოთხოვნით, არასამთავრობო ორგანიზაციების დოკუმენტაციისა და ოფისების შემოწმებით, რომლებიც ხშირად ხდება თვითნებურად და წინასწარი შეტყობინების გარეშე, ასევე შეზღუდვების დაწესება ადამიანის უფლებების გარკვეულ საქმიანობებზე. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში, ხელისუფლება კრძალავს ცნობიერების ამაღლების კამპანიებს ან სხვა ტიპის პროექტებს, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებების გარკვეულ საკითხებს იმ მოტივით, რომ ისინი საფრთხის ქვეშ აყენებენ საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ჯანმრთელობასა და ზნეობას. ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობის შეზღუდვები ზოგჯერ დასაბუთებულია იმითაც, რომ კონკრეტული ადამიანის უფლება არ არის პრობლემური და, შესაბამისად, არ არის საჭირო მათი განხილვა და მათზე მიუშაობა. ზოგიერთი მოწაწილე სახელმწიფო ასევე უარყოფს გარკვეულ უმცირესობათა ჯგუფების არსებობას და კრძალავს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც უკავშირდება ამ ჯგუფებს მიკუთვნებული ადამიანების უფლებების დაცვასა და ხელშეწყობას.

207. არასამთავრობო ორგანიზაციების კონტროლისა და ფუნქციონირების ზედამხედველობის გასაზრდელად, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ხელისუფლება აგროვებს ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების ან წევრების შესახებ, აგრეთვე პროექტების ბენეფიციარების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგების, სემინარების და სხვა ღონისძიებების მონაწილეებზე. ასევე არსებობს ცნობები, რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მიმდინარეობდა ზეწოლა ქონების მესაკუთრეებზე და აიძულებდნენ მათ არ მიექირავებინათ ფართი და ობიექტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

208. უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, რომ ზემოთაღნიშნული მოთხოვნები და პრაქტიკა წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლების სერიოზულ დარღვევას.<sup>297</sup> არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სხვა ასოციაციებმა „თავისუფლად უნდა განსაზღვრონ თავიანთი წესდება, სტრუქტურა და საქმიანობა და მიიღონ გადაწყვეტილებები სახელმწიფო ჩარევის

296 A/67/292, 10 აგვისტო 2012, პარაგრაფი 46.

297 Ibid.

გარეშე».<sup>298</sup> წევრ სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ არასამთავრობო ორგანიზაციების უფლებას ჩამოაყალიბონ თავიანთი პროგრამები და საქმიანობა და მართონ თავიანთი რესურსები – მათ შორის დაფინანსება – დამოუკიდებლად და ხელისუფლების მხრიდან რაიმე ჩარევის გარეშე.<sup>299</sup> ხელისუფლების გადასაწყვეტი არ არის თუ რა ტიპის ადამიანის უფლებების საკითხებზე ან რომელი საზოგადოებრივ ჯგუფებთან იმუშავებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული სტატუსის შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ ცკლოვის ჩატარება და ინფორმაციული განათლების და ადვოკატირების წარმოება საზოგადოებრივ საკითხებზე, იმის მიუხედავად, შეესაბამება თუ არა მათი პოზიციის მთავრობის პოლიტიკას ან მოითხოვს კანონმდებლობის ცვლილებას».<sup>300</sup> არასამთავრობო ორგანიზაციები არ უნდა ექვემდებარებოდნენ მითითებებს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან; შესაბამისად, ასოციაციის ამა თუ იმ საქმიანობის წინასწარი ნებართვის სისტემა შეუთავსებელია გაერთიანების თავისუფლებასთან.<sup>301</sup> ამიტომაც, წევრ სახელმწიფოებმა დაუყოვნებლად უნდა აღმოფხვრან ნებისმიერი ასეთი სისტემა.

209. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა ასოციაციებზე დაწესებული ანგარიშების მოთხოვნების გონივრულობა და ხელი არ შეუშალოს მათ ფუნქციურ ავტონომიას.<sup>302</sup> ანალოგიურად, ის კანონები და წესები, რომლებიც ეხება არასამთავრობო ორგანიზაციების აუდიტს და შემოწმებას და მათ ფინანსურ ჩანაწერებს, უნდა იყოს მკაფიო, სამართლიანი და გამჭვირვალე და უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები მათი ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ. შემოწმების დაწყება საკმარისი დროით ადრე უნდა ეცნობოს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომ მიეცეს შემოწმებისათვის დროულად მომზადების საშუალება. სათანადო გაფრთხილება უნდა გაკეთდეს იმ შემთხვევაშიც, თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებს ანგარიშგების გონივრულ მოთხოვნებს ან სხვა რეგულაციებს, რათა ორგანიზაციას მიეცეს საშუალება წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან

298 A/HRC/20/27, პარაგრაფი 97.

299 რაც შეეხება პროფკავშირებს, მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) N87 კონვენციის, ასოცირების თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ, ითვალისწინებს, რომ "მომუშავე პერსონალს ან დამსაქმებელ ორგანიზაციებს აქვთ უფლება შექმნან თავიანთი უფლებები. კონსტიტუციები და წესები, შეარჩიონ თავიანთი წარმომადგენლები სრული თავისუფლებით, მოაწყონ თავიანთი ხელმძღვანელობა და საქმიანობა და ჩამოაყალიბონ თავიანთი პროგრამები "(მუხლი 3 (1)).

300 CM/REC(2007) 14, პარაგრაფი 12.

301 იხ. CDL(2013)017, „ზოგიერთი წინასწარი მოსაზრება გაერთიანების თავისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ სტანდარტების და კანონმდებლობის თაობაზე (NGOs)", 28 მარტი 2013, პარაგრაფები 19-21.

302 A/HRC/RES/22/6, 12 April 2013.



შეწორებები.<sup>303</sup> ნებისმიერი სანქცია – როგორცაა ჯარიმები და სახელმწიფო სუბსიდიების ან სხვა პრივილეგიების შეწყვეტა, რომლებიც დაწესებულია გონივრული მოთხოვნების და რეგულაციების მუდმივი დარღვევის შემთხვევაში, უნდა იყოს პროპორციული, ხილო მიზნის მისაღწევად უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს ისეთ ღონისძიებას, რომელიც ყველაზე ნაკლებად ჩაერევა ორგანიზაციის საქმიანობაში.<sup>304</sup> ბოროტად გამოყენებისგან დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად, ყოველგვარი ვითარების პირობებში უნდა არსებობდეს ნებისმიერი სანქციის გასაჩივრების სრულად ეფექტური საშუალებები. მიუხედავად იმისა, რომ კანონები და რეგულაციები შეიძლება ითვალისწინებდეს არასამთავრობო ორგანიზაციის ან სხვა ასოციაციის, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი, ცალკეული წევრების პასუხისმგებლობას, ამგვარი კანონები არ უნდა იქნას გამოყენებული უფლებადამცველების კანონიერ საქმიანობაზე ზეწოლის განხორციელების საშუალებად. წევრ სახელმწიფოებმა ასევე უნდა აღმოფხვრან პროექტების ბენეფიციარებისა და კერძო კონტრაქტორების შევიწროებისა და დაშინების პრაქტიკა, რომლებიც მომსახურებას უწევენ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

### დაფინანსებასთან და რესურსებთან წვდომა

210. გაერთიანების თავისუფლების აუცილებელი ელემენტია ადგილობრივი, უცხოური და საერთაშორისო წყაროებისგან ფინანსური რესურსების მოძიების, უსაფრთხოებისა და გამოყენების შესაძლებლობა.<sup>305</sup> გაეროს უფლებადამცველთა დეკლარაციაში

303 იხ. უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი, „უფლებადამცველების შესახებ დეკლარაციის კომენტარები“, გვ. 46, პარაგრაფი xiii, რომელიც ასევე ნახს უსვამს, რომ სახელმწიფოებმა არ უნდა მოახდინონ სამოქალაქო ორგანიზაციების მარეგულირებელი კანონების დარღვევების კრიმინალიზება.

304 *Belyatsky v. Belarus* საქმესთან დაკავშირებით (კომუნიკაცია 1296/2004, 2007 წლის 24 ივლისი, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/90/D/1296/2004), რომელიც ეხებოდა ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციას „ვიასნას“ გაუქმებას, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ნაზგასმით აღნიშნა რომ: „მხოლოდ გონივრული და ობიექტური დასაბუთების არსებობა არ არის საკმარისი გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვის მიზნით. წევრ სახელმწიფომ ასევე უნდა დაამტკიცოს, რომ ასოციაციის აკრძალვა აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების ან დემოკრატიული წესრიგის რეალური და ანა მხოლოდ ჰიპოთეტური საფრთხის თავიდან ასაცილებლად და რომ უფრო მსუბუქი ჩარევის მეთოდი არ იქნებოდა საკმარისი იმავე მიზნის მისაღწევად“ (პუნქტი 7.3). აგრეთვე იხილეთ საქმე *Korneenko et al. v. Belarus* (კომუნიკაცია 1274/2004, 2006 წლის 31 ოქტომბერი, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/88/D/1274/2004), რომელიც ეხებოდა ადამიანის უფლებების კიდევ ერთი ასოციაციის დაშლას სასამართლოს ბრძანებით ორი სავარაუდო დარღვევის საფუძველზე, კერძოდ: „(1) უცხოეთიდან მოპოვებული გრანტის საფუძველზე მიღებული აფჭურვილობის არასათანადოდ გამოყენება პროპაგანდისტული მასალების წარმოებისთვის და პროპაგანდისტული საქმიანობის წარმართვისთვის; და (2) ასოციაციის დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები.“ კომიტეტმა დაადგინა, რომ ასოციაციის გაუქმება არღვევს ICCPR-ის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და აღნიშნა, რომ თუნდაც ის ფაქტი, რომ ასოციაციის დოკუმენტაცია სრულად არ შეესაბამებოდა ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს, სახელმწიფოს რეაქცია ასოციაციის გაუქმებასთან დაკავშირებით იყო არაპროპორციული (პუნქტი 7.6). ევროსაბჭოს ვენეციის კომისიამ ასევე დაადგინა, „რომ არასამთავრობო ორგანიზაციის გაუქმება არის უკიდურესი ზომა, რომელიც უნდა დაეკრძალოს კარგად დასაბუთებულ ახსნას და საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის მიხედვით დადგენილია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გამოწვევის შემთხვევებში.“ იხ. „მოსაზრება ადამიანის უფლებების უნივერსალურ სტანდარტებთან სისხლის სამართლის კოდექსის 193-1-ე მუხლის 193-1 მუხლის შესაბამისად, ბელორუსიის რესპუბლიკის არარეგისტრირებული ასოციაციების უფლებების შესახებ“, CDL-AD (2011) 036, პარაგრაფი 107.

305 A/HRC/23/39, 2013 წლის 24 აპრილი.

ნათქვამია, რომ „ყველას აქვს უფლება, ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად, მოითხოვოს, მიიღოს და გამოიყენოს რესურსები ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების მშვიდობიანი გზით დანმარებისა და დაცვის მიზნით“, [...]“.<sup>306</sup> მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განაცხადა, რომ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება ხელი შეუწყონ რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ასოციაციების წვდომას დაფინანსებასთან, მათ შორის უცხოური წყაროებიდან.<sup>307</sup>

211. არასამთავრობო ორგანიზაციების წვდომა დაფინანსებაზე, განსაკუთრებით საზღვარგარეთიდან, არის მნიშვნელოვნად შეფერხებული რამდენიმე წევრ სახელმწიფოში. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში მიღებული კანონები ან სხვა ნორმატიული ბრძანებები და დებულებები აფერხებს არასამთავრობო ორგანიზაციების თავისუფლებას მოიძიონ და მიიღონ დაფინანსება უცხოეთიდან, მაგალითად, დაფინანსების მიღებისათვის სახელმწიფო ნებართვის მოპოვების იძულება, მიღებული თანხების რეგისტრაციისთვის სპეციალური მოთხოვნებისა და ორგანიზაციის სერიოზული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებს დაქვემდებარების გზით. ამასთან, ზოგჯერ ხელისუფლების ორგანოები უშუალოდ ერევან ფონდის მიერ დაფინანსების მოძიების საქმიანობაში, დაფინანსების განკარგვის კონტროლის ან უცხოური დონორიდან მიღებული დაფინანსების კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ პროექტებზე გაცემით.

212. წევრ სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ უცხოურ დაფინანსების მიღებაზე ყოველგვარი არასაჭირო შეზღუდვა, რომლებიც დაწესებულია „უცხო ჩარევის“ წინააღმდეგ ბრძოლის და „ეროვნული ინტერესების“ დაცვის საბაზით და პატივი უნდა სცენ არასამთავრობო ორგანიზაციების უფლებას ხელი შეუწყონ და დაიცვან ყველა ადამიანის უფლებები. მათ უნდა უზრუნველყონ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დაფინანსებასთან დაშვება, მათ შორის საზღვარგარეთიდან, – წინასწარი ნებართვის მოპოვების გარეშე და თანაბარი პირობებით. ნებისმიერი მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს „ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც ჩვეულებრივ გათვალისწინებულია ქვეყნის შიგნით ისეთი საქმიანობისათვის, რაც არ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება“<sup>308</sup> და უნდა იყოს „ზოგადად მოქმედი სავალუტო და საბაჟო კანონების შესაბამისობაში“.<sup>309</sup> გარდა ამისა, „დაფინანსების წყაროს წარმოშობის საბაზით, არცერთმა კანონმა

306 მუხლი 13.

307 A/HRC/23/39, 24 აპრილი 2013, პარაგრაფები 17-18, 79 და 82.

308 A/HRC/RES/22/6, 12 აპრილი 2013, პარაგრაფი 9(ბ).

309 A/64/226, 4 აგვისტო 2009, პარაგრაფი 123.

არ უნდა მოახდინოს ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობის კრიმინალიზაცია ან დელეგიტიმაცია”.<sup>310</sup>

213. ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია არ უნდა იქნას გამოყენებული არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების შეზღუდვის საბაზად. მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს აქვთ ინტერესი დაიცვან „ეროვნული უშიშროება ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება“, რომლებიც გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველს წარმოადგენენ, მან ხაზგასმით აღნიშნა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვის აუცილებლობა. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისთვის, გაერთიანების თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა, მათ შორის დაფინანსებასთან დაკავშირებით, არამართო უნდა ემსახურობოდეს ლეგიტიმურ მიზანს, არამედ უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული ამ მიზნისთვის. როგორც სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, ანტი-ტერორიზმის ან „ანტი-ექსტრემიზმის“ ზომების გამოყენება განსხვავებული შეზღუდვების ან დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვის საბაზით წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარღვევას.<sup>311</sup>

214. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც იღებენ უცხოურ დაფინანსებას, აწებებენ „უცხოელი აგენტების“ იარაღებს ან სხვაგვარად ხდება მათი საქმიანობის და საზოგადოებაში მათი როლის ნეგატიურ ჭრილში წარმოჩენა. მარეგულირებელი ზომები, „რომლებიც უცხოური დაფინანსების მიმღებს აიძულებს უარყოფითი იარაღის მიღებას, წარმოადგენს გადაჭარბებულ დაბრკოლებას მათთვის დაფინანსების მოძიების, მიღებისა და გამოყენების უფლებაზე.“<sup>312</sup> ამგვარმა ნიშნის დადებამ შესაძლოა შექმნას უნდობლობის, შიშის და მტრული ატმოსფერო დაზარალებული პირებისა და ორგანიზაციების მიმართ და გამოიწვიოს მათი ფართო სტიგმატიზაცია. აღნიშნული აფერხებს ადამიანის უფლებების დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტურობას და საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებადამცველთა ღირსებას, მთლიანობას და უსაფრთხოებას. ასეთი კანონები და პრაქტიკა „უდავოდ წარმოადგენს ჩარევას გაერთიანების თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების დისკრიმინაციის გარეშე განხორციელებაში“<sup>313</sup> და დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში, აღნიშნული რეგულაციების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს დიდი

310 A/HRC/RES/22/6, 12 პრილი 2013, პარაგრაფი 9(ბ).

311 A/HRC/23/39, 24 აპრილი 2013, პარაგრაფები 22 და 23.

312 A/HRC/23/39, 2013 წლის 24 აპრილი, პარაგრაფი 82(დ).

313 ვენეციის კომისია და ეუთო/ODIHR, „ერთობლივი დროებითი დასკვნა ყირგიზეთის რესპუბლიკის არაკომერციული ორგანიზაციებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების კანონპროექტის შესახებ“, CDL-AD(2013)030, 2013 წლის 11-12 ოქტომბერი.

ოდენობით ჯარიმის დაკისრება ან სულაც სისხლის სამართლის ბრალდება უფლებადამცველების მიმართ და მათი დაპატიმრება.

215. წევრ სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ასოციაციების წვდომას როგორც საშინაო, ისე უცხოურ დაფინანსებაზე და სხვა რესურსებთან, დაენმარონ და მხარი დაუჭირონ მათ ძალისხმევას ადამიანის უფლებების დამოუკიდებელი საქმიანობისთვის სახსრების მოძიებისა და მოპოვებისთვის. წევრ სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ შეზღუდვების დაწესებისგან, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დისკრიმინაციას ახდენენ უფლებადამცველთა გარკვეულ ჯგუფებზე და უნდა უზრუნველყონ თანაბარი და არადისკრიმინაციული დაშვება საზოგადოებრივ დაფინანსებაზე. აუცილებელი ზომები უნდა გატარდეს, რომ შესაბამისი პროცედურები იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი და მაქსიმალურად ფართოდ იქნეს გავრცელებული შეტყობინებები განაცხადების მიღების შესახებ, რამაც არ უნდა გამორიცხოს კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ადამიანის უფლებების სპეციფიკურ საკითხებზე მუშაობენ. სახელმწიფო დაფინანსება ან სხვა სახის დახმარება არ უნდა იქნეს გამოყენებული არასამთავრობო ორგანიზაციებზე ზეწოლის განხორციელების იარაღად, რომ გავლენა მოახდინონ მათ საქმიანობაზე ან გადაწყვეტილების მიღების შიდა პროცესებზე.

## **ზ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება**

216. როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, სახელმწიფოს საქმიანობაში და საზოგადო საქმეების წარმართვაში მონაწილეობის უფლება, როგორც ეს გათვალისწინებულია ICCPR-ს 25-ე მუხლში, არ გულისხმობს მხოლოდ ხმის მიცემის და არჩევნებზე არჩევის უფლებას, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლებასაც, საზოგადოებრივ დებატებში მონაწილეობისა და თავისუფლად არჩეულ წარმომადგენლებთან დიალოგის გზით გავლენის მოხდენას.<sup>314</sup> საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლება ასევე გათვალისწინებულია ACHR-ს 23-ე მუხლით, ხოლო FCNM-ის მე-15 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებმა უნდა „შექმნან ისეთი პირობები, რომელიც აუცილებელია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის, განსაკუთრებით ისეთში, რაც გავლენას ახდენს მათზე.“

217. გაეროს უფლებადამცველთა დეკლარაცია აღიარებს პირთა და ასოციაციების საქმიანობის მნიშვნელობას ადამიანის უფლებების დარღვევის ეფექტურად აღმოფხვრაში, და აცხადებს, რომ ყველას აქვს უფლება, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, გაავრცელოს ინფორმაცია და ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ, დაიცვან და

314 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 25, გაეროს დოკუმენტი C/21/Rev.1/ Add.7, 12 ივლისი 1996, პარაგრაფი 8.

ჩამოაყალიბონ მოსაზრებები როგორც კანონით, ასევე პრაქტიკაში, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებით და მიიქციონ საზოგადოების ყურადღება აღნიშნული საკითხების მიმართ (მუხლი 6). დეკლარაცია ასევე აცხადებს, რომ ყველას აქვს უფლება შეიმუშაოს, განიხილოს და დაიცვას ადამიანის უფლებების ახალი იდეები და პრინციპები (მუხლი 7) და გააჩნდეს ეფექტური წვდომა, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი ქვეყნის მართვაში და საზოგადოების ცხოვრების წარმართვაში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 8).

218. პირებისა და ასოციაციების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი ჩართულობა „გადამწყვეტი მნიშვნელობისა და ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი ელემენტია“. 315 დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის განვითარების საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციების, ჯგუფებისა და პიროვნებების უმნიშვნელოვანესი როლის კიდევ ერთხელ დადასტურებისას, რაც ეუთოს არაერთ ვალდებულებით არის გათვალისწინებული, 316 ეუთოს წევრ სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, რომ „გაძლიერონ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და სამთავრობო ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის მეთოდები და იდეების გაცვლის ხარისხი“.<sup>317</sup>

219. მიუხედავად ამისა, ბევრ წევრ სახელმწიფოში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების სრულად განხორციელებაში უფლებადამცველები აწყდებიან წინააღმდეგობებს. პრაქტიკაში, განვითარებასა და დემოკრატიული პროცესების გაძლიერებაში უფლებადამცველებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეტანილი წვლილი ხშირად უგულვებელყოფილია ან არ არის სათანადოდ დაფასებული. გარდა ამისა, ზოგიერთი წევრი სახელმწიფო აწესებს შემზღულდავ კანონებს და პრაქტიკას, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ან კრძალავს უფლებადამცველთა კანონიერ საქმიანობას. უფლებადამცველებისა და მათი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული გამოკითხვები, მოხსენებები და სხვა კვლევები ხშირად არის წარმოდგენილი როგორც „პოლიტიკურად მოტივირებული“ ან როგორც მიკერძოებული ან არარელევანტური. ადამიანის უფლებების დამცავი საქმიანობის სხვა არსებითი ელემენტები, როგორცაა საზოგადოებასთან ურთიერთობა, ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება, ასევე შეზღუდულია რამდენიმე წევრ სახელმწიფოში

315 ვენეციის კომისია და ეუთო/ODIHR „ერთობლივი შუალედური დასკვნა კანონპროექტის შესახებ“ ყირგიზეთის რესპუბლიკის არაკომერციული ორგანიზაციებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესახებ „ყირგიზეთის კანონში დამატების შეტანის შესახებ“, CDL-AD (2013) 030, 2013 წლის 11-12 ოქტომბერი, პარაგრაფი. 15.

316 იხ., მაგალითად, პარიზი 1990, „დემოკრატიული, მშვიდობისა და ერთიანობის ახალი ერა“; ჰელსინკის დოკუმენტი, ცვლილებების გამოწვევები, სახელმწიფო ან მთავრობათა მეთაურების სამიტი (ჰელსინკი 1992), „გადამწყვეტილებები: IV. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, მონაწილე სახელმწიფოებთან ურთიერთობა, არასამთავრობო ორგანიზაციების როლი (არასამთავრობო ორგანიზაციები)“, პარაგრაფი 1; 1999 წელი, სტამბული, „ევროპული უსაფრთხოების ქარტია: III. ჩვენი საერთო პასუხი“, პარაგრაფი 27.

317 მოსკოვი 1991, პარაგრაფი (43.1).



არაგონივრული შეზღუდვების შედეგად, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვით თემატიური ან გეოგრაფიული მასშტაბით. ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში, არასამთავრობო ორგანიზაციებს უფლება აქვთ თავიანთი საქმიანობა განახორციელონ იმ ადმინისტრაციულ მხარეში, სადაც მათ გაიარეს ოფიციალური რეგისტრაცია. მსგავსი რეგულაციები ზღუდავს არასამთავრობო ორგანიზაციების დაშვებას მოწყვლადი უმცირესობის ჯგუფების ან შორეულ რაიონებში ადამიანის უფლებებზე მუშაობის მიზნით, აგრეთვე, მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წევრ სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ ყველა ისეთი რეგულაცია და პრაქტიკა, რომელიც აბრკოლებს უფლებადამცველთა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურ, თავისუფალ და შინაარსობრივ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

220. მთელ რიგ წევრ სახელმწიფოში არ ტარდება კონსულტაციები უფლებადამცველებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებზე ან საკანონმდებლო ინიციატივებზე, ან ტარდება არასათანადოდ, მათ შორის ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას და ამით პირდაპირ გავლენას ახდენენ მათ შესაძლებლობაზე, რომ განახორციელონ კანონიერი საქმიანობა და მიზნები. თუ მსაგავსი კონსულტაციები ტარდება, ისინი ხშირად ტარდება მოცემულ შემთხვევაში, თანაბარი და არადისკრიმინაციული მონაწილეობის უზრუნველყოფის გარეშე, უფლებადამცველებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის სათანადო დროით ადრე შეტყობინების მიწოდების გარეშე, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა შეაფასონ საკანონმდებლო ინიციატივების შედეგები და მიიღონ ინფორმაცია. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა დონეზე მთავრობამ „დისკრიმინაციის გარეშე უნდა უზრუნველყოს არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტური მონაწილეობა დიალოგსა და კონსულტაციებში საჯარო პოლიტიკის მიზნებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში“ და კონსულტაციები გაიარონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კანონების შემუშავების დროს, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ სტატუსზე, დაფინანსებაზე ან საქმიანობის სფეროებზე.<sup>318</sup> ამგვარ კონსულტაციას შეუძლია ხელი შეუწყოს განსახილველი რეგულაციების შესაბამისობას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საჯარო ხელისუფლების, ასევე მთლიანად საზოგადოების, საერთო ინტერესში შედის ასეთი მექანიზმების არსებობა, რომ სათანადო ექსპერტიზა და კომპეტენტური წვლილი სრულად იქნას გამოყენებული.<sup>319</sup>

221. ეფექტური მონაწილეობა უფრო ფართომომცველია, ვიდრე ფორმალური კონსულტაციები. ეფექტური მონაწილეობის

318 CM/REC(2007)14, პარაგრაფები 76 და 77.

319 „მინისტრთა კომიტეტის განმარტებითი მემორანდუმი წევრი სახელმწიფოებისთვის CM/Rec (2007) 14 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ევროპაში არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის შესახებ“, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, პარაგრაფი 135.

უზრუნველსაყოფად, კონსულტაციის მექანიზმმა უნდა უზრუნველყოფს წვლილის შეტანა ადრეულ ეტაპზე და მთელი პროცესის განმავლობაში; ის აგრეთვე უნდა იყოს ღია მოცემულ თემაზე ალტერნატიული მოსაზრებებთან დაკავშირებით და ამ მოსაზრებების მისი საბოლოო შედეგის განსაზღვრისათვის. რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტებს შორის ურთიერთობას, კერძოდ, უფლებადამცველებსა და გაეროს შორის, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ინკლუზიური და ღია დიალოგების აუცილებლობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა უნდა გამარტივდეს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და არა-დისკრიმინაციული წესით.<sup>320</sup> იგივე ენება ეუთოს წევრ სახელმწიფოებსაც. უფლებადამცველებს და მათ ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ წვდომა, რომ ეფექტურად გამოიყენონ მონაწილეობისა და კონსულტაციის მექანიზმები, მიუხედავად იმ უფლებების ხასიათისა, რომლებსაც ისინი იცავენ და კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან მათი კუთვნილებისა, ან მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ კრიტიკული პოზიცია სახელმწიფო პოლიტიკის ან ქმედების მიმართ.

222. გარდა იმისა, რომ წევრ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საკონსულტაციო პროცესის ღიაობა და მონაწილეობა ყველა დაინტერესებული მხარისათვის, მათ პროაქტიულად უნდა უზრუნველყონ უფლებადამცველების მონაწილეობა, რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული ცოდნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და ასევე იმ პირების და ჯგუფების, რომლებზეც გავლენას მოახდენს განსახილველი პოლიტიკა, საკანონმდებლო ან სხვა სახის ღონისძიებები.<sup>321</sup> მათ უნდა გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უფლებადამცველებისათვის, მონაწილეობის და

320 A/HRC/RES/22/6, 12 აპრილი, 2013, პარაგრაფები 15 და 17.

321 აღნიშნულთან დაკავშირებით, რეკომენდაციებისთვის იხილეთ, მაგალითად, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი: „კომიტეტი გასცემს რეკომენდაციას, რომ წევრ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების და ბავშვთა უფლებებზე მომუშავე ასოციაციების აქტიურ და სისტემურ ჩართულობას ბავშვთა უფლებების პოპულარიზაციასა და განხორციელებაში, მათ შორის, პოლიტიკის პირველად ეტაპზე და თანამშრომლობის პროექტებზე, ასევე კომიტეტის დასკვნის შემდგომი ღონისძიებების და შემდეგი პერიოდული ანგარიშის მომზადებაში.“ გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი, „დასკვნითი შეფასებები: ნიდერლანდები“, გაეროს დოკუმენტი CRC/C/NLD/CO/3, 2009 წლის 27 მარტი, პარაგრაფი. 25. მსგავსი რეკომენდაციებისთვის იხილეთ აგრეთვე „დასკვნითი შეფასებები: სერბეთი“, გაეროს დოკუმენტი CRC/C/SRB/CO/1, 2010 წლის 22 ივნისი, პარაგრაფი. 24. იხილეთ, მაგალითად, გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD), „კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს მონაწილე სახელმწიფოს, შემდეგი პერიოდული ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით განაგრძოს კონსულტაციისა და დიალოგის მასშტაბი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების დაცვის, კერძოდ, რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.“ იხილეთ გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, „დასკვნითი შეფასებები: კანადა“, გაეროს დოკუმენტი CERD/C/CAN/CO/19-20, 2012 წლის 4 აპრილი, პარაგრაფი 26.

კონსულტაციის მექანიზმების დიალობის უზრუნველსაყოფად<sup>322</sup> გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უფლებადამცველებთან და დამოუკიდებელ NHRI-ებთან თანამშრომლობით, რომლებიც მოქმედებენ „პარიზის პრინციპების“ შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები ტრადიციულად მარგინალიზირებული ან მოწყვლადი ჯგუფებისა და უფლებადამცველების უფლებების გასაძლიერებლად, რომ მათ შეძლონ აქტიური და მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღონ საზოგადო საქმეების წარმართვაში.<sup>323</sup>

223. წევრ სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ და პროაქტიულად შეუწყონ ხელი უფლებადამცველთა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანაბარ და მნიშვნელოვან მონაწილეობას, მათ შორის ქვედა რგოლების მონაწილეობას, შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, დამოუკიდებელი კვლევებისა და გამოკითხვების ჩატარების ხელშეწყობით, საზოგადოებრივი პოლიტიკის დებატების და ადამიანის უფლებების მონიტორინგის ღონისძიებების წახალისებით, მათ შორის სასამართლო პროცესების და სხვა პროცესების დაკვირვებით. უფლებადამცველებს ასევე უნდა მიეცეთ შეუზღუდავი წვდომა სასამართლოებზე, რათა მათ შეძლონ იუსტიციის სისტემის მონიტორინგი, როგორც კანონის უზენაესობის განმტკიცებაში მათ მიერ შესატანი წვლილი, მათ შორის კანონებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებასა და განხილვაში კონსულტაციისა და დიალოგის დადგენილი მექანიზმების მეშვეობით. გარდა ამისა, უფლებადამცველებს უნდა მიეცეთ საშუალება განახორციელონ მონიტორინგის ღონისძიებები საპატიმრო დაწესებულებებში და

322 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციის 29-ე მუხლი მოითხოვს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა „აქტიურად შექმნან გარემო, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეეძლება თვითღირსად და სრულად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივი საქმეების წარმართვაში, თანაბარ პირობებში და დისკრიმინაციის გარეშე და ხელი შეუწყონ მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის: (i) არასამთავრობო ორგანიზაციებში და ასოციაციებში მონაწილეობა, რომლებიც აქტიურობენ ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში (...); (ii) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების შექმნა და გაერთიანება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე წარმოსადგენად.“ ამ მოთხოვნის განახორციელებლად საჭიროა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მონაწილეობის და კონსულტაციების მექანიზმების ხელმისაწვდომობა კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, მათ შორის, შეზვედრებზე ფიზიკურად მონაწილეობის და საკონსულტაციო დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა. კონვენციის მე-9 მუხლი განსაზღვრავს: „იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად იცხოვრონ და სრულად მიიღონ მონაწილეობა ცხოვრების ყველა ასპექტში, წევრი სახელმწიფოები მიიღებენ სათანადო ზომებს, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ სხვებთან თანაბარი წვდომა ფიზიკური გარემოზე, ტრანსპორტირებაზე, ინფორმაციაზე და კომუნიკაციაზე, მათ შორის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების ჩათვლით, და ასევე სხვა საშუალებებზე და მომსახურებზე, რომელიც ღიაა ან მიეწოდება საზოგადოებას, როგორც ქალაქში, ასევე რეგიონებში.“

323 იხ. უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ სპეციალური მომხსენებლის მიერ სახელმწიფოებისათვის გაცემული რეკომენდაციები, მის მოხსენებაში, ფართომასშტაბიანი განვითარების პროექტებსა და უფლებადამცველთა საქმიანობას შორის ურთიერთობის შესახებ, გაეროს დოკუმენტი a/68/262, პარაგრაფი. 81 (ზ). თავის მოხსენებაში, სპეციალურმა მომხსენებელმა ასევე მოუწოდა კერძო კომპანიებს: „სრულად ჩართონ დაინტერესებული მხარეები ფართომასშტაბიანი განვითარების პროექტის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით საზოგადოებისა და აწილი, რომელზეც გავლენა ექნება პროექტს და მათი უფლებების დამცველები, და ჩართონ ისინი კეთილსინდისიერად და არსებითად და არა მხოლოდ ფორმალურად დაცვის მიზნით“. იხ. იქვე პარაგრაფი 83 (გ).

სხვა საჯარო დაწესებულებებში და სათანადო მონაწილეობა უნდა მიიღონ დამოუკიდებელი ზედამხედველობითი ორგანოების შექმნასა და მუშაობაში.<sup>324</sup> წევრ სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიიღონ უფლებადამცველების, მათი ჯგუფებისა და ორგანიზაციების დაწმარება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციების შესაძლებლობების გაუმჯობესებაში, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით საჯარო მოხელეების ტრენინგის და უფლებადამცველთა საქმიანობის ლეგიტიმურობასა და მნიშვნელოვნებაზე ცნობიერების საკითხებში (ინილეთ აგრეთვე ქვეთავი სახელმძღვანელო მითითებების შესრულების ჩარჩოები).

### **თ. გადაადგილების თავისუფლება და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობა საზღვრებს შიგნით და გარეთ**

224. ICCPR-ის მე-12 მუხლი და ECHR-ის მე-4 პროტოკოლი იძლევა ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საკუთარი ქვეყნის დატოვების უფლების გარანტიას, აგრეთვე საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების ან შესვლის უფლებას. გარდა ამისა, UDHR-ს მე-13 მუხლის თანახმად, ყველას აქვს გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლების უფლება შესაბამისი სახელმწიფოს საზღვრებში, ხოლო ICCPR-ის მე-12 მუხლი და ECHR-ის პროტოკოლის მე-4 მუხლი ამ უფლებებს ავრცელებს იმ პირებზე, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ

324 მაგალითად, ბულგარეთთან დაკავშირებით ბოლო დასკვნებში, გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა (CAT) გამოთქვა შემოთავაზება, რომ „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ დამოუკიდებელი მონიტორინგი არ არის დაშვებული დაკავების ყველა შემთხვევაში და რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორცაა ბულგარეთის ჰელსინკის კომიტეტი, საჭიროებს პროკურორის ნებართვას წინასწარ დაკავებულ პირებთან წვდომისათვის” და რეკომენდაცია მისცა სახელმწიფო მხარეს, „უზრუნველყოს ყველა ტიპის დაკავების ადგილის დამოუკიდებელი, ეფექტური და რეგულარული მონიტორინგი დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანოების მიერ.“ ინილეთ, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნითი შეფასებები: ბულგარეთი“, CAT/C/BGR/CO/4-5, 2011 წლის 14 დეკემბერი, პარაგრაფი. 11. წამების საწინააღმდეგო პროტოკოლის (OPCAT) თანახმად დაკავების ადგილების მონიტორინგისთვის ეროვნული პრევენციული მექანიზმის (NPM) დადგენის შესახებ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის სახელმძღვანელო მითითებულა, რომ იდენტიფიცირება ან NPM-ს შექმნა უნდა იყოს „ღია, გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრმა, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებამ“, და ეს ასევე ეხება NPM-ს წევრების შერჩევისა და დანიშვნის პროცესს. ინილეთ წამებისა და სხვა ასატიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტის „სახელმძღვანელო პრინციპები ეროვნული პროფილაქტიკური მექანიზმების შესახებ“, CAT/OP/12/5, 2010 წლის 9 დეკემბერი. თვითნებური დაკავების სამუშაო ჯგუფმა, მაგალითად, რეკომენდაცია გაუწია საქართველოს მთავრობას „უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების სისტემატური მონაწილეობა პოლიციური განყოფილებების და ციხის ობიექტების მონიტორინგსა და გამოძიებაში; ამ თვალსაზრისით, მან უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (გარდა იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც წარმოდგენილია ეროვნული პრევენციის მექანიზმში) დაშვება ყველა იმ შემთხვევაში და ობიექტში, სადაც ხდება ადამიანების დაკავება.“ ინილეთ „თვითნებური დაკავების სამუშაო ჯგუფის დასკვნა, დამატება და დამატებები, საქართველოს მისია.“ გაეროს დოკუმენტი A/HRC/19/57/Add, 2012 წლის 27 იანვარი, პარაგრაფი 98 (გ). CAT ასევე რეკომენდაციას უწევს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მონიტორინგს, პოლიციის მიერ გამოსახლების პროცესის ზედამხედველობის კონტექსტში. ინილეთ გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „დასკვნითი შეფასებები: ბელგია“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/BEL/CO/3, 2014 წლის 3 იანვარი, პარაგრაფი 20.



ასეთ სახელმწიფოში.<sup>325</sup> ACHR-ს 22-ე მუხლი შეიცავს მსგავს დებულებებს გადაადგილებისა და საცხოვრებლის არჩევის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

225. ICCPR-ის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი, ECHR-ის მე-4 ოქმის 2(3) და 22(2) მუხლები ითვალისწინებენ გამონაკლის გარემოებებს, როდესაც შეიძლება შეიზღუდოს აღნიშნული უფლებები. ასეთი გარემოებები შემოიფარგლება ეროვნული და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით, დანაშაულის პრევენციით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ზნეობის დაცვით ან სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვით. ნებისმიერი შეზღუდვა მკაცრად უნდა შესაბამებოდეს კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. გარდა ამისა, ისინი უნდა შესაბამებოდეს ადამიანის უფლებების სხვა ფუნდამენტურ ნორმებს, მათ შორის დისკრიმინაციის აკრძალვას. წევრმა სახელმწიფომ უნდა გადახედონ თავიანთ კანონმდებლობას და პრაქტიკას გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით და უზრუნველყონ, რომ ის სრულად შესაბამეა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს. საკანონმდებლო ინიციატივის საერთაშორისო სტანდარტებთან მოყვანის მიზნით, მათ უნდა უზრუნველყონ სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის უფლებადამცველების არსებითი, ღია და ინკლუზიური კონსულტაციები და ჩართულობა საკანონმდებლო ინიციატივებზე დისკუსიებში.

226. წევრმა სახელმწიფომ არაერთხელ დაადასტურეს თითოეული პირის უფლება თავისუფლად გადაადგილდეს და აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი სახელმწიფოს საზღვრებში, დატოვონ ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის თავიანთი და დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. <sup>326</sup> გარდა ამისა, მათ იკისრეს მთელი რიგი ვალდებულებები სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების მიერ თავიანთ ტერიტორიებზე შესვლის პროცედურებთან დაკავშირებით. კერძოდ, მათ გამოხატეს განზრახვა, რომ „ხელი შეუწყონ თავისუფალ გადაადგილებას და კონტაქტების დამყარებას, ინდივიდუალურად და კოლექტიურად, კერძო თუ ოფიციალურად, წევრი სახელმწიფოების პირებს, ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს შორის“. უფრო კონკრეტულად, მათ აიღეს ვალდებულება, რომ თანდათანობით გაამარტივონ და უფრო მოქნილი გახადონ საზღვარზე გასვლისა და შემოსვლის პროცედურები; შეამსუბუქონ რეგულაციები, რომლებიც ეხება სხვა წევრი სახელმწიფოების

325 ICCPR-ს მე-12 მუხლის შესახებ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი თავის N27 ზოგად კომენტარში განმარტავს, რომ „პრინციპში, სახელმწიფოს მოქალაქეები ყოველთვის კანონიერად იმყოფებიან ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე“ და „უცხოელი, რომელიც უკანონოდ შემოვიდა სახელმწიფოში, მაგრამ რომლის სტატუსი დარეგულირდა, მისი ყოფნა ტერიტორიაზე უნდა ჩაითვალოს კანონიერად მის.“ ინილეთ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N27 გადაადგილების თავისუფლების შესახებ (მუხლი 12), 1999 წლის 2 ნომბერი, პარაგრაფი. 4. ასევე, კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „თავისუფლად გადაადგილების უფლება ვრცელდება სახელმწიფოს მთელი ტერიტორიაზე, რაც მოიცავს ფედერალური სახელმწიფოს ყველა ნაწილს“ (პარაგრაფი 5).

326 იხ., მაგალითად, ვენა 1989, „ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები: პრინციპები“, პარაგრაფი 20.



მოქალაქეების მოქალაქეების გადაადგილებას მათ ტერიტორიაზე; შეძლებისდაგვარად შეამცირონ ვიზებისა და ოფიციალური სამგზავრო დოკუმენტების საფასური.<sup>327</sup> გარდა ამისა, მათ დადეს პირობა, რომ მათი პოლიტიკა მათ ტერიტორიებზე შესვლის შესახებ სრულყოფილად შეესაბამება საბოლოო აქტის შესაბამის დებულებებში მითითებულ მიზნებს.<sup>328</sup> მათ დამატებით განაცხადეს, რომ „სერიოზულ ყურადღებას მიაქცევენ წინადადებებს მრავალჯერადი ვიზის გაცემის შესახებ შეთანხმებებს და ვიზის დამუშავების საპასუხო პროცედურების შემსუბუქების შესახებ ხელშეკრულებებს და მათ შორის შეთანხმებების საფუძველზე, ვიზის მოთხოვნის გაუქმების შემთხვევაში განიხილავენ საპასუხო გაუქმების შესაძლებლობებს.“<sup>329</sup>

227. წევრმა სახელმწიფოებმა ხაზი გაუსვეს ეუთოს რეგიონში თავისუფალი გადაადგილების მნიშვნელობას ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვისა და განვითარებისათვის. ამ კონტექსტში, მათ იკისრეს ვალდებულება, რომ ადამიანის უფლებების მონიტორინგის ჯგუფებს და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს, რომლებსაც ადამიანის უფლებების დაცვა სურთ, „უქნებათ შეუფერხებელი დაშვება და კომუნიკაცია მსგავს ორგანიზაციებთან თავიანთ ქვეყნებში და მის ფარგლებს გარეთ და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან“<sup>330</sup> ამ მხრივ, მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი პირობა, რომ გაამარტივებენ სავიზო განაცხადის პროცედურებს განაცხადებების მაქსიმალურად დაჩქარებულად დამუშავების გზით, ხოლო სავიზო განაცხადებთან დაკავშირებული გადასახადი მაქსიმალურად შემცირდება.<sup>331</sup> გარდა ამისა, მათ აიღეს ვალდებულება, რომ ხელი შეუწყონ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ თავიანთ ქვეყნებში ვიზიტებს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოსგან, რომ დააკვირდნენ ადამიანის განზომილების პირობებს.<sup>332</sup>

228. ზემოღნიშნული და სხვა ვალდებულებების მიუხედავად, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში უფლებადამცველები აწყდებიან სერიოზულ დაბრკოლებებს გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით, როგორც საკუთარი ქვეყნებიდან და ქვეყნებში, ისე სხვა ქვეყნებში. ეს მნიშვნელოვნად ზღუდავს და ხშირად ხელს უშლის უფლებადამცველებს თავიანთი ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებაში, რადგან ეს ზღუდავს, მაგალითად, მათ ფიზიკურ დაშვებას კონკრეტულ გეოგრაფიულ მხარეში, სამიზნე ჯგუფში, ასამბლეის, ადამიანის უფლებათა კონფერენციაზე ან სასწავლო ღონისძიებაზე, რომელიც მდებარეობს საკუთარი ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ. როგორც უფლებადამცველების მდგომარეობის

327 იხ. 1975 ჰელსინკის ფინალური აქტის პუნქტი „1. კონტაქტები“ და, უფრო კონკრეტულად, ქვეპუნქტი „(d) მოგზაურობა პირადი და პროფესიული მიზნებისთვის“.

328 ვენა 1989, „ჰუმანიტარული და სხვა სფეროებში თანამშრომლობა“, პარაგრაფი 2.

329 *Ibid.* პარაგრაფი 22.

330 კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი 10(4).

331 *Ibid.* პარაგრაფები 19, 19(1) და 19(2).

332 მოსკოვი 1991, პარაგრაფი 43.2.

შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, მსგავსი გადაცილებების შეზღუდვები ეწინააღმდეგება გაეროს ადამიანის უფლებადამცველთა დეკლარაციის სულისკვეთებას და იმის აღიარებას, რომ პირებს, ჯგუფებს და ასოციაციებს აქვთ უფლება, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ცოდნის პატივისცემასა და გაღრმავებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.<sup>333</sup> ზოგიერთი წევრი სახელმწიფოდან უფლებადამცველები აცხადებენ, რომ უცხოეთში ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიებებზე დასწრების შემდეგ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებისას ხდება ძალადობის მსხვერპლი. გარდა ამისა, წევრი სახელმწიფოების მიერ სავიზო რეგულაციების ზედმეტად მკაცრად და შეზღუდულად გამოყენება და მასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცედურები ხშირად აფერხებს უფლებადამცველების საქმიანობას საზღვარგარეთ, მათ შორის, ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ან ფაქტების დამდგენ მისიებში მონაწილეობას, საერთაშორისო კონსულტაციებში, კონტაქტების დამყარებაში და შესაძლებლობების განვითარებაში.

**229. საკუთარი ქვეყნის დატოვების და მასში დაბრუნების უფლება:** წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უფლებადამცველებმა სრულად ისარგებლონ ნებისმიერი ქვეყნის დატოვების უფლებით, მათ შორის საკუთარი. დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს აღნიშნული უფლების განხორციელების არამართლზომიერი შეზღუდვები, როგორცაა მაგალითად, სამგზავრო დოკუმენტების გაცემის დაუსაბუთებელი დაყოვნება და შეზღუდვები გადაადგილებაზე, რაც ხელს უშლის უფლებადამცველების ქვეყნიდან გასვლას მათ საქმიანობასთან დაკავშირებული მიზეზების გამო. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე გამოთქვა შემოთქვა იმის შესახებ, რომ უფლებადამცველებს უწევთ გასვლის ვიზის აღება, რომ შეძლონ საზღვარგარეთ გამგზავრება, და აღნიშნა, რომ ამგვარი მოთხოვნები უნდა გაუქმდეს.<sup>334</sup> წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ პატივის სცემენ ყველას უფლებას, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარი და ასევე დაუბრუნდნენ საკუთარ ქვეყანაში, სახელმწიფოების საერთაშორისო ვალდებულებებისა და CSCE ვალდებულებების შესაბამისად. მათ ასევე განაცხადეს, რომ „ამ უფლების შეზღუდვები დაწესდება იშვიათი გამოწვევის სახით და საჭიროდ ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეაგირებენ კონკრეტულ საზოგადოებრივ საჭიროებაზე, ახორციელებენ ლეგიტიმურ მიზანს, არის ამ მიზნის პროპორციული და არ იქნება ბოროტად ან თვითნებურად გამოყენებული“.<sup>335</sup>

333 გაეროს სპეციალური მომხსენებელი უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ, „კომენტარი დეკლარაციის შესახებ, ინდივიდების, ჯგუფების და საზოგადოების ორგანოების უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ, საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების ხელის შეწყობის და დაცვის მიზნით“, 2011 წლის ივლისი, გვ. 53.

334 იხილეთ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, „დასკვნითი შეფასებები უზბეკეთზე“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/UZB/CO/3, 2010 წლის 7 აპრილი, პუნქტი 18, და „დასკვნითი შეფასებები ყაზახეთზე“, გაეროს დოკ. CCPR/C/KAZ/CO/1, 2011 წლის 19 აგვისტო, პარაგრაფი 18.

335 კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი 9.5.

230. როდესაც უფლებადამცველებს უარს ეუბნებიან საკუთარი ქვეყნიდან გასვლაზე, რადგან მათი სახელები ჩნდება იმ პირთა სიაში, რომელთა გადაადგილება ქვეყნიდან აკრძალულია, მათ უნდა ეცნობოთ ასეთი სტატუსის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე; მათ ასევე უნდა ეცნობონ ამგვარი გადაწყვეტილების არსებითი დასაბუთების შესახებ და უნდა ჰქონდეთ მოგზაურობის შეზღუდვის გასაჩივრების შესაძლებლობა კომპეტენტურ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში. უფლებადამცველების სახელები დაუყოვნებლივ უნდა ამოღებულ იქნეს შეზღუდვის სიდიდან, თუ არ არსებობს კანონიერი დასაბუთება ასეთ სიაში მათი შეყვანის შესახებ. უფლებადამცველებზე სამოგზაურო შეზღუდვების დაწესების პროცედურები უნდა იყოს გამჭვირვალე, კანონიერი და ანგარიშვალდებულო.

231. **ქვეყნის შიგნით გადაადგილების თავისუფლება:** ბევრ წევრ სახელმწიფოში, უფლებადამცველები ასევე აწყდებიან უპრეცედენტო შეზღუდვებს ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით. მათ ეკრძალებათ ქვეყნის გარკვეულ ნაწილებში, ავტონომიურ რეგიონებში ან სადავო ტერიტორიებზე წვდომა და, შესაბამისად, ხელი ეშლებათ ასეთ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის, ანგარიშგების ან სხვა სახის საქმიანობის განხორციელებაზე. გარდა ამისა, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში თავისუფალი გადაადგილება შეზღუდულია იმ მიზნით, რომ უფლებადამცველებმა მონაწილეობა ვერ მიიღონ გარკვეულ საზოგადოებრივ ღონისძიებებში, მათ შორის შეხვედრებში, მსვლელობებსა და დემონსტრაციებში, რომლებიც მიმართულია ხელისუფლების კრიტიკისკენ ან რომლებიც მხარს უჭერენ უმცირესობებისთვის ან მარგინალიზებული ჯგუფებისათვის თანაბარი უფლებების მინიჭებას.<sup>336</sup> ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, რომ „გააუმჯობესებენ სამართლებრივი და სხვა შეზღუდვები თავიანთ ტერიტორიებზე საკუთარი მოქალაქეებისა და უცხოელების გადაადგილებასთან დაკავშირებით, ასევე მუდმივი საცხოვრებელი უფლების მქონე პირთათვის საცხოვრებელ ადგილთან

336 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, ინდივიდის გამორიცხვა კონკრეტული საჯარო სივრციდან, ძალაქის ცენტრის უბნიდან, კვლიფიცირდება გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვით (იხ. საქმე *Oliveria v. Netherlands*, განაცხადი 33129/96, 2002 წლის 6 ნოემბერი). ასევე, ვინმეს შეზღუდვა საკუთარი სახლის და/ან კონკრეტული ტერიტორიის დატოვებისგან წარმოადგენს გადაადგილების თავისუფლებაში ჩარევას (იხ. საქმე *Ivanov v. Ukraine*, განაცხადი 15007/02, 2007 წლის 7 მარტი). საქმეში *Shimovolas v. Russia* (განაცხადი 30194/09, 2011 წლის 21 ივნისი) სასამართლომ ასევე დაადგინა მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დარღვევა ადამიანის უფლებების აქტივისტის დაპატიმრებისთვის, რაც, ხელისუფლების თანახმად გამიზნული იყო მის მიერ „ექსტრემისტული ხასიათის დანაშაულების ჩადენის ასაცილებლად“. ამასთან, ქვეყნის შიდა გადაწყვეტილებების თანახმად გაირკვა, რომ პოლიციამ განმცხადებლის მიმართ მიიღო ზომები, რადგან მისი სახელი იყო რეგისტრირებული „სათავალთვალო მონაცემთა ბაზაში“ (როდესაც მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული პირი ყიდულობდა მატარებლის ან თვითმფრინავის ბილეთს, ტრანსპორტის შინაგან საქმეთა სამინისტრომ იღებდა ავტომატურ შეტყობინებას). პოლიციის დასკვნის თანახმად, განმცხადებელმა გადაამოწმეს და დააპატიმრა იმ ინფორმაციაზე, რომ დავეგილი იყო ოპოზიციის მიტინგი სამარაში და რომ შინაგან საქმეთა დეპარტამენტმა საჭიროდ ჩათვალა, შეერებულიყო გარკვეული ოპოზიციური ორგანიზაციების წევრების მონაწილეობა ამ აქციაში, რათა ხელი შეუშალონ მათ „არაკანონიერი და ექსტრემისტული ქმედებების ჩადენაში“. სასამართლომ ასევე დაადგინა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა განმცხადებლის მონაცემთა ბაზაში ჩართვის გამო, რაც არ ითვალისწინებდა სათანადო გარანტიებს ასეთი მონაცემთა ბაზის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. იხ. თავი პირადი ცხოვრების უფლების შესახებ.

დაკავშირებით, გარდა იმ შეზღუდვების შესახებ, რომლებიც შეიძლება აუცილებელი იყოს და ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ოფიციალურად გამოცხადდეს სამხედრო, უსაფრთხოების, ეკოლოგიური ან სხვა ლეგიტიმური სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად, რაც უნდა შეესაბამებოდეს CSCE ვალდებულებებს და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებს. წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, მინიმუმამდე დაიყვანონ ასეთი ხასიათის შეზღუდვები”.<sup>337</sup>

232. გარკვეულ ადგილებზე უფლებადამცველების დაშვების შეზღუდვა – მაგალითად, ისეთ ადგილებზე, სადაც იმართება შეკრებები ან საპროტესტო გამოსვლები, ან სადაც ხდება თავისუფლების აღკვეთა – მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ადამიანის უფლებების სხვა საქმიანობისთვის, არ წარმოადგენს ლეგიტიმურ დასაბუთებას შეზღუდვების დაწესებისათვის ზემოაღნიშნული ვალდებულების კონტექსტში. ადამიანის განზომილებების შესახებ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით უფლებადამცველების საქმიანობის მნიშვნელობის გაცნობიერებისას, წევრმა სახელმწიფოებმა პროაქტიულად უნდა შეუწყონ ხელი უფლებადამცველთა თავისუფალ გადაადგილებას ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ შორის შორეულ რეგიონებში, როგორც ეს აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვაში მათი საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით. მათ ასევე აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი უფლებადამცველების დაშვებას შესაბამის ადგილებზე ადამიანის უფლებების მონიტორინგისა და ანგარიშის წარდგენის მიზნით.<sup>338</sup>

233. **შესვლის წესები:** საჭიროა უფლებადამცველების მიერ სხვა წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვის საქმიანობის მიზნით, როგორცაა ადვოკატირება, შეხვედრება და შეკრებებში მონაწილეობა, მონიტორინგი და ანგარიშები, გამგზავრების ხელშეწყობა. მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებსა და უფლებადამცველებს უნდა მიეცეთ სხვა ქვეყანაში შესვლის და თავიანთი საქმიანობის განხორციელების უფლება და გარანტირებული უნდა ჰქონდეთ გამოხატვის თავისუფლება თავიანთ საქმიანობის წარმართვისას.<sup>339</sup> სავიზო რეჟიმებმა და შესაბამისმა პროცედურებმა არ უნდა დააწესოს ზედმეტი შეზღუდვები აღნიშნულ მოგზაურობასთან დაკავშირებით

337 მოსკოვი 1991, პარაგრაფი 33.

338 აღნიშნული შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანოების რეკომენდაციებს. მაგალითად, გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ბულონ-უსიანზე თავის დასკვნით მოხსენებაში, მოუწოდა წევრ სახელმწიფოს „დამოუკიდებელ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მიეცათ დაშვება ქვეყნის ყველა საპატიმრო დაწესებულებაში, მათ შორის პოლიციის იზოლატორში, წინასწარი დაკავების ცენტრებში, უსაფრთხოების სამსახურის შენობაში, ადმინისტრაციული დაკავების ადგილებში, სამედიცინო და ფსიქიატრიული დაწესებულებებში და საპატიმრო განყოფილებებში.” გაეროს დოკუმენტი CAT/C/BLR/CO/4, 2011 წლის 7 დეკემბერი, პარაგრაფი. 14. აგრეთვე იხილეთ თავი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების შესახებ.

339 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, „დასკვნითი შეჯამებები უზბეკეთთან დაკავშირებით”, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/UZB/CO/3, 2010 წლის 7 აპრილი, პარაგრაფი 24.



და ისინი მაქსიმალურად უნდა გამარტივდეს. წევრმა სახელმწიფოებმა ზოგადად უნდა აღიარონ, რომ ადამიანის უფლებების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ადამიანის უფლებების სხვა ღონისძიებების მიზნით მოგზაურობა წარმოადგენს ვიზიტების ლეგიტიმურ მიზნებს და მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყონ ვიზების გაცემას აღნიშნული მიზნით. ინფორმაცია უფლებადამცველებისათვის სავიზო მოთხოვნებთან დაკავშირებით უნდა იყოს ნათელი, ზუსტი და მარტივად ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სავიზო განაცხადების პროცესში მონაწილე თანამდებობის პირებმა გაიარეს სათანადო ტრენინგი რათა გამოიჩინონ სათანადო სენსიტიურობა უფლებადამცველების კონკრეტული გამოწვევების და საჭიროებების მიმართ, ასევე მათი საქმიანობის ლეგიტიმურობის და მნიშვნელობის მიმართ, მათ შორის საზღვრებს ფარგლებს გარეთ. გარდა ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაამუშავონ სავიზო განაცხადები შეძლებისდაგვარად მოკლე დროში და ვიზის გაცემის გადაწყვეტილებისას უნდა დაიცვან პროპორციულობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპები.<sup>340</sup> აღნიშნული პრინციპების მნიშვნელობა სავიზო განაცხადებების დროს კიდევ ერთხელ დადასტურდა, მაგალითად, ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული სავიზო კოდექსის 39-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს, რომ „საკონსულოს თანამშრომლებმა არ უნდა განახორციელონ დისკრიმინაცია პირების მიმართ მათი სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონების, დაბადების, ასაკის ან სხვა სტატუსის საფუძველზე“ და „ნებისმიერი ზომა უნდა იყოს ამგვარი ზომებით გათვალისწინებული მიზნებისათვის პროპორციული.“<sup>341</sup>

234. ზოგადად სავიზო რეგულაციები არ ითვალისწინებს უფლებადამცველთა საქმიანობის სპეციფიკის სენსიტიურობას, რომლის განხორციელება შესაძლებელია ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, რეგისტრირებულ ან არარეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით. შედეგად, უფლებადამცველებმა, რომლებიც მუშაობენ ინდივიდუალურად ან არარეგისტრირებულ ასოციაციებში, შესაძლებელია ვერ შეძლონ საჭირო დოკუმენტების მოპოვება, რაც დაკავშირებულია მათ ოფიციალურ სამუშაო ადგილთან, მათი შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობასთან და სხვა მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომ დაასაბუთონ შემოსავლის მდგრადობა და მასთან დაკავშირებულ სხვა მტკიცებულებები, რაც საჭიროა მათი ფინანსური მდგრადობის და საკუთარ ქვეყანასთან მჭიდრო კავშირის დემონსტრირებისათვის. უფრო მეტიც, არარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების

340 რაც შეეხება დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს, ვენის 1989 წ. დოკუმენტი (თანამშრომლობა ჰუმანიტარული და სხვა სფეროებში) ხაზს უსვამს, რომ წევრი სახელმწიფოები „კეთილგანწყობილად უნდა მოეპყრონ საზღვარგარეთ მოგზაურობის განაცხადებს, ყოველგვარი განსხვავებულობის გარეშე, მაგალითად რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, საკუთრების, დაბადების, ასაკის ან სხვა სტატუსის განურჩევლად“ (პარაგრაფი 20).

341 ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) 810/2009, რომელიც ამტკიცებს სავიზო კოდექსს, 2009 წლის 13 ივლისი, 39-ე მუხლი.



და ინდივიდუალურად მომუშავე უფლებადამცველების მიერ ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობიდან გამომდინარე გაცემული მოსაწვევები სხვა წევრი სახელმწიფოების უფლებადამცველებისთვის ვიზის გამცემი ორგანოების მიერ შეიძლება არ ჩაითვალოს ოფიციალურ და ვალიდურ დოკუმენტად. როგორც ასეთი, წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ პრაქტიკული გზები, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფენ უფლებადამცველთა კონკრეტული ინდივიდუალური გარემოებები – მაგალითად, წარსულში თვითნებური დაპატიმრებები და ბრალდებები და დაპატიმრებები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობით, რაც არ უნდა გახდეს საბაზი უარი ეთქვას სავიზო განაცხადებზე ან მისი დაგვიანებით გაცემა. ანალოგიურად, შესაბამისი ორგანოები ფრთხილად უნდა მიუღწეონ უფლებადამცველების წინაშე მდგარ სპეციფიკურ პრობლემებს, რომელთაც მიენიჭათ ლტოლვილის სტატუსი ან დაცვის სხვა ფორმა და რომლებიც ცდილობენ გამგზავრებას ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში, რათა დაესწრონ შეხვედრებს ან კონფერენციებს ადამიანის უფლებების სფეროში, ასევე სხვა სპეციფიკურ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ხვდებიან მოქალაქეობის არმქონე პირები.

235. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს უარი ეთქვა სავიზო განაცხადზე, მას უნდა ეცნობოს სათანადო გადაწყვეტილების მიზეზები და მის ხელთ არსებული საშუალებების შესახებ, რომ გაასაჩივროს ასეთი გადაწყვეტილება. უფლებადამცველებს, რომლებსაც უარი ეთქვათ ქვეყანაში შესვლაზე იმ საფუძვლით, რომ ისინი შეყვანილი არიან სიაში, რომელიც კრძალავს მათ შესვლას ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოში, ასევე უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით და მიეცეთ გასაჩივრების საშუალება. ასეთი გასაჩივრების პროცედურები უნდა დაადგინონ ეუთოს შესაბამისმა წევრმა სახელმწიფოებმა.

236. **უფლებადამცველები გარდაუვალი რისკის ქვეშ:** წევრი სახელმწიფოები უნდა დაეხმარონ უფლებადამცველებს, რომლებიც სიცოცხლის და ჯანმრთელობის სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან, რომ დროებით გადავიდნენ უსაფრთხო გარემოში თუ მათ ესაჭიროებათ დროებითი დაცვა. მაგალითად, მათ უნდა განიხილონ მრავალჯერადი ვიზის გაცემის შესაძლებლობა რისკის ქვეშ მყოფი უფლებადამცველებისთვის, რაც უზრუნველყოფს მათ მოქნილობას, რომ თავდასხმის შემთხვევაში სწრაფად დატოვონ თავიანთი ქვეყანა. მათ ასევე უნდა გაითვალისწინონ ეფექტური პროცედურები და მათი შენარჩუნება, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ვიზის გაცემა დაჩქარებული პროცედურებით (გადაუდებელი ვიზა) (იხილეთ თავი სახელმძღვანელო მითითებების შესრულების ჩარჩოები). ასეთი ზომები შესაბამისობაში იქნება ვალდებულებასთან, რომ „დაუყოვნებლივი ყურადღება მიექცეს სასწრაფო ჰუმანიტარული მიზნით მოგზაურობის განაცხადებს და უპირატესობა მიენიჭოს მათ განხილვას“.<sup>342</sup>

342 ვენა 1989, „თანამრომლობა ჰუმანიტარული და სხვა სფეროებში“, პარაგრაფი 12.

237. აღნიშნული ვალდებულება გამყარდა, როდესაც წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ „სავიწო განაცხადების განხილვისას მათ უნდა უზრუნველყოფნ მათი მაქსიმალურად მოკლე დროში დამუშავება, რომ გაითვალისწინონ, inter alia, მნიშვნელოვანი ოჯახური, პირადი ან პროფესიონალური ფაქტორები, განსაკუთრებით გადაუდებელი, ჰუმანიტარული ხასიათის შემთხვევაში“.<sup>343</sup> ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ხაზი გაუსვა აღნიშნული დაცვის ღონისძიების მნიშვნელობას და მოუწოდა სახელმწიფოებს „ჩამოაყალიბონ ჰუმანიტარული მიზნით გასაცემი ვიზების სქემები ან მიიღონ ნებისმიერი სხვა შესაბამისი ზომა უფლებადამცველებისთვის, რომლებიც გარდაუვალი საფრთხის წინაშე დგანან ან საჭიროებენ დაცვას სხვა ქვეყნებში მუდმივად დევნის შედეგად, ან როგორც მინიმუმ, ასეთ სიტუაციებში უზრუნველყოფნ მათთვის გადაუდებელი ვიზების გაცემა“.<sup>344</sup> აღნიშნულ კონტექსტში, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული უფლებადამცველების უშუალო ოჯახის წევრების დაცვის საჭიროება ასევე უნდა იყოს სათანადოდ გათვალისწინებული, რომ მათ განაცხადებს მიენიჭოთ უპირატესობა და რაც შეიძლება დაჩქარებულად იქნეს განხილული.

238. გარდა ზემოაღნიშნულისა, წევრმა სახელმწიფოებმა, მათი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ასევე უნდა მიანიჭონ უფლებადამცველებს გრძელვადიანი საერთაშორისო დაცვის საშუალება, როდესაც ისინი გარბიან თავიანთი ქვეყნიდან ადამიანის უფლებების სფეროში საქმიანობის გამო. საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი დაბრუნების აკრძალვა სრულყოფილად უნდა იქნას დაცული ყველა გარემოებაში. არ უნდა მოხდეს უფლებადამცველების იძულებითი დაბრუნება მათი წარმოშობის ქვეყნებში ან საცხოვრებელ ადგილზე, სადაც მათ ემუქრებათ სიცოცხლის საფრთხე, წამების და არასათანადო მოპყრობის ან ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის საფრთხე.

239. **საზღვრების გადაკვეთა:** სხვა წევრ სახელმწიფოში მოგზაურობისას, უფლებადამცველები არ უნდა დაექვემდებარონ არაპროპორციულ და ღირსების შემლახველ შემოწმებას საზღვარზე. ამასთან, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში გრძელდება საზღვარზე დაშინებისა და შევიწროების მიზნით გამოყენებული პრაქტიკის გამოყენება და არსებული ცნობების თანახმად, უფლებადამცველების მიმართ გამორჩეულად. ასეთი პრაქტიკა მოიცავს სხეულის გადამეტებულ ჩხრეკას, ტანსაცმლის გახდის ან ბარგის ზედმიწევნით ჩხრეკის მოთხოვნას. საზღვრის გადაკვეთისას უფლებადამცველების შევიწროების შემთხვევები ასევე მოიცავს ბროშურების, ბუკლეტების, პუბლიკაციების და სხვა ხელნაწერი მასალების კონფისკაციას, რომლებიც განკუთვნილია ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობისათვის. უფრო მეტიც, საზღვრის გადაკვეთისას უფლებადამცველები ასევე განდენ ტექნიკის თვითნებური კონფისკაციის მსხვერპლი, მათ შორის კომპიუტერული

343 კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი 10(4).

344 PACE-ს რეზოლუცია 1660 (2009) „ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ“, პარაგრაფი 12.2.

ტექნიკის, რომელშიც პირადი მონაცემები ინახება. ამგვარი პრაქტიკა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის მოძიებისა და გაცემის ან პირადი ცხოვრების უფლებაში შეუფერებელ ჩარევას და აუცილებელია აღმოიფხვრას.

240. სასაზღვრო შემოწმება უნდა განხორციელდეს ისე, რომ სრულად იქნას დაცული ადამიანის ღირსება და პროპორციულობისა და დისკრიმინაციის ამკრძალავი პრინციპები. ამასთან დაკავშირებით, წევრმა სახელმწიფოებმა პირობა დადეს, რომ „ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას მათ სასაზღვრო სამსახურებს, საბაჟო ორგანოებს, სააგენტოებს, რომლებიც გამოსცემენ სამგზავრო დოკუმენტებსა და ვიზებს, სამართალდამცვე და მიგრაციის სააგენტოებს და სხვა კომპეტენტურ ეროვნულ სტრუქტურებს,“ რათა უზრუნველყოფნ „ყველა პირის ღირსეული მოპყრობა, რომელსაც სურს საზღვრის გადაკვეთა შესაბამისი ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოების, საერთაშორისო სამართლის, კერძოდ ადამიანის უფლებების, ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სამართლისა და ეუთოს შესაბამისი ვალდებულებების შესაბამისად.<sup>345</sup> აღნიშნული ვალდებულებების შესაბამისად, ყველას, მათ შორის ქალთა უფლებების დამცველებს და დაუცველ ან უმცირესობათა ჯგუფებს, ასევე ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ, ენობრივ და სექსუალურ უმცირესობებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, პატივისცემით უნდა მოეპყრან სასაზღვრო შემოწმებების დროს, მათ შორის სხეულის ჩხრეკისა და ისინი არ უნდა დაექვემდებარონ დამამცირებელ ან შეურაცმყოფელ მოპყრობას მათი იდენტურობის, ფიზიკური გარეგნობის ან სხვა ფაქტორების გამო.

## ი. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

241. ICCPR-ის მე-17 მუხლის თანახმად, „არავინ არ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას“ და „თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, იყოს კანონით დაცული ასეთი ჩარევისგან ან ხელყოფისგან“. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

345 ლუბლიანა 2005 წ., „სასაზღვრო უსაფრთხოება და მენეჯმენტის კონცეფცია: ეუთოს წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობის ჩარჩო“, პარაგრაფები 4 და 4.5; აღნიშნული ვალდებულების შესაბამისად, მაგალითად, შენგენის სასაზღვრო კოდექსის რეგულირების მე-6 მუხლი ასევე ადგენს, რომ „მესაზღვრეებმა, თავიანთი მოვალეობის შესრულებისას, სრული პატივისცემა უნდა გამოხატონ ადამიანის ღირსების მიმართ, განსაკუთრებით დაუცველი პირების მიმართ“ და მიიღონ მხოლოდ ისეთი ზომები, რაც პროპორციულია და არ არის დისკრიმინაციული. იხ. ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგლამენტი (EC) 562/2006, რომელიც განსაზღვრავს კოდექსს საზღვარზე გადაადგილების წესების შესახებ (შენგენის საზღვრების კოდექსი), 2006 წლის 15 მარტი.

ასევე გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით<sup>346</sup> და ასევე ACHR-ის 11 მუხლით.

242. ECHR-ის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი დამატებით განსაზღვრავს, რომ საჯარო ხელისუფლების მხრიდან პირად ცხოვრებაში რაიმე ჩარევა უნდა იყოს დადგენილი კანონით და აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებაში, კონვენციით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძვლიდან გამომდინარე. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკანონო ჩარევისგან დაცვა მოითხოვს, რომ „სახელმწიფოს მიერ სანქციონირებული ჩარევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე, რომელიც თავად უნდა შეესაბამებოდეს პაქტის დებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს.“ თვითნებობის კონცეფციის შესახებ, კომიტეტმა აღნიშნა, რომ ეს იყო „იმის უზრუნველსაყოფად, რომ კანონით გათვალისწინებული ჩარევა შეესაბამებოდეს პაქტის დებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს და, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა იყოს მიზანშეწონილი კონკრეტულ გარემოებებში.“<sup>347</sup> უფრო მეტიც, თავის საქმეებში კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გონივრულობის მოთხოვნა გულისხმობს, რომ ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს პროპორციული ბოლომდე და უნდა იყოს აუცილებელი ნებისმიერი მოცემული საქმის შემთხვევაში.<sup>348</sup> ამრიგად, ისევე როგორც სხვა უფლებების შემთხვევაში, რომელთა შეზღუდვაც შესაძლებელია გარკვეულ პირობებში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირად ცხოვრებაში რაიმე

346 ECHR-ის მე-8 მუხლი, ისევე როგორც ICCPR, კონკრეტულად არ მიუთითებს პატივისცემასა და რეპუტაციაზე, მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის საქმეებში განაცხადა, რომ გარკვეულ პირობებში რეპუტაციის დაცვის უფლება დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით, როგორც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება; იხ. საქმე *Chauvy and Others v. France*, განაცხადი ნომერი. 64915/01, 2004 წლის 29 ივნისი, პარაგრაფი. 70. საქმე *Karakó v. Hungary* გადაწყვეტილებაში (განაცხადი ნომერი 39311/05, 2009 წლის 28 აპრილი), სასამართლომ დამატებით განაცხადა, რომ „რეპუტაცია მხოლოდ იქნა მიჩნეული სპორადულად დამოუკიდებელ უფლებად (...) და ძირითადად იმ შემთხვევებში, როდესაც ფაქტობრივ ბრალდებში ისეთი სერიოზული შეურაცხყოფელი ხასიათისა იყო, რომ გამოქვეყნებამ გარდაუვალი უშუალო გავლენა მოახდინა განმცხადებლის პირად ცხოვრებაზე“ (პუნქტი 23). როგორც ეს მოცემულია თავებში სტიგმატიზაციასთან და მარგინალიზაციასთან დაპირისპირება და აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, პატივისა და რეპუტაციის დასაცავად ნებისმიერი ზომა, უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი არ გამოიყენება აზროვნების თავისუფლების და გამოხატვის უფლების დარღვევისთვის.

347 ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი ნომერი 16 მე - 17 მუხლის შესახებ, პარაგრაფები 3 და 4.

348 იხილეთ მაგალითად საქმე *Antonius Cornelis Van Hulst v. The Netherlands*, კომუნიკაცია ნომერი 903/1999, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/82/D/903/1999, 2004 წლის 15 ნოემბერი, პარაგრაფი 7.6. იხილეთ ასევე საქმე *Toonen v. Australia*, კომუნიკაცია ნომერი 488/1992, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/50/D/488/1992, 1994 წლის 31 მარტი, პარაგრაფი 8.3. გარდა ამისა, კომიტეტმა თავის ზოგად კომენტარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინტერვენციის შემთხვევაშიც კი, რომელიც დამუშავებულია პაქტით, შესაბამისმა კანონმდებლობამ დეტალურად უნდა მიუთითოს ის ზუსტი გარემოებები, როდესაც ინტერვენცია დაიშვება. ამგვარი უფლებამოსილი ჩარევის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ კანონით დადგენილი ორგანოს მიერ და კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე. იხილეთ ზოგადი კომენტარი ნომერი 16, პარაგრაფები 7 და 8. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ადგენს გამოწვევის კონვენციით გარანტირებულ უფლებასთან, უნდა იყოს ვიწროდ განმარტებული, ხოლო ამ საქმეში ჩარევის საჭიროება უნდა იყოს დამაჯერებლად დადგენილი (საქმე *Klass v. Germany*, 1978, პარაგრაფი 42 და საქმე *Funke v France*, 1993, პარაგრაფი 55). გარდა ამისა, სასამართლომ განაცხადა, იმის მოთხოვნა უნდა იყოს დაკმაყოფილებული, რომ ნებისმიერი ტიპის თვალთვალის გამოყენებისას, არსებობს ადეკვატური და ეფექტური გარანტიები მათი ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ (საქმე *Klass v. Germany*, პარაგრაფი 50).

სახის ჩარევა მკაცრად შეესაბამებოდეს კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპს.

243. წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს „პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ადგილის, კორესპონდენციისა და ელექტრონული კომუნიკაციების დაცვის უფლება.“ გარდა ამისა, მათ განაცხადეს, რომ „იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი არასათანადო ან თვითნებური ჩარევა ინდივიდის სფეროში, რაც საზიანო იქნება ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოებისთვის, ამ უფლების განხორციელება ექვემდებარება მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც კანონით არის დადგენილი და შეესაბამება ადამიანის უფლებების საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტებს.“<sup>349</sup>

244. პირად ცხოვრებაში არაკანონიერ და თვითნებურ ჩარევისგან ეფექტურ დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უფლებადამცველებისათვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ხშირად აღმოჩნდებიან ამგვარი ჩარევის რისკის წინაშე მათი საქმიანობიდან გამომდინარე, არამედ იმიტომ, რომ პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემა უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებების დაცვის საქმიანობისას. მაგალითად, UNGA-მ აღიარა, რომ პირადი ცხოვრების უფლება მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლების და ჩარევის გარეშე აზრის ქონის რეალიზაციისთვის და ამდენად, არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველი.<sup>350</sup> გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების პროპულარაინაციისა და დაცვის შესახებ აღნიშნა, რომ პირად ცხოვრებაში არასათანადო ჩარევას შეუძლია პირდაპირ და არაპირდაპირ შეზღუდოს თავისუფალი განვითარება და იდეების გაცვლა.<sup>351</sup>

245. ეუთოს რეგიონში უფლებადამცველები რჩებიან მათ პირად ცხოვრებაში არამართლზომიერი და თვითნებური ჩარევის საფრთხის ქვეშ. ისინი ხშირად აფიქსირებენ მათი საქმიანობის და პირადი ცხოვრების შეურაცმყოფელი კონტროლის და მოსმენის შემთხვევებს უსაფრთხოების სტრუქტურების მიერ, მათ შორის სატელეფონო და ინტერნეტ კომუნიკაციების, რაც ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება მათი პიროვნული და საქმიანი დისკრედიტაციისთვის.<sup>352</sup> ამგვარი ჩარევა ასევე შეიძლება მოიცავდეს არალეგიტიმურ ან თვითნებურ რეიდებს და სახლებისა და ოფისების ან პირადი ნივთების ჩხრეკას მოგზაურობის დროს, სხეულის თვითნებური ან ინტერუზიული ჩხრეკას, პირად

349 მოსკოვი 1991, პარაგრაფი 24.

350 UNGA-ს რეზოლუცია 68/167, „პირადი ცხოვრების უფლება ციფრულ სამყაროში“, გაეროს დოკუმენტი A/RES/68/167, მიღებული 2013 წლის 18 დეკემბერს, პრეამბულა.

351 იხ. აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ სპეციალური მომხსენებლის მოხსენება, გაეროს დოკუმენტი A/HRC/23/40, 2013 წლის 17 აპრილი, პარაგრაფი 24.

352 იხილეთ „ადამიანის უფლებები და უსაფრთხოების სექტორი. მრავალი მაგია უფლებადამცველებთან, ორგანიზებული ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ოფისის მიერ“, კიევი, 2013 წლის 30-31 მაისი, Com-mDH(2013)17, 2013 წლის 17 სექტემბერი, პარაგრაფები 14 და 49.



სივრცეში გადაღებასა და ჩაწერას, აგრეთვე დაკვირვების სხვა ფორმებს, რომლებიც არამართლზომიერი, არაპროპორციული ან თვითნებურია.

246. რაც შეეხება პირის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკას, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ „ის უნდა შეიზღუდოს საჭირო მტკიცებულებების ძებნის აუცილებლობით და არ უნდა მიეცეს შევიწროების ფორმა.“<sup>353</sup> ამასთან, დაადგინა, რომ სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ახსნის არარსებობის შემთხვევაში, ორდერის გარეშე საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა წარმოადგენს ICCPR-ით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას.<sup>354</sup> პირადი და სხეულის ჩხრეკასთან დაკავშირებით კომიტეტმა დაადგინა, რომ „უნდა განხორციელდეს ეფექტური ზომები, იმისთვის რომ ასეთი ჩხრეკა განხორციელდეს გასაჩხრეკი პირის ღირსების შესაბამისად.“<sup>355</sup> პოლიციის მიერ ქუჩაში გაჩერებისა და ჩხრეკის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ ჩათვალა, რომ იძულების გამოყენება „იმისთვის, რომ პირი დათანხმდეს საკუთარი თავის, მისი ტანსაცმლისა და პირადი ნივთების დეტალურ ჩხრეკაზე, წარმოადგენს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების აშკარა ჩარევას,“ და რომ საჯაროდ ჩხრეკამ შეიძლება „დაამძიმოს ჩარევის ხარისხი დამცირებისა და უხერხულობის ელემენტის გამო.“<sup>356</sup> ამგვარი ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის „კანონის შესაბამისია“, ისახავს ლეგიტიმურ მიზანს და „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“.<sup>357</sup>

247. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა დაადასტურა საფრთხე, რომელიც შეიძლება ინტერნეტმა წარმოქმნას

353 იხ. ზოგადი კომენტარი ნომერი 16, პარაგრაფი 8.

354 საქმე *Darmon Sultanova v. Uzbekistan*, კომ-უნიკაციის ნომერი 915/2000, მიღებული 2006 წლის 30 მარტს, პარაგრაფი 7.9. თავისი საქმეებში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე საზგასმით აღნიშნა, რომ კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც ეხება სახლის ჩხრეკასა და დაყადაღებას ფიზიკური მტკიცებულებების მისაღებად, უნდა ჰქონდეს სათანადო და არსებობდეს ეფექტური გარანტიები ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ (იხ. საქმე *Miallie v. France*, საქმის ნომერი 12661/87, 1993 წლის 25 თებერვალი, პარაგრაფები 37-39). რაც შეეხება ფრაზეების „პირადი ცხოვრება“ და „სახლის“ ინტერპრეტაციას, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ პირის სამუშაო ოფისის ჩხრეკაც წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას (იხ. საქმე *Niemietz v. Germany*, საქმის ნომერი 13710/88, 1992 წლის 16 დეკემბერი, პარაგრაფები 27-33). სხვა საქმეში სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული შეიძლება ვაკეცოდეს იურიდიულ პირებზეც, როგორცაა საწარმოს რეგისტრირებული ოფისი, ფილიალი და საწარმოს სხვა შენობები (იხ. საქმე *Société Colas Est and Others v. France*, საქმის ნომერი 37971/97, 2002 წლის 16 აპრილი).

355 იხ. ზოგადი კომენტარი ნომერი 16, პარაგრაფი 8. საზღვარგარეთ მოგზაურობისას სხეულის ჩხრეკის თვალსაზრისით, იხილეთ აგრეთვე თავი გადაადგილების თავისუფლება და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობა საზღვრებს შიგნით და გარეთ.

356 „ისეთი ნივთები, როგორცაა ჩანთები, საფულეები, ნოუთბუქები და დღიურები, შეიძლება შეიკავდეს პირად ინფორმაციას, რომლის თანამშრომლებს ან ფართო საზოგადოებისთვის გამჟღავნების გამო მისმა მფლობელმა შეიძლება დისკომფორტი განიცადოს.“ იხ. საქმე *Gillan and Quinton v. United Kingdom*, საქმის ნომერი 4158/05, 2010 წლის 12 იანვარი, პარაგრაფი 63.

357 *Ibid.* პარაგრაფი 65. მოცემულ საქმეში სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან ავტორიზაციის და დადასტურების უფლებამოსილება, აგრეთვე მოქმედი კანონით გაჩერებისა და ჩხრეკის უფლებამოსილებები არც საკმარისად იყო შეზღუდული და არც სათანადო იურიდიულ გარანტიებს ექვემდებარებოდა ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ (პუნქტი 87). სასამართლოს მოსაზრებით, პოლიციელებისთვის მიცემული ფართო დისკრეციის გამო არსებობს თვითნებობის რისკი და უფრო მეტიც, „არსებობს რისკი, რომ მოხდეს ამგვარი ძალაუფლების ფართო მასშტაბით ბოროტად გამოყენება მომიტინგეებისა და დემონსტრანტების წინააღმდეგ კონვენციის მე-10 ან/და 11 მუხლით (პარაგრაფი 85).

უფლებადამცველებისთვის „როდესაც რეპრესიული სახელმწიფოები იყენებენ ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში განთავსებულ ინფორმაციას უფლებადამცველთა და სხვა აქტივისტების ქსელების გამოსავლენად და მათი დევნისათვის.“<sup>358</sup> მართლაც, ციფრული ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებიდან წარმოქმნილი გამოწვევები საერთაშორისო შემფოთების მზარდი საგანია. ციფრული ხანაში პირადი ცხოვრების უფლების შესახებ 2013 წლის რეზოლუციით UNGA-მ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ „ტექნოლოგიური განვითარების სწრაფი ტემპი საშუალებას აძლევს ყველა პირს მთელს მსოფლიოში, გამოიყენონ ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და, ამავე დროს, აძლიერებს მთავრობების, კომპანიებისა და პირების შესაძლებლობებს განახორციელონ თვალთვალის, დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება, რამაც შეიძლება დაარღვიოს ან ბოროტად გამოიყენოს ადამიანის უფლებები“.<sup>359</sup> ანალოგიურად, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „ინფორმაციულ საზოგადოებაში მონაცემთა დამუშავებამ, რომელიც ხორციელდება აუცილებელი გარანტიებისა და უსაფრთხოების გარეშე, შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები. კანონმდებლობა, რომელიც საშუალებას იძლევა მოქალაქეთა ფართო თვალთვალის საშუალებას, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. ამ შესაძლებლობებსა და პრაქტიკას შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს მოქალაქეების მონაწილეობაზე სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და, გრძელვადიან პერიოდში, შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს დემოკრატიასზე.“<sup>360</sup> სათვალთვალს და კომპიუტერულ სისტემებში შეღწევადაობის ახალი მეთოდები მიზანმიმართული პირთა პიროვნული სისუსტეების გამოსავლენად, მათი სანდოობისა და რეპუტაციის შელახვის მიზნით, თავისთავად წარმოადგენს საფრთხეს, რადგან ასეთი საშუალებები შეიძლება „გამოყენებულ იქნას აგრეთვე, მაგალითად, პოლიტიკოსების ოპოზიციის მხრიდან, ადამიანის უფლებების აქტივისტების ან ჟურნალისტების დისკრედიტაცია.“<sup>361</sup>

358 იხ. 2013 წლის მეოთხე კვარტალური საქმიანობის ანგარიში ნილზ მუნჯინიქსის მიერ, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, 2013 წლის 1 ოქტომბერიდან 31 დეკემბრამდე.” CommDH (2014) 3, 2014 წლის 12 თებერვალი, გვ. 20. უფრო კონკრეტულად, კომისარმა განაცხადა, რომ მაგალითად, აზერბაიჯანში ვიზიტის დროს მან „სხვადასხვა თანამოსაუბრისაგან მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უსაფრთხოების სააგენტოები აკვირდებოდნენ ინტერნეტ სევრცეში საქმიანობას ან აკონტროლებენ მომხმარებლის მონაცემებს აზერბაიჯანში. კერძოდ, კომისრის ზოგიერთმა თანამოსაუბრემ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ მოიხსენია ფეისბუქზე საქმიანობა ან დაკითხვების დროს აჩვენა მათი პირადი საფოსტო ყუთი. იხ. „ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ნილს მუნჯინიქსის ანგარიში, მისი ვიზიტის შემდეგ აზერბაიჯანში 2013 წლის 22 – დან 24 მაისამდე”, CommDH (2013) 14, 2013 წლის 6 აგვისტო, პარაგრაფები 40 და 41.

359 იხ. A/RES/68/167, მიღებული 2013 წლის 18 დეკემბერს, პრეამბულა.

360 იხ. „მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ფუნდამენტური უფლებების რისკების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს ციფრული თვალთვალის დევნისა და ზედამხედველობის სხვა ტექნოლოგიებისაგან”, მიღებული 2013 წლის 11 ივნისს, პარაგრაფი 2.

361 იხ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), იურიდიულ საკითხთა კომიტეტი და ადამიანის უფლებათა კომიტეტი, „მასიური მოსმენა“ და „ევროსასამართლო ორგანოს დამატებითი ოქმი ინფორმაციის დასაცავად”, მომხსენებლის მემორანდუმი მომხსენებლის პიტერ ომციტის მიერ, ნიდერლანდები, AS/JUR (2014) 02, 2014 წლის 23 იანვარი, პარაგრაფი 21.

248. აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების პოპულარიზაციისა და დაცვის საკითხებში გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღშფოთება გამოთქვა სასამართლო ნებართვის მოპოვების იმ ფართო გამოხატვისების გამო, რომლითაც ადგილობრივი სადაზვერვო უწყებები სარგებლობენ მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ეუთოს წევრ სახელმწიფოებში.<sup>362</sup> მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ, შესაბამისი კანონმდებლობისა და სამართლებრივი სტანდარტების გარეშე, რომლითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კომუნიკაციის კონფიდენციალურობა, უსაფრთხოება და ანონიმურობა, შეუძლებელია ჟურნალისტების, უფლებადამცველების და ინფორმატორების დარწმუნება, რომ მათი კომუნიკაციები არ ექვემდებარება სახელმწიფო თვალთვალს. ძლიერი დაცვის მექანიზმების გარეშე, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ თვითნებური თვალთვალის ობიექტები.<sup>363</sup> საქმეში, რომელშიც განმცხადებელმა გაასაჩივრა კანონმდებლობის მიერ

362 იხ. A/HRC/23/40, პარაგრაფი 59. კერძოდ, მან ამ კონტექსტში მოიხსენია აშშ-ს საგარეო სადაზვერვო ზედამხედველობის შესახებ კანონი, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს აძლევდა კომუნიკაციების თვალთვალის უფლებამოსილებას სასამართლოს ნებართვის გარეშე, აგრეთვე გერმანიასა და შვედეთში არსებულ კანონებზე, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ ფარულ ჩაწერას და მიყურადებას შესაბამისი ორდერის გარეშე. შვედეთის შესახებ 2009 წლის დასკვნით შეფასებებში, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ „დაზვერვის ნიშნების შესახებ კანონი“ თავდაცვის ოპერაციებში საშუალებას აძლევს აღმასრულებელ ორგანოს ელექტრონული კომუნიკაციების მიყურადების ფართო შესაძლებლობებს და რეკომენდაცია მისცა, რომ „წევრმა სახელმწიფომ მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა და უზრუნველყოს, რომ პერსონალური მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამოყენება არ დაექვემდებაროს რაიმე სახის ბოროტად გამოყენებას, არ გამოიყენება პაქტის საწინააღმდეგოდ მიზნების მიღწევას და შესაბამისობაში იქნება პაქტის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან. ამისათვის, წევრი სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის დამუშავება და შეგროვება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ განხილვისა და მეთვალყურეობის ქვეშ, ობიექტურობისა და ეფექტურობის აუდიტებელი გარანტიებით.“ იხ. CCPR/C/SWE/CO/6, 2009 წლის 7 მაისი, პარაგრაფი 18. 2014 წელს, აშშ – ს შესახებ 2014 წლის 26 მარტს ჩატარებული დასკვნითი შეფასებებით, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შემოფოთება გამოთქვა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს (NSA) მიერ კომუნიკაციების თვალთვალის შესახებ და აღნიშნა, რომ NSA-ს საქმიანობაზე ზედამხედველობის სისტემამ ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულთა უფლებების დაცვას, ხოლო მონაცემების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, ამ უკანასკნელებს არ აქვთ წვდომა დაცვის ეფექტურ საშუალებებთან. კომიტეტმა მოუწოდა წევრ სახელმწიფოს, უზრუნველყოს, რომ მისი სადამკვირვებლო საქმიანობა სრულად შესაბამებოდეს ICCPR-ს თანახმად ნაკისრ ვალდებულებებს, მე-17 მუხლის ჩათვლით, და უფრო კონკრეტულად, რომ ნებისმიერი ჩარევა „ნებადართული უნდა იყოს კანონით, რომელიც (i) საჯაროდ ხელმისაწვდომია; (ii) შეიცავს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო მონაცემების შეგროვებას, წვდომასა და გამოყენებას სპეციფიკურ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებაში; (iii) საკმარისად ზუსტია და ასახულია ის ზუსტი გარემოებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ასეთი ჩარევის განხორციელება; ნებართვის გაცემის პროცედურები; იმ პირობა კატეგორიები, რომლებიც შეიძლება მოთავსდეს მეთვალყურეობის ქვეშ; შეზღუდვები მეთვალყურეობის ხანგრძლივობაზე; შეგროვებული მონაცემების გამოყენებისა და შესანვის პროცედურები; და (iv) უზრუნველყოს ეფექტური დაცვა ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.“ იხ. გაეროს დოკუმენტი CCPR/C/USA/CO/4, პარაგრაფი 22 (წინასწარი გამოცემა). კომიტეტმა ადრე გამოთქვა შემოფოთება 2006 წლის დასკვნით შეფასებებზე აშშ-ს შესახებ კომუნიკაციების მონიტორინგთან დაკავშირებით, მათ შორის NSA, სასამართლო მეთვალყურეობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ყველაზე გამოხატვის შემთხვევაში და ექსკლუზიურად დამოუკიდებელი სასამართლოს მეთვალყურეობის ქვეშ.“ იხ. A/HRC/23/40, პარაგრაფი 81.

363 A/HRC/23/40, პარაგრაფები 79 და 51. ზოგადად, როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, „კრძალულია სატელეფონო, სატელეგრაფო და კომუნიკაციის სხვა ფორმების, სატელეფონო საუბრებისა და კომუნიკაციების მეთვალყურეობა და სხვა სახის მიყურადება, მონახვა და საუბრების ჩაწერა.“ იხ. ზოგადი კომენტარი No. 16, პარაგრაფი 8. აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების პოპულარიზაციისა და დაცვის საკითხებში სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს, რომ კომუნიკაციების სახელმწიფო მეთვალყურეობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ყველაზე გამოხატვის შემთხვევაში და ექსკლუზიურად დამოუკიდებელი სასამართლოს მეთვალყურეობის ქვეშ.“ იხ. A/HRC/23/40, პარაგრაფი 81.

ხელისუფლებისათვის მინიჭებული ფართო დისკრეცია საიდუმლო თვალთვალის მიღებული ინფორმაციის მოპოვებასა და შეგროვებასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ დააწესა მინიმალური გარანტიები, რომლებიც კანონმდებლობით უნდა იყოს დადგენილი, რომ თავიდან იქნას აცილებული მათი ბოროტად გამოყენება, მათ შორის: „დანაშაულის ტიპები, რისთვისაც შეიძლება გაიცეს ჩარევის ბრძანება; ადამიანების იმ კატეგორიის განსაზღვრა, რომელთა კომუნიკაციის მონიტორინგი შეიძლება დასაშვებია იყოს; ასეთი მონიტორინგის ხანგრძლივობის შეზღუდვა; პროცედურა, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს მიღებული მონაცემების შემოწმება, გამოყენება და შენახვა; მიფრთხილის ზომები, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს მონაცემების სხვა მხარეებისათვის გადაცემისას; და ის გარემოებები, როდესაც მოპოვებული მონაცემები შეიძლება ან აუცილებლად უნდა წაიშალოს ან განადგურდეს.“<sup>364</sup> გარდა ამისა, სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ფარული დაკვირვების ღონისძიებების კონტექსტში უნდა არსებობდეს „ადეკვატური და ეფექტური გარანტიები მათი ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ“, მათ შორის, „შესაძლო ზომების ხასიათის, მასშტაბთან და ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, მათი გაცემის საფუძვლებთან დაკავშირებით, კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოებთან დაკავშირებით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გასცენ ნებართვა, განაწორციელონ და ზედამხედველობა გაუწიონ მას და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის საშუალებების შესახებ“.<sup>365</sup>

249. ადამიანის უფლებათა ორგანიზაციის წევრთან დაკავშირებულ საქმეში, რომელიც რეგისტრირებული იყო „დაკვირვების მონაცემთა ბაზაში“, ევროსასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა ECHR-ის იურისპრუდენციის საფუძველზე.<sup>366</sup> აღნიშნულ

364 იხილეთ საქმე *Association for European Integration and Human Rights and Ekdzhiev v. Bulgaria*, საქმის ნომერი 2007 წლის 28 ივნისი, პარაგრაფი 76.

365 *Ibid.* პარაგრაფი 77. იხ. ასევე საქმე *Liberty v. UK*, საქმის ნომერი 58243/00, 2008 წლის 1 ივლისი, რომლითაც სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო არღვევდა ECHR-ს მე-8 მუხლს, რადგან არ მიიჩნია, რომ „შესაბამის დროს ეროვნულ კანონმდებლობაში სათანადოდ ნათლად იყო მითითებული, რომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ უზრუნველყოფილია ადეკვატური დაცვა, რომლის ზომებსაც და განწორციელების მეთოდს განსაზღვრავს სახელმწიფო გარე კომუნიკაციების დაკავებისა და შემოწმების მიზნით. კერძოდ, როგორც სასამართლომ პრაქტიკით მოითხოვება, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით არ განისაზღვრა რაიმე მითითება იმ პროცედურის შესახებ, რომელიც უნდა ჩატარებულიყო მოპოვებული მასალის შემოწმების, გაზიარების, შენახვისა და განადგურებისათვის.“ (ცუქტი 69). აზრისა და გამოხატვის თავისუფლების პოპოლარიზაციისა და დაცვის შესახებ სპეციალური მომხსენებლის აზრით, ნებისმიერ მსუბუქეს შემთხვევაში უნდა ჰქონდეს კანონიერი უფლება, ეცნობოს მას, როდესაც ხორციელდება მათი კომუნიკაციების მეთვალყურეობა ან სახელმწიფოს მოიპოვა მათი კომუნიკაციების მონაცემები. ამასთან, სპეციალური მომხსენებელი აცნობიერებს, რომ წინასწარმა ან თანმიმდევრულ შემოწმებებში შეიძლება საფრთხეს შეუქმნას მეთვალყურეობის ეფექტურობას. მიუხედავად ამისა, მან ხაზი გაუსვა, რომ პირებს უნდა ეცნობოთ მას შემდეგ, რაც მეთვალყურეობა დასრულდა ისე, რომ მათ შეეძლოთ მოითხოვონ შესაბამისი აღდგენა საკომუნიკაციო სათვალთვალ ღონისძიებების გამოყენების შემდეგ (იხ. A/HRC/23/40, პარაგრაფი 82). რაც შეეხება ბულგარეთში სატელეფონო მოსმენების გავრცელებულ პრაქტიკას, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა სახელმწიფო მხარეს, უზრუნველყოფს, რომ არასწორად განხორციელებულ მონიტორინგს დაქვემდებარებულ პირებს სისტემატურად ეცნობოთ ამის შესახებ და მათ ჰქონდეთ აღდგენის სათანადო საშუალებები. იხ. „დასკვნითი შეფასებები ბულგარეთთან დაკავშირებით“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/BGR/CO/3, პარაგრაფი 22.

366 იხ. საქმე *Shimovolos v. Russia*, საქმის ნომერი. 30194/09, 2011 წლის 21 ივნისი.



მონაცემთა ბაზაში შეყვანილი იყო ინფორმაცია განმცხადებლის ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ, რაც, როგორც სასამართლომ აღნიშნა, წარმოადგენდა ჩარევას მის პირად ცხოვრებაში. ვინაიდან მონაცემთა ბაზის შექმნა და შენარჩუნება ხორციელდებოდა მინისტრის ბრძანებით, რომელიც არ გამოქვეყნებულა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა შეუთავსებელია ECHR-ს მოთხოვნებთან.<sup>367</sup> რაც შეეხება ზოგადად პერსონალური ინფორმაციის შეგროვებასა და შენახვას, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ყველა ადამიანს აქვს უფლება გასაგებ ფორმით დაადგინოს, ინახება თუ არა და დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა სახის პერსონალური მონაცემები ინახება ავტომატური მონაცემთა ფაილებში და რა მიზნებისათვის. თითოეულ პირს ასევე უნდა შეძლოს იმის დადგენა, თუ რომელი სახელმწიფო ორგანოები, კერძო პირები ან ორგანოები აკონტროლებენ ან შეიძლება აკონტროლებდნენ მათ ფაილებს.“<sup>368</sup>

250. წევრ სახელმწიფოებს ევალებათ როგორც იმის უზრუნველყოფა, რომ საჯარო ან თანამდებობის პირებმა არ განახორციელონ პირადი ცხოვრების უფლებაში რაიმე სახის უკანონო ან თვითნებური ჩარევა, ასევე დაიცვან უფლებადამცველები მესამე პირების მხრიდან ჩარევისაგან, მათ შორის კერძო უსაფრთხოების წარმომადგენლების მიერ.<sup>369</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების უფლება „თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ჩარევისა და თავდასხმისგან, მიუხედავად იმისა ისინი წარმოიშვა სახელმწიფო ორგანოებისგან თუ ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან“.<sup>370</sup>

367 საქმე *Shimovolov v. Russia* განჩინების თანახმად, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ პირთა სიდიდან ამონაწერი აჩვენებდა, რომ განმცხადებლის სახელი შეყვანილი იყო სის ნაწილში სათაურით „ადამიანის უფლებების აქტივისტები“; და „მეთავალაურების მონაცემთა ბაზა შეიცავდა ინფორმაციას სკინჰედების, უფლებადამცველების და სხვა პირების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობენ ექსტრემისტულ საქმიანობაში. როდესაც მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული პირი ყიდულობს მატარებლის ან თვითმფრინავის ბილეთს, ტრანსპორტის შინაგან საქმეთა დეპარტამენტი იღებს ავტომატურ შეტყობინებას.“ ვინაიდან ბაზის შექმნის იურიდიული საფუძველი არ იყო გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი, „პირის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის საფუძველი, კომპეტენტური ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან დაუშვან ასეთი რეგისტრაცია, ღონისძიების ხანგრძლივობა, შეგროვებული მონაცემების ზუსტი სახიათი, შეგროვებული მონაცემების შენახვისა და გამოყენების პროცედურები და არსებული კონტროლი და გარანტიები ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, არ იძლევა საზოგადოების მიერ ღია შესწავლისა და შემოწმების საშუალებას.“ (პარაგრაფი 69).

368 იხ. ზოგადი კომენტარი ნომერი 16, პარაგრაფი 10.

369 მაგალითად, ირლანდიაში ვიზიტის შესახებ მოხსენებაში, უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მან მიიღო ცნობები უსაფრთხოების აგენტების მიერ საზოგადოებრივ გზებზე, კერძო სახლების და ადგილობრივი მოსახლეობის პირადი გადაადგილების შესახებ მეთავალაურების შესახებ, რომლებიც დასაქმებული იყვნენ დიდ ბიზნეს კორპორაციაში გარემოს დაცვასთან დაკავშირებით საპროტესტო კონტექსტში. მან გამოთქვა შეშფოთება ამგვარი პრაქტიკის კონფიდენციალურობის უფლებაზე შესაძლო გავლენის შესახებ და რეკომენდაცია გასცა, რომ მეთავალაურების მეთოდები გამოყენებულ იქნას მხოლოდ კანონიერად და პროპორციულად, და მათი დანიშნულება ეცნობოს ადგილობრივ მოსახლეობას. იხ. „სპეციალური მომხსენებლის მოხსენება უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ, მარგარეტ სეკაგია, დანართი. მისია ირლანდიაში (2012 წლის 19-23 ნოემბერი)“, გაეროს დოკუმენტი A/HRC/22/47/Add.3, 2013 წლის 26 თებერვალი, პარაგრაფი 78.

370 ზოგადი კომენტარი ნომერი 16, პარაგრაფი 1.



251. შესაბამისად, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების პოპულარიზაციისა და დაცვის შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ საჯარო ან კერძო პირების მიერ უკანონო დაკვირვების კრიმინალიზაცია.<sup>371</sup> ამასთან დაკავშირებით, UNGA-მ მოუწოდა სახელმწიფოებს, აიღონ შემდეგი ვალდებულებები: პატივი სცენ და დაიცვან პირადი ცხოვრების უფლება, მათ შორის, ციფრული კომუნიკაციის კონტექსტში; მიიღონ ზომები, რომ აღმოიფხვრას დარღვევები და შექმნან მათი თავიდან აცილების პირობები; „გადახედონ პროცედურებს, პრაქტიკასა და კანონმდებლობას კომუნიკაციის თვალთვალთან დაკავშირებით, მათ დაკავებასა და პერსონალურ მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებით, მათ შორის, მასობრივი თვალთვალის, ხელში ჩაგდებასა და შეგროვების შესახებ“; და „შექმნას ან შეინარჩუნოს არსებული დამოუკიდებელი და უკუქტური საშინაო ზედამხედველობის მექანიზმები, რომელიც საჭიროებისამებრ შეძლებს უზრუნველყოს გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობა სახელმწიფო თვალთვალისათვის [...]“.<sup>372</sup>

252. როგორც აზრის გამოხატვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, კერძო სექტორმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სახელმწიფო თვალთვალის ხელშესაწყობად – ზოგჯერ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის შედეგად, ზოგჯერ კი ნებაყოფლობით.<sup>373</sup> როგორც სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო სექტორი თანამონაწილეობს ტექნოლოგიების შემუშავებაში, რომლებიც ინვაზიურ თვალთვალის საშუალებას იძლევიან სამართლებრივი სტანდარტების საწინააღმდეგოდ.<sup>374</sup> შესაბამისად, მან მოუწოდა სახელმწიფოებს, თავი შეიკავონ კერძო სექტორის იძულებისაგან, განახორციელონ ისეთი მოქმედებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკომუნიკაციო სერვისების კონფიდენციალურობის, უსაფრთხოების და ანონიმურობის კომპრომეტირება და მიიღონ ზომები „სათვალთვალო ტექნოლოგიების კომერციულიზაციის თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ასეთი ტექნოლოგიების კვლევას, განვითარებას, ვაჭრობას, ექსპორტს და გამოყენებას, იმის გათვალისწინებით, რომ მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ადამიანის

371 იხ. HRC/C/23/40, პარაგრაფი 84.  
372 იხ. A/RES/68/167, პარაგრაფი. 4.

373 იხ. HRC/C/23/40, პარაგრაფები 73 და 74. აგრეთვე იხილეთ ევროსაბჭოს მომხსენებლის შესავალი მემორანდუმი, „მასიური მოსმენები“ და “ევროსასამართლო ორგანოს დამატებითი ოქმი ინფორმაციითა დაცვის შესახებ”, მემორანდუმი მომხსენებლის პიეტერ ომციგის მიერ, ნიდერლანდები, AS/JUR (2014) 02, 2014 წლის 23 იანვარი, პარაგრაფი 27. კერძო აქტორების თანამზრახველობის საკითხი განსაკუთრებით შემამფოთებელია იმ შემთხვევებში, როდესაც სათვალთვალო ფუნქციების შესრულება განხორციელდა კერძო ბიზნესზე; *ibid.* პარაგრაფი 52.

374 იხ. HRC/C/23/40, პარაგრაფი 75. ანალოგიურად, ევროსაბჭოს კომისარმა მითითება გააკეთა შვედური სატელეკომუნიკაციო კომპანიის მიერ ტექნოლოგიის დამონტაჟების შესახებ მოხსენებზე, რომლებიც აზერბაიჯანში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს საშუალებას აძლევდნენ გაეკონტროლებინათ მობილური ტელეფონის ყველა კომუნიკაციები, მათ შორის ტექსტური შეტყობინებები, ინტერნეტ-საქმიანობები და სატელეფონო ზარები, სასამართლო განილვის გარეშე. იხ. „ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის, ნილს მუნჯინიკის ანგარიში, 2013 წლის 22-დან 24 მაისამდე აზერბაიჯანში მისი ვიზიტის შემდეგ“, CommDH(2013)14, 2013 წლის 6 აგვისტო, პარაგრაფი 42.

უფლებების სისტემატური დარღვევები.<sup>375</sup> გაეროს ბიზნესის და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ მკაფიო მოლოდინი, რომ ყველა ბიზნეს საწარმო, რომელიც მდებარეობს მათ ტერიტორიაზე და/ან იურისდიქციაში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს თავის საქმიანობაში.<sup>376</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მოუწოდა სახელმწიფოებს, გაითვალისწინონ ციფრული თვალთვალის და სხვა თვალთვალის ტექნოლოგიების რისკები სხვა ქვეყნებთან ორმხრივი დისკუსიების დროს და, საჭიროების შემთხვევაში, განიხილონ სათანადო საექსპორტო კონტროლის შემოღება, რათა არ მოხდეს ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენება ადამიანის უფლებების ტანადარტების დარღვევის მიზნით.<sup>377</sup> ამ სფეროში მზარდი რისკების გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა დაუჭიროონ მხარი უფლებადამცველების ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს ცოდნისა და შესაძლებლობების გაძლიერებას მათი ელექტრონული კომუნიკაციების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად.

253. რაც შეეხება დაკვირვების, ძებნის ან დაკავების დროს მოპოვებული მასალების გამოყენებას ან უფლებადამცველის პირად ცხოვრებაში არამართლოზომიერი ან თვითნებური ჩარევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ან მოწინააღმდეგის გამოყენებას, ზოგადად, დაუშვებელი უნდა იყოს მისი სასამართლო სამართალწარმოებაში გამოყენება მათ წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზოგიერთ შემთხვევაში გამოხატა პოზიცია, რომ პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა მტკიცებულებათა არამართლოზომიერი მეთოდების მოპოვებით, შეიძლება ცალკეულად დადგინდეს, სასამართლო განხილვის გარეშე, როგორც უსამართლოდ ქმედებად, ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ ადამიანის უფლებების გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „სახელმწიფოები, და განსაკუთრებით მათი სასამართლო ორგანოები ყურადღებით უნდა დაიცვა პოზიცია, რომ მიუღებელია მტკიცებულებების გამოყენება, რომელიც მოპოვებულია ადამიანის

375 იხ. A/HRC/C/23/40, პარაგრაფები 96 და 97.

376 ამ კონტექსტში, მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე მკაფიოდ და საჯაროდ უნდა აღიარონ, რომ უფლებადამცველები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ამით აღიარებენ მათ სტატუსს და მათი საქმიანობის ლეგიტიმურობას. საზოგადოებრივი ცნობიერების მნიშვნელობის, აგრეთვე არასამთავრობო აქტორების როლისა და გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ ბიზნესის და ადამიანის უფლებების შესახებ, იხილეთ თავი ზოგად პრინციპებზე. გარდა ამისა, ევროკომისიამ გამოაკვეყნა სახელმძღვანელო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის კომპანიებისთვის, სადაც მოცემულია სექტორისათვის სპეციფიკური მითითებები კორპორატიული პასუხისმგებლობის შესახებ, ადამიანის უფლებების დაცვაზე, როგორც ეს მოცემულია გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებში. იხილეთ ევროკომისია, „საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის სექტორის სახელმძღვანელო გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების შესრულების შესახებ“, <[http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/files/csr-sme/csr-ict-hr-business\\_en.pdf](http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/files/csr-sme/csr-ict-hr-business_en.pdf)>.

377 იხ. „მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ფუნდამენტურ უფლებების რისკებთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს ციფრული თვალთვალის დევნისა და ზედამხედველობის სხვა ტექნოლოგიებისგან“, მიღებული 2013 წლის 11 ივნისს, პარაგრაფი. 8.

უფლებების ან ადგილობრივი კანონმდებლობის დარღვევით და შედეგად, სასამართლო პროცესი არის უსამართლო.”<sup>378</sup>

254. უფრო ზოგადად რაც შეეხება კომპიუტერებზე, მონაცემთა ბაზებსა თუ სხვა მოწყობილობებზე შენახული პირადი ინფორმაციის გამოყენებას, რომლებიც სახელმწიფო ან კერძო პირების მიერ არის შეგროვებული, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტური ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ ასეთი ინფორმაცია არ ჩავარდეს იმ პირთა ხელში, რომელთაც კანონით არ აქვთ მისი მიღების, დამუშავების და გამოყენების უფლება და არ მოხდეს მისი გამოყენება პატივთან შეუთავსებელი მიზნებისათვის.<sup>379</sup> უფლებადამცველები უნდა იყვნენ დაცული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პერსონალური მონაცემების ან ინფორმაციის გამჟღავნებისგან, კერძოდ, თუ ეს ეხება მგრძობიარე ან ინტიმურ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი პირის დისკრედიტაციისთვის ან მათი პატივისა და რეპუტაციის შელახვისთვის. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირის თანხმობის გარეშე ან მათი შენიღბვის გარეშე მასმედიისთვის მგრძობიარე ჩანაწერების გამჟღავნება მათი სამუქყებლო გამოყენებისთვის – შეიძლება სერიოზული ჩარევად ჩაითვალოს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში.<sup>380</sup> სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ პერსონალური მონაცემების დაცვას, არანაკლებ სამედიცინო მონაცემებისა, ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება და მისი საზოგადოებისთვის გამჟღავნებამ შეიძლება მკვეთრად იმოქმედოს პირის პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით.<sup>381</sup>

255. გარდა ამისა, პერსონალური მონაცემები და ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მხოლოდ იმ პერიოდით, რამდენადაც ეს გამართლებული და მკაცრად აუცილებელია. მაგალითად, ევროპის საბჭოს კონვენციის პირთა უფლებების დაცვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ „პირადი მონაცემები, რომელთა ავტომატური დამუშავება ხდება, დაცული უნდა იქნეს ისეთი ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების საშუალებას

378 იხ. „ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პოპულარიზაციისა და დაცვის შესახებ სპეციალური მომსახურების მოხსენება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას“, გაეროს დოკუმენტი A/63/223, 2008 წლის 6 აგვისტო, პარაგრაფი 34. ასევე, სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, გაეროს სახელმძღვანელოში პროკურორების როლის შესახებ, ნათქვამია, რომ როდესაც პროკურორები ფლობენ მტკიცებულებებს ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ, როცა მათ იციან ან მიაჩნიათ, რომ მტკიცებულებები მიიღეს უკანონო მეთოდების გამოყენებით, რაც წარმოადგენს ადამიანის უფლებების მიმე დარღვევას, მათ უარი უნდა თქვან ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ ამგვარი მტკიცებულებების გამოყენებაზე. იხ. „სახელმძღვანელო პროკურორების როლის შესახებ, მიღებული გაერთიანებული ერების დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეების მოპყრობის შესახებ მეორე კონგრესის მიერ“, ჰავანა, კუბა, 1990 წლის 27 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე, პარაგრაფი. 16.

379 იხ. ზოგადი კომენტარი ნომერი 16, პარაგრაფი 10.

380 იხ. საქმე *Peck v. the United Kingdom*, საქმის ნომერი 44647/98, 2003 წლის 28 იანვარი. აღნიშნულ საქმეში, მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩანაწერს საზოგადოებრივ ადგილას განხორციელდა თუ არა.

381 იხ. საქმე *Z v. Finland*, საქმის ნომერი 22009/93, 1997 წლის 25 თებერვალი.

არა უმეტეს იმ პერიოდით, რაც საჭიროა მონაცემების შენახვის მიზნისათვის.”<sup>382</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურიპრუდენციის შესაბამისად, ხელისუფლებას ასევე აქვს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს ყველა პირი ეფექტიური და ხელმისაწვდომი პროცედურებით, რომ მათ შეეძლოთ გონივრულ ვადაში მიიღონ წვდომა საჯარო ხელისუფლების ორგანოებში დაცული მათ პირად მონაცემებზე.<sup>383</sup>

256. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა აღიარა, რომ მონაცემთა დამუშავებამ და ფართო თვალთვალმა შეიძლება დაარღვიოს კონფიდენციალურობის უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეული პროფესიების, მაგალითად, ჟურნალისტების ინფორმატორების დაცვასთან და შეიძლება საფრთხევ კი შეექმნას შესაბამისი პირების უსაფრთხოებას.<sup>384</sup> გაეროს ადვოკატთა როლის გაეროს ძირითადი პრინციპების 22-ე პრინციპი ითვალისწინებს, რომ „სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ და პატივი სცენ, რომ იურისტებსა და მათ მომხმარებელს შორის ყველა კომუნიკაცია და კონსულტაცია იყოს კონფიდენციალური.”<sup>385</sup> უფრო მეტიც, ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება მიმართონ „ყველა გონივრულ და საჭირო ზომას, რათა უზრუნველყონ იურისტს და კლიენტს შორის ურთიერთობების კონფიდენციალურობის დაცვა.”<sup>386</sup> მათ ასევე აიღეს ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ „ჟურნალისტებს, მათ შორის ისინი, რომლებიც წარმოადგენენ მედიას სხვა წევრი სახელმწიფოებიდან, თავისუფლად

382 იხ. ევროსაბჭო, „კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებიდან გამომდინარე პირთა დაცვის შესახებ“, მე-5 მუხლი.

383 იხ. მაგალითად, საქმე Haralambie v. Romania, საქმის ნომერი 21737/03, განმარტებითი ბარათი სასამართლო საქმეზე ნომერი 123, 2009 წლის ოქტომბერი.

384 იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, „დეკლარაცია ციფრული თვალყურის დევნისა და სხვა თვალთვალის ტექნოლოგიების შესახებ“, პარაგრაფი 2. ანალოგიურად, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა, ჟურნალისტთა კომუნიკაციების კონფიდენციალურობასთან, უსაფრთხოებასთან და ანონიმურობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „გარემოში, სადაც მეთვალყურეობა გავრცელებულია და არ არის შეზღუდული სათანადო პროცესის ან სასამართლო ზედამხედველობით, გარანტირებული ვერ იქნება წყაროების დაცვის პრეზუმფიცია. თვალთვალის თუნდაც ვიწრო, გამჭვირვალე, დაუსაბუთებელმა გამოყენებამაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ეფექტი მისი გამოყენებისას სიფრთხილის და საჯარო დოკუმენტაციის გარეშე, ასევე მისი ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად არსებული შემსრულებელი და გამაწვანებელი საშუალებები;” იხ. A/HRC/23/40, პარაგრაფი 52. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „დემოკრატიული საზოგადოებაში პრესის თავისუფლებისთვის ჟურნალისტური წყაროების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით და იმის გათვალისწინებით თუ რამდენად უარყოფითი გავლენა აქვს წყაროს გამჟღავნების ბრძანებას ამ უფლების განხორციელებაზე, ასეთი ღონისძიება არ შეიძლება შესაბამებოდეს კონვენციის მე-10 მუხლს (მუხ. 10), თუ იგი არ არის გამართლებული საზოგადოებრივი ინტერესების გადაჭარბებული მოთხოვნილებით;” იხ. დოქტორი საქმე *Goodwin v. the United Kingdom*, საქმის ნომერი 17488/90, 1996 წლის 27 მარტი, პარაგრაფი 39. რაც შეეხება ადვოკატებს, მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა პოლანდიას ურჩია უზრუნველყოს, რომ კონფიდენციალურობით დაცულ კომუნიკაციებზე არ განხორციელდეს ფარული ჩაწერა, კომიტეტი შემფოთებულია, რომ სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესიონალები, რომლებსაც კონფიდენციალურობის მოვალეობა აქვთ, განსაკუთრებით იურისტები, არ იყოს დაცული ისე, რომ დაცული იქნებოდა ადვოკატსა და კლიენტს კონფიდენციალურობა. იხ. CCPR/C/NLD/CO/4, 2009 წლის 25 აგვისტო, პარაგრაფი 14.

385 იხ. „ადვოკატთა როლის ძირითადი პრინციპები“, მიღებული გაეროს მერვე კონგრესზე დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეების მოპყრობის შესახებ, ჰავანა, კუბა, 1990 წლის 27 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე.

386 იხ. ბრიუსელის 2006, „ბრიუსელის დეკლარაცია სისხლის სამართლის სისტემებზე“.



შეძლონ მოიძიონ და შეინარჩუნონ კონტაქტები ინფორმაციის საჯარო და კერძო წყაროებიდან და მათი პროფესიონალური კონფიდენციალურობა იქნება დაცული.”<sup>387</sup> ინტერნეტის მასობრივი კომუნიკაციის საშუალების მზარდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, გაჩნდა ჟურნალისტების ინფორმატორების დაცვის სხვა პირებზე გავრცელების დაცვის აუცილებლობა.<sup>388</sup>

257. უფლებადამცველების, რომლებიც არიან ჟურნალისტები ან იურისტები, განსაკუთრებული პროფესიონალური საჭიროებების აღიარების გარდა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ სხვა უფლებადამცველების სპეციფიკური საჭიროებები მათი პირადი ცხოვრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით, მათ შორის მათი კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაცვა, საკუთარი ინფორმატორების დასაცავად ან იმ პირის, რომლის უფლებებსაც ისინი იცავენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვისი ინფორმატორები, მათ შორის მოწმეები, განსაკუთრებული რისკების წინაშე დგებიან მათთვის ინფორმაციის მიწოდებისას, ასევე მათთვის, ვინც მუშაობს ტრეფიკინგის მსხვერპლ ადამიანებთან ან ძალადობრივი კრიმინალური ან ექსტრემისტული დაჯგუფებიდან გამოსულ პირებთან, რომლები მიმართ არსებობს თავდასხმების მაღალი რისკი მათ მიერ უფლებადამცველისათვის დახმარებისთვის მიმართვის შედეგად.

258. უფლებადამცველთა გარკვეულ ჯგუფებს ასევე გააჩნიათ განსაკუთრებული საჭიროებები პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებით იმ დარღვევებისა და შეურაცხყოფის ხასიათის გამო, რომელთა წინაშეც ისინი ხშირად ხვდებიან. მაგალითად, UNGA-მ აღიარა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების დარღვევები და ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობა, მათ შორის ქალთა უფლებადამცველების, არის მზარდი ხასიათის და საჭიროებს ეფექტურ რეაგირებას. ამგვარი დარღვევები და ბოროტად გამოყენება შეიძლება მოიცავდეს შევიწროებას ინტერნეტ სივრცეში, კიბერდანაშაულებს, კონფიდენციალურობის დარღვევას, ცენზურას და ელექტრონული ფოსტის ანგარიშების, მობილურ ტელეფონებში და სხვა ელექტრონული მოწყობილობებში შეღწევას მსხვერპლის დისკრედიტაციის მიზნით და/ან მათ მიმართ სხვა დარღვევებისა და შეურაცხყოფის გამოწვევის მიზნით.<sup>389</sup>

### კ. საერთაშორისო ორგანიზაციებთან წვდომის და კომუნიკაციის უფლება

259. რადგან ადამიანის უფლებები არა მხოლოდ შიდა საქმეა, არამედ პირდაპირ და ლეგიტიმურად ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს,<sup>390</sup> ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია, მათ შორის ადამიანის უფლებების საერთაშორისო და

387 იხ. ვენა 1989, „თანამშრომლობა ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში“, პარაგრაფი 40.

388 იხ. „პოლიტიკის ფორმირება მედიის თავისუფლების განვითარების მიზნით“ ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების რეკომენდაციების შესახებ ინტერნეტ-2013 კონფერენციიდან, რეკომენდაცია 3, <https://www.osce.org/fom/100112>.

389 იხ. A/RES/68/181, მიღებული 2013 წლის 18 დეკემბერს, პრეამბულის პარაგრაფი 12.

390 მოსკოვი 1991, პრეამბულა.



რეგიონალური მექანიზმების ჩათვლით, არის აღიარებული უფლება, რომელიც მოითხოვს დაცვას და ადამიანის უფლებების ლეგიტიმურ საქმიანობას.

260. ეუთოს ვალდებულებებმა არაერთხელ აღიარეს აღნიშნული უფლება.<sup>391</sup> გაეროს უფლებადამცველთა დეკლარაციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ უფლებას, რომელიც ნახსენებია მე-5 და მე-9(4) პუნქტებში, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის უფლების მნიშვნელოვან ელემენტს, ასევე ცალკეული უფლებას.<sup>392</sup> როგორც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, ასევე ადამიანის უფლებათა საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურა ყველას უფლება, ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად გააჩნდეთ შეუფერხებელი წვდომა და კომუნიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ გაეროსთან, მის წარმომადგენლებთან და ადამიანის უფლებების სფეროს მექანიზმებთან.<sup>393</sup>

261. საერთაშორისო ორგანიზაციებთან წვდომა და მათთან კომუნიკაციის უფლება წარმოადგენს უფლებამოსილებას, რომელიც ჩაბეჭდილია ყველა საერთაშორისო ინსტიტუტის საფუძვლებში, მათ შორის ადამიანის უფლებების მექანიზმებში და გაეროს, OAS, ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და ეუთოს უწყებებში. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა დაცვის აღნიშნული საერთაშორისო მექანიზმები დამოკიდებულია პირებისა და ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციებზე, რათა ხელი შეუწყონ სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესრულებას.<sup>394</sup> ამრიგად, უფლებადამცველების მიმართ ნებისმიერი შევიწროება საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციის მიწოდებისთვის, ან ამ ორგანიზებთან მათი ურთიერთქმედების სხვაგვარად შეფერხება არის ადამიანის უფლებების დარღვევა და, ამავე დროს, ძირს უთხრის მექანიზმების ფუნქციონირებას, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოებმა აიღეს კეთილსინდისიერად თანამშრომლობის

391 იხ., კოპენჰაგენი, 1990, პარაგრაფები 10.4 და 11.3. ასევე იხილეთ ვენა 1989, პარაგრაფი 26, რომელიც ადასტურებს „პირთა უფლებას დაიცვან და ხელი შეუწყონ CSCE დებულებების შესრულებას და ამ მიზნით სხვებთან ასოცირებას“, და შეიცავს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას, „ხელი შეუწყონ ამ ადამიანებს, ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს შორის უშუალო კონტაქტებსა და კომუნიკაციას“.

392 გაეროს უფლებადამცველთა დეკლარაციის მე-5 მუხლში ნათქვამია, რომ „ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების განვითარების და დაცვის მიზნით, ყველას აქვს უფლება, ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე: [...] (გ.) ჰქონდეს ურთიერთობა არასამთავრობო თუ მთავრობათაშორისი ორგანიზაციებთან.“ დეკლარაციის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება „ინდივიდუალურად და სხვებთან ურთიერთობისას, ჰქონდეს შეუზღუდავი წვდომა და კომუნიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ზოგადი ან სპეციალიზებული კომპეტენციით, მიიღოს და განიხილოს კომუნიკაციები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საკითხებზე.“

393 იხ. UNGA-ის რეზოლუციის A/RES/68/181, პარაგრაფი 18 და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციის A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი. 13. აგრეთვე იხილეთ „თანამშრომლობა გაეროსთან, მის წარმომადგენლებთან და ადამიანის უფლებების სფეროს მექანიზმებთან“, რეზოლუცია A/HRC/RES/24/24, მიღებული 2013 წლის 27 სექტემბერს, პარაგრაფი 1.

394 გაეროს სპეციალური მომხსენებელი უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ, „კომენტარი პირთა, ჯგუფებისა და საზოგადოების ორგანიზაციების უფლებებისა და პასუხისმგებლობის კონვენციის შესახებ, ხელი შეუწყონ და დაიცვან საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები“, 2011 წლის ივლისი, გვ. 51.

ვალდებულება. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ და ადამიანის უფლებათა საბჭომ სახელმწიფოებს მოუწოდა, თავი შეიკავონ და დაიცვან უფლებადამცველები, ისევე როგორც მათი ოჯახის წევრები და თანამოაზრეები, ნებისმიერი დაშინებისა თუ რეპრესიებისგან.<sup>395</sup>

262. საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის CAT და OPCAT, CEDAW პროტოკოლი და ICESCR პროტოკოლი შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც სახელმწიფოებს ავალდებულებს დაიცვან პირები არასათანადო მოპყრობისგან ან დაშინებისგან, რაც მოტივირებულია საჩივრით ან კომუნიკაციის სხვა ფორმით.<sup>396</sup> ამასთან დაკავშირებით, წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა დანიშნა მომხსენებლები, რომ გააკონტროლონ განცხადებები ნებისმიერ რეპრესიებზე, CAT-ის შესაბამისი დებულებით, რაც სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ დაიცვან მოსარჩლეები და მოწმეები არასათანადო მოპყრობისგან ან დაშინებისგან მათი საჩივრის ან გაცემული მტკიცებულებების გამო. გაეროს ხელშეკრულების სხვა ორგანოები ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ უფლებადამცველებთან და უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მათი კომუნიკაციის საკითხს. მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ხაზი გაუსვა კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან,<sup>397</sup> და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუღებელია ნებისმიერი ანგარიშსწორება მათ მიმართ, ვისაც აქვს კომიტეტთან კომუნიკაცია.<sup>398</sup> მაგალითად, იძულებითი გაუჩინარებების კომიტეტმა თავის საპროცედურო წესში ასევე შეიტანა კონკრეტული დებულებები და წესები რეპრესიების და მათზე რეაგირების შესახებ.<sup>399</sup>

263. ეუთოს და სხვა საერთაშორისო ვალდებულებების მიუხედავად, ეუთოს რამდენიმე წევრ სახელმწიფოში, პირებს და ჯგუფებს არ აქვთ თავისუფლად შეკრების და რეპრესიების შიშის გარეშე შესაბამის საერთაშორისო უწყებებისთვის განცხადებების, მოხსენებების ან მონიტორინგის და კვლევის მასალების, საჩივრების და სხვა კომუნიკაციების გაკეთების საშუალება. ამასთანავე, მათ მნიშვნელოვნად შეზღუდული აქვთ საკუთარ ან სხვა ქვეყნებში დებატებში თავისუფლად

395 იხ. UNGA-ის რეზოლუცია A/RES/68/181, პარაგრაფი 17, და ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 14.

396 „კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ“, მუხლი 13; „წამების საწინააღმდეგო კონვენციის არჩევითი ოქმი“, მუხლი 15; „კონვენციის არჩევითი ოქმი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 11; „არჩევითი ოქმი საერთაშორისო პაქტის შესახებ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, მუხლი 13.

397 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, „ადამიანის უფლებათა კომიტეტის ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან“, CCPR/C/104/3, 2012 წლის 4 ივნისი.

398 ზოგად კომენტარში ნომერი 33, „წევრი სახელმწიფოების ვალდებულებები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის არჩევითი ოქმის შესაბამისად“, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან ხელი არ შეუშალონ კომიტეტზე წვდომას და თავიდან აიცილონ ნებისმიერი საპასუხო ზომები ნებისმიერი პირის მიმართ, ვინც კომიტეტს გაუზავნა კომუნიკაცია“ (გაეროს დოკუმენტი CCPR/C/GC/33, 2009 წლის 25 ივნისი, პარაგრაფი 4).

399 იხ. „გაეროს იძულებითი გაუჩინარების კომიტეტის საპროცედურო წესი“, გაეროს დოკუმენტი CED/C/1, 2012 წლის 22 ივნისი, წესები 63(2), 95(4) და 99.

მონაწილეობის შესაძლებლობა და აღნიშნულ უწყებებთან შეხვედრის ან სხვაგვარად თანამშრომლობის შესაძლებლობა მიუქარის, გაფრთხილებების, მოგზაურობის აკრძალვის ან ცილისმწამებლური კამპანიების შედეგად. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც ინფორმაციას აწვდიან საერთაშორისო უწყებებს, განაცხადეს, რომ მათ „აკონტროლებდნენ“ სამართალდამცავი ორგანოები, ან ხდებოდა მათი ოფისების და თანამშრომლების კერძო სახლების გაჩხრეკვა და მათში შეჭრა. ზოგიერთმა განაცხადა, რომ მათ ჩამოართვეს პასპორტი ან არ აუშვეს თვითმფრინავში, როდესაც ისინი მიემგზავრებოდნენ საერთაშორისო შეხვედრებზე დასასწრებად, ზოგიერთი კი ქვეყანაში დაბრუნებისთანავე რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა. ზოგიერთი ქვეყანაში, ხელისუფლება იყენებს კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს ქვეყნის რეპუტაციის საზიანოდ მიჩნეული „ყალბი ინფორმაციის“ გავრცელებას ან მსგავს კანონებს, გავრცელებას, რომ მოახდინოს ადამიანის უფლებების მონიტორინგთან დაკავშირებული უფლებადამცველების საქმიანობის და შედეგების საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის წარდგენის კრიმინალიზაცია. მაგალითად, გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა გამოთქვა შეშფოთება სახელმწიფო ღალატთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დებულებების მეტისმეტად ზოგადი ხასიათის შესახებ, რაც შეიძლება განიმარტოს როგორც კომიტეტთან ან ადამიანის უფლებების სხვა უწყებებისთვის ინფორმაციის მიწოდების აკრძალვა.<sup>400</sup> რეპრესიები ხშირად უკავშირდება ადამიანის უფლებების დარღვევის მრავალ ფორმას, მათ შორის არასასურველ შეზღუდვებს გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებით და თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების, გაერთიანების თავისუფლების და სხვა უფლებების დარღვევას.

264. გაეროს გენერალური მდივნის ყოველწლიური მოხსენებები გაეროსთან, მის წარმომადგენლებთან და ადამიანის უფლებების სფეროში სხვა მექანიზმებთან თანამშრომლობის შესახებ, ცხადყოფს, რომ იმ პირების

400 იხ. „დასკვნითი შეფასებები: რუსეთის ფედერაცია“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/RUS/CO/5, 2012 წლის 11 დეკემბერი, პარაგრაფი. 12. კომიტეტმა მოუწოდა წევრ სახელმწიფოს „უზრუნველყოს, რომ არცერთი ინდივიდი ან ჯგუფი არ დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ დევნას წამების საწინააღმდეგო კომიტეტთან კომუნიკაციისთვის ან ინფორმაციის მიწოდებისთვის, წამების საწინააღმდეგო ქვე-კომიტეტისთვის ან წამების მსხვერპლთათვის გაეროს ნებაყოფლობითი ფონდისთვის ან გაეროს ადამიანის უფლებათა სხვა ორგანიზაციისთვის თავიანთი მანდატის შესრულებისას;“ იხ. *ibid.* პარაგრაფი 12(ბ). გარდა ამისა, მან ასევე გამოხატა განსაკუთრებული შეშფოთება იმ კანონმდებლობის შესახებ, რომელიც ავალდებულებს ორგანიზაციებს, რომლებიც იღებენ ფინანსურ დახმარებას უცხოური წყაროებიდან, დაუგისტირდნენ და საჯაროდ იდენტიფიცირებულნი იყვნენ, როგორც „უცხოელი აგენტები“; იხ. *ibid.* პარაგრაფი 12. შემდგომში, კომიტეტმა მიიღო განცხადებები, რომ ორ ორგანიზაციას და მათ ხელმძღვანელობას ბრალი წაუყენეს ამ დებულებებით, აღნიშნული ორი ორგანიზაციის მიერ კომიტეტში წარდგენილი ინფორმაციასთან დაკავშირებით. იხ. „თავმჯდომარისა და მომხსენებლის მიერ რუსეთის ფედერაციისათვის გაგზავნილი წერილები რეპრესიების შესახებ, 2013 წლის 17 და 28 მაისს“, [http://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/TreatyBodyExternal/TBSearch.aspx?Lang=en&TreatyID=1&DocTypeID=130](http://tbinternet.ohchr.org/_layouts/TreatyBodyExternal/TBSearch.aspx?Lang=en&TreatyID=1&DocTypeID=130). ტაჯიკეთის შესახებ დასკვნითი შეფასებებში, წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ასევე სერიოზული შეშფოთება გამოთქვა უფლებადამცველების შევიწროებისა და დაშინების ცნობების შესახებ, რომელიც მათ სპეციალურ მომხსენებელთან შეხვედრების შემდეგ გამოთქვეს 2012 წლის მაისში შეხვედრისას და ადამიანის უფლებების დამცავი ორგანიზაციის ადმინისტრაციული ნიშნით ლიკვიდაციის შესახებ, რომელსაც კონტაქტი ჰქონდა სპეციალურ მომხსენებელთან მისი ვიზიტის დროს. იხ. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი, „დასკვნითი შეფასებები: ტაჯიკეთი“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/TJK/CO/2, 2012 წლის 20 ნოემბერი, პარაგრაფი. 15.

ანგარიშსწორება, რომლებიც გაეროსთან თანამშრომლობენ, მზარდი პრობლემაა, მათ შორის უუთოს რამდენიმე წევრ ქვეყანაში. მათი რეპრესიების მონიტორინგის კონტექსტში, გაერომ ასევე განაცხადა, რომ ორგანიზაციამ მიიღო განცხადებები დაშინებისა და რეპრესიების შესახებ რეგიონალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამო.<sup>401</sup> ადამიანის უფლებათა საბჭომ შეშფოთება გამოთქვა „შეშინებისა და ანგარიშსწორების მუდმივი განცხადებების მიღების გამო იმ პირებისა და ჯგუფების მიმართ, რომლებიც ცდილობენ ითანამშრომლონ ან თანამშრომლობენ ადამიანის უფლებათა სფეროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, მის წარმომადგენლებთან და მექანიზმებთან და განცხადებულ რეპრესიების სერიოზულობასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს დაზარალებულის სიცოცხლის უფლების, პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაღვევებს და საერთაშორისო კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევებს წამებისა და სასტიკი, არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის მიზნით.“<sup>402</sup> ამასთან დაკავშირებით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ და ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდეს სახელმწიფოებს თავი შეიკავონ და უზრუნველყონ დაშინებისა თუ რეპრესიებისგან სათანადო დაცვა. გარდა ამისა, მათ მოუწოდეს სახელმწიფოებს შეასრულონ თავიანთი მოვალეობა და აღკვეთონ დაუსჯელობა რაიმე სახის ამგვარი ქმედებისთვის, შესაბამისად დასაჯონ დამნაშავეები და დაზარალებულობათვის უზრუნველყონ ეფექტური დაცვის საშუალება, ასევე გააუქმონ კანონმდებლობა, რაც გავლენას ახდენს საერთაშორისო ინსტიტუტებთან დაუბრკოლებელი დაშვების და კომუნიკაციის შეუზღუდავ უფლებაზე.<sup>403</sup> PACE-ის შესაბამისად, რომელმაც სერიოზული შეშფოთება გამოთქვა ადვოკატებზე უკანონო ზეწოლასთან დაკავშირებით, რომლებიც იცავენ განმცხადებლებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე და დაშინების სხვა აქტებთან დაკავშირებით, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს თავი შეიკავონ განმცხადებლების, მათი ადვოკატების და მათი წევრების ზეწოლისგან, სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის შეუზღუდვის მიზნით, რათა მათ ეფექტურად დაიცვან ისინი ამგვარი ზეწოლისაგან და გამოაშკარავონ და

401 იხ. A/HRC/2/29, 2013 წლის 31 ივლისი, პარაგრაფი 49 და პარაგრაფი 14 (რეპრესიების ბრალდება რეგიონალურ ორგანიზაციებთან კომუნიკაციისთვის). აგრეთვე იხილეთ გაეროს გენერალური მდივნის წინა მოხსენებები გაეროსთან თანამშრომლობის, მისი წარმომადგენლებისა და ადამიანის უფლებების სფეროში მექანიზმების შესახებ: გაეროს დოკუმენტი A/HRC/21/18, 20102 წლის 13 აგვისტო; გაეროს დოკუმენტი A/HRC/14/19, 2011 წლის 21 ივლისი; და გაეროს დოკუმენტი A/HRC/14/19, 2010 წლის 7 მაისი.

402 A/HRC/RES/24/24, პრეამბულა.

403 იხ. UNGA რეზოლუციის A/RES/68/181, პარაგრაფი 17; და ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია A/HRC/RES/22/6 პარაგრაფი 14. აგრეთვე იხილეთ A/HRC/RES/24/24, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს განიხილონ ეროვნული საკონტაქტო პირების დანიშვნის საკითხი, რომელიც განიხილავს დაშინებისა და რეპრესიების განხორციელების ფაქტებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, მის წარმომადგენლებთან და მექანიზმებთან კომუნიკაციის მიზნით, იხილეთ პარაგრაფი 8.



სათანადოდ გამოიძიონ სასამართლოში ინდივიდუალური განცხადების უფლების სავარაუდო ჩარევის თითოეული შემთხვევა.<sup>404</sup>

265. როდესაც ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული მექანიზმები არაუფექტურია, საერთაშორისო სისტემა შეიძლება იყოს ერთადერთი ან უკანასკნელი გამოსავალი სამართლის აღდგენისთვის ან ადამიანის უფლებების ხელშემწყობისა და დაცვისთვის. საერთაშორისო უწყებებისათვის, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებისთვის წარდგენილი ინფორმაცია, ზოგჯერ არის ერთადერთი გზა, რომ ქვეყნის ფარგლებს გარედან მესამე მხარემ შეიტყოს ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ. ამ პირობებში, სახელმწიფოები ხშირად უარყოფიდან აღიქვამენ ამგვარი ინფორმაციის გადაცემას, რომელიც უარყოფითად წარმოაჩენს ქვეყანას და მის მთავრობას, რადგან ასეთმა ინფორმაციამ შეიძლება გაამჟღავნოს ხელისუფლების ვალდებულება ადამიანის უფლებების დარღვევების და კორუფციის შესახებ. ამასთან, ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, რომ პატივი სცენ ადამიანის უფლებებს და დაიცვან ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები.<sup>405</sup> მათ ასევე დაადასტურეს ინდივიდების, ჯგუფების და ასოციაციების მნიშვნელოვანი წვლილი ეუთო-ს ადამიანის განზომილების სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.<sup>406</sup> ამრიგად, მათ ასევე პატივი უნდა სცენ და დაიცვან უფლებადამცველების უფლება, რომ ინფორმაცია გაუზიარონ საერთაშორისო უწყებებს.

266. საკუთარ ქვეყნებში ადამიანის უფლებების დაცვის გასაძლიერებლად, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ, ადამიანის უფლებების მექანიზმებთან კომუნიკაცია უნდა განხილვოდეს და აღიარებული იქნას, როგორც რუტინული და მნიშვნელოვანი საქმიანობა. შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პრაქტიკული ზომები, რათა ხელი შეუწყონ უფლებადამცველთა უფლებას ასეთ უწყებებთან კომუნიკაციის შესახებ. მაგალითად, როგორც გაეროს ხელშეკრულების უწყებების მიერ არის რუტინულად რეკომენდირებული, სახელმწიფოებმა ადგილობრივ ენებზე უნდა თარგმნონ შესაბამისი

404 იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, „რეზოლუცია CM/Res(2010)25 წევრი სახელმწიფოების ვალდებულების შესრულების შესახებ, პატივი სცენ და დაიცვან ინდივიდუალური განცხადების უფლება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში“, 2010 წლის 10 ნოემბერი, პარაგრაფი. 1-2 და 4. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) თითქმის იდენტური რეკომენდაციები მისცა 2007 წლის რეზოლუციაში (იხ. PACE რეზოლუცია 1571 (2007)), „ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების მოვალეობაა ითანამშრომლონ ევროპულ სასამართლოთან ადამიანის უფლებების შესახებ“, პუნქტები 17.1.-17.3). დადგენილებებში ასამბლეა გამოთქვამს შემოთავაზებას „იმის შესახებ, რომ მთელი რიგი საქმეები, რომლებიც ეხმიანება განმცხადებლების მკვლელობას, გაუჩინარებას, ცემას ან მუქარას, რომელთაც საჩივარი შეაქვთ სასამართლოში, ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე და უფექტურად გამოძიებული კომპეტენტური ორგანოების მიერ“, და აღნიშნა, რომ ადვოკატებზე ზეწოლის განხორციელების უკანონო მეთოდები, რომლებიც ივადგენენ მომჩივნებს სასამართლოს წინაშე „მოიცადენ სისხლისსამართლებრივ ბრალდებას, დისკრიმინაციულ საგადასახადო შემოწმებებს და პროკურატურის მუქარას“ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის“. მსგავსი ზეწოლა განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც განმცხადებლებს ეხმარებიან საჩივრის მომზადებაში. „ამგვარმა დაშინებამ ხელი შეუშალა დარღვევების სავარაუდო მსხვერპლს სასამართლოში მათი განცხადების შეტანაში, ან აიძულა მათ განცხადების გამოხმობა (იხ. პარაგრაფები 5-7).

405 ვენა 1989, პარაგრაფი 13.5; გაეროს დეკლარაცია უფლებადამცველთა შესახებ, მუხლი 1.

406 იხ. მაგალითად, მოსკოვი 1991.



ხელშეკრულებები, მათ შორის დასკვნითი შეფასებები და რეკომენდაციები სახელმწიფო მოხსენებების, პრევენციული სამართლისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების მიმოხილვიდან, და ეს ჩამონათვალი ფართოდ უნდა გაავრცელონ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების ცნობიერების ამაღლების და მათი გამოყენების წახალისების მიზნით.<sup>407</sup> ანალოგიურად, სახელმწიფოებმა უნდა გაავრცელონ ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა მექანიზმების, აგრეთვე სტანდარტებისა და პრაქტიკის რეკომენდაციები ადამიანის უფლებათა რეგიონალური მექანიზმებისგან და სხვა ინსტიტუციებისგან. მათ ასევე უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და რეგიონალური მექანიზმებსა და ინსტიტუტებში საჩივრების წარდგენა, მათ შორის ადამიანის უფლებების რეგიონალურ სასამართლოებს, და სხვაგვარად ხელი შეუწყონ ამ მექანიზმების გამოყენებას საჭიროებისამებრ.

267. გაეროს ხელშეკრულების ორგანოები აგრეთვე რეგულარულად სთხოვენ სახელმწიფოებს, ადამიანის უფლებების შესაბამისი ხელშეკრულების შესრულების შესახებ პერიოდული მოხსენების მომზადებისას, აქტიური კონსულტაციები გაიარონ სამოქალაქო საზოგადოებასთან.<sup>408</sup> ანალოგიურად, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მოამზადონ ეროვნული მოხსენებები და სხვა ინფორმაცია ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის (UPR), ეროვნულ დონეზე ფართო საკონსულტაციო პროცესის გზით, რომელშიც ჩაერთვება ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე.<sup>409</sup> ნებისმიერი ასეთი კონსულტაცია უნდა იყოს ღია, ინკლუზიური და ეფექტური. ამგვარი კონსულტაციების ჩატარებისას წევრმა

407 იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა კომიტეტის შემდეგი რეკომენდაცია, რომლის მსგავსი ფორმები შეგიძლიათ იხილოთ ყველა დასკვნითი შეფასებაში, რომელიც შესრულებულია სახელმწიფოს დასკვნის განხილვის შემდეგ: „წევრი სახელმწიფო ვალდებულია ფართოდ გაავრცელოს პაქტი, ორი არჩევითი ოქმი, მეორე პერიოდული ანგარიშის ტექსტი, წერილობითი პასუხები, რომელიც მან გააკეთა კომიტეტის მიერ შედგენილ საკითხთა ჩამონათვალისა და წინამდებარე დასკვნითი შეფასებების შესახებ, რათა გაიზარდოს ცნობიერება აღნიშნულის შესახებ სასამართლო, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, სამოქალაქო საზოგადოებაში, ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებში, ისევე როგორც ფართო საზოგადოება. კომიტეტი ასევე რჩევას იძლევა, რომ მოხსენება და დასკვნითი შეფასებები ითარგმნოს წევრი სახელმწიფოს სხვა ოფიციალურ ენაზე.“ იხ. ადამიანის უფლებათა კომიტეტი, „დასკვნითი შეფასებები: ბოსნია და ჰერცეგოვინა“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/BIH/CO/2, 2012 წლის 13 ნოემბერი, პარაგრაფი 22. ანალოგიურად, ბავშვთა უფლებების კომიტეტმა განაცხადა, რომ “[კომიტეტი] შემდგომ რეკომენდაციას აძლევს მეორე და მეოთხე პერიოდულ პერიოდულ მოხსენებებსა და წერილობით პასუხებს წევრ სახელმწიფო და შესაბამისი რეკომენდაციები (დასკვნითი შეფასებები) ხელმისაწვდომი იქნება ქვეყნის ენებზე, მათ შორის (მაგრამ არა ექსკლუზიურად) ინტერნეტის საშუალებით, ფართო საზოგადოებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, მედიაში, ახალგაზრდულ ჯგუფებში, პროფესიონალურ ჯგუფებში და ბავშვებს, რათა მოხდეს დისკუსია და ცნობიერება კონვენციისა და მისი არჩევითი ოქმების შესახებ, მათი შესრულებისა და მონიტორინგის შესახებ. იხილეთ ბავშვის უფლებების კომიტეტის „დასკვნითი შეფასებები: ბოსნია და ჰერცეგოვინა“, გაეროს დოკუმენტი CRC/C/BIH/CO/2-4, 2012 წლის 29 ნოემბერი, პარაგრაფი 81.

408 იხ., მაგალითად, ადამიანის უფლებათა კომიტეტი „დასკვნითი შეფასებები: ბოსნია და ჰერცეგოვინა“, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/BIH/CO/2, 2012 წლის 13 ნოემბერი, პარაგრაფი 22, სადაც ნათქვამია: „კომიტეტი ასევე სთხოვს წევრ სახელმწიფოს, თავისი მესამე პერიოდული ანგარიშის მომზადებისას, ფართო კონსულტაციებს გაიაროს სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.“

409 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, „გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს ინსტიტუციონალური შენობა“, რეზოლუცია A/HRC/RES/5/1, დანართი, პარაგრაფი 15.

სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ უფლებადამცველების უფლებას, წარმოადგინონ საკუთარი მოხსენებები ან განცხადებები, როგორც სახელმწიფო მოხსენების ალტერნატიული მოხსენებად. სამოქალაქო საზოგადოების მიერ შეტანილი წვლილის მნიშვნელობის აღიარებისას, წევრმა სახელმწიფოებმა ასევე პროაქტიულად უნდა მიმართონ სამოქალაქო საზოგადოებას და ხელი შეუწყონ მათ აქტიურ მონაწილეობას ადამიანის უფლებების საერთაშორისო მექანიზმებთან და ინსტიტუტებთან, მათ შორის, ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ დაგეგმილი განხილვების ინფორმაციის მიწოდების გზით, ასევე ქვეყანაში შემოწმების განმანორციელებელი შესაბამის მექანიზმში ან დაწესებულებაში ინფორმაციის წარდგენის ვადები და პირობები.

268. საერთაშორისო ორგანოების, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებისა და ინსტიტუტების ვიზიტის დროს, გაეროს სპეციალური პროცედურების ჩათვლით და უეთოს, ევროპის საბჭოსა და IACHR-ის ეგიდით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უფლებადამცველებს შეეძლოთ თავისუფლად და უსაფრთხოდ დაამყარონ ურთიერთობა ასეთი ორგანოების წარმომადგენლებთან, კონფიდენციალურობის დაცვით.<sup>410</sup>

## IV. სახელმძღვანელოს მითითებების შესრულების ჩარჩოები

### შესრულება ეროვნულ დონეზე

269. გაეროს უფლებადამცველთა დეკლარაციის მე-2 მუხლის თანახმად სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ კანონმდებლობა, და გაატარონ ადმინისტრაციული და სხვა საჭირო ზომები იმისთვის, რომ ის უფლებები და თავისუფლებები, რომელთაც დეკლარაცია ითვალისწინებს

410 გაეროს სპეციალური მომხსენებლების/წარმომადგენლების მიერ მიღებული ვიზიტების ჩატარების შესახებ მითითების პირობების თანახმად, მოწვეულმა მთავრობამ უნდა წარმოადგინოს, *inter alia*, შემდეგი გარანტიები და შესაძლებლობები:

„(ა) გადაადგილების თავისუფლება მთელი ქვეყანაში, ტრანსპორტის გაადვილების ჩათვლით, განსაკუთრებით შეზღუდულ ადგილებში;

(ბ) გამოკითხვის თავისუფლება, განსაკუთრებით:

(i) წვდომა ყველა ციხეში, დაკავების ცენტრებში და დაკითხვის ადგილებზე;

(ii) კონტაქტები ხელისუფლების ყველა ფილიალის ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან;

(iii) კონტაქტები არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვა კერძო ინსტიტუტებისა და მედიის წარმომადგენლებთან;

(iv) კონფიდენციალური და მეთვალყურეობის გარეშე კონტაქტი მოწმებთან და სხვა კერძო პირებთან, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის მქონე პირებთან, სპეციალური მომხსენებლის მანდატის შესრულებისთვის საჭიროებისამებრ; და

(v) სრული წვდომა მანდატის შესაბამისი ყველა დოკუმენტურ მასალაზე;

(გ) მთავრობის მხრიდან გარანტია, რომ არცერთი პირი, ოფიციალური ან კერძო პირი, რომელსაც გააჩნდა კონტაქტი სპეციალურ მომხსენებელთან/წარმომადგენელთან მანდატთან დაკავშირებით, ამის გამო არ იქნება საფრთხის, შევიწროების ან დასჯის რისკის ქვეშ ან არ დაექვემდებარება სასამართლო პროცესს; [...]” იხ. E/CN.4/1998/45, დანართი V.

გარანტირებული იყოს. გაეროს ადამიანთა უფლებების საბჭომ მოუწოდა სახელმწიფოებს „მოიძიონ დახმარება[...]. კანონმდებლობის განხილვის, შესწორების ან მიღების პროცესში, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას იქონიებს უფლებადამცველთა საქმიანობაზე“.<sup>411</sup> კანონმდებლობის მიღმა, სახელმწიფოებს ვალდებულია აქვთ განიხილონ მათი პოლიტიკური და პრაქტიკული მიდგომა რათა დარწმუნდნენ, რომ ეს არა თუ საფრთხის წინაშე აყენებს უფლებადამცველებს და უზღუდავს მათ საქმიანობას, არამედ მეტ ძალა-უფლებას აძლევს მათ საქმიანობის შესრულებაში. სხელმწიფოებმა ეს პროცესები უნდა ჩაატარონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციებით და, საჭიროების შემთხვევაში, ასევე მიმართონ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის ODIHR – ს, ტექნიკური დახმარებისთვის.<sup>412</sup>

270. წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული კანონების და პრაქტიკის განხილვა, რომელიც გავლენას ახდენს უფლებადამცველებზე, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება წინამდებარე სახელმძღვანელოს, აგრეთვე სხვა შესაბამისი სტანდარტებისა და ვალდებულებების შესრულებისთვის. შემდგომი მონიტორინგი, თუ ჩატარდება იგი მუდმივად, ხელს შეუწყობს პროგრესის მონიტორინგს და დარჩენილი გამოწვევების იდენტიფიცირების პროცესს. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმისთვის, რომ შემდგომი ეფექტური ზომები გატარდეს იმ შედეგებზე დაფუძნებით, რომლებიც მიღებულია კანონმდებლობის მიმოხილვის და მონიტორინგის, მათ შორის საკანონმდებლო და სხვა ცვლილებების მიღების, და ასევე მრავალწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმების შედგენის გზით, ასევე ერთობლივი საქმიანობის შემუშავების შედეგად უფლებადამცველებთან, NHRI-თან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ უფლებადამცველთა საქმიანობას და ასევე შეუქმნან უსაფრთხო სამუშაო გარემო.

271. იმის აღნიშვნით, რომ დამოუკიდებელი NHRI-ს წევრები და თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ პარიზის პრინციპების შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს უფლებადამცველებად, უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც შეუძლია შეასრულოს NHRI-ს უფლებადამცველებთან მიმართებაში, მათ შორის: უფლებადამცველებისგან საჩივრების მიღება და განხილა; საადვოკატო საქმიანობა უფლებადამცველთათვის ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შესაქმნელად; ურთიერთქმედება საერთაშორისო და რეგიონალურ მექანიზმებთან, და ასევე ამ მექანიზმებისთვის ინფორმაციის მიწოდება ქვეყანაში უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ; საზოგადოებრივი მხარდაჭერა უფლებადამცველთა უფლებების

411 A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 22.

412 კერძოდ, ადამიანის უფლებათა საბჭომ აღნიშნა „ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების და სხვა ორგანიზაციებთან მნიშვნელოვანი წვლილი კანონმდებლობის პროექტების მომზადებაში სახელმწიფოების დახმარების პროცესში, როცა მზადდება ეს კანონმდებლობა ან ხდება მისი გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონთან.“ იხ. A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 17.

დარღვევის შემთხვევაში; ციხეებსა და დროებითი დაკავების ადგილებში უფლებადამცველთა მდგომარეობის მონიტორინგი; იურიდიული დახმარება, და უფლებადამცველთა და სახელმწიფოს შორის ან საზოგადოების სხვა ნაწილთან ჩართულობა კონფლიქტის და უთანხმოების დროს.<sup>413</sup> NHRI-ებს ასევე აკისრიათ მნიშვნელოვანი როლი იმაში, რომ მონიტორინგი გაუწიოს მიმდინარე სახელმძღვანელო მითითებების შესრულებას, მათ შორის ზემოთაღნიშნული საბაზო ანალიზის გატარებაში.

272. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ NHRI-ის ძლიერი მანდატი პარიზის პრინციპების შესაბამისად, და ასევე გამოუყონ ყველა საჭირო რესურსი რათა მათი მოვალეობები დამოუკიდებლად და ეფექტურად შეასრულონ. წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულება აიღეს ხელი შეუწყონ დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტების დაფუძნებას და მათ გაძლიერებას ადამიანის უფლებათა დაცვის და კანონის უზენაესობის სფეროში.<sup>414</sup> ამასთან მიმართებაში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს „დააფუძნონ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები პარიზის პრინციპების შესაბამისად, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ მათი დამოუკიდებლობა და მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების პარტნიორებს და დამცავებს“.<sup>415</sup> ევროსაბჭოს მინისტრიალის კომიტეტმა ასევე მოუწოდა ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს „გაითვალისწინონ, ან სადაც სჭიროა, გააძლიერონ დამოუკიდებელი კომისიების, ომბუდსმენის ან ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების კომპეტენცია და შესაძლებლობები, რათა მიიღონ, განიხილონ და რეკომენდაცია გაუწიონ უფლებადამცველთა საჩივრებს ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით.“<sup>416</sup>

413 იხ. გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ადამიანის უფლებათა საბჭოს, გაეროს დოკუმენტი A/HRC/22/47, 16 იანვარი, 2013. ადამიანის უფლებათა დაცვის და ხელშეწყობის ნაციონალური ინსტიტუტების (ICC) საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის აკრედიტაციის ქვეკომიტეტმა (SCA) თავის ზოგად შეფასებებში გააკეთა ზოგადი შეხსენება, რომ „ნაციონალური ინსტიტუტები დაფუძნებულია სახელმწიფოების მიერ კონკრეტული მიზნებისთვის, ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის უფლებები ეროვნულ დონეზე“. მეტიც, ქვეკომიტეტმა აღნიშნა რომ, პარიზის პრინციპების მთავარი მოთხოვნის შესაბამისად, NHRI-ებმა უნდა განავითარონ, ფორმალური სახე მისცენ და შეინარჩუნონ სამუშაო ურთიერთობა ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა ორგანიზაციასთან და ინსტიტუტთან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. „ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან მკაფიო და პრაქტიკული სამუშაო ურთიერთობის ფორმალიზების მნიშვნელობა, მაგალითად, ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერით, ისეთივე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც რეგულარული, კონსტრუქციული სამუშაო ურთიერთობის არსებობა და გადამწყვეტი როლი აქვს ამ ორგანიზაციებთან NHRI-ების მუშაობის გამჭვირვალობის ამაღლებში.“ იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის და ხელშეწყობის ნაციონალური ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტი, „ICC SCA-ის ზოგადი შეფასებები მიღებული ქვენვაში 2013 წლის მასში“, გვ. 6 და 21-22.

414 კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი 27.

415 ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის „რეზოლუცია უფლებადამცველთა და ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების საქმიანობაში ეუთოს ჩართულობის გაძლიერების თაობაზე“, პარაგრაფი 15. *კიევის დეკლარაცია და რეზოლუციაში, მიღებული მეექვსე ყოველწლიურ სესიაზე*, კიევი, 5-9 ივლისი, 2007, გვ. 28-30, <<http://www.osce.org/declarations/declarations/2007-kyiv-declaration-english/file>>.

416 „მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია უფლებადამცველთა დაცვის გაუმჯობესების და მათი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ევროპის საბჭოს მოქმედებებთან დაკავშირებით“, პარაგრაფი 2 (v).



273. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ ურჩია ეუთოს საპარლამენტო დელეგაციებს გააძლიერონ საკუთარი ქვეყნების ფარგლებში მათი ჩართულობა უფლებადამცველებთან და NHRI-თან.<sup>417</sup> ამასთანავე, PACE-მა ხაზი გაუსვა რომ პარლამენტის წევრებს აქვთ დიდი პასუხისმგებლობა უფლებადამცველთათვის პოლიტიკური კონტექსტის და სამუშაო პირობების ჩამოყალიბებაში და ასევე ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგში.<sup>418</sup> უფრო კონკრეტულად, PACE-მა მოუწოდა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების პარლამენტებს უზრუნველყონ რომ ის კანონმდებლობა რომელიც ვრცელდება უფლებადამცველებზე და მათ საქმიანობაზე შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს; მიიღონ და პრაქტიკულად გაატარონ არასაკანონმდებლო ტექსტები, როგორცაა ეროვნულში სამოქმედო გეგმები და სტრატეგიები, უფლებადამცველთა დახმავად; განავითარონ და შეინარჩუნონ კონტაქტები უფლებადამცველთა დახმავად; მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია უფლებადამცველთა როლზე (მაგალითად, მოაწონონ მოსმენები და საპარლამენტო დებატები და დააფუძნონ ჯილდოები უფლებადამცველთათვის); მხარი დაუჭირონ რისკის წინაშე მყოფი უფლებადამცველებისთვის დახმარების და დაცვის ზომებს; და საჯარო განაცხადონ დაცვითი მექანიზმები და გაეროსა და ევროსაბჭოს დეკლარაციები უფლებადამცველთა შესახებ.<sup>419</sup> ეუთოს წევრი სახელმწიფოების პარლამენტის წევრებმაც სასურველია მიიღონ ეს და სხვა ზომები, მათ შორის წინამდებარე სახელმძღვანელოს პოპულარიზაციისა და მომავალში ეფექტური გამოყენებისთვის.

274. 2010 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდა სახელმწიფოებს, განეხორციელებინათ „იმ მექანიზმების შექმნა და მათი გაძლიერება რომელიც ხელს შეუწყობდა უფლებადამცველებთან კონსულტაციებს და დიალოგს, მათ შორის უფლებადამცველებისთვის საკონტაქტო პირის დანიშვნას ადმინისტრაციაში სადაც ეს პოზიცია არ არსებობდა, დაცვის საჭიროებების მოძიების მიზნით, მათ შორის ქალი უფლებადამცველების, და ასევე უფლებადამცველთა მონაწილეობის უზრუნველყოფა მიზნობრივი დაცვის ზომების მიღებაში და განვითარებაში“.<sup>420</sup> იქ სადაც უფლებადამცველთა წინაშე

417 ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის „რეზოლუცია უფლებადამცველთა და ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების საქმიანობაში ეუთოს ჩართულობის გაძლიერების თაობაზე“, პარაგრაფი 20.

418 PACE რეზოლუცია 1660 (2009), პარაგრაფი 3.

419 *Ibid.* პარაგრაფი 13. თავის 2012 წლის რეზოლუციაში უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში, ასამბლეამ კიდევ ერთხელ მოუწოდა პარლამენტებს და მის წევრებს, ეროვნულ დონეებზე, უზრუნველყონ „უფლებადამცველთა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, და თავი შეიკავონ ისეთი კანონების მიღებისგან, რომლებიც არასათანადო შეზღუდვებს და ადმინისტრაციულ ბარიერებს დააწესებს უფლებადამცველებზე, ან, საჭიროების შემთხვევაში, გააუქმონ ესეთი კანონები,“ და „ადამიანის უფლებათა სფეროში მოდერნიზაციის არასამთავრობო ორგანიზაციების და უფლებადამცველების ჩართულობა, საჯარო კონსულტაციების ხანით, მათთან დაკავშირებული კანონმდებლობის შექმნის პროცესში.“ იხ. რეზოლუცია 1891 (2012), პარაგრაფი 6.

420 გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია A/HRC/RES/13/13 პარაგრაფი 5. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ორგანიზაციის წევს სახელმწიფოებს მოუწოდა „შექმნან შესაბამისი ინფრასტრუქტურა და დახმარების პროგრამები რისკის ქვეშ მყოფი უფლებადამცველებისთვის“. იხ. PACE რეზოლუცია 1660 (2009), პარაგრაფი 12.1.



დგას ისეთი საფრთხეები, როგორც არის საფრთხე მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობისა, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ და განახორციელონ შესაბამისი ეროვნული პოლიტიკა, პროგრამები და მექანიზმები უფლებადამცველთა დაცვასთან მიმართებაში. საჭიროების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ საკონსულტაციო და საკოორდინაციო ორგანოების შექმნა ზემოთაღნიშნული პოლიტიკის და პროგრამის გასატარებლად. სადაც ასეთი ორგანოები არსებობს ან შექმნილია, მათი როლი ასევე უნდა იყოს წინამდებარე სახელმძღვანელოსა და სხვა არსებული სტანდარტების და ვალდებულებების დაცვაში ეფექტურად გატარების მონიტორინგი. მათი მანდატის და ქვეყანაში სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, ამ ორგანოებში ასევე უნდა შედიოდნენ შემდეგი წარმომადგენლები: შესაბამისი სამინისტროები; სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები; ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლება; პარლამენტი; ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, ასევე დამოუკიდებელი უფლებადამცველები, რომლებიც წარმომადგენენ ქვეყანაში მოქმედ უფლებადამცველთა ფართო სპექტრს. საჭიროების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია აგრეთვე სამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის მათი რეგიონალური წარმომადგენლობები.

275. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა სახელმწიფოებს, თარგმნონ უფლებადამცველთა შესახებ გაეროს დეკლარაცია და მიიღონ ზომები მისი ფართოდ გავრცელებისთვის როგორც ქვეყნის მაშტაბით, ასევე რეგიონებში, საჯარო მოხელეებს და არასახელმწიფო აქტორებს შორის. გაერომ ასევე გასცა რეკომენდაცია დეკლარაციის ცნობადობის ამაღლება და ტრენინგების ჩატარების მხრივ იმისთვის რომ საჯარო მოხელეებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის სასამართლომაც, დაიცვან დეკლარაციის დებულებები და, ამგვარად, ხელი შეუწყონ უფლებადამცველთა და მათი მუშაობის უკეთ გააზრებას და პატივისცემას.<sup>421</sup> ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმაც სასურველია მიიღონ მსგავსი ზომები ამ სახელმძღვანელოს მიმართებაში. საჭიროა მათ ფართოდ გავრცელებონ ეს სახელმძღვანელო შესაბამის პროფესიონალურ ჯგუფებსა და კერძო პირებს შორის, და ასევე მითი იხელმძღვანელონ შესაბამისი საჯარო და სხვა პირებისთვის ადამიანის უფლებების

421 იხ. A/RES/66/164, პარაგრაფები 11 და 12. იხ. ასევე A/RES/68/181, 18 დეკემბერი 2013, პარაგრაფი 1. უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციებისთვის, ამავე საკითხებთან დაკავშირებით, იხილეთ, მაგალითად, მისი ანგარიში A/HRC/25/55 პარაგრაფები 131 (c) და (g), რომლებიც იძლევა დეკლარაციის და სასწავლო პროგრამების ფართოდ გავრცელების რეკომენდაციას, განსაკუთრებით იმ პროგრამებისა, რომლებიც, ენება ძალიან სტრუქტურების წარმომადგენლებს და საჯარო მოხელეებს და მოიცავს ისეთ მოდულებს, რომლებიც აღიარებენ უფლებადამცველის როლს საზოგადოებაში. აღნიშნული პარაგრაფები ასევე იძლევიან რეკომენდაციას საჯარო მოხელეებისთვის სწავლების ჩატარებასთან დაკავშირებით უფლებადამცველების როლზე და უფლებებზე. სასამართლო, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ორგანოებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, ისევე როგორც ზოგადად საზოგადოებაში, ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაეროს ორგანოებმა განემოწმებინათ მოუწოდეს სახელმწიფოებს თარგმნონ და გავრცელონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დოკუმენტები და კომიტეტის რეკომენდაციები. იხ. სტანდარტული რეკომენდაცია, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შეიყვანა მის დასკვნით შეფასებებში, მაგ. CCPR/C/DEU/CO/6, 12 ნოემბერი 2012, პარაგრაფი 19.

სფეროში ჩატარებული სასწავლო კურსების და ტრენინგების დროს. მათ ასევე უნდა ითანამშრომლონ ეუთოსთან ამ სახელმძღვანელო ცნობადობის ამაღლების, ტრენინგების, და სხვა სასწავლო პროცესების ჩატარების დროს, ასევე ბოლომდე მხარი დაუჭირონ დამოუკიდებელი NHRI-ის და არასამთავრობო სექტორის ინიციატივებს.

### **უფლებადამცველთა დაცვა ეუთოს წევრ სახელმწიფოებში და მესამე ქვეყნებში**

276. იმის გათვალისწინებით, რომ უფლებადამცველთა უფლებების დაცვა არა მხოლოდ სახელმწიფოების შინაგან საქმეთა საკითხს წარმოადგენს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან საჯარო მოხელეებისთვის ოპერატიული სახელმძღვანელო მითითებები იმ ზომებზე რომელიც მზარს დაუჭერს უფლებადამცველთა უფლებების დაცვას ეუთოსა სხვა წევრ სახელმწიფოებში და ასევე ეუთოს მიღმა ქვეყნებში. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია სახელმწიფოებს „მიიღონ ზომები რომელიც დახმარებას გაუწევს საფრთხეში მყოფ უფლებადამცველთა დაცვას მესამე ქვეყნებში. ეს დახმარება შეიძლება გამოიხატოს სასამართლო პროცესების დასწრებასა და მონიტორინგში, სადაც ეს შესაძლებელია, ასევე დაჩქარებული წესით ვიზების გაცემაში“.<sup>422</sup>

277. ევროკავშირის სახელმძღვანელო უფლებადამცველთა დაცვაზე გარკვეულ მითითებებს აძლევს ევროკავშირის მისიებს საზღვარგარეთ (მაგალითად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დიპლომატიურ მისიებში და ევროპის კომისიის დელეგაციებში) იმ ზომების მიღებაზე, რომლებიც მათ დაეხმარება მესამე ქვეყანაში უფლებადამცველთა უფლებების დაცვაში, და რეკომენდაციას უწევს ევროკავშირის მისიებს შეიმუშაონ აქტიური პოლიტიკა უფლებადამცველთა მიმართ.<sup>423</sup> 2009 წელს, PACE-მა მოუწოდა ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც ასევე არიან ევროკავშირის წევრები, რომ გამოეყენებინათ ევროკავშირის სახელმძღვანელო და მასში დასახული პრინციპები პრაქტიკაში ფართოდ გაეტარებინათ.<sup>424</sup>

278. ევროპარლამენტის დაკვეთით ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც აფასებდა ევროკავშირის სახელმძღვანელო მითითებების შესრულებას, აჩვენა მრავალი კარგი პრაქტიკა, მაგრამ ასევე გამოავლინა ხარვეზები სახელმძღვანელოს მითითებების განხორციელებაში, რაც ნაწილობრივ გამომდინარეობს სახელმძღვანელოს შინაარსის შეზღუდული ცოდნიდან, როგორც დიპლომატებს ისე უფლებადამცველებს შორის, და ასევე , იმის ცოდნის ნაკლებობისგან, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანის უფლებების საკითხებში ჩართულობა ევროკავშირის სახელმძღვანელოს

422 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია, პარაგრაფი 2(xi).

423 „დაცვის უზრუნველყოფა – ევროპის კავშირის სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველთა შესახებ“, <<http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/GuidelinesDefenders.pdf>>, პარაგრაფი 10. სახელმძღვანელო მითითებები თავდაპირველად მიიღეს 2004 წელს, ხოლო 2008 წელს მოხდა მისი გადახედვა.

424 PACE რეზოლუცია 1660 (2009), პარაგრაფი 12.3.

მითითებების შესაბამისად.<sup>425</sup> ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ასევე არიან ევროკავშირის წევრები უნდა უზრუნველყონ ევროკავშირის სახელმძღვანელოს მითითებების გავრცელება დიპლომატიურ მისიებსა და სამთვრობო წარმომადგენლებს შორის და ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ დიპლომატიური კორპუსის და მთავრობის წევრებმა გაიარონ შესაბამისი სწავლება ამ სახელმძღვანელოს შესრულებაში, რომ მასში ასახული ზომები მათი საქმიანობის პრიორიტეტი გახდეს. სხვა წევრმა სახელმწიფოებმაც მსგავსი ზომები უნდა მიიღონ მათი კანონმდებლობის და დამატებითი სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.<sup>426</sup>

279. საუკეთესო პრაქტიკას ამ მხრივ წარმოადგენს ნორვეგიის<sup>427</sup> და შვეიცარიის<sup>428</sup> მთავრობების მიერ მათი საგარეო სამსახურისა და საზღვრგარეთ მყოფი მისიებისთვის უფლებადამცველთა დაცვის სახელმძღვანელოების გამოცემა. ეს სახელმძღვანელო მითითებები ითვალისწინებს გარკვეულ პრაქტიკულ ზომებს უფლებადამცველის დასაცავად დიპლომატიური მისიების მეშვეობით, მათ შორის, მაგალითად: უფლებადამცველებთან კონტაქტის შენარჩუნება ინფორმაციის გაცვლის და მათი საქმიანობის ლეგიტიმაციის მიზნით; სასამართლო პროცესების მონიტორინგი; საშინაო პატიმრობაში მყოფი პირების მონახულება; ქვეყნის შესაბამის ორგანოებთან (მათ შორის ფორმალური ან არაფორმალური გზით და ინტერვენციით) უფლებადამცველთა მდგომარეობის თაობაზე შეშფოთებების გაზიარება; ადამიანის უფლებების საქმიანობის ხილვადობის გაზრდა მედიის, პრესის, ინტერვიუები, სახალხო განცხადებების საშუალებით, მათ შორის კონკრეტულ უფლებადამცველთა საქმეებზე ყურადღების გამახვილება; და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და NHRI-ებთან თანამშრომლობა ინფორმაციის გაზიარების და უფლებადამცველებთან კოორდინაციის მიზნით. როგორც ნორვეგიის, ასევე შვეიცარიის სახელმძღვანელოები აღიარებენ იმას, რომ ზოგ შემთხვევაში უფლებადამცველებს ესაჭიროებათ დახმარება, მათ შორის ფინანსური და პრაქტიკული, იმისთვის რომ გადაადგილდნენ სხვა

425 იხ. კარენ ბენეტი, „უფლებადამცველთა შესახებ ევროპის კავშირის სახელმძღვანელო მითითებების შესრულების შეფასება – ყირგიზეთის, ტაილანდის და ტუნისის პრაქტიკა“, ევროპის პარლამენტი, 2013 წლის ივნისი, <[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2013/410221/EXPO-DROI\\_ET\(2013\)410221\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2013/410221/EXPO-DROI_ET(2013)410221_EN.pdf)> სხვადასხვა გეოგრაფიული არეალიდან საქმეების შესწავლის საფუძველზე, ანგარიშში გაკეთდა რეკომენდაციები სახელმძღვანელო მითითებების შესრულების გაძლიერების თვალისაზრისით. უფლებადამცველთა საკითხებზე სპეციალურმა მომხსენებელმა ასევე რეკომენდაცია გასცა მარტივი სტრუქტურული და შედეგების ინდიკატორების განვითარების კუთხით, უფლებადამცველთა შესახებ ევროპის კავშირის სახელმძღვანელო მითითებების შესრულების და შეფასების გაუმჯობესების მიზნით. იხ. ირლანდიაში მისი ვიზიტის შესახებ ანგარიში, გაეროს დოკუმენტი A/HRC/22/47/Add.3, 26 თებერვალი, 2013 პარაგრაფი 111(გ).

426 შვეიცარიის სახელმძღვანელო აღიარებს, მაგალითად, სპეციფიკური სასწავლო კურსების მნიშვნელობას საელოზს იმ თანამშრომლებისთვის, ვისაც მჭიდროდ სამუშაო შეხება აქვს უფლებადამცველებთან. „ეს კონკრეტულად გაწვრთნილი თანამშრომლები შემდგომ შეძლებენ შესრულონ მულტიმეთაშამის როლი და გადასცენ თავიანთი ცოდნა სხვა კოლეგებს.“ (გვ. 17)

427 ნორვეგიის მცდელობები უფლებადამცველთა დასახმარებლად, სახელმძღვანელო საგარეო ურთიერთობისთვის, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, დეკემბერი 2010 <[http://www.regjeringen.no/en/dep/ud/documents/handbooks\\_brochures/2010/hr\\_defenders\\_guide.html?id=633052](http://www.regjeringen.no/en/dep/ud/documents/handbooks_brochures/2010/hr_defenders_guide.html?id=633052)>.

428 „შვეიცარიის სახელმძღვანელო უფლებადამცველთა დაცვის შესახებ“, საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი (FDFA), დეკემბერი 2013, <<http://www.admin.ch/aktuell/00089/index.html?lang=en&msg-id=51322>>.

ქალაქში ან ახლომდებარე ქვეყანაში.<sup>429</sup> ეუთოს წევრი ყველა სახელმწიფო ვალდებულია ჩართოს დიპლომატიური მისიები უფლებადამცველთა დაცვაში და, საჭიროების შემთხვევაში, მათი დაცვის გაძლიერებაში. უფრო ზუსტად, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ამ ზომების მიღებით მათ ასევე ხმა მიაწვდინონ უფლებადამცველებს დედაქალაქის ფარგლებს გარეთ, რეგიონებში და ქვეყნის რთულად მისაწვდომ ადგილებში.<sup>430</sup>

280. საზღვრებს გარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობების ფარგლებში საქმიანობის მიღმა, ნორვეგიის სახელმძღვანელო მითითებები ასევე გამოყოფს პოლიტიკური შეხვედრებისა და ოფიციალური ვიზიტების დროს უფლებადამცველთა ზოგადი მდგომარეობისა და ცალკეულ შემთხვევებთან დაკავშირებული საკითხების ხაზგასმის მნიშვნელობას. სახელმძღვანელო ასევე იძლევა რჩევას, მაგალითად, რომ უფლებადამცველთა სიტუაციის შესახებ ინფორმაცია შევიდეს ოფიციალური ვიზიტების დროს პოლიტიკური ლიდერებისთვის მომზადებულ საინფორმაციო მოსამზადებელ პაკეტში, და ამ ვიზიტების დროს ოფიციალურმა პირებმა მოცემულ ქვეყანაში გაითვალისწინონ შეხვედრების ჩატარება არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უფლებადამცველებთან.<sup>431</sup> სხვა წევრმა სახელმწიფოებმაც აუცილებელია იგივე ზომები მიიღონ.

281. შესაბამისად, ჰოლანდიის მთავრობამაც შეიმუშავა სამუშაო გეგმა, ადამიანის უფლებათა დაცვის საგარეო პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს რომ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრო „ხელს შეუწყობს დაჩქარებული წესით შენგენის ვიზის გაცემას უფლებადამცველებისთვის რომლებიც ნიდერლანდების სამეფოში ითხოვენ დროებით დარჩენას.“<sup>432</sup> ანალოგიურად, შვეიცარიის სახელმძღვანელოში ასევე მითითებულია რომ „თუ საქმის დეტალურად შესწავლის შემდეგ გამოვლინდა რომ ქვეყნის დატოვება ყველაზე ოპტიმალური ზომაა, [შვეიცარიის საგარეო სამინისტრო] ჩაერევა შესაძლებლობების ფარგლებში ვიზის გაცემის პროცესში“.<sup>433</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების გარდა,

429 იხ. ნორვეგიის სახელმძღვანელო მითითებები, გვ. 14, და შვეიცარიის სახელმძღვანელო მითითებები, გვ. 15.

430 ევროპის კავშირის სახელმძღვანელოს შესრულების შემოსწავლამ შესწავლამ აჩვენა, მაგალითად, რომ შესწავლილ ქვეყნებში დიპლომატიური მისიების მხრიდან ვიზიტები და საცდელი დაკვირვებები იშვიათად თუ ხორციელდება დედაქალაქებს გარეთ (იხ. ევროპის პარლამენტი, „უფლებადამცველთა შესახებ ევროპის კავშირის სახელმძღვანელო მითითებების შესრულების შედეგსა – ყირგიზეთის, ტაილანდის და ტუნისის პრაქტიკა“ ივნისი 2013). შვეიცარიის სახელმძღვანელო ხაზს უსვამს ქალაქებს მიღმა უფლებადამცველების ვიზიტების საჭიროებასაც, მათი მორალური მხარდაჭერის და მათი დაცვის გაუმჯობესების მიზნით (იხ. შვეიცარიის სახელმძღვანელო მითითებები, გვ. 12).

431 იხ. ნორვეგიის სახელმძღვანელო მითითებები, გვ. 20.

432 იხ. „უფლებადამცველთა სამოქმედო გეგმა“, <<http://www.government.nl/issues/human-rights/supporting-human-rights-defenders> (Dutch Action Plan)>, გვ. 5.

433 შვეიცარიის სახელმძღვანელო მითითებები, გვ. 16. უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე სპეციალურმა მომხსენებელმა ირლანდია დასაწვავ კარგ მაგალითად, სადაც 2006 წლიდან მოხდა სპეციალური ჰუმანიტარული სავიზო რეჟიმის შემოღება, რომლის საფუძველზეც უფლებადამცველებს, რომლებსაც უსაფრთხოების დროებითი პრობლემები აქვთ, აქვთ ირლანდიაში მოკლე ვადით გამგზავრების სწრაფი მექანიზმი. იხ. HRC/22/47/Add.3, 26 თებერვალი 2013, პარაგრაფი 56.



რომელიც ზემოთ არის აღნიშნული, PACE-მა გასცა რეკომენდაცია რომ სახელმწიფოებმა დააფუძნონ ჰუმანიტარული ვიზის სქემა ან მიიღონ შესაბამისი ზომები,<sup>434</sup> და მოუწოდა ქვეყნის პარლამენტებს „მხარი დაუჭიროონ რისკის ქვეშ მყოფ უფლებადამცველებისთვის დახმარების და დაცვის ზომებს, როგორც არის სასწრაფო ვიზები“.<sup>435</sup> არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უფლებადამცველთა ჯგუფებთან ერთად, პარლამენტის წევრებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება ეროვნული ან ადგილობრივი მთავრობებისთვის ისევე როგორც საჯარო და კერძო ინსტიტუტებისთვის ხელის შეწყობით გადაადგილებული პირების მიღებასა ან ფინანსურ დახმარებაში.

282. როგორც უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, განვითარების ფონდი ასევე წარმადგენს მნიშვნელოვან ბერკეტს მესამე ქვეყნებში უფლებადამცველთა დასაცავად, და ამასთან ერთად მათთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შესაქმნელად. ამ კონტექსტში, მან ხაზი გაუსვა დონორების მხრიდან თანმიმდევრული და მდგრადი რეაგირების მოხდენას ადამიანის უფლებების დარღვევებზე, ასევე დაფინანსების საჭიროებას განვითარების ფონდის ფარგლებში, რომელიც ხელს შეუწყობს უფლებადამცველთა უსაფრთხოებას და მდგრადობას.<sup>436</sup>

### საერთაორისო თანამშრომლობა და ადამიანის უფლებების მექანიზმები

283. ეუთოს პრინციპების დაცვის საერთო პასუხისმგებლობის ფონზე – განსაკუთრებით დემოკრატიასთან, კანონის უზენაისობასთან და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით – ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა განამტკიცეს მათი მიზანდასახულობა რათა ითანამშრომლონ ეუთოსთან და მის ინსტიტუტებთან და წარმომადგენლებთან.<sup>437</sup> ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება, როგორც ეუთოში, ასევე იმ სხვა ორგანიზაციებში რომლის წევრებიც არიან, იმისთვის რომ გაუწიონ ეთმანეთს დახმარება ეუთოს ვალდებულებების და პრინციპების შესრულებაში, გააძლიერონ არსებული თანამშრომლობის ინსტრუმენტები და შექმნან ახალი საშუალებები იმისთვის რომ წევრი სახელმწიფოების მოთხოვნებს დროულად და უფექტურად უპასუხონ.<sup>438</sup> როგორც ასეთი, მათ გაიმეორეს რომ „ეუთო განაგრძობს იყოს ეფექტური როლის შემსრულებელი რეგიონში, მისი ინსტიტუტების – ODIHR-ის, ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისარის (HCNM), და მედიის თავისუფლების წარმომადგენლის (RFoM) – საკვლე მისიების და სეკრეტარიატის მეშვეობით. ესენი წარმადგენენ აუცილებელ ინსტრუმენტს იმისთვის რომ დახმარება გაუწიონ წევრ სახელმწიფოებს

434 იხ. ევროპის საბჭოს მიწინასწარ კომიტეტის დეკლარაცია, პარაგრაფი 2(xi) და PACE რეზოლუცია 1660 (2009), პარაგრაფი 12.2.

435 PACE რეზოლუცია 1660 (2009), პარაგრაფი 13.5.

436 იხ., მაგალითად, A/HRC/22/47/Add.3, 26 თებერვალი 2013, პარაგრაფი 65.

437 სტამბოლი 1999, „ევროპის უსაფრთხოების ქარტია: III. ჩვენი ზოგადი კომენტარები“, პარაგრაფი 14.

438 *Ibid.*



ვალდებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის, შესრულებაში”.<sup>439</sup> იმისთვის რომ შექმნას გარემო, სადაც უფლებადამცველები იმ-უშავებენ თავისუფლად, ევროკავშირის სხელმძღვანელო ვალდებულებას იღებს გააძლიეროს არსებული რეგიონალური მექანიზმები უფლებადამცველთა დაცვასად, მათ შორის ODHR-ი და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი, და მხარი დაუჭიროს გაეროს ადამიანთა უფლებების საბჭოს სპეციალურ პროცედურებს, მათ შორის სპეციალურ მომხსენებელს უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ.<sup>440</sup>

284. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად ჩაერთნენ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთ განხილვაში, და ითანამშრომლონ საერთაშორისო ადამიანის უფლებების ორგანოებთან იმ მიზნით რომ გააძლიერონ უფლებადამცველთა დაცვა და მათთვის შექმნან უსაფრთხო და საარსებო სამუშაო გარემო. მაგალითად, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მოუწოდა მის წევრ სახელმწიფოებს ითანამშრომლონ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების მექანიზმებთან, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან და ადამიანის უფლებების კომისართან, ხელი შეუწყონ მათ ვიზიტებს, მოთხოვნის შემთხვევაში კომისარს მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია და შევიდნენ მასთან დიალოგში უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ.<sup>441</sup> ანალოგიურად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ და დადებითად უპასუხონ გაეროს სპეციალურ პროცედურებს, მათ შორის გაეროს სპეციალურ მომხსენებელს უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ, ვიზიტებთან დაკავშირებით.<sup>442</sup> ისინი ასევე სრულად უნდა დაემორჩილონ მათ ვალდებულებებს პერიოდულად ჩააბარონ ანგარიში სამონიტორინგო ორგანოებს იმ საერთაშორისო ადამიანის უფლებების ინსტრუმენტების თაობაზე, რომელიც რატიფიცირებულია მათ მიერ, და ასევე მიაწოდონ ამ ორგანოებს ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომელიც მიმართული იყო უფლებადამცველთა დასაცავად. უფრო კონკრეტულად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებების მონიტორინგის ორგანოების და სხვა მექანიზმების მიერ გაცემული რეკომენდაციების ეფექტური შესრულება. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდა სახელმწიფოებს „საყოველთაო პერიოდული მიმოხილვისთვის და ხელშეკრულების ორგანოებისთვის თავიანთ მოხსენებებში შეიტანონ ინფორმაცია იმ ზომების და ნაბიჯების შესახებ რომელიც უფლებადამცველებს უქმნის უსაფრთხო და საარსებო გარემოს.”<sup>443</sup>

439 მაასტრიხტი 2003, „21-ე საუკუნეში საფრთხეებსა და უსაფრთხოებასთან ბრძოლის ეუთოს სტრატეგია”, პარაგრაფი 20.

440 იხ. ევროპის კავშირის სახელმძღვანელო მითითებები, პარაგრაფი 12, გვ. 7-9, and პარაგრაფი 13, გვ. 9-10.

441 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია, პარაგრაფი 2(viii).

442 UNGA-მ სახელმწიფოებს მოუწოდა „სერიოზულად დაეძრდნენ თავიანთ ქვეყანაში ვიზიტის თაობაზე სპეციალური მომხსენებლის თხოვნის სათანადო შესრულებაზე“ და მოუწოდა მათ სპეციალურ მომხსენებელთან კონსტრუქციული დიალოგისკენ, რეკომენდაციების შესრულების საკითხებზე, რათა სპეციალურ მომხსენებელს მიეცეს საკუთარი მანდატის უფრო ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა”; იხ. A/RES/66/164, პარაგრაფი 10.

443 იხ. A/HRC/RES/22/6, პარაგრაფი 19.

285. წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაცია ეძლევათ მიიღონ ODIHR-ის დახმარება კანონპროექტების და მიღებული კანონების განხილვაში და ცვლილებების მომზადებაში, იმისთვის რომ კანონმდებლობა შეესაბამებოდეს საერთაშორისო და ეუთოს ვალდებულებებს უფლებადამცველთა უფლებებთან მიმართებაში. გარდა ამისა, მათ უნდა მიაწოდონ ODIHR-ს ინფორმაცია იმ ზომების მიღების შესახებ რომელიც ეხმარება წინადადებარე სახელმძღვანელო მითითებების შესრულებაში. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის რომ ODIHR-მა შეასრულოს მისი როლი და დახმარება გაუწიოს წევრ სახელმწიფოებს ადამიანის უფლებების განზომილების ვალდებულებების შესრულებაში, მათ შორის საუკეთესო პრაქტიკის და ინფორმაციის გაზიარებაში.<sup>444</sup> როგორც ძირითად ინსტიტუტს, რომელიც მუშაობს ადამიანის უფლებათა განზომილების საკითხებში, ODIHR-ს დაევალოს, მათ შორის, ეუთოს მუდმივი საბჭოსთვის „მისი საქმიანობის შესახებ რეგულარული ანგარიშის ჩაბარება და ვალდებულებების შესრულებაზე ინფორმაციის მიწოდება“, და „დამხმარე მასალის მიწოდება ყოველწლიური შესრულების ანგარიშისთვის, და საჭიროების შემთხვევაში, მიღებული ინფორმაციის დაზუსტება ან დამატებითი ინფორმაციის მოძიება.“<sup>445</sup> ეუთოსთან და მის ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ვალდებულების მხრივ, წევრმა სახელმწიფოებმა ასევე გამოხატეს მიზანდასახულობა „ითანამშრომლონ სოლიდარობის და პარტნიორობის სულისკვეთებით ვალდებულების შესრულების შემდგომ განხილვაში“.<sup>446</sup>

286. ადამიანის უფლებათა განზომილების ვალდებულებების შესრულების მიზნით, რომელიც ეხება უფლებადამცველთა უფლებებს, ეუთოს წევრი სახელმწიფოები ასევე უნდა მიესალმონ და ხელი შეუწყონ ODIHR-ის სხვადასხვა საქმიანობას, მათ შორის ODIHR-ის ვიზიტებს, რომელიც მიზნად ისახავს უფლებადამცველთა უფლებების დაცვის ვალდებულებების შესრულებას. მაგალითად, ეუთოს ვალდებულების შესაბამისად ქვეყნებმა „წევრი სახელმწიფოების მიერ გამოგზავნილი დამკვირვებლების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და სხვა პირების დასწრება სასამართლო პროცესებზე უნდა აღიქვან როგორც ნდობის ამაღლების ერთერთი საშუალება“,<sup>447</sup> და ამასთან ერთად ხელი შეუწყონ ეუთოს მიერ უფლებადამცველთა სასამართლო პროცესების მონიტორინგის.

444 ჰელსინკის 1992 წლის დოკუმენტის მიხედვით, ODIHR-ის მანდატს წარმოადგენს დაეხმაროს ეუთოს წევრ სახელმწიფოებს „ადამიანთა უფლებების და ძირითადი თავისუფლებების სრული პატივისცემის უზრუნველყოფაში, კანონის უზენაესობის პატივისცემაში, დემოკრატიის პრინციპების მხარდაჭერაში, და ... დემოკრატიული ინსტიტუტების აშენებაში, გაძლიერება და დაცვაში, ისევე როგორც საზოგადოებაში ტოლერანტობის განვითარებაში.“ (ჰელსინკი 1992, „გადაწყვეტილება: VI. ადამიანური განზომილება“, პარაგრაფი 2). გარდა ამისა, ODIHR-ის როლი მოიცავს საკონტაქტო წერტილის როლის შესრულებას წევრ სახელმწიფოების მიერ ეუთოს ვალდებულებების თანახმად მოწოდებული ინფორმაციის ნაწილში, ისევე როგორც ინფორმაციის გავრცელებაში ადამიანური განზომილებისთვის (რომი 1993, „გადაწყვეტილება: IV. ადამიანური განზომილება“, პარაგრაფი 4).

445 ბუდაპეშტი 1994, „გადაწყვეტილება: VIII. ადამიანური განზომილება“, პარაგრაფი 8.

446 სტამბოლი 1999, „ევროპის უსაფრთხოების ქარტია: III. ჩვენი ზოგადი პასუხი“, პარაგრაფი 14.

447 კოპენჰაგენი 1990, პარაგრაფი 12.

## ეუთო

287. 2003 წელს ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა ხაზი გაუსვეს „იმ საჭირო როლს, რომელიც ეუთოს აკისრია რეგიონში მისი ინსტიტუტების — ODIHR-ის, ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისარის (HCNM), და მედიის თავისუფლების წარმომადგენლის (RFoM) — და ასევე სავსე მისიების და მისი სეკრეტარიატის სრული გამოყენებით. მათ ასევე ხაზი გაუსვეს ამ ინსტიტუტების როლს, როგორც „აუცილებელი ინსტრუმენტებს რომლებიც ეხმარება წევრ სახელმწიფოებს მათ მიერ აღებული ვალდებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებების, დემოკრატიული პრინციპების და კანონის უზენაესობის პატივისცემის, შესრულებაში“.<sup>448</sup> 2007 წელს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ ყურადღება გაამახვილა უფლებადამცველთა როლზე და განსაკუთრებით ეუთოს, მისი ინსტიტუტების და სავსე მისიების მიერ მათი უფლებების დაცვაზე.<sup>449</sup> იმისთვის რომ მხარი დაუჭირონ ეუთოს უფრო მეტ და ფართო ჩართულობას უფლებადამცველებთან, კერძოდ ადამიანის უფლებების განზომილების ვალდებულებების შესრულებაში, მათ შორის მათ მონაწილეობას სხვადასხვა ადამიანის უფლებათა განზომილების ღონისძიებებში, ეუთოს სტრუქტურებმა, ინსტიტუტებმა და სავსე მისიებმა მხედველობაში უნდა მიიღონ წინამდებარე სახელმძღვანელო მათი მანდატის შესაბამისად. ეს მათ დაეხმარება უფლებადამცველთა ეფექტურ დაცვაში და ასევე იმ გარემოში შექმნაში რომელიც შესაძლებლობას შეუქმნის უფლებადამცველთა საქმიანობას და მათ ჩართვას ეუთოს სხვადასხვა ღონისძიებებში.

448 მასტრიხტი 2003, „21-ე საუკუნეში საფრთხეებსა და უსაფრთხოებასთან ბრძოლის ეუთოს სტრატეგია“, პარაგრაფი 20.

449 ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის „რეზოლუცია უფლებადამცველებთან და ადამიანის უფლებათა ინსტიტუტებთან მუშაობაში ეუთოს ჩართულობის გაძლიერებისთვის“, პარაგრაფები 8 და 23.

# დანართი:

## შერჩეული მასალები და რესურსები

### 1. უფლებადამცველთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და სტანდარტები

- გაერთიანებული ერების ორგანიზაცია: დეკლარაცია პირების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ, რათა ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და ძირითადი თავისუფლებები (გაეროს დეკლარაცია ადამიანის უფლებადამცველთა შესახებ), რომელიც ერთხმად მიიღეს გაეროს გენერალური ასამბლეის A/RES/53/144 რეზოლუციით 1998 წლის 9 დეკემბერს <<http://www.ohchr.org/Documents/Issues/Defenders/Declaration/declaration.pdf>>.
- ევროპის საბჭო: მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ევროსაბჭოს შესახებ, უფლებადამცველთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისა და მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მიღებულია 2008 წლის 6 თებერვალს <<https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1245887&Site=CM>>.

### ძირითადი რეზოლუციები და რეკომენდაციები, რომლებიც ეხება უფლებადამცველთა უფლებების დაცვას

#### გაერთიანებული ერების ორგანიზაცია:

- გენერალური ასამბლეის რეზოლუცია ქალო უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ, გაეროს დოკუმენტი A/RES/68/181, მიღებული 2013 წლის 18 დეკემბერს, [http://www.un.org/ga/search/view\\_doc.asp?symbol=A/RES/68/181](http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/68/181).
- გენერალური ასამბლეის რეზოლუცია გაეროს დეკლარაციის შესახებ უფლებადამცველთა შესახებ, გაეროს დოკუმენტი A / RES / 66/164, მიღებული 2011 წლის 11 დეკემბერს, [http://www.un.org/ga/search/view\\_doc.asp?symbol=A/RES/66/164](http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/66/164).
- ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ, გაეროს დოკუმენტი. A / HRC / RES / 22/6, მიღებული 2013 წლის 21 მარტს, [http://www.un.org/ga/search/view\\_doc.asp?symbol=A/HRC/RES/22/6](http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/HRC/RES/22/6).
- ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ, გაეროს დოკუმენტი. A / HRC / RES / 13/13, მიღებული 2010 წლის 25 მარტს, [http://www.un.org/ga/search/view\\_doc.asp?symbol=A/HRC/RES/13/13](http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/HRC/RES/13/13).

(ყველა მიღებული გენერალური ასამბლეის და ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია უფლებადამცველთა უფლებების დაცვასთან მიმართებაში ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [http://ap.ohchr.org/documents/dpage\\_e.aspx?m=70&m=166](http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?m=70&m=166))

### **ევროსაბჭო:**

- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) 1891 (2012) რეზოლუცია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ, მიღებული 2012 წლის 27 ივნისს, <http://assembly.coe.int/ASP/XRef/X2H-DW-XSL.asp?fileid=18948&lang=EN>.
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1879 რეზოლუცია (2009) ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ, <http://assembly.coe.int/ASP/XRef/X2H-DW-XSL.asp?fileid=17727&lang=en> და რეკომენდაცია 1866 (2009), <http://assembly.coe.int/ASP/XRef/X2H-DW-XSL.asp?fileid=17728&lang=en>, ორივე მიღებული 2009 წლის 28 აპრილს.

### **ეუთო:**

- ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია ეუთოს მონაწილეობის გაძლიერების საკითხში უფლებადამცველებთან და ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან, პუნქტი. 17, „კიევის დეკლარაციები და რეზოლუციები მიღებული მეექვსე წლიურ სესიაზე“, კიევი, 2007 წლის 5-9 ივლისი, გვერდები 28-30 <http://www.oscepa.org/publications/declarations/2007-kyiv-declaration/250-2007-kyiv-declaration-eng/file>.

### **ევროკავშირის მითითებები**

- „დაცვის უზრუნველყოფა – ევროკავშირის სახელმძღვანელო მითითებები ადამიანის უფლებადამცველთა შესახებ“, 2008 წ. <http://www.councilofeuropa.eu/uedocs/cmsUpload/GuidelinesDefenders.pdf>.

### **ეროვნული სახელმძღვანელო მითითებები**

- შვეიცარია: „შვეიცარიის სახელმძღვანელო მითითებები უფლებადამცველთა უფლებების დაცვის შესახებ“, საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი (FDFA), 2013 წლის დეკემბერი, <http://www.admin.ch/aktuell/00089/index.html?lang=en&msg-id=51322>.
- ნორვეგია: „ნორვეგიის მცდელობები ადამიანის უფლებადამცველთა მხარდასაჭერად, საგარეო სამსახურის სახელმძღვანელო“, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2010 წლის დეკემბერი. [http://www.regjeringen.no/en/dep/ud/documents/handbooks\\_brochures/2010/hr\\_defenders\\_guide.html?id=633052](http://www.regjeringen.no/en/dep/ud/documents/handbooks_brochures/2010/hr_defenders_guide.html?id=633052).



## 2. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ზოგადი სტანდარტები უფლებადამცველთა უფლებების დაცვის კონტექსტში

### ეუთოს ადამიანური განზომილების ვალდებულებები

ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებმა თავის თავზე აიღეს უამრავი პოლიტიკური ვალდებულება, რომელიც ცნობილი გახდა როგორც ეუთოს უსაფრთხოების კონცეფცია ადამიანურ განზომილებაში. ადამიანური განზომილების ვალდებულებები, რომლებიც უფლებადამცველებს ეხებათ, მოიცავს სხვადასხვა სფეროს, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, გამოხატვის თავისუფლებას, თავისუფალ მედიასა და ინფორმაციის მიღების უფლებას, გადაადგილების თავისუფლებას, კანონის უზენაესობას და სასამართლოს დამოუკიდებლობას, ასევე წამების და სხვა სასტიკი მოპყრობის, არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას ან დასჯას, თვითნებური დაპატიმრებისა და პატიმრობისაგან თავისუფლებას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით სარგებლობის უფლებებს.

1994 წლის ბუდაპეშტის დოკუმენტში, უფლებადამცველთა შესახებ გაეროს დეკლარაციის შედგენის კონტექსტში, მონაწილე სახელმწიფოებმა კონკრეტულად ხაზგასმით აღნიშნეს უფლებადამცველების დაცვის აუცილებლობა (ბუდაპეშტის დოკუმენტი: ჭეშმარიტი პარტნიორობისკენ ახალ ეპოქაში (სახელმწიფოთა და მთავრობების ხელმძღვანელთა სამიტი), 1994 წლის გადაწყვეტილებები: VIII. ადამიანური განზომილება).

ეუთოს ყველა განზომილების ვალდებულების თემატური და ქრონოლოგიური ნაკრები იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://www.osce.org/odihr/76894> და <http://www.osce.org/odihr/elections/76895>.

### ადამიანის უფლებების უნივერსალური და რეგიონალური ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება უფლებადამცველთა უფლებების დაცვას

ადამიანის უფლებათა საყოველთაო და რეგიონალური ხელშეკრულებების ტექსტის სანახავად, რომელიც ასევე ეხება უფლებადამცველთა უფლებების დაცვას და ადამიანის უფლებების დაცვის უფლების განხორციელებას, იხილეთ ქვემოთ მოცემული ბმულები.

### გაერთიანებული ერების ორგანიზაცია:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR) და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICESCR). <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CoreInstruments.aspx>

- გაეროს იურისპროდენცია და დასკვნითი შეფასებები გაეროს ხელშეკრულებების ორგანოების შესახებ, რომლებიც მონიტორინგს უწევენ ადამიანის ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებას, შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: [http://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/TBSearch.aspx?Lang=en](http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/TBSearch.aspx?Lang=en).

(ადამიანის უფლებების უნივერსალური ინსტრუმენტების არა ამომწურავი ჩამონათვალის სია, მათ შორის ხელშეკრულების არმქონე სტანდარტების ჩათვლით, იხილეთ: <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/UniversalHumanRightsInstruments.aspx>)

### ევროსაბჭო:

- ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია) და კონვენციის ოქმები: <http://www.conventions.coe.int/Treaty/Commun/ListeTraités.asp?MA=3&CM=7&CL=ENG>.
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის განხილვა შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ ბმულზე: <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/Pages/search.aspx>.

### ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია:

- ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (ACHR), ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკული დეკლარაცია და ადამიანის უფლებათაშორისი სხვა საშუალებები: [http://www.oas.org/en/iachr/man-date/basic\\_documents.asp](http://www.oas.org/en/iachr/man-date/basic_documents.asp).

## 3. უფლებადამცველთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო და რეგიონალური მექანიზმები

### გაერთიანებული ერების ორგანიზაცია:

- სპეციალური მომხსენებელი უფლებადამცველების მდგომარეობის შესახებ: <http://www.ohchr.org/EN/Issues/SRHRDefenders/Pages/SRHRDefendersIndex.aspx>.

(ადამიანის უფლებათა საბჭოს ყველა თემატური სპეციალური საპროცესო მანდატის ჩამონათვალის, მათ შორის, ისინი, რომლებიც ეხმარებიან უფლებადამცველთა მუშაობას, იხილეთ შემდეგი ბმული: <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/SP/Pages/Themes.aspx>)

### ევროსაბჭო:

- ადამიანის უფლებათა კომისარი <http://www.coe.int/en/web/commissioner/human-rights-defenders>

**ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია:**

- უფლებადამცველთა შიდაამერიკული კომისიის მონსენება <http://www.oas.org/en/iachr/defenders/default.asp>